

## მკაცრი რეჟიმის სასახლე

ეს არ იყო როლი, რომელზეც ელენე ბეთანელი ოცნებობდა, მაგრამ ასეთი იყო მსახიობის პროფესია – სულ მთლად ბუჩქის როლი თუ არ შემოგკადრეს, უნდა დასთანხმდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დავინყება გარანტირებული გაქვს. ეს იგივეა, საკუთარი თავი საკუთარი ნებით კუთხეში დააყენო. იქ, სადაც ნებისმიერ შემთხვევაში, ატუბული ხარ. ატუბული ადამიანისგან კი ვერც მსახიობი შედგება, ვერც ვერაფერი. ასეთს პანჩური უნდა ამოჰკრა და ქუჩაში გასვა. თანაც, რომელი რეჟისორი დახარბდება ვარსკვლავის პოზაში ჩამდგარ მსახიობთან ურთიერთობას? მით უმეტეს, როცა ლაპარაკია სერიალზე. სერიალში შეიძლება მატარებელში გაცნობილი ადამიანი გადაიღო და ერთ დღეში გახადო პოპულარული, ყოველგვარი სასცენო გამოცდილების გარეშე. რაც მეტია თავის დაფასების მცდელობა, მის მეტია ბოლმის კოეფიციენტი. სრულიად კაცობრიობაზე დაბოლმილი მსახიობი კი ბუჩქადაც არ ივარგებს. იმიტომ, რომ გადასაღებ მოედანზე ბანალურ ბუჩქსაც თავისი დანიშნულება აქვს.

თავისი ოცდაათწლიანი გადასახედიდან ელენე ბეთანელს თავისუფლად შეეძლო ეთქვა – ნამდვილ შემოქმედებით წვას მხოლოდ თეატრალურ სცენაზე განიცდიდა, თუმცა პოპულარობა მხატვრულმა ფილმმა მოუტანა. თეატრალურებში ცნობადობა ერთია, სახალხო სიყვარული – სხვა. კოლეგა მსახიობი არ მოგთხოვს ავტოგრაფს, არ დაგაყრის ყვავილებს, არ გამოგიგზავნის უსახელო წერილს... ამ ყველაფერს ხალხი აკეთებს – მასა. ელენეს მასის ეშინოდა. შიში ერთ-ერთი პრემიერის შემდეგ დასჩემდა, როდესაც მოეჩვენა, რომ აჟიტირებული მასა ცოცხლად შეჭმას უპირებს, რასაც ვერ მოერევა სახლში წაიღებს და კედელზე ჩამოჰკიდებს, ძვირფასი ნადავლივით.

სცენარს ჩახედა. ჩვეულებრივი კრიმინალური ისტორია მელოდრამატული ელემენტებით. უშიშარი პოლიციელის როლზე ელენეს ყოფილი საქმრო, დათუნა ჯაფარიძე მოიბრუნებოდა, განსაცდელში ჩავარდნილი ჟურნალისტი ელენეს უნდა ეთამაშა. საინტერესოა, ჩვეულებრივი დამთხვევა თუ ადგილი აქვს ინტრიგანობას რეჟისორის მხრიდან? დათუნას და ელენეს ცეცხლოვანი რომანის შესახებ იცოდა მთელმა თეატრალურმა ბომონდმა, მათ შორის მისმა ბიზნესმენმა ქმარმა. რომანი ქორწინებით არ დაგვირგვინებულა. ელენე მიხვდა, დათუნასთვის ოჯახი სპექტაკლის ერთ-ერთი ნაირსახეობა იყო, ქმრის ამპლუა კი როლი, რომელსაც თავისი ხუმტურის მიხედვით მოირგებდა – დღეს რომეო, ხვალ ოტელო, ზეგ ჰამლეტი.

დაიშალენ. ელენე ცოლად გაჰყვა ნოდარ უგრეხელიძეს, კაცს, რომლის დასახასიათებლად ერთი სიტყვაც კმარა – საიმედო. გოგონა შეეძინათ. წინო. შინაურულად წინი-წინიკო. ელენე სახლში არ გამოკეტილა (პროფესიაში დარჩენა მომავალ ქმართან წინასწარ შეათანხმა), შვილს ზრდიდა და პარალელურად მუშაობდა – თეატრი, კინოში, აგერ, სერიალშიც მიიწვიეს.

დათუნამ კარიერა რუსეთში გააგრძელა და ყვითელ პრესას თუ დაეჭვრება, წარმატებასაც მიაღწია. რამ გადააწყვეტინა ჩამოსვლა და სერიალში მონაწილეობის

მიღება, ელენემ არ იცოდა და არც გამოძიებით მოუკლავს თავი. თუ მოახერხებენ ეკრანული შეყვარებულების განსახიერებას, ხომ კარგი, თუ არადა ისევ დაიშლებიან. არ ღირს მარჩიელობა, ცხოვრება სიურპრიზებითაა სავსე, ვინ იცის, მივინწყებულმა ვნებამ უნინდელივით იფეთქოს და განსახიერებაც აღარ დასჭირდეთ?!

ელენემ მაცდურად გაუღიმა სარკეს. უნაკლო კბილების თეთრი გაელვება ჩამონერილ კაზანოვებსაც არ ტოვებდა გულგრილად, დათუნა რას გაუძლებდა?! მაცდური ღიმილი მიამიტმა შეცვალა: ქალი-გოგონა. დონა ბამბინა. ზოგჯერ ესეც ჭრიდა. მარაგში ჰქონდა სხვა ღიმილებიც \_ მეგობრული, გაკვირვებული, მიმტევებლური, დამცინავი, საბედისწერო, იდუმალი... მსახიობი იმიტომაც განსხვავდება ჩვეულებრივი მოკვდავისგან, რომ სხვადასხვა პერსონაჟის ერთიან კრებულს წარმოადგენს. მიდი და არკვიე, რომელია მისი ნამდვილი სახე!

ნამდვილი სახე კი ასეთი იყო: მბზინავი წაბლისფერი თმა, ტუჩების მკვეთრი, საკმაოდ მკაცრი მონახაზი, შოკოლადისფერი თვალები, მაღალი წარბები \_ მოდის გათვალისწინების ამოპუტულ-ამოძირკვეული, და ცხვირი \_ თხელი, პიკანტური კეხითა და მგრძნობიარე ნესტოებით.

\_ დედიკო, ვის უცინი? \_ ოთახში ოთხი წლის ნინიმ შემოიჭყიტა.

\_ ჩემს თავს. \_ ელენეს სრულიად ბუნებრივად შეეფარკლა ლოყები.

\_ ჩემს თავს~ სულელები უცინიან. \_ სერიოზული სახით დაასკვნა ბავშვმა.

ელენემ სარკეს ზურგი აქცია და ხელები გაშალა:

\_ მოდი, ჩაეხუტე დედიკოს! ჩემი გოგო, ჩემთან!

ნინიკო რამდენიმე ნახტომით გაჩნდა დედასთან, კალთაში ჩაუხტა და ხელები მოხვია. მარწყვის საპნის სუნი ასდიოდა, და კიდევ იმ უხილავი არომატის, რომლითაც დედა თავის ნაშიერს ცნობს. ელენის წელანდელი ფიქრის შერცხვა. ვინ დათუნა, რა სიურპრიზი! აი, მისი სიურპრიზი \_ გრილ ცხვირს ლოყაზე უცაცუნებს და კნუტივით კრუტუნებს. თან სარკისკენ აპარებს მზერას. ქალია. ერთი ციდა, ოთხი წლის ქალი. რამ უნდა ათქმევინოს უარი ოჯახურ იდილიაზე?! ისინი ერთნი არიან \_ ის, ნინი და ნოდარი. ერთი ვაშლის სამი მარცვალი. ასე იქნება ყოველთვის!

სახლის სიღრმეში ტელეფონმა დარეკა. ჰერ ერთხელ, მერე მეორედ, მერე ნოდარიც გამოჩნდა.

\_ ჩემი ხმა არ მოსწონთ. შენ აიღე ყურმილი.

\_ მე რატომ? \_ შვილის თმის ბულულიდან გაეპასუხა ელენე.

\_ ვეჭვობ შენი ფანი გვანუპებს.

\_ მერე შეაგინე, შენგან რა მიდის?!

\_ ვერ მოვასწარი. დაკიდა.

\_ გადადე ყურმილი. მონყინდება და შეგვეშვება.

\_ ჩამწერი უნდა ვიყიდოთ.

\_ ჩამწელი! ჩამწელი! ვიყიდოთ ჩამწელი! \_ ნინიმ თავი მოაბრუნა და დედის კალთაში აბუქნავდა.

\_ ამას ჩამწერი სათამაშო ჰგონია.

\_ მგონია, მგონია, ჩამწელი, ჩამწელი...

ნოდარი ცოლ-შვილს უყურებდა და ელემენტალურად თაყვანდებოდა. თურმე ადამიანი შეიძლება ბედნიერების ნიადაგზეც გამოთაყვანდეს და ცირკის არენაზე გამოსულ განვრთნილ დათვის დაემსგავსოს. ნინიკო კი ბუქნაობდა, თავს აქნევდა, ვარდისფერ ღრძილებს აჩენდა. ფერებით მამას ჩამოჰგავდა: თეთრი, ქერაკულულა და ლურჯთვალა, ნაკვთებით \_ დედას. ასეთი იყო ელენე ოთხი წლის ასაკში, უბრალოდ მუქ ფერებში.

\_ ჩამ-ნე-რი. \_ დამარცვლა ელენემ. \_ რ.

\_ ჩამ-ნე-ლი. \_ გაიმეორა ბავშვმა.

\_ აბა, თქვი: ვირი.

\_ ვილი.

\_ ზებრა.

\_ ზებლა.

\_ პური.

\_ პური.

\_ აი, თუ არ შეგძლება?!

\_ პური მინდა! \_ გაახსენდა ნინის, ტრილიაჟზე დაგდებულ სცენარს მხარი გაჰკრა და მიზანმიმართულად გაემართა სამზარეულოსკენ.

\_ სად მიდიხარ, ჩიორა? \_ გადაეღობა ნოდარი.

\_ პური მშია.

\_ ახლა არ ჭამე?

\_ ახლა კატლეტი ვჭამე.

\_ და კიდევ პური გინდა?

\_ მინდა, კი.

\_ კარგი, წადი, ჟანა დაგაპურებს. \_ ნოდარმა ხმაურიანად აკოცა და სიყვარულით დანისლული მხერა გააყოლა.

ჟანა ნინის ძიძა იყო, უერთგულესი სომეხი ქალი გვარად ტერ არუთინოვა. ქმარი ტყემალაძე ჰყავდა, მაგრამ არისტოკრატიული ფესვების გამო ქალიშვილობის გვარი დაიტოვა და ამ ფაქტით ძალიანაც ამაყობდა.

\_ ამან თუ ასე გააგრძელა, მალე კალაბოკს დაემსგავსება. \_ ყასიდად ამოიოხრა ელენემ და იატაკზე მიმოფანტული ფერცლების აკრეფას შეუდგა.

\_ :ჭამისტია, ჩემსავით. \_ აღნიშნა ნოდარმა. კმაყოფილი სახე ჰქონდა, როგორც თევზით გამძღარ კატას. წითური უღვაშიც კი ხალისიანად უთრთოდა, თითქოს პატრონის ალტკინებას იზიარებდა.

\_ შენ რა გენალვლება, ცოლ-შვილი გაინალდე და ახლა შეგიძლია ღიბიც დაიდო. ნინი თუ გაგვისუქდა, რა გვეშველება, დიეტაზე ხომ არ დავსვამთ ოთხი წლის ბავშვს?!

\_ ხუთამდე რალა უკლია?! ერთი თვე. მრგვალი თარიღია. ისეთი გრანდიოზული დაბადების დღე უნდა გადავუხადო, მთელი ცხოვრება დაამახსოვრდეს. შენ რას იტყვი, ცოლო?

\_ იმედია, სახლში არ გვექნება გრანდიოზული მსვლელობები.

- \_ რესტორანში გადავუხდი. შენ რომ არ დაიკაპინებ ხელებს, ცნობილი ამბავია.
- \_ ზოგჯერ ხელების დაკაპინება სჯობს როლებების ზუთხვას. \_ დაინუნუნა ელენემ.
- \_ თავს ნუ ისანყლებ, ერთხელ დაიმახსოვრებ და მერე ასჯერ გახვალ სცენაზე.
- \_ სხვათა შორის, სერიალში უნდა გადამიღონ.
- \_ სერიალში რა დაგრჩენია? \_ გაუკვირდა ნოდარს.
- \_ კარგად იხდიან.
- \_ ფული გაკლია?

\_ ფული არასოდეს არაა ზედმეტი. სერიალების დრო მოდის, ნოდარ.  
დაიმახსოვრე: 15-20 წლის შემდეგ სერიალების ბუმი იქნება.

- \_ თეატრები დაიხურება, თუ როგორ?

\_ არ დაიხურება, მაგრამ აქტუალობას დაკარგავს. \_ ელენემ სცენარი მოაქუნა, გვერდები გაასწორა და ქმარს ერთ-ერთი ღიმილთაგანი აჩუქა.

ღიმილი, სახელწოდებით `თეთრი მანდილი~ \_ მშვიდობისმოყვარე და მოსალოდნელი ჯახის გასანეიტრალებლად გამიზნული. წინასწარი შეთანხმების მიუხედავად, ნოდარი ცოლის ყოველ ახალ როლზე ეჭვიანობდა. ისე არა, რომ პრეტენზია წაეყენებინა ან დაეშალა, მაგრამ გულში მაინც აპროტესტებდა.

ნოდარმა ცოლს სცენარი გამოართვა და იქვე, ნოხზე მოირთხა.

ელენე ზევიდან დააცქერდა გამელოტების პირველ სტადიაში შესული ქმრის კინკრიხოს. წლები დასჭირდა, ვიდრე ამ კინკრიხოს მშობლიურად აღიქვამდა. როდის დადგა ეს დღე, ზუსტად არ ახსოვს. სიყვარული თანდათან შემოეპარა, როგორც ჭაღარა ჯერაც თმაქოროა ჯეფს. გაიხედავ და საფეთქელზე თეთრი ბენვი ბზინავს. ჯერ გიკვირს, მერე ეგუები. თეთრია, მაგრამ შენი, მშობლიური. შეგიძლია შეიღებო, შეგიძლია დაიტოვო. სულაც ამოიგლიჯო. მაგრამ ამის არაფერი შეიცვლება. `ერთი წავა და სხვა მოვა...~

ელენე დაიხარა და ქმარს თავზე აკოცა. ნოდარი არ შერხეულა, გატაცებით კითხულობდა სცენარს.

\_ ჩავიცვამ აწი, თორემ ჩემი ზოზინის ამბავი რომ ვიცი, რეპეტიციამე დამაგვიანდება. \_ ჩაილაპარაკა ელენემ და კარადას მიაშურა.

რამდენი ტანსაცმელი უნდა ჰქონდეს ქალს, რომ თავი დაკმაყოფილებულად იგრძნოს? ასეთი ციფრი ბუნებაში არ არსებობს. მოთხოვნელება იზრდება ამბიციების პროპორციულად. ელენე ამბიციური იყო და არც მალავდა. ელასტიური აბრეშუმის კაბა ჯობია თუ ატმისფერი კოსტიუმი? არაა, კოსტიუმში დაცხება. არადა დასანანია, ისე გავიდა სეზონი, ერთხელაც ვერ მოასწრო ხელის გაყრა. ასე იცის თბილისში, გრილა, გრილა, მერე უცებ გამოიდარებს.

\_ აჰა, სექსიც გაეძრო, ასეც ვიცოდი! \_ გამოცოცხლდა სცენარში ჩაღრმავებული ნოდარი.

- \_ რა სექსი, ნოდარ, უბრალო კოცნაა, დიდი ამბავი?!

\_ `უბრალო კოცნა~ ლოგინში, სადაც პრაქტიკულად შიშვლები წევხართ!

\_ შიშვლები~ მეტისმეტია. ზენარი გვაქვს გადაფარებული. ეს ყველაფერი ხდება ოპერატორის, რეჟისორის, ასისტენტის, გამნათებლის, მთელი გადამღები ჯგუფის თანდასწრებით. \_ ელენემ არჩევანი ბოლიან პერანგზე შეაჩერა. წელს მოდამია ქალური

სამოსი მამაკაცური შტრიხებით. მოდის გამოცხილია თუ ორიენტაციის ამბავი, რეჟისორს, რომელმაც როლზე მიიწვია, აშკარად ქალის სუნამო ეპკურა.

\_ ამორალური კაცია ეგ შენი რეჟისორი, ლოგინის სცენა ვააბშე არაფერ შუაშია. ისე შეაგდო, კომერციის ამბავში. \_ ნოდარი თითქოს ცოლის აზრებს გამოეხმაურა.

\_ არც უმაგისობაა.

\_ მამაკაცის როლზე ვინ მოიაზრება?

მდაა, ჩამოდგა მატარებელი. შემდეგი სადგური `აპოკალიფსი~. ამას ვერც `თეთრ მანდილად~ ნოდებული ღიმილი უშველის, ვერც ცისფერი კვალი რეჟისორის ბიოგრაფიაში. ელენემ საქმიანად დაიწყო პარანგზე ღილების შეკვრა, ვითომ ვერ გაიგო. ეჩქარება ბატონო, რეპეტიციაზე აგვიანდება...

\_ მეწყვილე ვინ იქნება? \_ არ მოეშვა ქმარი.

\_ დათუნა ჯაფარიძე. \_ რაც შეიძლება აგდებულად წარმოთქვა ელენემ და ქამარს წაეპოტინა.

ოთახში დაძაბული პაუზა ჩამოწვა.

\_ მომესმა? \_ დადარაჯებული ხმით იკითხა ნოდარმა.

\_ არა.

\_ შენ უარს იტყვი ამ როლზე.

\_ რატომ?

\_ უსათუოდ უნდა აგიხსნა?

\_ ძალიან დამავალზე. \_ ელენემ ტაქტიკა შეცვალა, თავდაცვიდან თავდასხმაზე გადავიდა. დიონჯიც კი შემოიყარა, მეტი დამაჯერებლობისთვის.

არ გაჭრა. ნოდარმა ზიზღით მოისროლა ძლივს მოქუჩული სცენარი. ფურცლები ჰაერში აიწია და მარაოსავით გაიშალა იატაკზე. ის აღარ ჰგავდა ნასიამოვნებ კატას, ულვაშიც განზე გაბზეკოდა, პროტესტის ნიშნად.

\_ ეჭვიანობა სისუსტის გამოვლენაა.

\_ ამ ჩემს შაშას და კოლას! \_ აყვირდა ნოდარი. \_ შენ უარს იტყვი ამ როლზე! ეგლა მაკლია ბურგუსკან დამცინონ, ნოდარ უგრეხელიძის ცოლი ყოფილ საყვარელთან გორაობსო!

\_ ფეხებზე მკიდია ვინ-რას იტყვის!

\_ მეც... მეც ფეხებზე გკიდევარ?! \_ ნოდარი კი არ წამოდგა, წამოფრინდა. მიიხედ-მოიხედა, თითქოს მათრახს ეძებდა ცოლის გასალახად. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, დემონსტრაციულად გაიარა სცენარზე თავისი ორმოცდაექვსი ზომა ფეხსაცმლებით.

ელენე სიბრაშემ შეიპყრო. აღარც ღიმილების დემონსტრირების ხასიათზე იყო, აღარც თავისმართლების. რაც გათხოვდა, კაცისკენ არ გაუხედავს, ეს ბრიყვი კი წარსულის გადმონამბზე ეჭვიანობს. ეტყობა აწყინა კინკრიხობე ამბორმა, როგორც კი მოშინაურებული დაიგულა, ულტიმატუმების ენაზე ალაპარაკდა. ან ახლავე მოაჯენს ან ძირეულად შეცვლის საოჯახო პოლიტიკას.

\_ კარგად მისმინე, საყვარელო, \_ ელენემ ნიშნისმოგებით იპკურა სუნამო და ქმრის წინ შედგა: მე მივიღებ მონაწილეობას ამ ფილმში. პრინციპულად მივიღებ. არც

ზურგსუკან მოხითხითე ბრბოს აზრი მაინტერესებს, არც ჩემი დაკომპლექსებული ქმრის...

სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, ქმრის მოქნეული ხელი მის ლოყაზე დაეშვა და უკან გადააქანა. ხელიდან გაცურებული სუნამოს ფლაკონი წკრიალით გაგორდა იატაკზე. ოთახი მოტკბო, მძაფრი სუნით გაივსო.

\_ შენ ამას ინანებ, მაგრამ გვიან იქნება. \_ კბილებში გამოცრა ელენემ და შურდულივით გავარდა სახლიდან.

არც ახსოვს, როგორ აღმოჩნდა ქუჩაში. აწყლიანებული თვალები მზის სათვალეს შეაფარა. საშინლად ეწოდა თითების ანაბეჭდი მარჯვენა ლოყაზე. არასოდეს, არავინ შეხებია ხელით... როგორ გაბედა!

როდის-როდის შეამჩნია ჩრდილივით ადევნებული თეთრი მანქანა. საჭესთან უცნობი ვაჟი იჯდა.

\_ ქალბატონო ელენე, გამარჯობათ.

ელენემ უაზროდ დაუკრა თავი. ნაბიჯს აუჩქარა.

\_ ქალბატონო ელენე, აღფრთოვანებული ვარ თქვენით... თუ იკადრებთ, შემოძლია მოგემსახუროთ.

ვიკადრებ. აწი ისეთებს ვიკადრებ, ზოგიერთებს რომ არ დასიზმრებიათ~, დაიქადნა და დაუფიქრებლად ჩახტა მანქანაში.

\_ საით?

\_ თეატრში. \_ არც შეუხედავს, ისე ესროლა. რომ შეეხედა, შეიძლება აზრი შეეცვალა, უკანმოუხედავად გადმოსულიყო, ტაქსი დაეჭირა, სულაც ფეხით ნაბრძანებულიყო თავის ძვირფას თეატრში.

უცნობმა გასაღები გადაატრიალა და მანქანა დაძრა.

იმ დღის შემდეგ, მსახიობი ელენე ბეთანელი არავის უნახავს.

გავიდა თექვსმეტი წელი

განსაკუთრებულ საქმეთა ქვედანაყოფი უშიშროების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შედიოდა, მაგრამ, როგორც წესი, ეს იყო დამოუკიდებელი ორგანიზაცია, სადაც თავს იყრიდა საქმეები გრიფით `საიდუმლო~.

კაბინეტში ოთხნი ისხდნენ: ქვედანაყოფის უფროსი ანზორ ხუხუნაშვილი \_ ჯმუხი მამაკაცი ორად გაყოფილი, ხორციანი ნიკაპით; კადრებზე პასუხისმგებელი ივანე გულორდავა \_ ასაკოვანი ჩეკისტი, ნაცრისფერი, შეუმჩნეველი, ყველა დროის მთავრობის საიდუმლო საქმეთა მომსწრე და მონაწილე, სოფლის ბიბლიოთეკარივით გამხდარი, სათვალისანი, შემჭკნარ კისერზე დასკუპული მუჭისხელა თავით; სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელი ვეფხია ჩოხელი, რომლის ფიზიკური შესაძლებლობები თვალშისაცემად აღემატებოდა გონებრივს და მზვერავთა აკადემიის კურსდამთავრებული გოგა სვიმონიშვილი \_ სიტყვაძენნი ახალგაზრდა კაცი შავ თმაში კუნძულივით შეჭრილი ჭაღარა ფთილით. ოთხეულიდან გოგა ყველაზე უძცროსი იყო, ოცდაათი წლის.

მაისის მინურული იდგა. ტროტუარებზე მატყლივით ეფინა ჭადრის ხეების ნაბარტყი \_ ბაბუნჯერასავით მსუბუქი, სიფრიფანა ყვავილები. ერთი გზააბნეული ყვავილი ღია ფანჯარაში შეფრინდა და გოგას ცხვირთან დაიწყო მარშირება. გოგამ ხელი აიქნია, მაგრამ ყვავილის მტვერმა ეტყობა მოასწრო ცხვირში შეძრომა და ახლა შიგნიდან ატერორება. სწორედ იმ დროს, როცა შეფი იდუმალი გამომეტყველებით მთავარ თემას მიადგა, გოგამ დააცემინა.

ანზორმა მკაცრად შეხედა. საქმეში ხარ? ალერგიამ არ იცის სუბორდინაცია. ის გიტევს როცა მოეპრიანება და სადაც მოეპრიანება.

\_ ცხიკ, ცხიკ, ცხიკ... \_ ტყვიამქვევივით მიაყარა.

\_ დაგელია რამე, ყველგან ალერგიის საწინააღმდეგო წამლის რეკლამა ტრიალებს. \_ ურჩია ივანემ.

გოგამ თავი დაუკრა და დადარაჯებული დაელოდა მორიგ შემოტევას.

\_ საქმე ეხება `უგრაბანკის` დამფუძნებელს ნოდარ უგრეხელიძეს. \_ განაგრძო ანზორმა. \_ სანდო წყაროს ინფორმაციით ეს კაცი ახალი პარტიის, `სხვა საქართველოს`, დაფინანსებას აპირებს. აბა, თუ მიხვდებით ვინ მოიაზრება ლიდერად?

სამეული დუმდა.

\_ ცნობილი დემაგოგი ბესარიონ ჩაჩხიანი. \_ ნიშნისმოგებით გამოაცხადა ანზორმა.

\_ კრიტიკოსი? \_ იკითხა ყოვლისმცოდნე ივანემ.

\_ კრიტიკოსი, ჰუმანიტარულ მეცნიერებასა დოქტორი, რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი... რეგალიებს არ უჩივის, მაგრამ პოლიტიკურ ოლიმპზე მისი ადგილი არ არის. ახლა გეტყვით, რა შეიძლება მოჰყვეს ამხანაგ ბესარიონის აღზევებას.

\_ `ამხანაგი` რა შუაშია? \_ ჯიგარი აენვა ივანეს.

\_ დემოკრატიულ ლოზუნგებს ამოფარებული ტიპური ბოლშევიკია და იმიტომ. ბოლშევიკი თქვენ ვინ გგონიათ, ტყავებით შემოსილი მაუზერიანი ტიპი? არა, ბატონებო, ეს სულის მდგომარეობაა. არა აქვს მნიშვნელობა რა გიჭირავს ხელში \_ მაუზერი, კალამი თუ მიკროფონი! ბესარიონის ხელისუფლებაში მოსვლით ქვეყანაში რეჟიმი დამყარდება. უდავოდ, მას აქვს თავისებური ქარიზმა, მაგრამ ქარიზმა ჰქონდა ჰიტლერსაც... გვინდა ჰიტლერი?

სამეული დუმდა.

\_ არ გვინდა. \_ თავადვე გაეპასუხა ანზორი. \_ ნებისმიერ მოკვდავს, თუკი სულ მთლად დაუნი არ არის, სპეციალური ტრენინგების გავლის შემდეგ შეუძლია გახდეს მეტ-ნაკლებად ქარიზმატული. კარგი, ეს თემა შორს წაგვიყვანს, ახლა მთავარი: რატომ დადო ბანკირმა ფსონი ბესარიონზე? მართლა მოსწონს და სჯერა მისი, თუ იმდენად სძულს მმართველი პარტია, რომ გადაწყვიტა ძირი გამოუთხაროს? ამასობაში, არჩევნები ახლოვდება, სოლიდური დაფინანსების პირობებში გამორიცხული არაფერია. მერე მეყოლეს ვარდივით! ყველას გაგვრეკავენ სამსახურებიან, არ გამოვრიცხავ ქვეყნიდანაც.

\_ ეგ ეხლა მეტისმეტია. \_ არ დაიჯერა ივანემ.

\_ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. \_ ანზორმა ბორჯომის ბოთლს თავსახური მოხსნა და ცარიელ ჭიქას სული შეუბერა.

ეს იყო ანზორის საყვარელი ფრაზა. მართალია, მოცემულ მომენტში ოპოზიციური პარტიები პოლიტიკური შტილის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მაგრამ მისი გამალაშინებული ტვინი წინწრების რეჟიმში მუშაობდა.

\_ ვერ გავიგე, თუ მაინდამაინც ფულის ჩადება უნდა, რატომ სხვა პარტიას არ დააფინანსებს, ხომ არის ქვეყანაში გაცილებით პოპულარული, რეიტინგული პარტიები?  
\_ გულუბრყვილოდ იკითხა ვეფხიამ.

ანზორმა ბორჯომი დალია, პირს მომდგარი ბოყინი უკან დააბრუნა და ენთუზიაზმით განაგრძო.

\_ მაგ პარტიების რეიტინგი იცვლება მარტის ამინდით, და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ჰიპერაქტიული ლიდერი არ გამოჩნდება. ხალხო, როგორც იქნა, გვეღირსა პრაგმატული, ჭკუადამჯდარი სახელმწიფოს მეთაური, ქვეყანამ მეტ-ნაკლებად ამოისუნთქა. ეს ყველაფერი წყალში უნდა ჩაგვეყაროს?

\_ ბელადების ქვეყანა ვართ. ვიდრე საზოგადოება არ მომწიფდება კონკრეტული პარტიის კონკრეტული პროგრამის ასარჩევად, არაფერი გვეშველება. \_ დაასკვნა ივანემ.

\_ ეს ბედნიერება უახლოეს პერსპექტივაში არ გვემუქრება. ამიტომ... \_ ანზორმა გამჭოლი მხერა გოგაზე შეაჩერდა. \_ ამიტომ დროულად უნდა ამოიძირკვოს ბესარიონთან სარეველა, ვიდრე ფესვები გაუდგამს და ნოყიერი მიწები გაუნადგურებია. მაიორო სვიმონიშვილო, მოიხედე აქეთ! მე აქ ტყავიდან ვძვრები, შენ კი ფანჯარაში ცქერით ერთობი?

გოგამ თავი მოაბრუნა და თვალის ერთი დახამხამებით კადრი ჩაკეცა. კადრი იყო მხატვრული ფილმიდან `ამარკორდი~, რომელიც დიდი ხნის წინ ნახა და სამუდამოდ ჩაებჭადა. იქაც ასეთივე ყვავილები დაფრინავდნენ, ქალაქის ცენტრში პატარა მოედანზე. აუზის პარაპეტზე ჩამომჯდარი მოხუცი გაბაფხულსა და სიყვარულზე ლაპარაკობდა.

\_ ველოდები, როდის გადახვალთ კონკრეტიკაზე, რამდენადაც ვხვდები `ამხანაგი ბესარიონის~ ფენომენი მეორეხარისხოვანია. \_ დინჯად მიუგო გოგამ.

ანზორმა უბოროტოდ ჩაიციხა. გოგა მართალი იყო, მაგრამ მაინც უცერემონიოდ იქცევა. რა წესია უფროსის იგნორირება? სხვა რომ ყოფილიყო, მოსვამდა ადგილზე, მაგრამ გოგას დისტანციური ხასიათი ემოციურად ბორკავდა. პროფესიონალი მშვერავი სხვანაირი ვერც იქნებოდა. გოგას შეეძლო ოსცილოგრაფის სიზუსტით შეეფასებინა ექსტრემალურ სიტუაცია და მყისიერი გადანყვებილება მიეღო. წამებში ხსნიდა ნებისმიერ ბოქლომს, საკეტსა თუ ლუქს. რაც მთავარია, ჰქონდა ლავირების უნარი. სწორხაზოვანი მშვერავი იგივეა, რაც უტვინო ფეხბურთელი. მხოლოდ ფიზიკური მომზადება არაა საკმარისი თამაშის მოსაგებად, მოედანს უნდა ხედავდე \_ ვინ სად დგას ან სად შეიძლება გაჩნდეს მეორე ნუთს.

\_ კი ბატონო, გადავიდეთ კონკრეტიკაზე. ერთ საათში თათბირი მაქვს. \_ ანზორმა მრავალმნიშვნელოვნად დახედა საათს.

ცრუობდა. სინამდვილეში, არავითარი თათბირი არ იდგა დღის წესრიგში. ისრაელიდან ჩამოსულ მეგობართან ერთად გოგირდის აბანოში აპირებდა გახვანჩალებას. იმის წარმოდგენაზე, თუ როგორ გაუზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ყოჩალი მექისისა და ქაფმოდებული ლუდის თანხლებით, ნირვანასთან მიახლოებულ ალტკინებას განიცდიდა.

\_ მოკლედ, ნოდარ უგრეხელიძეზე გვინდა კომპრა. სერიოზული კომპრომატი, ქვას რომ გახეთქავს, ისეთი. ეს არის ერთადერთი ცივილური გზა ხელი აიღოს ბესარიონის დაფინანსებაზე. ნუ გელიძება გოგა, არაცივილური იქნებოდა, ლიკვიდაცია რომ შემეთავაზებინა. ნათელი მომავლის სახელით უარესებსაც ჩადიოდნენ, არა, ბატონო ივანე?



ივანემ მზერა აარიდა. როდემდე უნდა წამოაძახონ წარსული? ერთხელაც გაბრაზდება და მართლა გავა დამსახურებულ პენსიაზე, მაგრამ რომ ვერ ელევთან? ცოცხალი ენციკლოპედიაა და იმიტომ, მუჭისხელა თავში უშიშროების მთელ არქივს დაატარებს. შეეჯიბროს კომპიუტერი!

\_ ლიკვიდაციაზე უარესი რაღა უნდა იყოს?! \_ მხრები აიჩეჩა გოგამ.

\_ ერთადერთი შვილის საეჭვო ვითარებაში გაქრობა. \_ ნიშნისმოგებით შესცინა ანზორმა. \_ საეჭვო იმიტომ, რომ ნინო ნოდარის ასული უგრეხელიძე არც მკვდარი უნახავს ვინმეს, არც ცოცხალი. თექვსმეტი წლის წინ ის პირწმინდად გაქრა. ჩვენ ამ კაცის განიარაღება გვინდა, მეტი არაფერი. არც მის ბიზნესს ვეხებით, არც პირად ცხოვრებას. ბავშვის გაქრობას წინ უძღოდა ცოლის სახლიდან წასვლა. იცით ვინ იყო ნოდარის ცოლი?

\_ მსახიობი ელენე ბეთანელი. \_ ყველას დაასწრო ივანემ.

\_ კიდევ რა იცი?

\_ ელენეს შესახებ ისეთი არაფერი, ვინ-ვისთან იყოფს სარეცელს, არ არის ჩემი ინტერესის საგანი. გოგონას გატაცების ამბავი კი ტელევიზორში გამოაცხადეს, პირადად ნოდარმა ითხოვა დახმარება.

\_ დიახ, ითხოვა, მაგრამ უშედეგოდ. \_ დაუდასტურა ანზორმა. \_ არც

გამოსასყიდზე შეხმიანებია ვინმე, არც ბავშვი დაუბრუნებიათ. სხვათა შორის, თექვსმეტი წლის წინ ნოდარის ბიზნესი ის-ის იყო ფეხს იდგამდა, მაშინ არც ბანკირი გახლდათ, არც მილიონერი... დღეს რომ გაეტაცებინათ, ამაში იქნებოდა ლოგიკის მარცვალი, მაგრამ მაშინ...

\_ მანიაკის სუნი მცემს. \_ გაანწყვეტინა ივანემ.

\_ თემას ნუ გადავუხვევთ, გატაცების ამბავი ნოდარის ბიოგრაფიას მოვაცოლვე, თორემ ცალკე თემად არ განვიხილავ.

\_ მაინც მცემს. \_ ჯიუტად გაიმეორა ივანემ და შემტკნარი ნესტოები შეჭმუნხა.

ანზორმა გაღიზიანება დაიოკა და შავგრემანი თითით შუბლი მოიფხანა:

\_ დამავინწყდა, რაზე გავჩერდი.

\_ ლოგიკის მარცვალზე. \_ შეახსენა გოგამ.

\_ ჰო. მეორედ დაოჯახების მცდელობა ბანკირს არ ჰქონია, იმიტომაც დებს მილიონებს საარჩევნო კამპანიაში, რეალიზაცია ხომ სჭირდება ამოდენა კაპიტალს?! ბატონმა ივანემ არ ისურვა ბეთანელის ქალზე ლაპარაკი, თითქოს მე მეხალისება სხვისი ჭუჭყიანი თეთრეულის ქექვა, მაგრამ საქმეს თუ დასჭირდა, თეთრეულსაც გამოვამზებურებ და შიგაც ჩავწვები. რაღა ბევრი გავაგრძელო, ჭორი ასეთია: ელენე ბეთანელი ყოფილ საყვარელთან ერთად უცხოეთში გადახვეწილა, ქმრისთვის შემოუთვლია \_ არ გაბედო ჩემი მოძებნა, მაინც არ დაგიბრუნდებითო. კაი ბატონო, არ დაბრუნდები, ნუ დაბრუნდები, თავი არც ნოდარს მოუკლავს, შვილი ჰყავდა გასაზრდელი, ხუთი წლის გოგონა. ამ ამბიდან ოთხი თვის თავზე გოგონას იტაცებენ. უბედური მამა გამოსასყიდზე ფიქრობს, დასახმარებლად საზოგადოებას მიმართავს, როგორც წელან მოგახსენეთ, უშედეგოდ.

\_ დედის მოტაცებული იქნება! \_ მოხევური პირდაპირობით შესძახა ვეფხია ჩოხელმა. აღელვებისგან ყურის ნიჟარები უთრთოდა, ისეთი ფერი დაედო, თითქოს მოცვის კისელი გადაასხეს.

\_ არ გამოვრიცხავ. \_ მშვიდად გაეპასუხა ანზორი. \_ მაშინ ისმის კითხვა: რატომ არ შეძრა ქვეყანა თავზარდაცემულმა მამამ, არ იპოვა გაქცეული ცოლი, მიწიდან არ

ამოიღო და არ დაჰკითხა? თავისთავად იკვეთება პასუხი: იქნებ ნოდარმა თვითონ მოკლა მოლაღატე ცოლი? ან შემოაკვდა. ფაქტია, რომ მსახიობი დავით ჯაფარიძე, კაცი, რომლის გამო ელენემ ოჯახი დაანგრია, ახლახანს, ყოველგვარი მეორე ნახევრის გარეშე, ჩამობრძანდა თბილისში და ბუზსაც არ იფრენს. სულ ესაა ზედაპირული ინფორმაცია, რომლის მოქუჩება მოკლე დროში მოვასწარი. დანარჩენი თქვენს მარიფაზეა დამოკიდებული. ვეფხიას მზადყოფნაში ეყოლება რაზმი, რომელსაც ფორსმაჟორის შემთხვევაში ჩავრთავთ. ოპერაციის გოგა უხელმძღვანელებს. კარავს დასცემს უგრეხელიძეების სახლთან და აღრიცხვაზე აიყვანს ყველას, ვინც გაჭაჭანდება ბანკირის ორბიტაზე \_ მანქანიდან დანყებული ადამიანით დამთავრებული. არის კითხვები?

გოგამ და ვეფხიამ უარყოფის ნიშნად გააქნიეს თავები. ივანეს ჰქონდა კითხვა, მაგრამ ანზორი არ იყო მოსმენის ხასიათზე, უფრო სწორედ, მანიაკის ვერსიას არ განიხილავდა. არადა, ნინო უგრეხელიძის საქმეში ფიგურირებდა თეთრი `რენო~. იმავე მარკისა და ფერის მანქანა ფიგურირებდა სხვა მსახიობი ქალის გატაცების მცდელობაში. რა ერქვა იმ ქალს? მარიანა... არა, მირანდა. ჰო, მირანდა. დაახლოებით ათი წლის წინ მირანდამ `ჭიჭიკო~ გააჩერა და სადღაც გაყვანა სთხოვა. მძლოლმა გზიდან გადაუხვია და რაღაც აბდაუბდა ლაპარაკს მოჰყვა, მირანდამ თავის დაღწევა მოახერხა, მაგრამ ირწმუნებოდა, რომ გამტაცებელი აშკარად მანიაკი იყო. გამომძიებელს არასარწმუნოდ ეჩვენა მისი არგუმენტები, ქალი დაბნეულად ლაპარაკობდა, გადაადგილების მარშრუტს ურევდა, გამომძიებელზე ბრაზობდა... მაშინ პროკურატურა მანიაკის თემის გაფიარებას მოერიდა და საქმე თაროზე შემოღო.

\_ აი, ნოდარ უგრეხელიძესთან დაახლოებული პირების სია. ეგებ, რამეში გამოგადგეს. \_ ანზორმა მაგიდადან ორი ფურცელი აიღო. ერთი ეგზემპლარი გოგას მიაწოდა, მეორე თვითონ მოიმარჯვა. \_ ელდარ დუნდუა, `უგრაბანკის~ მენეჯერი და ნოდარის სიყრმის მეგობარი. კაცი-მომყოლი, ყველგან თან ახლავს. ჟანა ტერ არუთინოვა, ქვრივი. უგრეხელიძეების ოჯახში მოხვდა ძიძის სტატუსით, დედა-შვილის გაქრობის შემდეგ კი, ასე ვთქვათ, ეკონომკის ფუნქცია შეითავსა. ოფიციალური საყვარელის კვალი ბატონი უგრეხელიძის გარემოცვაში არ შეინიშნება... ჰმ, ბანკში იმისთანა გოგოშკები დაკუნტრუშებენ, დავიჯერო, ერთი მაინც არ მოუშწყვდევია კაბინეტში? \_ ანზორს ხმა დაურბილდა, სახეზე კი მტაცებლური გამომეტყველება დაეხატა.

\_ სულ ეს არის? \_ გოგა სკამზე აწრიალდა, ერთი სული ჰქონდა გარეთ გავარდნილიყო და ყელი შიგნიდან მოეფხანა.

\_ დანარჩენებს შენ გადახედე. და კიდევ, ბანკირის საცხოვრებელი სახლი მუდმივი დაცვის ქვეშ არის, სამ დღეში ერთხელ ცვლიან ერთმანესს. სიაში წარმოდგენილი სუბიექტების პირად საქმეებს ანუელა გადმოგცემს. არქივარიუსი.

\_ მორჩა?

\_ იმის შეხსენება, რომ არსად არაფერი წამოგცდეთ, მგონი არ გჭირდებათ. პრესას სათოფებე არ მიეკაროთ, გასაგებია?

\_ ეგ ზედა ეშელონებს მოჰკითხეთ, პრესასთან მეგობრობაში ისინი უფრო არიან შემჩნეულები. \_ ისროლა გოგამ და ნაჩქარევად დატოვა კაბინეტი.

დერეფანში ერთი დააცემინა და ცხვირის ხოცვითა და სრუტუნით ჩაირბინა კიბეები. ახლავე იყიდოს წამალი თუ ჯერ არქივში ჩავიდეს? ორგანიზმს მიაყურადა. ვითონ კიდევ აუტყდება ცემინება? წელან ისე ძარღვიანად დააცხიკინა, მგონი ამოუფრინდა ის დედამონწული ყვავილი.

აღერგია ჭადრის ყვავილზე ორი წლის წინ დაეწყო. გულწრფელად თვლიდა, რომ ვერაგი ვირუსით ცოლმა დააჯილდოვა. იმას ყველაფერზე ჰქონდა აღერგია \_ ჭადრის ყვავილზე, კატის ბენჯზე, სარეცხის ფხვნილზე, დედამთილზე... სექსზეც კი. ისეთი

გამომეტყველებით ნებდებოდა ხოლმე კანონიერ ქმარს, თითქოს დედა-დედოფალმა კარისკაცს დასდო პატივი.

-- --

არქივარიუსი ანჟელა ოცდაჩვიდმეტი წლის თეთრკანიანი მამაკაცი გახლდათ. მეტსახელი ზანგოიდური თმის გამო შეარქვეს, შავკანიანი მანდილოსნის ანჟელა დევისის პატივსაცემად. ვერც თმის შეჭრამ უშველა, ვერც გადახოტვრამ. ყველა ანჟელას ეძახდა. დამლაგებელიც კი.

\_ ანჟელას გაუმარჯოს, როგორ მიდის საქმეები? \_ მოიკითხა გოგამ.

\_ აი, ცხრილს ვადგენ. სტატისტიკის სამმართველოს შეკვეთაა. ბოლო ათი წლის მონაცემები უნდა დავახარისხო, საშუალო არითმეტიკული გამოვიყვანო და თვის ბოლოს ჩავაბარო. დიდი არაფერი სამუშაოა, უბრალოდ დრო მიაქვს.

\_ რა მონაცემებია?

\_ მკვლელობები დამამძიმებელ გარემოებებში, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სია, გაუხსნელი საქმეები...

\_ კარგ ფეხზე მოვსულვარ. უგზო-უკვლოდ დაკარგულებიდან ორი პიროვნება მაინტერესებს, ბავშვი და ქალი. დიდი ხნის ამბავია, მაგრამ შენი ფენომენალური მახსოვრობის შესახებ ლეგენდები დადის.

მართალიც იყო. ანჟელამ ზეპირად იცოდა, სად, რომელ საქალაქდებში ინახებოდა ესა თუ ის დოკუმენტი ან დოსიე. ხელისუფლება იცვლებოდა, სამინისტროები დეპარტამენტებად ყალიბდებოდნენ (ან პირიქის), ანჟელა კი შემორჩა არქივს, სტაჟიანი თავკითხით. აქ გახსნა შრომის წიგნაკი, ალბათ აქედან გავიდოდა პენსიაზე. არიან ადამიანები, ვისაც არ უყვარს სამსახურის გამოცვლა. ანჟელა ერთ-ერთი მათთაგანი იყო.

\_ კონკრეტულად ვინ გაინტერესებს?

\_ ელენე ბეთანელი და ნინო უგრეხელიძე.

\_ მსახიობი ელენე ბეთანელი?

\_ ჰო.

\_ რა, უგზო-უკვლოდ დაკარგულებში გადის?

\_ ყოველ შემთხვევაში, კარგა ხანია საქართველოში არ გამოჩენილა.

\_ მგონი საყვარელთან ერთად გაიპარა, არა?

\_ ვახ, ეგეც გახსოვს?

\_ რატომაც არა, ელენე პოპულარული მსახიობი იყო, ლამაზი ქალი.

რაში გაინტერესებთ თქვენმეტი წლის წინანდელი ამბები, ახლები ვერ გაგიხსნიათ?!

\_ არ არსებობს დაფარული, რომ არ გაცხად...~ \_ პათეტიკურად დაწყეული ფრაზა გოგამ ვერ დაასრულა \_ ცემინებამ შეუშალა ხელი.

\_ ხეირი!

\_ დამტანჯა ალერგიამ. \_ გოგამ თვალები მოისრისა და სია მიაწოდა. \_ ბეთანელი-  
უგრეხელიძის გარდა, აი, ამ ადამიანების დოსიე მინდა. დროზე ჰქენი, ანჟელ, თორემ  
გლახად ვარ.

---

ნაცნობმა ჰავამ ტრაპზე დადგომისთანავე დაუარა ფილტვებში და მოგონებები  
აუშალა. ბოლოს, ექვსი წლის წინ იყო თბილისში, ბებიას გასვენებაში. ქალაქში გასვლა  
ვერ მოასწრო, დასაფლავებიდან პირდაპირ აეროპორტს მიაშურა ისევ და მოსკოვში  
გაფრინდა, სახელმწიფო გამოცდის ჩასაბარებლად. გადმოცემით იცოდა, რომ აქ ბევრი  
რამ შეიცვალა. შეიძლება ასეცაა, აი, ჰავა კი იგივე დარჩა \_ თბილისური. რა  
ინგრედიენტებს შეიცავდა ე. წ. `თბილისური~, კესომ არ იცოდა. უბრალოდ, მისი იყო  
და მორჩა. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრებამ ყნოსვითი შეგრძნებები  
გაუძძაფრა. მაგალითად დუბაიში (საიდანაც დღეს ჩამოფრინდა), მზეზე გახურებული  
ქვებისა და სიმდიდრის სუნი ტრიალებს, მოსკოვში \_ ახალგაზრდა მეგაპოლისის და  
დაუცველობის, რომში \_ კაპიტოლიუმის, ანტიკური შადრევნების...

\_ გაგვატარეთ თუ შეიძლება. \_ უკან მდგარმა მანდილოსანმა მხარზე მსუბუქად  
დაჰკრა მარაო.

კესომ მოუბოდიშა და ტრაპზე ჩასვლა განაგრძო. ეს ქალი ჯერ კიდევ  
თვითმფრინავში ყოფნისას შენიშნა, მთელი გზა დაჰფოფინებდა ფუთიან ბარძაყებში  
მოქცეულ ჩილიმს. საჩუქრად თუ მიჰქონდა. კესო ერთი ჩემოდნით ჩამოვიდა, არც  
საჩუქარი მიჰქონდა ვინმესთვის, არც აეროპორტში ელოდა ვინმე. სამაგიეროდ, ბებია-  
ბაბუსის სახლი ელოდა, ჭრაჭუნა კიბე სიძველისგან გადაპრიალებული მოაჭირით, მზიანი  
გალერეა, კაკლის ხის ბუფეტი \_ ძველი, დაბზარულსარკიანი, საიდანაც ბებო ამაოდ  
ცდილობდა ჭიის გამოდევნას. ისე მოკვდა სანყალი, იმ ბუფეტის დარდი მიწაში ჩაჰყვა.  
ჭია ალბათ დღესაც იქ ცხოვრობს და არხეინად იკვებება ხის მერქანით. ბუფეტის  
მარჯვენა ფრთაში ბებო განსაკუთრებულ მურაბებს ინახავდა ხოლმე, საპატიო  
სტუმრებისთვის \_ შვილისთვის, რძლისთვის, შვილიშვილისთვის...

პარასკევიდან კვირის ჩათვლით კესო ბებოს და ბაბუს გოგო იყო, სხვა დღეებში  
მშობლებთან იმყოფებოდა. ასე ცხოვრობდნენ თორმეტი წლის განმავლობაში, ვიდრე  
მამას მოსკოვში არ შესთავაზეს სამუშაო. იმ დღეს კესოს ბავშვობა დამთავრდა.  
მომდევნო ეტაპი მხოლოდ დაუსრულებელ ვალდებულებებთან ასოცირდებოდა; `შენ  
ვალდებული ხარ ფრიადებზე ისწავლო~, `შენ ვალდებული ხარ მუსიკალური  
შვიდწლედ დაამთავრო~, `შენ ვალდებული ხარ ოლიმპიადაში გაიმარჯვო~, `შენ  
ვალდებული ხარ რუსზე კარგად იცოდე რუსული გრამატიკა~... ის იმდენად დიდი  
დობით იყო `ვალდებული~, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს საავადმყოფოში არ ამოჰყო  
თავი.

დღესაც ნათლად ახსოვს ნევროპათოლოგის შემპარავი კითხვები, ალერსიანი მზერა,  
ერთ ღილზე შეკრული ხალათი, ლაჭებშუა მოლაცლაცე ჰალსტუხის წვერი. ხელში საწერ  
კალამს ათამაშებდა \_ წითელი კალამი შუანელში დატანილი სითხით. სითხეში ციცქნა  
ოქროსფერი თევზი დაცურავდა. კესო თევზის მოძრაობას თვალს ადევნებდა და ზღვაზე  
ფიქრობდა.

`ქრონიკური დაღლილობის სინდრომი. უნდა დაასვენოთ ბავშვი~ \_ ურჩია ექიმმა.

თოთხმეტი წლის კესო დაჩქარებული წესით გააგზავნეს თბილისში, ბებია-ბაბუასთან.  
მაშინ ორივე ცოცხალი იყო, არც მშობლები იყვნენ გაყრილები...

კესომ სასიამოვნოდ გაკვირვებულმა აღნიშნა, რომ აეროპორტის ახალი შენობა ევროპულ სტანდარტებს არ ჩამოუვარდებოდა. ტაბლოებზე მწვანედ ციმციმებდა მოძრავი სტრიქონოს ზიგზაზგი, ბილბორდზე ერთმანეთს ცვლიდა სარეკლამო რგოლები. მგზავრებიც და დამხვდურებიც ხალისიანად გამოიყურებოდნენ, ცენტრშიც თუ ასეთივე განწყობაა, აქ ცხოვრება შეიძლება.

წესით, სამსახურის შოვნა არ უნდა გაუჭირდეს. კვალიფიციურ დიზაინერზე მოსკოვისა და დუბაის წამყვან ფირმებს არ უთქვამს უარი, თბილისში რა ღმერთი გაუწყობათ \_ მშენებლობის ბუშია! კარგი სივი აქვს, უცხო ენები იცის, ფეხმძიმობის ამბავს ჯერჯერობის დამალავს. ორსულის სამუშაოდ აყვანა ყველგან პრობლემურია. მისი აღნაგობის პატრონს მუცელი შვიდ თვემდე არ დაეტყობა.

კესომ მოსარკულ ვიტრაჟში შეათვალიერა საკუთარი გამოსახულება. მაღალი, გრძელფეხება, თედოგანიერი და მკერდსავსე... ვითარცა `ანტიკური სკულპტურა~ (ყოველ შემთხვევაში, მისი შვილის მამა ასეთად აღიქვამდა) პუტკუნა არ ეთქმოდა, თუმცა გამხდარიც არ იყო. ზევის აწეულ თმას ატარებდა, დიდგვაროვანი ბერძენი ქალივით. ხალვათი სამოსი უყვარდა \_ ფართხუნა შარვლები, ბლუზები, ქვედაკაბები... უსათუოდ ნატურალური ქსოვილის. მისი მგრძობიარე კანი სინთეტიკას ვერ იტანდა \_ ქავილს აწყებინებდა. დღეს სამგზავროდ იყო გამონწყობილი \_ ტილოს შარვალი და ტილოსივე გრძელი ბალახონი \_ მამამისის ცოლის, ქსიუშას მიერ სპეციალურად კესოსთვის შეკვეთილი დუბაის ელიტარულ სალონში. ქსიუშა ახალგაზრდა და ლამაზი იყო, პრაგმატული ტვინისა და დახვეწილი გემოვნების პატრონი. უყვარდა კომფორტი და ყველა ის ადამიანი, ვინც ამ კომფორტში ცხოვრების შანსს აძლევდა. იგივე კესოს მამა \_ წარმატებული არქიტექტორი, არამსმელი, არამწვეფელი, შემოსავლიანი. მერე, რა, რომ პრაქტიკულად მამად ეკუთვნოდა, მამაკაცის სტატუსი შლის ასაკობრივ ზღვარს. კესოს მამას ეს ესმოდა და ილუზიებში არ იმყოფებოდა. იმ შემთხვევაში, თუკი ის ვერ დააკმაყოფილებდა ახალგაზრდა მეუღლის მოთხვნილებებს, ქსიუშა ახალ `პაპაჩკაზე~ გადაერთვებოდა. კესოს მამა ჯერჯერობით ფორმაში იყო, როგორც ფიზიკურად, ისე მატერიალურად. მართო ის რად ღირდა, რომ სპარსეთის ყურეში გიგანტური ცათამბრჯენის პროექტირებაში იღებდა მონაწილეობას. უძრავი ქონებაც გააჩნდა \_ აპარტამენტები დუბაის სამხრეთ ნაწილში, საოფისე ფართი მოსკოვში, რომელსაც დუბაიში ყოფნის პერიოდში სარფიანად აქირავებდა.

არც მოსკოვს მყოფი კესოს დედა გამოიყურებოდა მაინცდამაინც დაჩაგრულად. მეგობარი მამაკაცი, პატარა ბიზნესი, გარანტირებული სიბერე... ერთადერთი ქალიშვილის გადმობირებას ორივე მშობელი ცდილობდა, მაგრამ კესო დიდი ხანია გათავისუფლდა მათი ზეგავლენიდან. მას თავისი ცხოვრება ჰქონდა, საკმაოდ მრავალფეროვანი, საინტერესო და შეიძლება ითქვას, მოულოდნელი... ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ბედისწერა ისევ საქართველოში გადმოტყორცნიდა, თანაც ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე. ფაქტი სახეზეა \_ ის აქ არის, თბილისის აეროპორტში, ბარგს ელოდება და ვიტრაჟში საკუთარ თავს ათვალიერებს.

უცებ მზერა დაიჭირა. ვილაც ჩასუქებული მამაკაცი გაკვირვებული უყურებდა ვიტრაჟის მინაში. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ნაცნობი დაინახა და ვერ გადაუწყვეტია \_ გამოეცნაუროს თუ თავი შეიკავოს. თბილისში კესო არავის იცნობდა, უფრო სწორედ, ვისაც იცნობდა, ზოგი გაიზარდა, ზოგი დაბერდა ან სულაც მოკვდა. ამ ღიპიან კარლსონს ნამდვილად პირველად ხედავდა.

როგორც კი კესომ თავი მოაბრუნა, კაცი გატრიალდა. კიბეზე გაიელვა მისმა დაქანებულმა მხრებმა და ხალხის ნაკადს შეერწყა. კესო ესკალატორს მიუახლოვდა. მგზავრები გაფაციცებულები ადევნებდნენ თვალს მართკუთხა ღიობიდან გამოცურებულ ბირკიან ჩემოდნებს. ჩილიმიან მანდილოსანს მთელი სანათესაო დახვდა \_ ქალები, კაცები, ბავშვები... ჩილიმი საზეიმოდ ჩაიბარა ასაკოვანმა მამაკაცმა კავალერისტის დაგრეხილი ფეხებით. თავის წილ საჩუქარს დაეპატრონა ექვსიოდე წლის ბიჭუნა, რამაც ასაკით უმცროსის ხმამაღალი გულისწყრომა გამოიწვია. შურიანი ბავშვის

დასაშოშმინებლად მანდილოსნის ხელჩანთიდან ამოღებულ იქნა ბრელოკი \_ `ბურჯ ალ არაბის~ მინიატურული მოდელი.

ბარგს ელოდა რეისს ჩამოყოლილი არაბთა დელეგაცია. ევროპულ კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილები, გარუჯული პინგვინებივით. ტემპერამენტიანი ქართველებისგან განსხვავებით ხმადაბლა, თავშეკავებულად საუბრობდნენ. აღმოსავლეთში ცუდ ტონად ითვლება ემოციების დემონსტრირება.

როგორც იქნა, გამოჩნდა კესოს ჩემოდანი. ისე გაუხარდა, თითქოს დაკარგული ძაღლი იპოვა. ძაღლი არა, მაგრამ ჩემოდანში ნამდვილად ინახებოდა სათამაშო ცხოველი \_ პლიუშის ყავისფერი დათვი სახელად დრუნჩა. დათვი-თილისმა \_ თბილისიდან გამოყოლილი ერთადერთი ნივთი, რომელსაც კესო არასოდეს იშორებდა. დრუნჩა პატრონის ძილს ყარაულობდა და დროგამოშვებით ფსიქოთერაპევტის ფუნქციას ითავსებდა. რა არის ფსიქოთერაპია? \_ გონებაში აღმოცენებული მკვრეხელური აზრების გაზიარების მოთხოვნილება. მხოლოდ დრუნჩამ იცოდა რა ხდებოდა სინამდვილეი ვალდებულებებით დალდასმული მოზარდის გულში. იცოდა და თანაუგრძნობდა. და ასეთი დრუნჩა ერთხელ დედამ გადასაგდებად გაიმეტა. სკოლიდან დაბრუნებულმა კესომ ბენჯზე მიუსწრო. ეს იყო შოკი, შეიძლება იმაზე დიდი შოკი, რომელიც კესომ მოსკოვში გადასახლებიდან ორი წლის თავზე მიიღო, როცა სრულიად შემთხვევით მშობლების სამარცხვინო გარიგებას მოუსმინა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. დღეს, ოცდაოთხი წლის ზრდასრული ქალის გადასახედიდან ე. წ. გარიგება არც ისე სამარცხვინოდ ეჩვენებოდა. ბოლოს და ბოლოს, არც თვითონ არის უმნიშვნელობის განსახიერება \_ ნაბიჭვარი მოჰყავს კალთით ბაბუს პატრიარქალურ ბინაში. მამამ რომ ერთადერთი ქალიშვილის დუბაიდან გაქცევის მიზეზი იცოდეს, შაქარი აუნევს და კომაში ჩავარდება, დედა კი ყველაფერს მამას დააბრალებს. მთელი ცხოვრება ასე იყვნენ, ერთმანეთის გადაბრალებაში. ის რომ იცოდნენ, ვისგან ელოდება შვილს მათი სანაქებო გოგო, ალბათ ორმაგ ხარაკირის გაიკეთებდნენ. საბედნიეროდ, ეს საიდუმლო არავის ეცოდინება, კესოსი და დრუნჩას გარდა. დრუნჩა კი არასოდეს უღალატებს.

კესომ ჩემოდანი გორგოლაჭებზე დააყენა, სახელური ამოქაზა და მსუბუქად გააგორა გაპრიალებულ მეტლახზე. აეროპორტის შენობის წინ ტაქსების გრძელი რიგი იდგა. `ნახევარ საათში სახლში ვარ~ \_ შვებით გაიფიქრა კესომ და ტაქსისკენ გაემართა. უცებ ის ღიპიანი კარლსონი დაინახა, ამჯერად მისკენ მოშვერილი მობილურით.

`მგონი სურათს მიღებს~, გაიფიქრა კესომ, თუმცა სვლა არ შეუნელებია. უკან რახრახის მისდევდა ჩემოდანი. `მივბრუნდები და თავს გავუხეთქავ.~ დაიქაძნა გულში. `იქნებ მე არ მიღებს? იქნებ ის ბავშვიანი ქალი ჰყავს მიზანში ამოღებული?~ ხელმარჯვნივ მართლა იდგა ახალგაზრდა დედა კენგურუში ჩაჭედილი ჩვილითურთ. ცნობისმოყვარეობამ სძლია და მიიხედა. კაცი თავის მობილურიანა სადღაც გამქრალიყო.

აშეიძლება ფეხმძიმობას ახლდეს ოპტიკური ცდომილება? მსჯელობდა ტაქსში მჯდარი კესო. ხვალზე უსათუოდ წავა უბნის კონსულტაციაში, აღრიცხვაზე დადგება, ფეხმძიმობის თანმდევ ნიუანსებში გაერკვევა. ნეტავ აიყვანენ აღრიცხვაზე რუსეთის მოქალაქეს? თუ ჯერ საქართველოს მოქალაქეობა უნდა აღიდგინოს?

უსიამოვნო ფიქრებს აუქშია და მონატრებული ქალაქის თვალწინებით გაერთო. თავშიც არ მოსვლია უკან მიეხედა და კუდზე დამჯდარი წითელი `ვოლვო~ დაენახა. არადა, `ვოლვო~ მისდევდა. საჭესთან იჯდა კარლსონად მონათლული მამაკაცი, რომლის მოტვლეპილ თავში ისეთი ავანტიურა მნიფდებოდა, ალტკინებისგან საჭეს ძლივს იმორჩილებდა.

იმ ღამეს ელდარ დუნდუას თვალი არ მოუხუჭავს. შფოთავდა, ბორგავდა, ხვნეშოდა. ყურის ძირში არხეინად ხვრინავდა ცოლი. რა ენაღვლება, მოამთავრა თავისი მარტივი საქმე \_ სადილი მოათუხთუხა, ქმარ-შვილი დააპურა, სერიალის ყურებით დატკბა და დამსახურებული ძილი გაინაღდა. ხვალ ახალი დღე გათენდება, ელდარი სამსახური წავა, ცოლი ჩვეულ საქმიანობას გააგრძელებს \_ სადილი, სარეცხი, უთო, სერიალი... და ასე წლიდან წლამდე. ერთი შეხედვით არაფერი იცვლება, სინამდვილეში კი სიბერე მოდის, სხეული მძიმდება, ნაოჭი მრავლდება, თმა მეჩხერდება, ლიბიდო ქვეითდება... გაიხედავ და სიკვდილიც მოგადგება კარზე. რისთვის მოხვედი, რისთვის მოაცდინე ადგილი, რა შექმენი და რას უტოვებ შთამომავლობას?

მსგავს ფიქრებს ელდარი არასოდეს შეუწუხებია. ცოლის არ იყოს, მასაც არ ჰქონია უკეთესი ცხოვრების პრეტენზია, იმითიც კმაყოფილი იყო, რაც ჰქონდა \_ სტაბილური შემოსავალი, ბინა, მანქანა... ნოდარ უგრეხელიძეს რომ არ გადაჰყროდა, დღესაც ბარაკში იცხოვრებდა. დიდი-დიდი ჯიხური აემუშავებინა და იაფფასიანი პროდუქტის გაყიდვით ერჩინა ოჯახი. დააჯენდა თავის უპრეტენზიო ცოლს გამყიდვლად, ლუდის ბოთლით ხელში თვითონაც მიუჯდებოდა და იცხოვრებდნენ სხვებივით. უფრო სწორედ, დროს გაიყვანდნენ.

დღეს ბანკში მუშაობს, შეიძლება ითქვას, ნოდარის მარჯვენა ხელია. თუ `ზაპასნო პაკრიშკა~? როგორც ამასწინად შვილმა დასცინა. მისმა მშემ, ნოდარის რეკომენდაცია რომ არა, დღესაც ბირჟაზე იდგებოდა, მასავით ზრდასრულ უსაქმურებსან ერთად. სულზე მიუსწრო რეფორმამ. რამდენიმე წლის წინ ცოცხალი თავით არ ჩაიცვამდა პოლიციელის ფორმას, ახლა ჩაიცვა კიდევ და უბანშიც ამაყად გაიარ-გამოიარა. წინა თვეში კომპიუტერი იყიდა, მართალია განვადებით, მაგრამ ცხოვრებაში პირველი შენაძენის პირობაზე, სერიოზული სვლაა. საწყალი დედამისი სიხარულით ცას ეწია \_ იქნებ ღმერთმა გადმოხედოს და ცოლიც შეირთოსო. ამ ბაფხულს ოცდაათის შესრულდება, დაგვიანებულის კია.

ელდარმა გვერდი იცვალა. თვალში ტუმბოზე დადებული მობილური მოხვდა. მწვანედ მოციმციმე თვალი თითქოს იწვევდა \_ მოდი, ჩამხედე, დარწმუნდი... ის აქ არის, შენი შფოთის მიზეზი, არსად გამქრალაო. ვერ მოითმინა, ლოგინში წამოჰდა და მობილური გახსნა. ეკრანზე ქალიშვილის სახე აღმოცენდა, გვერდულად იყურებოდა, გაკვირვების ნიშნად აცქვეტილი წარბებით. მანძილის გამო კადრი არ იყო ხარისხიანი, მაგრამ მსგავსება შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა. ისეთივე ალმაცერი მზერა, ისეთივე ტუჩები, შუბლი, ცხვირი... მოძრაობაში \_ გრაცია და უბრალოება. ზედგამოჭრილი ელენე ბეთანელია, ოღონდ ღია ფერებში. ალბათ ასეთი იქნებოდა ნინი უგრეხელიძე, ცოცხალი რომ ყოფილიყო. ის, რომ შეფის ქალიშვილი ცოცხლებში აღარ წერია, ეჭვს არ იწვევდა. ამდენი წელი გავიდა უიმედო ლოდინში, ფულის აღების მსურველი ათასჯერ შეახსენებდა თავს. არა, არ გაუტაციას მამიკოს პატარა ჩიორა გამოსყიდვის მიზნით, რაღაც გაუგებრობა მოხდა, დღემდე აუხსნელი და ბნელის მოცული. მაშინ, თექვსმეტი წლის წინ, ნოდარმა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ გადაიხდიდა ნებისმიერ თანხას ქალიშვილის დასაბრუნებლად. ელდარს ეჭვი არ ეპარება, რომ სასონარკვეთილი მამა ურიას ვალს აიღებდა და სიტყვას არ გადათქვამდა.

დღეს კი ნოდარის კაპიტალი მილიონებს ითვლიდა. ხომ შეიძლება გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც ერთი მილიონის საფასურად ქალიშვილს დაუბრუნებს. ერთი მილიონი! - ელდარი კვნესით გადაწვა ბალიშზე.

ცოლმა ხვრინვა შეწყვიტა და ძილში ტუჩები ააცმაცუნა. მაინც, რას უშვება სიბერე ადამიანს?! ხვრინვა იქით იყოს, ეს ტარაკნის უღვაშები როდისღა ამოუცოცდა ერთ დროს გადატკეცილ ღაწვებზე? ამოიპუტოს მაინც, ზოგიერთი ქალი ინტიმურ ადგილებს იპუტავს, ამას რა ღმერთი გაუწყრა, რომ ამსიგრძე უღვაიებით ამინებს ოჯახს. მზეჭაბუკი

არც ელდარი ყოფილა. წონაში მოიმატა, ქოშინიც დასჩემდა, ვერც სიმელოტის შენიღბვას ახერხებს აქა-იქ შერჩენილი თმის ღერებით. გარეგნობას ვინ დაეძებს, ფულია მთავარი, ფული! აგერ, ნოდარი ორმოცდაათს უკაკუნებს, ელდარის არ იყოს, ისიც გვარიანად წავიდა სიგანეში, უბრალოდ მაღალია და ნაკლებად ეტყობა, ქალები კი ბუზებივით ეხვევიან. რაღა ქალები, შვილისტოლა გოგოშკები ეფლირტავებიან. მდიდარია და იმიტომ. სხვა, მის ადგილზე, ცოლსაც მოიყვანდა და შვილებსაც გააჩენდა, მაგრამ ნოდარი პრინციპულია. ყველა ქალი ძუკნაა. ელენეს გამოისობით ასეთი ვერდიქტი გამოუტანა მთელ საქალეთს. აი, შვილი კი ვერ მოინელა, ხანდახან ისეთი სევდა შეიპყრობს ხოლმე, მისი შემყურე ელდარს გული ეწურება. არადა, აქვს შანსი უშველოს. აეროპორტში ნანახი ქალიშვილი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ელენეს ახალგაზრდობას. თანაც არავინ დახვედრია. ვინ იცის, მართოსულია, აქეთ საჭიროებს დახმარებას. მოლაპარაკების შემთხვევაში, ელდარის ბედს ძალღი არ დაჰყვფვს. მილიონს გაინაღდებს და ოჯახიანა დაახვევს აქედან. მაშინაც `ზაპასკას~ დაუძახებენ?!

ვერ მოისვენა, ფეხები ფლოსტებში წაყო და მობილურიანა დატოვა საძინებელი. გათენებას ცოტალა აკლდა. სიგარეტს მოსწევს, ყავას დალევს და დამშვიდებულ გულზე აწონ-დაწონის ავანტიურისტული სცენარის პლიუსებსა და მინუსებს.

ლოჯიაში მეორე `ღამურას~ გადააწყდა, შვილის, ლევანის სახით \_ კომპიუტერს მიფიჩინებული ომობანას თამაშობდა. ბახ, ბუხ! \_ ფეთქდებოდა ვირტუალური ბომბები. ეკრანზე აბჯროსანი მეომრები დალივლივებდნენ, წინამძღოლს მოღუნულქიანი ჩაჩქანი ეხურა და ჯადოსნურ ხმაღს იქნევდა.

\_ არ გრცხვენია, ბიჭო, რაღა დროს შენი ომობანაა, ჭკუა როდის უნდა ისწავლო, დაბერდი უკვე!

\_ კარგი რა მამა, მე კი არა, ცოლ-შვილიანი ბიძერები აღამებენ ამ თამაშზე. \_ გაეპასუხა ლევანი, ისე რომ თვალი არ მოუწყვეტია ეკრანისთვის.

\_ ხვალ სამსახური ხარ წასასვლელი, გამობენტერებული რანაირად იმუშავებ?! მაქედანაც თუ დაგითხოვს, იცოდე, მე ხელები დამიბანია. ვარიანტი არაა ისევ ნოდარი შევანუხო... სირცხვილია, მერამდენედ უნდა გაგვიმართოს ხელი? \_ ელდარმა ლაპარაკ-ლაპარაკით გავიდა სამზარეულოში, სიგარეტს მოუკიდა და გაბჭურაზე ჩაიდანი დადგა.

\_ დიდი ამბავი, მა რა ჩემი ფეხების ნათლიაა? \_ გამოსძახა შვილმა.

\_ ყველაფერს საზღვარი აქვს, მათ შორის, მის მოთმინებას. ნათლულს კი არა, საკუთარ შვილებს აძევებენ სახლებიდან, როცა ზედმეტები მოსდით.

\_ ნუ გამიხურე, აი, მოვკლავ ამ ვირიშვილსაც და დაწვები.

\_ ახლა რომ დაწვე, ცხრისთვის ლოგინიდან ვერ აგაძრობ. ბარემ მოითმინე, წყალი გადაივლე, ყავა დალიე და პირდაპირ სამსახურში წადი. საღამოს კი ადრე დაიძინე. \_ ელდარმა ყავის ჭიქები გამოალაგა. \_ შაქარი რამდენი კოვზი გინდა, ბიჭო?

\_ სამი... აუ, ჩემი! დამიტყდა ეს დედააფეთქებული, ვერ მოვკალი... აუუ, რა უდროოდ იცი ხოლმე ნატაციების კითხვა! ფინალი გავმაზე, ჩემი...

\_ ფინალი. შენც ახლა ოლიმპიური ჩემპიონობა არ გამაზო! \_ ელდარმა საფერფლე მოიმარჯვა. ხელმეორედ გახსნა მობილური, თავი გააქნია.

კომპიუტერზე შეერთებული ლევანი აზრების მობილიზაციაში უშლიდა ხელს. და საერთოდ, შვილის სიახლოვე აუხსნელ შფოთვას გვრიდა. ლევანი პირდაპირ ასხივებდა ინფანტილიზმით დამუხტულ მოლეკულებს. ელდარი უჯრედის დონეზე გრძნობდა ამ მოლეკულების შემოტევას, თვითონ კი ვერაფერს ახვედრებდა უმწეო ბრაზის გარდა. არსებობს კი შვილისგან თავდაცვის მექანიზმი? ალბათ არა. შენი გაჩენილია, შენი გაზრდილი. ინფანტილურია თუ გულისხმიერი, შენია, უნდა აიტანო.



\_ ყავა მანდ მოგიტანო, ბიჭო?

\_ არა, გამოვალ. მოვრჩი და ეგ არის. \_ წელს ზევს შიშველი ლევანი ზმორებით შემოიკლაკნა სამზარეულოში.

ბალნიან მკერდზე ოქროს ჯვარი უბრწყინავდა, მკლავზე სვირინგი იწონებდა თავს \_ შაბიამნისფერი მორიელი აგრესიულად აპრეხილი კუდიტ. ურთიერთგამომრიცხავი სიმბოლოების მეზობლობა ლევანს სულაც არ ანუხებდა. ეშმაკურად უბრწყინავდა წვრილი თვალები, თხელი ტუჩების მონახაზში დაცინვის მზადყოფნა იკითხებოდა.

ლევანი სკამზე გაიშხლართა, ძარღვიანი მთქნარებაც ზედ მიაყოლა და სვრიპინით მოსვა ყავა.

\_ რამ გაგაღვიძა დილაუთენია?

\_ ფიქრებმა არ მომასვენა.

\_ ფიქრებმა... ნეტა, რა გაქვს საფიქრალი?! ეჰ, უინტერესოდ ცხოვრობ, მამაჩემო, არ გენყინოს, მარა რაღაცნაირი ლობიო მასტი ხარ.

\_ შენ ხომ მყავხარ შუშა კიტრი!

\_ ტრამპლინი მჭირდება, მამა, ტრამპლინი! შესაფერი განათლება,

კარიერის ამბავში რო გავატრაკო... ვიცი რასაც მეტყვი, გესწავლა და გაატრაკებდიო. ვალიარებ, ვიზარმაცე, მაგრამ შენც აღიარე, რომ თავი არ მოგიკლავს ჩემი სწავლა-განათლებით. ხო შეგეძლო ერთი ინგლისურის მასწავლებელი აგეყვანა? ზაპრასტა შეგეძლო. მამენტ, სპორტზე გეტარებინე, ცურვა, ფეხბურთი, კარატე... სამაგისო მაყუთი ყოველთვისაც გქონდა, მაგრამ მუცელში იყრიდი ყველაფერს. იმიტომაც დაიდე ღიპი. ჰა, ჰა! \_ გადაიხარხარა საკუთარი იუმორით გახალისებულმა ლევანმა. \_ კაროჩე, იმის თქმა მინდა, რო ჩემი ბაგაჟით თანამდებობის დათრევა გამოორიცხულია.

\_ რას იზამ, ყველა მინისტრი ვერ იქნება.

\_ მინისტრი ვერა, მარა ბიზნესმენობას რა უდგას წინ? ფული რო მქონდეს, იცი რა მაგარი ბიზნესმენი ვიქნებოდე?! გელიძება... არ გჯერა, ხო? რატო არ გჯერა? ამბიციო მაქვს, იდეები მაქვს, ხვატკა მაქვს. ყნოსვა მაქვს ისეთი, სუფთა სისხლის პოინტერს გადავუოკრავ. დანარჩენი ილბალის ამბავია. ილბალი ისეთი რამეა, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ყველას ჭიშკარზე ჩამოჯდება. პროსტა უნდა დაინახო და მუჭში მოიშწყვდიო. აი, ასე! \_ ლევანმა ნათურასთან მოფარფატე ქინქლა მოპეშვა და კბილებით გაიცინა.

\_ რამდენი გინდა? \_ უცებ ჰკითხა ელდარმა.

\_ ბევრი.

\_ მაინც?

\_ თუ ოცნებაა, ოცნება იყოს. მილიონი.

ელდარმა ყავის ჭიქა ტუჩებთან მიიტანა და შვილის თვალებში ჩახედა. აი, ვინ უნდა შეიამხანაგოს \_ ლევანისთანა გულგრილი, ანგარიშიანი, რისკიანი ადამიანი. რაც მთავარია, თავისიანი.

\_ არის შანსი. \_ თქვა ხმადაბლა.

ლევანს კვადრატული თვალები გაუშეშდა და ყბა ჩამოუვარდა.

\_ გახსენი. \_ ელდარმა მაგიდაზე დადებულ მობილურზე ანიშნა.

ლევანმა ეკრანს დახედა:

\_ ვილაც ნაშის ფოტოა.

\_ მაგ ნაშამ უნდა მოგვიტანოს მილიონი.

\_ მელადავები?

\_ ლადაობის გულისთვის დავიფრთხე ძილი? გაგიჟებული ვარ კაცი, ადგილს ვერ ვპოულობ. კარგად დააკვირდი მაგ გოგოს, არავის გაგონებს? \_ ელდარმა საჩვენებელი თითი ეკრანს მიუკაკუნა.

ლევანი თვალების დააკვდა ეკრანს, მეტისმეტი მონდომებისგან ენაც გამოჰყო.

\_ ქართველს ჰგავს. აი, რიჟიკა ქართველი ნაშები რო ეძრობიან. წარბებიც ღია ფერის აქვს, ე. ი. თმა ნატურალურია.

\_ ბიჭო, აღწერა კი არ მაინტერესებს, ისედაც ვხედავ როგორია, შენ ის მითხარი, ვინმეს თუ გაგონებს?

\_ ვის მაგონებს... მაგონებს რო?... აი, სოფი ლორენი რო აგურისფრად გადაღებო, შეიძლება იპოვო მსგავსება, ტუჩ-ცხვირის ამბავში.

\_ შენ ინტუიციაც თუ ისეთი გაქვს, როგორც მახსოვრობა, ამ საქმიდან არაფერი გამოვა.  
\_ ხელი ჩაიქნია ელდარმა.

\_ ვერ გავიგე რა გინდა, ნურც მოფრინდები, ნურც გაფრინდებიო, რა?! ჩამაცვიდი: `ვის ჰგავს, ვის ჰგავსო~, მე რავი, ვის ჰგავს, ალბათ თავის მშობლებს. მე და შენ რო არ გვგავს, იასნია.

\_ კარგი, გაგიხსნი კარტს. ელენე ბეთანელი გახსოვს, ნოდარის ცოლი?

\_ უცხოეთში რო დატყდა?

\_ ჰო.

ლევანმა ახლა სხვა ინტერესით შეათვალიერა ეკრანზე გაშეშებული ფოტო.

\_ არის რაღაც მსგავსება... ალბათ არის. ჩვენში დარჩეს, ბუნდოვნად მახსოვს ის ქალი. რამდენი წლის ვიყავი მაშინ... თორმეტი? ცამეტი?

\_ თოთხმეტი წლის ჯორი იყავი! რამდენჯერმე სპექტაკლზეც წაგიყვანე, ყვავილებიც კი აუტანე სცენაზე. სტუმრადაც ვყოფილვართ.

\_ აუუ, ისევ გლოტკაზე ხარ! თოთხმეტი წლისა უკვე ნაშებში დავრბოდი, რა სპექტაკლი, რის ყვავილები, დედიკოს ბიჭი ვიყავი ხელიხელხაკიდებული გეტარებინე?

ელდარმა სიგარეტს მოუკიდა. ჩაფიქრდა.

\_ ჰო, ეგეც მართალია. \_ თქვა ხმამაღლა. \_ ასეა თუ ისე, როდესაც ელენემ ნოდარს დაადო, მაინც დიდი ჯორი იყავი. ახლა კარგად მისმინე და დასკვნები ერთად გამოვიტანოთ. დღეს უცხოელი ინვესტორები გავაცვილე აეროპორტში. მივდივარ ჩემთვის და რას ვხედავ? დარბაზში არხეინად მიპაკუნებს ელენე ბეთანელი. თმა გაუღიავებია და მიპაკუნებს, ვითომც არაფერი. გავშტერდი. ქალი თექვსმეტი წელი არ გამოჩენილა, არც ქმარი მოუკითხავს, არც შვილი, და უცებ აეროპორტში არ გაეძრო? პირველი ბახოდი ვიფიქრე, მივალ, გამოვვლაპარაკები. მერე მივხვდი \_ შანსი არაა ელენე იყოს, დაკონსერვებული ხომ არ იქნებოდა ეგ შობელძაღლი, უწინდელივით გამოიყურებოდეს?! გაიარ-გამოიარა, ვიტრინასთან შედგა, გაიპრანჭა, რა... მიმოხვრა, გამოხედვა, ერთი ერთში ჯდება. სხვაობა ფერებშია, რაც მთავარია, ახალგაზრდაა, ოცდაოთხი-ოცდახუთი წლის იქნება, მეტის არა. ვიდრე ტაქსში ჩაჯდებოდა, მობილურზე მოვასწარი ფოტოს დაფიქსირება.

\_ მერე, მერე? \_ სულმოუთქმელად შესძახა ლევანმა.

\_ მერე ვიფიქრე, ნოდარას ეგ გოგო ნინოს ვარიანტში რომ შევასალოთ, მილიონს არ გამოიმეტებს?

\_ აუუ... სალოლ, აი, მესმის იდეა! იდეა კი არა, ბაჭაღლო ოქროა! მილიონი, ტო, მილიონ... ჩემი კაი, ძაან მაგარია! რა ლობიო, მამაჩემო, კიტრიც შენა ყოფილხარ და წინმატიც! \_ ლევანი სკამიანა გაჩოჩდა ქათინაურებით ნასიამოვნები მშობლისკენ.

\_ იდეა კარგია, გეთანხმები, მაგრამ განხორციელება არ მეჩვენება იოლ საქმედ. რატომ დათანხმდება ის გოგო ჩვენთან თანამშრომლობაზე?

\_ წილში გავიყვანო, ტო!

\_ სხვათა შორის, დუბაიდან ჩამოვიდა, აქედან შეიძლება დავასკვნათ: არც ისეთი გაღლეთილია, ნებისმიერ გარიგებაზე წამოვიდეს. თუმცა არავინ დახვედრია, ტაქსის წავიდა სახლში. ვერაზე ცხოვრობს, ბელინსკის კუთხეში რომ აგურის სახლია, ორსართულიანი, იქ.

\_ მაიცა, რა, ბარიგა იქნება! \_ ვერდიქტი გამოიტანა ლევანმა. \_ დუბაიში სულ ბარიგები მოძრაობენ, შმოტკები ჩამოაქვს გასაყიდად, დოყელა სხედან პროცენტიან ვალებში. წამოვა კი არა, სიხარულით შეიძლება მუხლები დაგიკოცნოს.

\_ ერთი პატარა ჩემოდნის ამარა იყო. \_ გაახსენდა ელდარს.

\_ ნახე, რა, შენც პრობლემა, ზაპრასტა გადავამონმებთ ვინ არის და რას წარმოადგენს. სალოლ, მამაჩემო, რო სახლამდე აეხვოსტე. მისამართი ვიცით, ნოდარას ცოლთან მსგავსება სახეზეა, ერთ მილიონზე კი არ დაგეთანხმები. ცოტაა. ორ მილიონზე ნაკლებად არ ღირს გარისკვა. დაყატოს ფულები შენმა ძმაკაცმა, ორი ლიმონი არც გაამდიდრებს, არც გააღარიბებს, სამაგიეროდ, ნანატრი ქალიშვილი დაუბრუნდება. თუნდაც რამდენიმე დღით.

\_ რამდენიმე დღით? \_ ვერ მიხვდა ელდარი.

\_ არ მგონია მეტზე გაქაჩოს. მართლა ნინო ხომ არ არის? ერთი-ორი დღე ადამიანმა შეიძლება იმსახიობოს, მუდმივ რეჟიმში თამაში გაუჭირდება, ჩაიჭრება. ნოდარამ გენეტიკური ექსპერტიზის გაკეთება რო მოითხოვოს, მერე სად მიდიხარ?! სიხარულის ნიადაგზე სული თუ არ განუტევა, სტაპრაცენტნი მოითხოვს. \_ ლევანმა ანთებული სიგარეტი ტუჩის კუთხეში მოიქცია და ბოლი ცხვირიდან გამოუშვა. \_ მთავარია, ჩვენ მოვასწროთ მაყუთის დათრევა, მერე კისრები უტეხიათ, ფეხებს ვერ მოგვჭამენ. შენ არ უნდა გამოიშიფრო, კი გამოჩნდები, მაგრამ სვიაზნოის პონტში, ვითომ ინკოგნიტო გამტაცებელი შენზე გამოვიდა. მიხვალ, ეტყვი: გადარიცხე მაყუთი და დაკარგულ ქალიშვილს პოდნოსით მოგართმევენ სახლში-თქო. თუ პოლიციაში გაიქცევი, მაშინდელივით, კაპუტ შენი გოგო-თქო. მოტკინე?

\_ ისე ჭიკჭიკებ, თითქოს ის გოგო ჯიბეში გყავდეს. წამოვა რო გარიგებაზე?

\_ წამოვიყვანო. \_ თავდაჯერებულად თქვა ლევანმა.

\_ რა მოიფიქრე? \_ გული შეუქანდა ელდარს.

\_ მოვიფიქრე.

\_ სველ საქმეზე არ წამოვალ, იცოდე, მთელი ქონება რომ გადმომიფორმოს ნოდარმა, არ წამოვალ.

\_ სველ საქმეს არ გთავზობ.

\_ აბა?

\_ მისმინე. \_ ლევანმა ჭიქა გააჩოჩა და საქმიანად გადმოიხარა მაგიდაზე.

მზე გალერეას მოადგა. სხივებმა კვადრატებად დაყოფილ ფანჯრებში შეაღწია და კედელზე პატარ-პატარა ჩრდილები დახატა. ეზოდან დილის ხმებმა მოაღწიეს \_ რადიოსი, ჭიქაში ანკრიალებული კოვზის, სკოლაში მიმავალი ბავშვების, დირექტივების მიმცემი მშობლების, ელექტრო საპარსის... ჰავის არ იყოს, ხმებიც ნაცნობი იყო \_ თბილისური. დუბაიში კესოს მოლას სიმღერა და კონდიციონერის ზუზუნი აღვიძებდა ხოლმე, მოსკოვში \_ რუსეთის ჰიმნი, რომელსაც ბოლშევიკური ერგულებით უსმენდა კესოს კარის მეზობელი, ომის ვეტერანი პეტროვიჩი. ჰიბრზე უწევდა ხოლმე რადიოს, ზოგიერთებისთვის რომ შეეხსენებინა, ვინ არის სინამდვილეში ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი.

რა ბედნიერებაა გაიღვიძო ბავშვობიდან ნაცნობ გარემოში, გვერდით გენვეს განუყრელი დრუნჩა, ოთახის ყველა კუთხიდან კი წინაპართა ხელშენავლები, ბიბლიურ მოთმინებითა და დადებითი ენერგეტიკით გასხივოსნებული ნივთები შემოგცქეროდნენ. ეს ყველაფერი სტაბილურობის განცდას ბადებდა, სტაბილურობის განცდა \_ სიმშვიდეს. კესოს ღრმა რწმენით \_ ბედნიერება სიმშვიდეშია; ეზოდან გაგონილ ხმებში; ჭიან ბუფეტში; გუგულიან საათში, რომელიც დიდი ხნის წინ გაფუჭდა, მაგრამ ბებოს და ბაბუს გადასაგდებად დაენანათ და განუყრელ აქსესუარად შერჩა კედელს; საათი რა მოსატანია, კესოს ნათლად ახსოვს დღე, როდესაც მამამ მშობლებს ახალი საძინებელი უყიდა, ნიკელის ბურთულიანი ძველი საწოლი კი გარეთ გაიტანა \_ მენაგვე იხეირებსო. ვინ აცალა მენაგვეს? როგორც კი მამა თვალს მიეფარა, ბაბუმ დაშლილი საწოლი უკან ამოათრია და საკუჭნაოში შეინახა \_ ეგებ რამეში გამომადგესო. ალბათ დღესაც იქ გდია, უვარგის ხარახურასთან ერთად.

ბევრი, ძალიან ბევრი საქმე აქვს კესოს მოსასწრები. ნახატებსა და გრაფიურებს ხელს არ ახლებს, კანდამსკდარ ბიუროს რესტავრაცია თუ ვერ უშველის, ძველი საწოლის ბედს გაიზიარებს. ფაიფურის სასანთლეები ვარდისფერი ანგელოზების ბაბუს თანამშრომლებმა აჩუქეს პენსიაში გასვლისას. მდარე ხარისხის ფაიფური იყო, სქელი, ალაგ-ალაგ ჩამოღვენილი, ერთ ანგელოზს ფრთა მოსტეხოდა. ნატეხი იქვე იდო, ბიუროზე, ეტყობა ბებო დანეპებას აპირებდა და ვერ მოასწრო. ვინ იცის, ამ ფრთის დარდიც გაჰყვა საფლავეში. ალბათ შეიძლება დანეპება, სხვა საკითხია, რაში სჭირდება კესოს უგემოვნო სასანთლეები?

\_ რაიი მჭირდება? \_ იკითხა ხმამალლა.

მოულოდნელად მზე ღრუბლებს მიეფარა, კედელზე მოფუთფუთე კვადრატები გაქრა, ოთახში კი უსიამოვნო ბინდბუნდი ჩამოწვა, როგორც მზის დაბნელებისას.

კესო ლოგინიდან წამოიშრათა და ვედრების ახედა ცას:

\_ `მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა...~

მემ დაუჯერა და ჯერ სანახევროდ გამოიჭყიტა ღრუბლიდან, მერე მთელი სისავსით ამოცურდა. არაფერსაც არ გადააგდებს, ყველაფერს ისე დატოვებს, როგორც იყო. უბრალოდ მტვერს გადანმენდს.

ფეხები ბებოს ძველ ფლოსტები იწყო (თავისი დუბაიში დატოვა, ბარგი რომ არ დაემძიმებინა). ფლოსტები პატარა ზომის იყო, ქუსლის ნაწილი იატაკზე დასთრევდა. ფრატუნით გავიდა სამზარეულოში, უაზროდ შედგა ცარიელ მაგივართან, თითქოს შიგ ბებოს დანატოვარი კერძი ეგულებოდა. სახლის დალაგება მოიცდის, პირველ რიგში პროდუქტები უნდა მოიმარაგოს. ფეხმძიმე ქალის შიმშილი ვის გაუგია?

კესომ თავი მოინჯსრიგა და ხელჩანთიდან ზედმეტი აქსესორების ამოლაგებას შეუდგა – მამის ნაჩუქარი იაპონური საათი, მზის სათვალე, `ტიკ-ტაკის~ კოლოფი, პასპორტი, მართვის მოწმობა, ნესესერი, ბლოკნოტი, მობილური...

გასაღებით ხელში კართან შედგა. მამ ასე: პროდუქტების გარდა, საყიდელია ტელევიზორი, აღსადგენია სატელეფონო ხაზი, გასარკვევია უბნის კონსულტაციის ადგილმდებარეობა, ჩასართავია მობილური... დღის მეორე ნახევარში საფლაკვზე გასვლაც შეიძლება. ფული პლასტიკურ ბარათზე აქვს. საინტერესოა, თბილისი არის ბანკომატები? ნესით უნდა იყოს, აკი ევროპულ სტანდარტებზე გადავედითო?!

კარი გასაღებზე დაკეტა და ჭრაჭუნა საფეხურებზე დაეშვა.

კარგია ვერაზე ცხოვრება, ორ ნაბიჯში ქალაქის ცენტრში ხარ. ზევით შედარებით სიწყნარეა, მანქანების გამონაბოლქვს მთანმინდის ნიაჲი ანეიტრალებს.

ქუჩისპირა კაფეში რძიანი ყავა და იმერული ხაჭაპური შეუკვეთა. მარილიანი ყველი ესიამოვნა, არაბული ტკბილეულისგან ტვინი ჰქონდა განეპილი. ბავშვობიდან უყვარდა გემრიელი ჭამა, ფეხმძიმობისას მადა გაუთკვეცდა. ასეთი ტემპით თუ გააგრძელა, მშობიარობამდე ას კილოგრამს აკრიფავს. კმარა ხაზაპურები. სალათა, ხაჭო, მანონი, ცხიმგაცლილი იოგურტი – აი, მომავალი მოციონი.

კესომ გატიკნულ მუცელზე ხელი ჩამოისვა. უცებ ისევ მზერა იგრძნო, როგორც მაშინ, აეროპორტში. მიიხედ-მოიხედა. წინ პატარა ბიჭი იჯდა დედასთან ერთად. ბიჭუნა ფეხების ქნევის აპროტესტებდა ჭამის პროცესს, დედა აძალებდა, ერთი-ორჯერ ქოჩორიც გამონიწკნა. ნეტავ მეც მომწინკნიდეს ვინმე, ზედმეტი როცა მომივა, გაიფიქრა კესომ და მარჯვნივ გაიხედა. იქ ორი თინეიჯერი მიჯდომოდა მაგიდას, კოკა-კოლას წრუპავდნენ და ფეხბურთის პროგნოზზე კამათობდნენ.

კაფეს ინტერიერიდან მზერა გარეთ გადაიტანა. ვიტრინიდან მოჩანდა რუსთაველის გამზირი და ტროტუარზე მოსიარულე ადამიანები. ქუჩა სირბილით გადაჭრა არაკანონმორჩილმა მოქალაქემ, კაფეს ვიტრინას სამათხოვროდ გამეცადინებული ბოშა ქალი აენეპა, ინტერიერი დაზვერა და გზა განაგრძო, უკან გაჰყვა ჭუჭყიანი ბაჭაყყანების მცირეოდენი ჯგუფი. გაჩერებაზე იდგა წითელი `ვოლვო~, საჭესთან მჯდარი მამაკაცი გაბეთს კითხულობდა...

`რა მემართება?~ თავს შეუძახა კესომ. ეს უკვე ცუდი წინათგრძნობა კი არა, ფობიაში გადაბრდილი შიშია. უსაფუძვლო შიში. პირველი კურსიდან დამოუკიდებლად ცხოვრებს, პერიოდულად მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში სწავლობდა, თბილისი თუ დააღალატებდა, არ ეგონა.

ანგარიშს გაასწორებს და აქედან გაასწრებს. ის იყო, კუპიურის ამოსაღებად დაიხარა, რომ მონუსხულივით გაირინდა. მარგალიტისთვლიანი ბეჭედი, რომელიც შუათითზე ეკეთა, გაბზარულიყო. ხატზე შეუძლია დაიფიცოს, რომ ეს ბზარი ახლახანს გაჩნდა. ეწყინა კიდევ და ენიშნა კიდევ. ეს ბეჭედი აჩუქა კაცმა, ვისთანაც ორი აბორტი და დროში განელილი რომანი აკავშირებდა. რომანს წერტილი დაესვა, ისევე როგორც აბორტებს. ამჯერად კესო გააჩენს და არასოდეს, არავის ეცოდინება, მისი შვილის მამის ვინაობა.

მაინც, რას უნდა ნიშნავდეს გაბზარული თვალი, რაღა ახლა გაიბზარა, როცა კეფაში მზერა იგრძნო? იქნებ ბეჭედმა საკუთარ თავზე აიღო ვირტუალური ადრესატის მიერ გამოგზავნილი ნეგატივი? ქსიუშამ უთხრა: მარგალიტის ბეჭედთან მარგალიტისავე საყურეების ტარებაა მიზანშეწონილი, რომ წრედი შეიკრას და ბიოველში უარყოფითი ენერგიები არ შემოიპაროსო. ქსიუშა კარგად ერკვეოდა პარაფსიქოლოგიურ ლაბირინთებში, ნებისმიერი ქვისა თუ ძვირფასი ლითონის ბიო-ენერგეტიკული თვისება იცოდა. თურმე, ოქრო ემოციურ მუხტს შეიცავს, ვერცხლი პირიქით – ემოციას ანეიტრალებს, ქარვა – ნათელმხილველობის უნარს აღვივებს... კესოს სასაცილოდ არ

ჰყოფნიდა ქსიუშას ზღაპრები, მაგრამ დედინაცვალის ისეთი ლამაზი იყო, ისეთი თავდაჯერებული და საყვარლად უტვინო, სერიოზული სახით უსმენდა ხოლმე.

კესომ ბეჭედი მოიხსნა და გეზი ცენტრალური ფოსტისკენ აიღო.

სახლში ნაშუადღევს დაბრუნდა, სავსე პარკები სამზარეულოში დააგდო და ტანსაცმლიანა წამოწვა ლოგინზე.

ხედავდეს ბებიამისი?!

ბებო გადასაფარებელზე დანოლის კი არა, დაჯდომის უფლებასაც არ აძლევდა. მეტიც, ქუჩის ფეხსაცმელით სახლში არავის გააჭაჭანებდა. ოჯახის ყველა წევრისთვის ჰქონდა მომარაგებული ექსკლუზიური ფაჩუჩები. დედა აპროტესტებდა: `კვირაში ერთხელ მოვდივართ, დიდი ამბავი აიტანოს ჩვენი ნაფეხურებიო.~ თუმცა მაინც ემორჩილებოდა კაპრიზულ დედამთილს, ქმრის ხათრით.

მაინც, რამ დააშორა ხათრიანი ცოლ-ქმარი? კესოს არ ახსოვს შემთხვევა, რომ მშობლებს ეჩხუბოთ, შეურაცხყოფა მიეყენობინოთ ერთმანეთისთვის, მხიარულად ცხოვრობდნენ, შეიძლება ითქვას, თავქარიანად. მაგალითად, მოსკოვში გადაბარგებას საერთო ძალისხმევით ამუშავებული ბინა შეენირა. მათ კი გარისკეს. რისკი წარმატებული ბიზნესის წინაპირობაა. ბიზნესი აანყვეს, ოჯახი კი დაენგრათ. რომ არა შემთხვევა, კესო დღესაც ჭურში იჯდებოდა...

მეცხრე კლასში იყო, როცა ღამით კბილის ტკივილმა გამოაღვიძა. შეწუხებული მიადგა მშობლების საძინებელს. იქ არავინ დახვდა, ლოგინიც კი არ იყო აშლილი. სამზარეულოდან მოგუდული ხმები ისმოდა, რამდენჯერმე მისმა სახელმა გაიჟღერა. კესოს არასოდეს დაურღვევია ეთიკის წესები, მაგრამ ამჯერად ცნობისმოყვარეობამ სძლია. იმ პერიოდში სამუსიკო შვიდწლედში სიარულს აპროტესტებდა, დედა უარზე იყო \_ ამდენი წელი გივლია, ბარემ სერთიფიკატი აიღეო. კესომ მამას სთხოვა შუამავლობა. `ვინ იცის, მეშველო,~ გაიფიქრა და ყური მიუგდო.

\_ ვიდრე კესო სრულწლოვანი არ გახდება, გაყრაზე ლაპარაკი ზედმეტია. \_ მკაცრად თქვა მამამ.

\_ ვერ წარმომიდგენია, როგორ შევძლებთ ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას. \_ დედას ნამტირალევი ხმა ჰქონდა.

\_ მაგაზე მაშინ უნდა გეფიქრა, როცა საყვარელი გაიჩინე.

\_ ის არაა ჩემი საყვარელი. შეცდომა ვის არ მოსვლია?!

\_ ჰმ, შეცდომით დაუნეჭი ლოგინში?

\_ ჩვენ შორის ერთხელ შედგა ინტიმი, ერთადერთხელ. მეტად აღარ განმეორდება, დამერწმუნე.

\_ უკვე სულერთია. \_ აგდებულად გაეპასუხა მამა.

\_ ნუთუ შენ არასოდეს გქონია შემთხვევითი კავშირი, ნუთუ არასოდეს ყოფილხარ სიტუაციაში, როცა გონება გეკეტება...

\_ მე კაცი ვარ. კაცს ეპატიება.

\_ ე. ი. ყოფილხარ.

\_ ახლა არ არის მაგის გარჩევის დრო.

\_ რატომღაც მეგონა, არასოდეს გიღალატია. \_ ნაღვლიანად აღნიშნა დედამ.

\_ კაცის ღალატი არაა სათვალავში ჩასაგდები. კაცი პოლიგამიური ცხოველია, ფიზიოლოგიას ემორჩილება. ქალი როცა ღალატობს, სულით ღალატობს. მე ვერ შევძლებ შენთან ცხოვრებას, უფრო სწორედ შენთან დანოლას. მოვრჩეთ ამაზე, მადლობა მითხარი, რომ სახლიდან არ გაგდებ.

\_ კესო მიხვდება, ხომ იცი, რა რთული მოზარდია, ოსცილოგრაფივით რეაგირებს ყველაფერზე.

\_ მაქსიმალურად შევეცდები ვერაფერს მიხვდეს. ბავშვს ისედაც გაუჭირდა აქაურობასთან მიჩვევა, ჩვენი გარჩევებილა აკლია?! დაამთავრებს სკოლას და გაყრაზე მერე ვილაპარაკოთ.

\_ იქამდე?

\_ იქამდე, მე ჩემთვის, შენ შენთვის.

\_ მე ის არ მიყვარს. \_ სასონარკვეთით შესძახა დედამ.

\_ მე კი შენ არ მიყვარხარ. აღარ მიყვარხარ.

კესოს კბილის ტკივილი დაავინყდა, აკანკალებული სხეული ლოგინამდე მიიტანა და ღრიალით დაემხო ბალიშზე.

\_ დრუნჩა, გახსოვს რა დღეში ვიყავი, მაშინ? \_ დაეკითხა ბალიშზე დასკუპებულ დათუნისას.

დრუნჩას ყველაფერი ახსოვდა. კესოს უძილო ღამეებიც, იმედგაცრუებაც, დედისთვის სამაგიეროს გადახდის სურვილიც... საბედნიეროდ, ყველაფერმა ჩაიარა, `რთული მოზარდი~ კომპლექსების გარეშე გამოძვრა გამოუცხადებელი ომიდან, აწი მას ველარაფერი შეაშინებს.

გაფიქრებისთანავე შეეშინდა. რაღაც ვერ იყო ისე. რა? მიმოიხედა. სახლიდან გასვლის წინ კესომ ლოგინი გაასწორა, დრუნჩა კი

მაგიდაზე გადაიტანა. ხელჩანთის გადმოპირქვავებისას ის მაგიდაზე იყო. როგორ აღმოჩნდა ლოგინზე?

\_ მგონი გავგიჟდი. რას იტყვი, დრუნჩა?

დრუნჩამ დუმილით უპასუხა. რა ჰქონდა სათქმელი, მართლა ცოცხალი არსება ხომ არ იყო, მაგიდიდან ლოგინზე ესკუპა?! კესომ კისერი წაიგრძელა და ჰაერი დაყნოსა. ამკრად უცხო სუნია, გარედან შემოვიდა თუ ოთახში ტრიალებს?

\_ `ძეხორციელის სუნი მცემს...~ \_ გაახსენდა ფრაგმენტი ბებოს მოყოლილი ზღაპარიდან.

სისულელეა! ორსული მგრძნობიარეა სუნის მიმართ, არც კესოა გამონაკლისი. აი, მოინახულებს ბების-ბაბუის საფლავებს და ყველა ცუდი შეგრძნება ერთბაშად აორთქლდება.

დიდხანს არ უფიქრია, ხელჩანთა გადაიკიდა და კიდევ ერთხელ ჩაირბინა ჭრაჭუნა კიბეები.

საფლავებს ბებერი მუხის მიხედვით მიაგნო. ბებო ზამთარში მოკვდა, მაშინ მუხას თოვლი ედო და გაზაფხულს ელოდა. იმის მერე ბევრმა გაზაფხულმა ჩაიარა, გრანიტზე დატანილ ეპიტაფიას მტვერი დასდებოდა, თაიგული გამომშრალიყო და საკუთარ მუმიას დამსგავსებოდა.

კესომ ბალახონი ხის ტოტზე გადაკიდა და სარეველას დაერია. კარგა ხანს იფხოტიალა. ხელებიც დაესვარა და მუხლისთავებიც. ამოძირკვეული ბალახი პარაპეტის მიღმა გადააგდო და ცოცხალი ყვავილები ორივე საფლავზე გადაანანილა. ბებოს \_ მეტი, ბაბუს \_ ნაკლები. კაცია, მაინც. გასაწმენდი დარჩა ეპიტაფია. გრანიტის უკან გაფშევილ ჩვარს მიაგნო. სადღაც უნდა იყოს წყლის საშუალება, მაგრამ სად?

საკუთარი ღერძის გარშემო დატრიალდა. ონკანი არა, მაგრამ მუხის ტანს მიყრდნობილი პოლიციელი დაინახა.

\_ უკაცრავად, ახლომახლო ონკანი ხომ არ გეგულებათ? \_ ჰკითხა კესომ. \_ ჩვარი მინდა დავასველო. \_ ყოველ შემთხვევაში, დააბუსტა.

\_ არ მეგულება. \_ მშრალად უპასუხა პოლიციელმა.

რალას უდგახარ, გაიარე შენს გზაზე, ~ გულში გაეპასუხა კესო. პოლიციელი არც განძრეულა. იდგა და ურცხვად ათვალიერებდა.

\_ გნებავთ რამე?

\_ საქმე მაქვს. \_ პილიციელმა ნაბიჯი გადმოდგა.

\_ მე თქვენ არ გიცნობთ. \_ კესომ დასვრილი ხელები ქაღალდის ხელსახოცით შეინძინდა. ეგლა აკლია ვიგინდარა პოლიციელთან გააბას არშიყი, ისიც სასაფლაოზე.

\_ მე კი გიცნობთ. \_ პოლიციელს ღიმილთან მიახლოვებული კლაკნილი დაეხატა წვრილ ტუჩებზე. კუთხოვანი ნაკვთები ჰქონდა, თითქოს ბავშვმა ასანთის ღერებისგან პრიმიტიული პორტრეტი შეაკონინა, თვალების ნაცვლად კი ლობიოს ორი მარცვალი გამოიყენა.

ესეც შენი ევროპული სტანდარტი, გაღიზიანდა კესო. პირდაპირ სასაფლაოზე უპირებენ დაყაჩაღებას. დაყაჩაღებას არ დაეძებს, მანიაკთან არ ჰქონდეს საქმე! გასაუპატიურებლად შესაფერისი ადგილი შეურჩევია \_ სასაფლაო. რომც გასკდე ყვირილით, ვერავინ გაიგებს. წელან სანთელი იყიდა ვილაც მოხუცისგან, იმან რომც გაიგოს, რისი მშველელია, ისეთი დაფხავებული იყო, მგონი აღარც დახვდეს ცოცხალი. იგნორირება უნდა გაუკეთოს, ვითომ ვერ ხედავს.

კესომ დაჭმუჭნული ხელსახოცი სარეველებთან დააგდო და ბალახონს წაეპოტინა. რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაეცალოს აქაურობას, სანთელს სახლშიც მშვენივრად დაანთებს.

\_ ელისაბედ დარჩია, მოიხედე აქეთ, ხომ გითხარი, საქმე მაქვს მეთქი.

არ მოესმა, ნამდვილად მისი სახელი და გვარი გაჟღერდა. გვარი შეიძლება წინაპართა საფლავზე ამოიკითხა, მაგრამ სახელი? გაუხარდეს თუ ეწყინოს? პრინციპში, ადამიანი, რომელმაც შენი ვინაობა იცის, არც ისეთი საშიშია.

\_ გისმენთ.

\_ გავიცნოთ ერთმანესი, მე ლევანი მქვია, ლევან დუნდუა. \_ კაცი მუხის ჩრდილიდან გამოვიდა და საბუთი აჩვენა. ნამდვილად პოლიციელი იყო, დიდუბის რაიონის პოლიციაში უმუშავია.

\_ საიდან იცის ჩემი ვინაობა?



კუთხოვანმა ტიპმა პიჯაკის შიდა ჯიბიდან, არც მეტი, არც ნაკლები, კესოს პასპორტი ამოაცოცა.

ამის მერეც ნუ ენდობი ინტუიციას! სანამ ის (კესო) რუსთაველზე დასეირნობდა, ბინაში ვიღაც შეძვრა, საბუთი მოიპარა, დრუნჩას `გაეთამაშა,~ `ძეხორციელის~ სუნი დატოვა და წავიდა. უფრო სწორედ კუდზე დააჯდა და სასაფლაოზე მოიხელთა. მანიაკი ასე არ იქცევა. ესეც ერთგვარი შეღავათია.

\_ რას ნიშნავს ყოველივე? \_ კესო შეეცადა მშვიდი ტონალობა მიეცა ხმისთვის, მაგრამ დაჭიმული ყელიდან დიდი ვერაფერი გამოადნო.

\_ დავკდეთ, დავილაპარაკოთ. მე ჩემსას გეტყვი, შენ შენი მითხარი. კარგი შემოთავაზება მაქვს, შეიძლება ითქვას, სარფიანი. გამორიცხული არაა, სიამოვნებით დათანხმდე. \_ პოლიციელმა სახელად ლევანმა საფლავის პარაპეტზე მიუთითა.

კესო აწყვეტილი პულსის დამორჩილებას შეეცადა, ღრმად ჩაისუნთქა და დაჯდა. `კარგი შემოთავაზების~ ავტორი მის წინ ჩაიყუცა და სიგარეტს მოუკიდა.

\_ კაროჩე, მაგრად გავხარ ერთ ქალს, ისე გავხარ, რომ ჩემს ახლობელს აეროპორტში კინალამ შეეშალე.

კესოს თვალწინ დაუდგა კარლსონის ტიპის მამაკაცი მობილურით ხელში. იგივე კაცი კაფეს მახლობლად, წითელ `ვოლვოში~ იჯდა. არანაირი ოპტიკური ცდომილება. მას უთვალთვალებენ. ეს ფაქტია. ამ პოლიციელის ფორმას ამოფარებულ ბანდიტს რაღა უნდა?

\_ კინალამ არ ითვლება. \_ თქვა ხმადაბლა.

\_ რო არ ითვლებოდეს, აქ არ დაგისატკავებდი. დიდ ფულზეა ლაპარაკი. პაჩტი ორ მილიონზე. თუ ჭკუით მოიქცევი, წილშიც გაგიყვან. ჰოდა, იმას ვამბობდი... არ გამაწყვეტინო, თორემ აზრი მეტყევა.

აზროვნება და მეტყველება რამ გაყო, გაიფიქრა კესომ, მაგრამ გაჩუმება ამჯობინა. ბოროტმოქმედს უნდა აცადო ლაპარაკი, მაშინ იმაზე მეტს გეტყვის, ვიდრე გეგმაში აქვს. შეუბერე, ჯიგარო!

\_ ამ ქალმა თექვსმეტი წლის წინ დატოვა საქართველო, შეიძლება აღარცაა ცოცხლებში, იქით გზა ჰქონია, მაგრამ ხუთი წლის შვილი დარჩა, გოგო. მაიცა, შენ რამდენი წლის ხარ?

\_ ოცდაოთხის.

\_ არა უშავს, სამ წელს გაპრასტა ჩამოიკლებ. დღეს ის გოგო ოცდაერთი წლის იქნებოდა. ჰოდა, იმას ვამბობდი, დედის წასვლიდან სამი თვის თავზე ის ბავშვიც დაიკარგა და დაკარგულად ითვლება. აზრზე ხარ, მამა რა დღეში ჩავარდებოდა?! ჯერ ცოლი არ ჰყავდა მონელებული, ახლა ბავშვი. გიჟდებოდა იმ ბავშვზე, მეტი შვილი არც ჰყოლია. ეს მამა ძაან მდიდარია, ყველაფერზე წავა შვილის დასაბრუნებლად, მაყუთის ამბავში, რა... ჰოდა, ეს შვილი, ოღონდ გაზრდილი, შენ უნდა განასახიერო. სულ ორი დღის ბაზარია. ჩვენ, ჩვენ წილს ავიღებთ და ვააბზე დავტყდებით, შენ კი შენ გზაზე წახვალ.

`მდიდარ მამიკოს კი სამი თითის კომბინაცია,~ გონებაში გააგრძელა კესომ.

\_ ჰა, რას იტყვი, გოგო?

\_ მაინტერესებს, ეს მამა, ბრმა არის თუ ჭკუანაკლული? რამდენადაც მივხვდი მისი ქალიშვილი ჩვილობის ასაკში არ დაკარგულა.

\_ ანუ, ჭამს თუ არა? \_ დაეკითხა პოლიციელი. \_ ეჭვი არ შეგეპაროს, ჭამს. გოგო სახით ჩამოჰკავდა დედას, თორემ ფერები მამისა ჰქონდა. აი, შენსავით რიჟა იყო.

\_ რიჟა არ ვარ. \_ კესოს გული დაწყდა თავის ოქროსფერ კულულებზე, ამ განუვითარებელმა სუბიექტმა რომ `რიჟად~ მონათლა.

\_ ნუ, ჟანგისფერი. \_ დანებდა პოლიციელი, მაგრამ კესო სხვა რამეზე ფიქრობდა.

`ჩვენ, ჩვენ წილს ავიღებთ~ \_ თქვა წელან პოლიციელმა. რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაზე ცოტა, ორნი არიან. როგორც ჩანს, `კარლსონმა~ მობილურში გადაღებული ფოტო პოლიციელს აჩვენა, მსგავსებაზე იმსჯელეს და ფულის გამოძალვის უჩვეულო ხერხს მიაკვლიეს.

ლევანმა სიგარეტი საფლავის პარაპეტს მიაჭყლიტა და ენთუზიაზმით განაგრძო:

\_ თავს დავდებ, რომ გაზრდილიყო, ზუსტად შენს სტილში იქნებოდა. თანით ისედაც დიდი ბავშვი იყო. ძვალი და ტყავი არც შენ ხარ, თუ კარგად ითამაშებ, ბედნიერი მამა ჭამს კი არა, ანკესიანა გადაყლაპავს. მოსულა?

\_ არა, არ მოსულა. \_ კესომ წამოდგომა დააპირა, მაგრამ პოლიციელის ხელში გაჩენილმა პისტოლეტმა ადგილზე გააშეშა.

\_ შენ გგონია ცოცხალს გაგიშვებ? \_ ლევანმა სახიფათოდ დაუნია ხმას, \_ შანსი არაა. აქვე გაგტრუპავ და ხრამში მოგისვრი. ხრამი აქვეა, გზად შენიშნავდი. თვალეებზე გატყობ, შენიშნე. მოგეწონა, არა? გეთანხმები, საკმაოდ პოეტური ადგილია. ჰა, ჰა! ხვალ იპოვიან უცნობი ქალიშვილის გვამს, რომელსაც არც პასპორტი აქვს, არც პიროვნების დამადასტურებელი საბუთი. ჩაგაგდებენ საერთო საფლავში და კარგად მეყოლე... კაციშვილი ვერ გიპოვის, ვერც მკვდარს, ვერც ცოცხალს. მე კი საქმეს გთავაზობ, მაგარ საქმეს, იმ კაცსაც გაახარებ, ჩვენთვისაც ხეირია.

\_ ვისთვისაა ხეირი, შენთვის და იმ გაბერილი კარლსონისთვის, აეროპორტიდან რომ ამეკიდა? \_ ვერ მოითმინა კესომ.

ლევანმა გულიანად გადაიხარხარა და წამოდგა, თუმცა დამიზნებული პისტოლეტი ხელიდან არ გაუშვია.

\_ ის გაბერილი კარლსონი დაზარალებული მამის ძმაკაცია, იმიტომაც აგეკიდა.

\_ მაგარი ძმაკაცი ჰყოლია, თუკი ღვიძლი შვილის ნაცვლად უცნობი ქალის შეტენვა განუზრახავს, ფულის გამოძალვაზე აღარაფერს ვამბობ. \_ კესომ ქვევიდან ამოხედა.

ლევანმა სიცილი შეწყვიტა. მისი კვადრატული სახე არაფერს გამოხატავდა. მკვდარი იყო, სულგამოცლილი. რა არის უსულო ადამიანი? ქვის გოროხი, ამოძირკვეული სარეველა, მტვერი... ასეთი ყველაფერზეა წამსვლელი, მაგრამ კესო იოლად არ დანებდება.

\_ მოაშორე ეს იარაღი, მე სიკვდილის არ მეშინია.

ლევანმა პისტოლეტი ჩასწია და წინ გადმოიხარა.

\_ ციხის? \_ ჰკითხა შემპარავად.

\_ რომელი `ციხის~?

\_ ციხის არ გეშინია?

\_ ციხე რა შუაშია?

\_ თუ ჩვენი გარიგება ვერ შედგა, ამ საღამოს შენს ბინაში ჩხრეკა ჩატარდება. მინდა გითხრა, ამ ტიპის სპეცოპერაციები ჩვენში ჟურნალისტების თანხლებით ტარდება \_ კამერები, ფოტოაპარატები, მიკროფონები... კოლეგები კრიმინალური დეპარტამენტიდან პლუმის სათამაშო დათვში ნარკოტის აღმოაჩენენ, რომელიც

რუსეთის მოქალაქე ელისაბედ დარჩიამ გასაღების მიზნით დუბაიდან საქართველოში ჩამოიტანა. სამუდამო პატიმრობა არ აცდება, ტურისტო!

ამჯერად კესოს მართლა შეეშინდა. აწყვეტილი პულსაცია რა იყო

იმასთან შედარებით, რასაც ამ წუთში განიცდიდა. მისი საყვარელი დრუნჩა გაფატრეს და მუცელი ნარკოტიკით გამოუტენეს. იმიტომაც არ დახვდა მაგიდაზე... კესო კი ჰაერს ყნოსავდა და სულელური კითხვების აბრუებდა. პასპორტი ამ უსულგულო სარეველას ხელშია, და ის მართლ არ არის... ფულის სუნზე მყნოსველებიც ბლომად გამოჩნდებიან. ხელისუფლების წარმომადგენელი თუ ამდენს ბედავს, რა მოუვა დაუცველ მოქალაქეს, იგივე კესოს, რომელმაც თორმეტი წლისამ დატოვა თავისი ქვეყანა?... სამი ბოროტებიდან ერთი უნდა აირჩიოს, შედარების მისაღები (საშინელი სიტყვათაწყობაა \_ მისაღები ბოროტება). საერთო საფლაგში აღმოჩენის პერსპექტივა ნამდვილად არ შედის მის უახლოეს გეგმაში. აქ განისვენებს გვამი #... ბრრრ! ციხე ხომ საერთოდ... როგორ გააჩენს ბავშვს ციხეში? რომც გააჩინოს, ვინ გაზრდის? იმის წარმოდგენაზე, რომ მისი პატარა შეიძლება ბავშვთა თავშესაფარიი მოხვდეს, ბრაზის კბილები გააკრაჭუნა. რჩება მესამე \_ კომპრომისი. ბოლოს და ბოლოს, ორ დღეზეა ლაპარაკი. შვილის გამო ორი დღე თმაზე დაკიდულიც გაძლებს.

\_ რომ არ გადაყლაპოს? \_ უფრო თავის თავს დაეკითხა.

\_ ვინ? \_ ლევანმა დადარაჯებული გამომეტყველება მიიღო, ყურიც კი მიუშვირა.

\_ მამამ, ვისთვისაც ჩემი მისაღება გინდათ.

\_ თანახმა ხარ?

\_ მიტოვებ გამოსავალს?

\_ ნნუ!

\_ რომ არ გადაყლაპოს-მეთქი... ანკესი, სად მივდივართ? \_ გაუმეორა კესომ.

\_ გადაყლაპავს კი არა, სიხარულით კინტაურს დაუვლის. \_ ლევანმა იარაღი კობურაში შეინახა და ფამილარულ ტონზე გადავიდა. \_ რას გეძახიან, გოგო, შინაურები... ელისაბედს ხო არა?

\_ კესოს.

\_ ჰოდა, ჩემო კესო, ერთ ჭკვიანურ რამეს გეტყვი და კარგად დაიხსომე: ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომელსაც თავის მოტყუება შეუძლია. უბედური მამა აცრილია შვილის ნახვაზე. შენსავით კრასავიცა კი არა, ღრჯოლებიანი ჯოჯო რო მოუყვანო და უთხრა \_ ეგაა შენი ჩიორაო \_ დაიჭერებს. უნდა რო დაიჭეროს და იმიტომ. მოტვინე?

მართალს ამბობს ეს სარეველა. კესოს უნდოდა დაეჭერებინა, რომ მისი რჩეული ერთადერთი და განუმეორებელი იყო, და დაიჭერა. მთელი სამი წელი იტყუებდა თავს. უნდოდა და იმიტომ. რატომ \_ სხვა თემაა. რატომ მისწრაფვის პეპელა სინათლისკენ მაშინაც კი, როდესაც სინათლის წყარო ცეცხლია?

\_ მას ჩიორა ერქვა? \_ იკითხა ხმადაბლა.

\_ ნინო. ნინი. მამამისი ეძახდა ჩიორას. \_ ჩაახველა ლევანმა. \_ დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ. წამო, კარლსონი გაგაცნო, რა ხანია მანქანაში გველოდება. ის უფროა ჩახედული საქმეში, რეპეტიციასაც მასთან გაივლი.

კესო წამოდგა. როდესაც გაუპატიურება გარდუვალია, მოდუნდი და შეეცადე მიიღო მინიმალური სიამოვნება \_ გვამცნობს ინგლისური ანდაზა.

დედის სიკვდილის შემდეგ თეატრში ინერციით დადიოდა. ყოველ შემთხვევაში, ის საზეიმო განწყობა, რომელიც ამ რიტუალს დედის სიცოცხლეში ახლდა, უკვალოდ გამქრალიყო. ანდა, რა ეზეიმება წინა რიგებში ჩამომჯდარ მართოხელა მამაკაცს? რომც მოეწონოს სპექტაკლი, გაზიარების გარეშე პენს კარგავს ყველაფერი. დედამისის აღფრთოვანება ორივეს ჰყოფნიდა. არჩი, ეს კლდედამოსილი რაინდი შენს თავს მაგონებს. ~ \_ ყურში ჩასჩურჩულებდა ყურადღებიანი მშობელი. ამასაც უხაროდა, თავი ხან ღონ კიხოტად წარმოედგინა, ხან დანიის პრინცად... ასაკის მატებასთან ერთად ასოციაციური წარმოდგენები გაცვდა, გახუნდა, მუხტი დაკარგა... არჩი (ასე მხოლოდ დედა ეძახდა) საბოლოოდ ჩამოყალიბდა და სიმბოლური სახელიც დაირქვა \_ იდუმალი მგზავრი.

ზიზღნარევი მზერა მოავლო დარბაზს. საცოდავი ფეკალიები, კისერწაგრძელებულები მიჩერებიან სცენას, ლამის ორბიტიდან წამოყარონ თვალები, ის კი არ იცინა, რომ წამდვილი გმირი მათ შორის ზის. არც ეცოდინებათ, მხოლოდ რჩეულებს ძალუძთ დაიპყრონ ჭეშმარიტი სიმაღლეები. რჩეულის ტიტულის მოსაპოვებლად ის გზა უნდა განვლო, რაც იდუმალმა მგზავრმა, ის გეგმა უნდა გაგაჩნდეს, რაც მას გააჩნია...

გეგმის წარმოდგენაზე ჩაიფხუკუნა. ცოტა ხმამაღლა მოუვიდა. წინა რიგში მჯდარმა მანდილოსანმა უკმაყოფილოდ მოაბრუნა პროფილი. ბებერი კაკადუ! ამის ადგილი მაკვბოლევშია და არა თეატრში. ვერცხლისფერ ფარჩეულში ჩაკვებილა, ყურებში აღმასის ჭალები გაუყრია, დაქიშმიშებული ლოყები მაკიაჟით შეუფუთავს და თავი მოაქვს: აქაოდა, მუზების საუფლოში ვიმყოფებით. თითქოს სცენაზე ჩვეულებრივი მოკვდავების ნაცვლად ბეციურ არსებებს ხედავს. მგზავრზე უკეთ ვინ იცის `არსებების~ წამდვილი არსი. სოფიტებით განათებულ სცენაზე ცხოვრების იმიტაცია თამაშდება, წამდვილი ცხოვრება კი გულისამრევად მიწიერია, მხოლოდ რჩეულებს შეუძლიას ამალღება.

რამდენიმე წლის წინ ამ სცენაზე მისი პირველი რჩეული იდგა. მგზავრმა ის დანახვისთანავე გამოარჩია უსახო და უნიჭო კოლეგებისგან. იცნო! აი, მან კი ვერ იცნო... ვერც მაშინ, როცა მანქანაში ჩაუკდა, ვერც მერე, როცა უფრო ახლოს გაიცნეს ერთმანეთი. უყურებდა და ვერ ცნობდა, ჯერ ქედმაღლურად უყურებდა, როგორც თავადის ქალი ხელზე მოსამსახურე ბიჭს, მერე იცოცხლე, მოლბა, ბოლოს კი ხვეწნა-მუდარაზე გადავიდა \_ ოღონდ გამიშვი, მთელი ცხოვრება შენი მადლიერი ვიქნებით. მგზავრს რომ ფეხების დაკოცნა მოეთხოვა, დაუფიქრებლად დაუკოცნიდა. რჩეულისგან აღარაფერი დარჩა. სულ არაფერი! ერთი საწყალი დედაკაცი უცქერდა შიშისგან გადიდებული, საცრისხელა თვალებით. მგზავრმა ისეთი უპირატესობა იგრძნო, სიამოვნებისგან ძარღვები დაებერა. ულამაზესი მსახიობი, რომელზეც ამდენი წელი აფანატებდა, მთხოვნელის როლში მოევლინა. პოპულარობა მირაჟია, უპირატესობას შიგნიდან უნდა გრძნობდე, როგორც კარგ მუსიკას.

`ბუზო დაბლა იფრინე, ფასკუნჯს რას ეტოლები!~ გაისმა სცენიდან. ენიშნა. ამრებით შეათვალიერა ავანსცენაზე მდგარი მსახიობი

ქალი. ჰმ, ქალი კი არა, გადამწიფებული ლეღვის ხე აქა-იქ შერჩენილი სურნელოვანი ნაყოფით. ნიავის ერთი დაბერვა და ნაყოფიც მოწყდება. ბებერ `კაკადუს~ კი მოსწონს, დახე, როგორ შეუხტა ნაოჭები. ასეთებს ობიექტი მიეცი და, ციკლოპს გაიხდიან კერპად.

`არჩი, ნუ იქნები ასეთი კრიტიკული, ის ხომ შენთვის ირჯება, რომ თავი მოგაწონოს, დაგამახსოვროს...~ თავი შეახსენა დედამ. დედა მუდამ გვერდით იყო, ფიქრსაც კი უკონტროლებდა. არჩის მოსწონდა კონტროლქვეშ ყოფნა, აკი დაუბარა სიკვდილის წინ: ყოველთვის შენ გვერდით მიგულეო. დედა არასოდეს ისროდა სიტყვას ბანზე, იმან კი,

რჩეულმა, მიატოვა, დააღალატა... ეს მაშინ, როდესაც მგზავრმა სანუკვარი ოცნება აუსრულა.

თვალწინ პირველი რჩეულის ჩაშავებული უბეები დაუდგა. რატომღაც ეს უბეები ჩაებეჭდა გონებაში – რკალისებურად დარგოლილი, შემუშებული, ღარებში ჩამჯდარი მინით. გუძრავ თვალელებში მისი განაჩენი ეწერა. მგზავრი არ ელოდა ასეთ დასასრულს, უბრალოდ ვერ წარმოედგინა, რომ ადამიანმა შეიძლება უარი თქვას საკუთარ ბედნიერებაზე. არადა იყო შანსი, იმან კი არ მოიცადა, არ შეისმინა, არ დაუჯერა, იჩქარა. საცოდავი ფეკალია გამოდგა, ყველასნაირი.

რაც მოხდა, მოხდა. მგზავრმა კარგა ხანია მოინელა მაშინდელი მარცხი, მაგრამ უშიშროებას არ ასვენებს გამჩენი. მაინცდამაინც ახლა მოუნდათ ბანკირის ჩაძირვა!

სცენაზე დიდი ვნებათაღელვა ტრიალებდა. ქალი-ლელვი სადღაც გამქრალიყო, მის ადგილზე ხელჯოხიანი მოხუცი და ქოლგიანი ახალგაზრდა ხმალობდა. ხალხი იცინოდა. მგზავრმაც ღიმილში გაჭიმა ტუჩები. მიეჩვია ორმაგ ცხოვრებას. ის კი არა, სამსახურში სასურველ სასიძოდ ითვლება. ბულაღტერი დიანა ერთი წელია კურტუმოს უთამაშებს, ხან თავისი ნახელავი ნამცხვრით უმასპინძლდება, ხან ყავას მოაცუნცულებს. მგზავრს სასაცილოდ არ ყოფნის ასაკშეპარული ქალწულის მიაძიტი შემოტევა. ეგლა აკლია დიანასთან ტრივიალური არსება გახდეს მისი შვილის დედა?! შვილზე მგზავრი დიდ იმედებს ამყარებდა.

სპექტაკლი დამთავრდა. მან სხვებთან ერთად დაუკრა ტაში, `ბრაგოც~ შემოსძახა და გასასვლელისკენ უტია. ვერ უშველა კულტურულ ღონისძიებაზე დასწრებამ, შინაგან ფორიაქს ჰყავდა შეპყრობილი. გარეთ ამინდიც განწყობის შესაფერისი დახვდა. წვრილი წვიმა. რაც იმას ნიშნავს, რომ მთვარესთან შერწყმის რიტუალი გადაიდო.

მანქანა დაქოქა და სანაპიროს გაუყვა. წვიმა სიჩქარეს იკრეფდა. მარტოხელა ბანკირი ალბათ სახლში ზის და ფულებს ითვლის. შეიძლება არც ითვლის, წვიმას გაჰყურებს და დღესაც ელოდება გაქცეული ცოლის გზავნილს.

ღირს შემონმება. ამიერიდან საქმის კურსში ყოფნა მართებს.

ბანკირი ვეძისში ცხოვრობდა. თექვსმეტი წლის წინ ამ ადგილზე ერთი უსახური კერძო სახლი იდგა, მაშინდელი სტანდარტის შესაფერისი – შუშაბანდით, ვინრო ფანჯრებით, თუნუქის სახურავით. ეზოში ხეხილი ყვაოდა, კიბის გაყოლებამზე – ჩინური ვარდები. გამდიდრებულმა ბანკირმა ძველი სახლის ადგილზე მდიდრული ვილა წამოჭიმა, ხეხილი მოჭრა, ვარდები კი დატოვა.

მგზავრი თვალებით დააკვდა განათებულ ფანჯარას მეორე სართულზე. შუქი მალევე ჩაქრა და ახლა პირველ სართულზე აინთო. იმავე წამს საპარადო კარიდან ჩასუქებული მამაკაცი გამოვიდა. უკან მოჰყვებოდა ბანკირიც – პოლარული დათვივით დიდი და მოუქნელი. მასთან შედარებით მგზავრი ნამდვილი ბრიუს ლია. ნავარჯიშევი სხეულიც დედის დამსახურებაა. თავის მხრივ, შვილის სპორტით დატვირთვა დედას ფსიქიატრმა ურჩია – უსაფუძვლო ფანტაზიების დაძლევაში დაეხმარებაო. გულუბრყვილო ესკულაპე! მისია და ფანტაზია ვერ გაურჩევია! მასთან არც ღირდა დისკუსიაში შესვლა, რაც უფრო გაიხსნებოდა, მით მეტი წამლებით დაბობმბავდა. ის წამლებიც დედის ხათრით დალია, მაშინ ნორჩი ყმანვილი იყო, ორმხრივი ზეწოლის ქვეშ მოექცა და დანებდა. თუმცა სპორტზე იარა, თავიდან უხალისოდ, მერე და მერე მზარდი ენთუზიაზმით. მისიის სისრულეში მოყვანას ჯანმრთელი ორგანიზმი სჭირდებოდა. ყოველდღიურმა ვარჯიშმა შედეგი გამოიღო – სხეული მკვრივი გაუხდა, მიხვრა-მოხვრა სხარტი. მომავალ რჩეულზე არა მხოლოდ სიტყვით, სხეულითაც უნდა მოეხდინა შთაბეჭდილება. ის არ იქნება უწინდელივით სულსწრაფი და აგრესიული, პირველმა ჩავარდნამ მოთმინება ასწავლა. ახლა მთავარი ამოცანა ნამდვილი რჩეულის მოძიებაა.

ბანკირი სახლში შებრუნდა. კარიბჭე გაიღო და ეზოდან წითელი `ვოლვო~ გამოსრიალდა. ლამპიონის შუქმა საჭესთან მჯდარი მამაკაცი გაანათა. მგზავრმა ელდარ დუნდუა იცნო. ეს პირფერული იერსახის სუბიექტი უნინაც ტრიალებდა უგრეხელიძეების ოჯახის სიახლოვეს. ეტყობა ახლობელია.

`ვოლვო~ დაღმართზე დაეშვა და წვიმაში გაუჩინარდა. მგზავრმა თვალი გააყოლა.

---

გოგა სვიმონიშვილი ერბოკვერცხის სუნმა გამოაღვიძა. სუნი მეზობელი ბინიდან შემოდრიოდა, იქ, სადაც გოგას დიდი ოჯახი ცხოვრობდა \_ დედა, მამა, და, სიძე, დისშვილები. მის ერთოსახიანსა და მშობლების სამიანს ქუხის მხრიდან ზიარი აივანი აკავშირებდა \_ ერთმანეთთან მისასვლელი უმოკლესი გზა.

ცხრას აკლდა ოცი წუთი. დედა შვილიშვილებს ბაღში გაისტუმრებს და მისთვისაც მოიცლის. საუზმეს აივნის გავლით შემოიტანს, ტახტის კუთხეში ჩამოჯდება და შვილის ცქერით დატკბება. უფროსი ქალიშვილის მიმართ, მსგავს სინაბეში დედა არ იყო შემჩნეული. პირიქით, კიცხავდა კიდევ: მარინა, მადას თუ არ მოთოკავ, მალე დამენევი და ერთ სახლში ორი ძროხა ვიქნებითო. მარინა არ იმხნევდა, ჭამაც უყვარდა და კეთებაც. სამსახურში რეცეპტი არ გაშრიალდებოდა მარინას მონაწილეობის გარეშე, სახლში კი ექსპერიმენტებს ატარებდა. თითო ექსპერიმენტი ოჯახის წევრებს ლამის თითო კილოგრამის ფასად უჯდებოდათ. მართო გოგა არ სუქდებოდა, სიდედრთან ცხოვრებამ შაგრენის ტყავივით შეუკუმშა კუჭი.

დედებს ბიჭებზე აქვს გართულება, გოგა ბიჭი იყო, თანაც პრაქტიკულად ცოლს გამოვრებული. ეცოდებოდა. განქორწინების გადაწყვეტილება გოგამ ახლახანს მიიღო, თუმცა ექვსი წელი მნიფდებოდა. არა, ექვსი ბევრია. პირველი ორი წელი სიყვარულით იყო დარეტიანებული, ირგვლივ ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა. ცოლს პოეტური სახელი ერქვა \_ თამუნია. გარეგნობაც შესაფერისი ჰქონდა \_ თხელი, სიფრიფანა, დიდრონი მწვანე თვალებით. თამუნიას უყვარდა დილის ძილი, ბალადების შეთხზვა, სენტიმენტალური რომანების კითხვა. ისეთი ნაზი იყო, ისეთი უმწეო, გამუდმებულ მოვლას საჭიროებდა. თავდაპირველად გოგას მოსწონდა თავდადებული რაინდის ამპლუა \_ ბაზარში დარბოდა, საცვლებს ირეცხავდა, შარვალს იუთოვებდა... აბა, მზეთუნახავ ცოლს ხომ არ შეჰკადრებდა უთოს დაჭერას? თამუნია ქრონიკულ სისუსტეს განიცდიდა, კვნესით იწყებოდა დილა, კვნესით მთავრდებოდა ღამე. ხან შაკიკი ანუხებდა, ხან ბურგის ტკივილი, ხან დეპრესია შემოუტევდა. გოგას კი სამსახური ჰქონდა, ცოლს მომვლელად ვერ ჩამოუჯდებოდა მშვერავობაზე მომართული კაცი. ამ მიზეზით დათანხმდა სიდედრთან გადაბარებას \_ დედა უკეთ მიხედავს დიასახლისობას მიუჩვეველ ქალიშვილსო.

სინამდვილეში პირიქით მოხდა. დედა, ანუ სიდედრი, აქეთ აღმოჩნდა მოსავლელი. ასე რომ, გოგას ერთის ნაცვლად ორი თამუნია შერჩა. ერთი ახალგაზრდა, მეორე ზრდასრული, და აქედან გამომდინარე, გაცილებით რთული ასატანი. დღე არ გავიდოდა, ცოლს სამსახურში არ დაერეკა: `დედას წნევამ აუნია, აფთიაქში გავლა არ დაგავინყდეს, ~ `დედას რადიკულიტი აქვს, მალამო წამოაყოლე~... პური რომ პურია, ისიც გოგას მოსატანი იყო. ესეც ეზიდებოდა, თუმცა დაღმავალი ენთუზიაზმით. გაღიზიანება წვეთ-წვეთად გროვდებოდა და ნელნელა ურეცხავდა ეიფორიით მონამლულ ტვინს.

გოგა შოკში ჩავარდა, როდესაც გაიგო, რომ თამუნია შვილის გაჩენას არ აპირებს. საკითხი ასე იდგა: ან ბავშვი, ან მისი ჯანმრთელობა. უგულო მონსტრი უნდა ყოფილიყო, არარსებულ შვილზე გაეკეთებინა ფსონი, როცა ცოცხალი ცოლი ლამის ხელში უკვდებოდა.

ნლები გადიოდა, წვეთი გუბედ იქცა, წარღვნა ახლოვდებოდა. თამუნია კი უწინდებურად განაგრძობდა მომაკვდავი გედის თამაშს. სინამდვილეში, არც ისე ცუდად ჰქონდა საქმე (ამ ხნის მანძილზე ავადმყოფი ან მოკვდებოდა, ან მორჩებოდა), უბრალოდ, ეს იყო მისი ცხოვრების სტილი, სულაც დედა-შვილის ერთობლივი ძალისხმევით შემუშავებული სტრატეგია, სადაც გოგას ოფიციალური დონორის როლი ჰქონდა გამოყოფილი. რომანტიკული თამუნია ელემენტალური უსაქმური გამოდგა, წიგნებსა და სუსტ ჯანმრთელობას ამოფარებული პარაზიტი, რომლის მთავარი დანიშნულება ქმრის გახედვნა ყოფილა. აბა, იმას როგორ წარმოიდგენდა, რომ გახედნილი `მერანი~ ერთ მშვენიერ დღეს ტლინკებს აყრიდა და საჭინბოს დატოვებას მოინდომებდა.

გოგას გადაწყვეტილება გაყრის შესახებ იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, თამუნია იფიქრა, ხუმრობსო. არადა, ჩემოდანი მზად იყო, ბარგი ჩალაგებული, მატერიალური უზრუნველყოფის პირობა \_ მიცემული. სხვა რა უნდოდა თამუნიას? თურმე უნდოდა. ქმარი უყვარდა, მის გარეშე ერთ დღესაც ვერ გაძლებდა, თავს მოიკლავდა... მოკლედ, ნავიდა ქალური შანტაჟის ბანალური სერიალები.

გოგას გადაწყვეტილება არ შეუცვლია. არც სინანული ანუხებდა, არც მონატრება, არც სინდისი. უკვირდა კიდევ, რამ გააძლებინა ამ ფარისეველ ქალებთან მთელი ექვსი წელი.

ერბოკვერცხის სუნი ახლოვდებოდა. აი, გაისმა ნაბიჯების ხმა. აივნის კარის სახელური ჩაიწია და ოთახში ლანგრით ხელში გოგას დედამ შემოაბიჯა. დედა თავის გვარს ამართლებდა \_ კაკაბაძე. კაკაბივით პატარა თავი და ფუმფულა, ხორციანი ტანი ჰქონდა. ერქვა ლალი.

გოგა ნეტარებით გაიზმორა. რა ბედნიერებაა დედის მზრუნველობით აღსავსე მზერის ქვეშ ჭამა, და არა მედიდური სიდედრისა და წუნუნა ცოლის გარემოცვაში. ადრე ამაზე არ უფიქრია. თურმე სიდედრთან ცხოვრება უნდა მოგისაჯონ, დედის მირთმეული რომ დააფასო. პრინციპში, გააჩნია სიდედრს, ლალი ასეთივე ენთუზიაზმით ემსახურებოდა ჩასიძებულ თემოსაც, თუმცა არანაკლები ენთუზიაზმით აკრიტიკებდა ხოლმე, ვიდრე მარინა არ მოსვამდა ადგილზე.

\_ ადგები თუ ლოგინში მიირთმევ?

\_ ლოგინში. \_ გოგამ ბალიში გაასწორა და დედას ლანგარი ჩამოართვა.

ერბო-კვერცხი, ლორი, არაჟანი, შებრანული პური, ჩაი... \_ სამუშაო დღის დასაწყებად ნოყიერი საუზმეზე საუკეთესო სტიმულატორია.

\_ დე, როგორ გგონია, კვერცხი უფრო ადრე გაჩნდა თუ ქათამი?

\_ კვერცხი ალბათ. \_ დედა უკვე იჯდა ტახტის კუთხეში და გაბადრული შესცქეროდა.

\_ ვინ დადო კვერცხი?

\_ ქათამმა.

\_ ქათამი როგორ გაჩნდებოდა კვერცხის გარეშე?

\_ რას შემინდი, ბიჭო, შაირობის განწყობაზე ვარ ამ დილაუთენია?

გოგა კი იყო. ოჯახის წევრი იმისთვისაა, ხანდახან სისულელეებზეც ელაპარაკო. ყოველთვის ვერ იქნები სამსახურში დამკვიდრებული იმიჯის მძევალი \_ სიტყვაძენნი, უმიშარი, პრინციპული... ამოვიდა ყელში.

\_ ლორი გასინჯე, შვილო, მამაშენის გამოყვანილია.

\_ მამა სულ გადასახლდა სოფელში?

\_ სხვა რა გზა აქვს, მუშაობა მოენატრა. გახვალ პენსიაში და მიხვდები, რას ნიშნავს სახლში უსაქმურად ჯდომა. სოფელში ერთობა, იქ მინას გაჩიჩქნის, იქ ვენახს შენამლავს... წელს ვაშლსაც კარგად ასხია, ყიდვა არ დაგვჭირდება. ბავშვებს რა ვუყო, თორემ მეც სიამოვნებით წავიდოდი. ამ ზაფხულს ორი გოჭის ყიდვას აპირებს, თუ შენვდა. \_ დაამატა შეფარვით და ვედრებით ალაპყრო თვალები.

\_ ჩემზე იყოს გოჭები. \_ მიხვდა გოგა.

\_ შენი იმედი მაქვს, შვილო, აბა, თემო თუ ნაჰკრავს ხელს, მართო ჭამაშია ყოჩალი. \_ სიდედრული გაუშვა ლალიმ.

\_ რას ერჩი იმ კაცს, რასაც შოულობს, ოჯახს ახმარს.

\_ მაგის კაპიკები ეყოფა ოჯახს?! კაცი არაა, მიდგეს-მოდგეს, დამატებითი სამუშაო მოიძიოს.

\_ კაი, რა, დე...

\_ ბოთეა. კეთილი ბოსე. მალიზიანებს.

გოგას სიძე არ აღიზიანებდა. თემოს არ ჰქონდა ამბიციაც ჰქონოდა იმაზე მეტი, ვიდრე რიგით გეოდეზიტს \_ მოჭრილი ხელფასი და კვარტალური პრემია. არც ცოლი უკიჟინებდა: გინდა თუ არა, მოდექ-მოდექი და ბიზნესი წამოიწყეო. ან რა ბიზნესმენი უნდა დამდგარიყო ფლოსტებში ფეხებწაყოფილი თემოსგან, რომელსაც სიმამრთან ჭადრაკის პარტიის გარჩევას ქვეყნად არაფერი ერჩია.

\_ წარმოიდგინე, რომ შენი შვილია. \_ ურჩია გოგამ და დაბრანული პური კვერცხში ჩააწო.

\_ რომელი ერთი წარმოვიდგინო \_ თემო, ბავშვები, მამაშენი... დავიღალე, იცი?!

\_ კაი, ერთი, თუ ასე დაიღალე, გაუშვი თავისთვის, სახლიც აქვთ და კარიც. გამოტყდი, შენ თვითონ ვერ ელევი.

\_ ბავშვებს ვერ ველევი, თორემ...

\_ ნუ იმართლებ თავს. ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. ანუ კარგად. ნეტავ ყველას შენსავით ბუნწულა სიძე ჰყავდეს!

\_ შენ... შენ როგორი სიძე ხარ, გენაცვალოს, დედა? \_ მორიდებულად დაეკითხა ლალი.

\_ ვიყავი.

\_ მართლა ასე სერიოზულადაა საქმე?

\_ ჰო.

გოგამ ნეტარებით გაღეჭა ლორის მოვარდისფრო ნაჭერი. ცოლეულის ოჯახში საუბრე ჭვავის ფაფით იწყებდა. სასარგებლოა, მაგრამ საშინლად მომაბეზრებელი. ტვინის გასტრიტს იწვევს. ჯანი გავარდეს, სამ გოჭს უყიდის მამამისს, სულაც, ოთხს...

ლორიან-გოჭიანი ფიქრები მობილურის ბარმა შეაწყვეტინა. ეკრანს დახედა.

`ეჰ, თამუნია, თამუნია...~

გუშინ (და არა მხოლოდ) გასაგებად აუხსნა, რომ არ სურს ურთიერთობის განახლება. იმას კი არ სჯერა, ვერ წარმოუდგენია \_ როგორ შეიძლება მობეზრდეს ნორმალურ მამაკაცს ანგელოზივით ცოლი?! გინდა თუ არა, ნამდვილი მიზეზი მითხარო. არა, რა, თუ იმთავითვე უტვინო ხარ, ვერც ბალაღების შეთხზვა გიშველის, ვერც წიგნების კითხვა. შექსპირის სონეტებში არ წერია, რომ სამსახურიდან მოსული ქმარი უნდა დააპურო,



გვერდით მიუჯდე და დღის ამბები გამოჰკითხო, და არა დედაშენის ქრონიკულ დაავადებებზე ლაპარაკით გაულაყო ტვინი.

მობილური გათიშა და ჭამა განაგრძო.

\_ ის იყო? \_ მიხვდა დედა.

გოგამ თავი დაუქნია.

\_ რატომ არ გაეპასუხე?

გოგამ მხრები აიჩეჩა.

\_ გყავს ვინმე?

\_ კი.

\_ ვინ? \_ დედამ გვერდულად შეხედა და კიდევ უფრო დაემგავსა კაკაბს.

\_ სამსახური.

\_ კაი, ერთი!

\_ ჰო, ასეა. ყველა ქალი ვერ გაუძლებს ჩემს რეჟიმს.

\_ თამუნია უძლებდა.

\_ ვინ ვის უძლებდა, საკითხავია. \_ გოგამ პირი შეინძინდა და ნასიამოვნები გადანვა ბალიშზე.

დედა მკვირცხლად წამოხტა, ლანგარი ჩამოართვა და ლოგინთან შედგა:

\_ არაფერი მესმის.

\_ დე, მეჩქარება. დიდი მადლობა.

\_ ცისფერი პერანგი გაგიუთოვე, შენ რომ გიყვარს. მოგანოლო?

\_ მე თვითონ.

\_ გინდა თემოს და მარინას აქეთ გადმოვიყვან, შენ კი ჩვენთან გადმოდი, უფრო კარგად მოგივლიდი.

\_ არ მინდა.

\_ რატომ?

\_ ყველაფერი კარგი ზომიერად.

\_ რა გამოდის, სიძე იმხელა ბინაში ვაპარაპაშო, ერთადერთი ბიჭი კი ერთოთახიანისთვის გავიმეტო?

\_ სიძეს, `ბიჭისგან~ განსხვავებით, ცოლი და ორი მცირეწლოვანი ტყუპი ჰყავს, რომლებზეც ლალი ბებიას მზე და მთვარე ამოსდის. \_ გოგამ შარვალი ამოიცვა და წინდების ასაღებად დაიხარა. \_ ამას დაუმატე ფხუკიანი მამაჩემი, რომელიც შემოდგმაზე შებოლილი ღორებით გამოცხადდება, ბავშვების ჟივილ-ხივილი... სად მაქვს თქვენი ნერვები, კიდევ კარგად გიძლებთ პატივცემული თეიმურაზი.

\_ თუ ვერ გვიძლებს, წაბრძანდეს თავის სახლში! \_ აიფოფრა დედა-კაკაბი.

\_ მიყვება რო, შენი ქალიშვილი?

\_ მაინც, არ გამოდის ლამაზად...

\_ ლალიკო, შემარგე რა ეს საწყალი ერთოთახიანი, ძლივს სახლში მოსვლა მიხარია.

\_ მართლა? \_ დედამ არ იცოდა, გახარებოდა თუ წყენოდა.

ვიდრე ის ორჭოფლობდა, გოგამ ლოყაზე აკოცა და აივნისკენ უბიძგა.

---

განსაკუთრებულ საქმეთა ქვედანაყოფი დილის თათბირზე შეიკრიბა. შეფი ვერ იყო გუნებაზე, იდაყვები მაგიდაზე მიეჭინა და წარბქვეიდან ზვერაავდა კოლეგებს. მზერა გოგაზე შეაჩერა:

\_ მოგახსენებთ: ბესარიონ ჩაჩხიანის ანგარიშზე უკვე ჩაირიცხა სოლიდური თანხა. სინქარე გვმართებს. შენთვის სპეციალური მიკროავტობუსი გამოვყავი \_ საბორტო კომპიუტერით, გადამცემით... გარედან რძის პროდუქტების სლოგანი ექნება, კონსპირაციისთვის.

\_ ოცდაათხი საათი სახლთან ყურყურს, ბანკირის კუთვნილ მანქანაზე გადამცემის დაყენება სჯობს. ჰმუდმივად თვალთახედვის არეში გვეყოლება. \_ შესთავაზა გოგამ.

\_ ოცდაათხი საათი არ მოგიწევს. სამსახური აქვს იმ კაცს, სახლში კი არ არის წამოკოტრიალებული. ისე, გადამცემის დაყენება არაა ცუდი იდეა, მოახერხებ?

\_ შევეცდები.

\_ ე. ი. დააყენებ. \_ გადანყვიტა ანზორმა და შუბლი გაშალა. \_ ბესარიონის პარტიის პარპაში დროზე თუ არ აღიკვეთა, ბაცილასავით მოედებიან რეგიონებს. მერე მეყოლებე...

\_ ვარდივით. \_ გააგრძელა გოგამ.

\_ გოგა... \_ ანზორმა გაფრთხილების ნიშნად გოგას თითი დაუქნია.

\_ არც ისეთი ბუაა ეგ ბესარიონი, ერთი ჩვეულებრივი დაბოლების დიდოსტატია.

\_ ამიტომაც უნდა მივიღოთ პრევენციული ზომები. სოფლის ხალხი გულუბრყვილოა, ვინც უფრო ეფექტურად შეფუთულ ტყუილს შესთავაზებს, იმას დაუჯერებს.

\_ სოფლელების არ გამკვირვებია, ნოდარ უგრეხელიძეს რაში სჭირდება ჩაჩხიანის აღზევება? \_ დაინტერესდა ვეფხვია.

\_ კრიშა ჭირდება. თავისი ხალხი პარლამენტში.

\_ მერე, დაკრიშონ ჩვენებმა, ნოდარისთანა მსუყე ლუკმას რატომ უშვებენ ხელიდან?

\_ კონტრაში არიან. თავის დროზე ნოდარმა საარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზე უარი ტკიცა და ესენიც გაიბუტნენ. \_ ანზორმა პაუზა გააკეთა და უცებ აყვირდა. \_ ეგ არ არის ჩვენი საქმე, ჩვენი საქმე ბრძანების შესრულებაა.

გოგამ, როგორც ყოველთვის, პირველმა გამოთქვა თათბირის დატოვების სურვილი.

\_ სად მიდიხარ? \_ ანზორმა ისევ შეკრა წარბი.

\_ ჩვენი საქმე ბრძანების შესრულებაა. \_ პერიფრაზი გააკეთა გოგამ და უკანმოუხედავად გავიდა კაბინეტიდან.

`თავში აუვარდა~, გაიფიქრა ანზორმა.

`ეს ბიჭი შორს წავა~, გაიფიქრა ივანემ.

„შტირლიცს ბაძავს~, გაიფიქრა ვეფხიამ.

მაიორი სვიმონიშვილი მართლაც რომ ობერ შტურმან ფიურერის შემართებით მიუყვებოდა ცარიელ დერეფანს. ესეის ფორმა არ ეცვა (არც მაიორის), მაგრამ მარცხენა გვერდს პისტოლეტიანი კობურა უთბობდა. კობურას მხოლოდ ღამით იხსნიდა, თვალთახედვის არეში რომ ჰქონოდა, როგორც მობილური ტელეფონი. გზადაგზა დილით გათიშული მობილური ჩართო, „უგრაბანკში~ დარეკა \_ ობიექტის კოორდინატების დასადგენად.

ნოდარ უგრეხელიძის პომპეზური სახლი გუმანით იცნო. ყოველ შემთხვევაში, მისამართი გადაამოწმა. არ შემცდარა. მობათქაშებული თალები, ლომის თავები კარნიზებზე, მარმარილოს რიკულები... ალ კაპონეს გემოვნების შესაფერისი მარაბში.

მიკროავტობუსი ყრუ კედელთან შეაჩერა და მტრულად მიაჩერდა ტოტებგაშლილ ჭადრებს. პირდაპირ ალერგიის წყაროს ძირში მოუნევს დაბანაკება, მაგრამ კონსპირაციის თვალსაზრისით უკეთესი ადგილი ამ ქუჩაზე არ მოიძებნება. მანქანა ხის ჩრდილშია მოქცეული, რამდენიმე მეტრში სასურსათო მაღაზიაა...

ნოდარ უგრეხელიძე ისე მოულოდნელად გამოჩნდა აივანზე, გოგამ სიჩქარის ამონევა ძლივს მოასწრო. ბანკირი როხროხათა კატეგორიაში გადიოდა, ხმაც გაბარიტების შესაფერისი ჰქონდა, შორიდანაც ისმოდა, როგორ ბუბუნებდა მობილურზე. შინაარსი არ ისმოდა, მაგრამ ცალკეული სიტყვები გოგას ყურამდეც აღწევდა.

ობიექტი მოულოდნელად დადუმდა. მობილური შეინახა, სახეზე ხელები აიფარა და გაირინდა. საინტერესოა, რა გამომეტყველება იმალება ამ ტორების მიღმა? სასიხარულო თუ ტრაგიკული? გოგა ბინოკლის ასაღებად დაიხარა, როცა თავი ასწია, ადრესატი აღარ დახვდა აივანზე.

ბინოკლის დადება ვერ მოასწრო, რომ ბანკირის სახლის გაღავანთან

წითელმა „ვოლვომ~ დაამუხუჭა. მანქანიდან სამნი გადმოვიდნენ. ორი მამაკაცი \_ ასაკოვანი და შედარებით ახალგაზრდა \_ მუქი სათვალით. ერთიც ქალიშვილი. ასაკოვანში, გოგამ ელდარ დუნდუა იცნო. სხვებს პირველად ხედავდა.

ქალიშვილი ტროტუარზე შედგა, უცნაური, თითქოს შენელებული მოძრაობით გადაინია ყურებზე ბრინჯაოსფერი კულულები და ქუჩის მხარეს გაიხედა. გოგამ ციფრული ფოტოაპარატი მოიმარჯვა. შეყოვნებულ ქალიშვილს კაცებმა ხელმკლავი გაუკეთეს და მსუბუქად უბიძგეს სახლისკენ. ქალიშვილი მიჰყვებოდა, მაგრამ გოგა თავს დადებდა, რომ ფეხები უკან რჩებოდა. კარიბჭესთან არმისული კიდევ ერთხელ შეყოვნდნენ. ხან ელდარი ლაპარაკობდა, ხანაც სათვალისანი. ელდარი მშვიდად, დაყვავევით; სათვალისანი \_ ემოციურად, აქტიური ჟესტიკულაციით. ქალიშვილი თავჩაქინდრული უსმენდა. ეტყობა რაღაცაზე შეთანხმდნენ, რადგან სათვალისანმა ბარი დარეკა და ქალიშვილს მხარზე ხელი დაადო. ის უსიამოვნოდ შეიმშენა, მხარი გაითავისუფლა და ისევ მოიხედა.

„ჩხაკ-ჩხაკ...~ \_ აჩხაკუნდა გოგას ფოტოაპარატი.

ამასობაში კარიბჭე ავტომატურად გაიღო. უცნაურმა სამეულმა ებოში შეაბიჯა.

გოგა მიკროავტობუსიდან ჩამოხტა და ებოს დასაზვერად გაიქცა. კარიბჭის ცხაურებიდან პატარა ფრაგმენტი დაინახა: გამხდარი, თეთრთმიანი ქალი, სავარაუდოდ, ჟანა ტერ არუთინოვა, ქალიშვილს ჩაეხუტა და თავშეკავებული ქვითინით შეუძღვა სახლში. ელდარ დუნდუამ და სათვალისანმა შეთქმულებივით გადახედეს ერთმანეთს და უკან გაჰყვნენ.

მანქანაში ჩაჯდომისთანავე გოგამ კაბელი მოიძია, ციფრული

ფოტოაპარატი საბოროტო კომპიუტერს მიუერთა და გადაღებული მასალა ეკრანზე გადმოიტანა. ბრინჯაოსფერი ქალიშვილის სახე კვადრატში მოაქცია, გაადიდა, ფოკუსი გაასწორა და მიხვდა \_ ინტუიციამ არ მოატყუა \_ ქალიშვილს რაღაც უჭირდა. ასეთი სასწრაფო ვითარება გამომეტყველებით სტუმრად არ დადიან. მეორე მხრივ, არც მძევალს ჰგავდა, გაქცევა თუ უნდოდა, ქუჩაში არ იყო? ან დაიყვირებდა, ან გაუძალიანდებოდა...

ფოტო ისევ თავის ზომამდე დააყენა. არაფერი განსაკუთრებული. ახალგაზრდა, ემხიანი ქალი ქუჩისკენ იცქირება. ბევრი თუ უჩხიკინე, ყველა ადამიანში შეიძლება ემოციური დეფექტის პოვნა.

სათვალისწინო მონიშნა. არაფერი განსაკუთრებული, გარდა ცინიკურად მოღლატუნე ღრანჭისა. ფოტო კრიმინალური სამსახურის ძებნილთა ბაზაში გადაამისამართა და აცემციმებულ მობილურს დასწვდა. ოთხი შემოსული ზარი და ოთხივე თამუნიაგან. სხვა გზა არაა, უნდა გაეპასუხოს.

\_ რატომ არ იღებდი ყურმილს? \_ მისუსტებული ხმის დაინყო ცოლყოფილმა.

\_ არ გამიგია.

\_ გასული იყავი?

\_ ჰო. საქმე გაქვს?

\_ ისე, მოკითხვა მინდოდა.

\_ მეტიმეტად ირჯები.

\_ უსათუოდ გინდა გული მატკინო? \_ თამუნიას ხმაში მტირალა ნოტი გაჟღერდა. ამ ნოტის ატანა გოგას არ ჰქონდა.

\_ თამუნი, დიდი მადლობა მოკითხვისთვის, მაგრამ ახლა არ მცალია.

\_ როდის მოიცლი?

\_ რა გინდა?

\_ მინდა გულახდილად მიაგებო შენი პრეტენზიების შესახებ, ჩემი მხრივ, შევეცდები გავითვალისწინო. იქნებ მართლა შეცდომა დავუვიცი, იქნებ რაღაცის გადარჩენა შეიძლება?... ასე, ერთი ხელის მოსმით, როგორ შეიძლება ოჯახის დანგრევა, ჩვენ ხომ ხმამაღალი სიტყვაც არ გვიკადრებია ერთმანეთისთვის?!

\_ რა გვჭირს `გადასარჩენი?~ დარწმუნებული ვარ, ჩემზე უკეთეს მამაკაცს შეხვდები, რომელიც დაგაფასებს, ეყვარები. მე არ ვარ შენი სიყვარულის ღირსი. \_ ამჭერმეტყველდა გოგა და საკუთარ თავზე გაეცინა.

\_ მე უკეთესად ვიცი, ვინ-რისი ღირსია!

\_ რა ვქნათ ახლა, დავდგეთ და ვამტკიცოთ ვინ-რისი ღირსია? მერამდენედ ვღუჭავთ ერთსა და იგივეს, არ მოგებზრდა?

\_ შენ ალბათ ნაწყენი ხარ, რომ შვილი არ გაგიჩინე...

გოგამ არაფერი უპასუხა. პრინციპში, არც უმაგისობაა.

\_ გინდა გაგიჩენ? \_ მოულოდნელად ჰკითხა თამუნია.

\_ აკი ფეხმძიმობა ჩემს ჯანმრთელობაზე აისახებაო?

\_ მზად ვარ მსხვერპლი გავიღო! \_ პათოსით შესძახა თამუნია.

\_ არავითარი მსხვერპლი! \_ უკან დაიხია გოგამ, \_ შვილს პირველ რიგში დედა სჭირდება.

\_ დედაჩემმა მითხრა, როგორც შემძლია დაგეხმარები ბავშვის აღზრდაშიო.

აჰა, დაფაცურდნენ ქალბატონები, დონორი ეცლებათ ხელიდან! დაეხმარება, როგორ არა, აქეთ არის მისახედი თავისი ქრონიკული რადიკულიტით.

\_ რას იტყვი? \_ ხმა მიაწვდინა თამუნია. \_ მგონი ერთხელაც უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. დავილაპარაკოთ, ავწონ-დავწონოთ. წარმოიდგინე, გოგო რომ გაგიჩინო... კიდევ ერთი თამუნია, ოღონდ პანანკინტელა.

გოგას გული გადაუქანდა. სამი თამუნია ერთ ოჯახში მეტისმეტია. ორს ძლივს გაექცა, ესენი კი უკვე მესამეთი აშანტაჟებენ. არდაბადებული ბავშვით ვაჭრობენ, რომ დაიბადება და წამოიჩიტება, მერე რაღას იზამენ?!

\_ თამუნია, \_ დაიწყო გოგამ, მაგრამ ვერ დაასრულა. კარიბჭეში ელდარი და სათვალისანი გამოჩნდნენ. ისეთი კმაყოფილი სახეებით, თითქოს ეს-ესაა მნიშვნელოვან დოკუმენტს მოაწერეს ხელი.

\_ გადმოგიჩვენებ. \_ ესროლა ცოლყოფილს და მობილური გათიშა.

---

სამდლიან ტრენინგს უშედეგოდ არ ჩაუვლია. პირველი გამოცდა კესომ ხუთიანზე ჩააბარა, დასვენების ნებართვა ითხოვა და ე. წ. თავის ოთახში განმარტოვდა. ამ სახლში ყველა და ყველაფერი ეგრეთ წოდებული იყო \_ მამა, ძიძა, თავად კესო...

`მინიმუმ ორი დღე გაუძელი და თავისუფალი ხარ~, დაჰპირდა ელდარი. `თუ ძალიან მოგეწონა, შეგიძლია დარჩე,~ ხითხითით დააყოლა

ლევანმა.

ოთახში, რომელიც კესოსთვის გამოჰყვეს, ვარდისფერი დომინირებდა. ფარდები, დრაპირებული შპალიერი, ლოგინის გადასაფარებელი, ნოხი... იყო ამაში რაღაც ბავშვური, ამაღლებული და შორეული, როგორც შარლ პეროს ზღაპრებში. უბრალოდ, პრინცესა იყო ყალბი, მეფე კი მოჭადლოებული, უფრო სწორედ სიყვარულით დაბრმავებული.

მართო დარჩენილი კესო ოდნავ მოდუნდა. ოთახში გაიარ-გამოიარა.

ორი დღე. ანუ ორმოცდარვა საათი. უნდა გაუძლოს! მთავარია, არ ჩაიჭრას, თარიღი არ აურიოს, ჯოხი არ გადალუნოს. `ერთი გადაცდომა და ციხისაკენ ნაბიჯით იარრ...~ წასვლის წინ წაუგველა პოლიციელმა. ეს პირველყოფილი `რრრ...~ ახლაც ყურებში ედგა.

წესით, არ უნდა შეეშალოს. გამრავლების ტაბულასავით დაიბეპირა ე.წ. თავგადასავალი (თავგადასავალიც რომ ე. წ. იქნება?!): უცნობმა ქალმა პატარა ნინო მანქანაში შეიტყუა. წაიყვანა შორს, ძალიან შორს... ბუნდოვნად ახსოვს თვითმფრინავი, დიდი ქალაქი, მრავალსართულიანი კორპუსი, ახალი მშობლები... დიდი ქალაქი აღმოჩნდა მოსკოვი (კესოს ბიოგრაფია პირდაპირ წყალს ასხამდა ბოროტმოქმედების ჩანაფიქრს), ახალი მშობლები \_ ეროვნებით ქართველი უშვილო ცოლ-ქმარი. სიკვდილის წინ დედამ კესოს დაუტოვა წერილი, რომელშიც ინანიებდა თავის საქციელს, შვილს პატიებას თხოვდა და დასძენდა: თუკი ვინიცობაა, შენი ნამდვილი მშობლების ვინაობა დაგაინტერესებს, დაუკავშირდი ამა და ამ ადამიანს, ამა და ამ მისამართზე და ა. შ. და ა. შ.

დაახლოებით ასე ჟღერდა ორი არაკაცის გამომცხვარი სცენარი, რომლებიც ბედნიერმა `მამამ~ მართლაც რომ ანკესიანა გადაყლაპა.

კესომ სინანულით გააქნია თავი. დატეულიყო მოსკოვში, ან დუბაიში ვინ ექაჩებოდა, ან თბილისში?... ბოლოს და ბოლოს, დედა გაუგებდა, კესო არ იქნებოდა მსოფლიოში პირველი ან უკანასკნელი მარტოხელა დედა.

დაუშვათ, პირობა დაარღვიეს და ორ დღეში არ გაათავისუფლეს. მერე სად მიდის? ან ამ კაცს რას ეუბნება, ხელმეორედ უნდა დააკარგვინოს ძლივს ნაპოვნი შვილი?

სტოპ!

რაში აწყობს ორ ავანტიურისტს ცოცხალი მონძე კესოს სახით? უეჭველი გამოასალმებენ სიცოცხლეს. უეჭველი.

ნინოს ფოტოსურათთან შედგა. ყვავილებიანი ჩარჩოდან პატარა ღიღილოსთვალემა გოგონა უღიმოდა. სურვილის შემთხვევაში, შეიძლებოდა უმნიშვნელო მსგავსების დაჭერა, თუმცა ამ ასაკში კესო გაცილებით გამხდარი იყო. არც ასეთი გულღია გამოხედვა ჰქონია. რაც შეეხება ბავშვის დედას, მსახიობ ელენე ბეთანელს, იმ ქალს კი ნამდვილად ჩამოჰგავდა. ისეთივე გრაციოზული ვერ იყო, მაგრამ არც დამკვრელი კოლმეურნის მიმოხვრა ჰქონია.

\_ მაპატიე, პატარავ, ჩემი ბრალი არ არის... \_ დამნაშავესავით ჩაილაპარაკა და ოთახში სიარული განაგრძო.

უცებ ვიოლინო დაინახა. უფრო სწორედ, ვიოლინოს ბუდე. სულმა წასძლია და გახსნა. მას მერე, რაც სამუსიკო შვიდწლელი ჩააძალა, არც გაუხედია ინსტრუმენტისკენ. ახლა კი ნოსტალგია მოეძალა. ვიოლინო ძველი იყო, კანდამსკდარი, მოდუნებული სიმებით. მაინც ჩამოუსვა ხემი, რამდენიმე აკორდი მოსინჯა. ჟღერიალა ბგერებმა ყური მოჭრა. მოშვებული სიმები კოჭზე გადაახვია და საჩვენებელი თითით შეამონძა. რომელი პიესა მოუხდება არსებულ სიტუაციას?... გონების თვალი გადაავლო შვიდწლედში ნასწავლ რეპერტუარს. შოსტაკოვიჩის მარში \_ მარტივი, გულწრფელი, გამამხსნევებელი.

კესო ნინოს ფოტოსურათთან მოვიდა და ხემს ჩამოჰკრა.

\_ ამ პიესას შენ გიძღვნი, პატარა.

და დაიწყო. ჯერ გამობოძილად, შეპარვით, მერე ისე შეუბერა, რომ თვალები თავისთავად დაეხუჭა.

როდესაც გაახილა, ოთახში ნოდარი იდგა. ნაჩქარევად დააბრუნა ვიოლინო ბუდეში:

\_ მაპატიეთ.

ნოდარი გაკვირვებული უყურებდა, ვერ მიხვდარიყო, რისთვის თხოვდნენ პატიებას.

\_ დაუკითხავად ავიღე. \_ განმარტა კესომ.

\_ ამ სახლში ყველაფერი იენია, ჩემო ჩიორა. \_ ნოდარი მხარზე შეეხო და მისი მზერის დაჭერას შეეცადა.

კესო ქურდობაზე წასწრებულებით შეცბა. საშინელებაა, როცა სხვისთვის განკუთვნილ მეტსახელს გეძახიან. ქურდობაზე უარესია! რადგან კონკრეტულ ნივთს კი არა, სიყვარულს იპარავ. ნივთს ჩაანაცალებ მაინც, ბოლოს და ბოლოს, ახალს იყიდი, სიყვარული კი არ იყიდება, არ ხურდავდება, არ ცვდება... მხარი გაინთავისუფლა და სანოლის კიდებე ჩამოჰკრა.

\_ შენ ოღონდ რამე ინატრე, გაუჩენელს გავაჩენ. \_ ცეცხლზე ნავთი დაუსხა ვითომ მამამ.

კესო თავის დაკვრით დაეთანხმა. ეს უცნაური კაცი, არათითზე წამოცმული ღერბიანი ბეჭედით, მართლა ყველაფერის გამჩენი იყო. მაგრამ კესოს ერთადერთი ნატრა ჰქონდა: გამქრალიყო.

\_ ეს დედაშენის ვიოლინოა.

\_ მართლა?

\_ ჰო. გახსოვს დედა?

\_ ბუნდოვნად, მხოლოდ სილუეტი. და განწყობა.

\_ როგორი განწყობა? \_ დაინტერესდა ნოდარი.

\_ კარგი. სასიამოვნო. ნატვრასთან ასოცირებული.

\_ გენატრებოდა?

\_ თავიდან ალბათ მქონდა ნოსტალგია, დრომ ყველაფერი გააფერმკრთალა. ადამიანი, თუნდაც ბავშვი, ქვეცნობიერად ეძებს გამოსავალს. ახალ გარემოებასთანდშესაგუებლად, პირველ რიგში წარსულის კარი უნდა გამომეკეტა. რაც მეტ-ნაკლებად მოვახერხე კიდევ.

\_ პოეტურად ლაპარაკობ.

ღმერთო ჩემო, რომ იცოდეს, რამდენი მაქვს ნაფიქრი ამ პოეტურ სვლებზე `დედისეულ~ ვიოლინოს თავზე გადამამტვრევს,~ გაიფიქრა კესომ.

`თუ არ გადამამტვრევს?~ ქვევიდან შეხედა. შეამონწმა. ნოდარის დადარაჯებულ მზერაში კესომ უნდობლობის ნაპერწკალი დაიჭირა, ტუჩის კუთხეები ხტოდა წითური უღვაშის მოკლე კუდი. ეჭვიანობის ნიშანია თუ ნერვიული ტიკი?... ტიკს უფრო ჰგავს. ბედის ირონია იყო თუ უბრალო დამთხვევა, მაგრამ ტიკი კესოს ნამდვილ მამასაც ჰქონდა, ოღონდ ის თვალებს აპაჭუნებდა. როცა ძალიან ღელავდა, შაქარიც უწევდა ხოლმე. ერთადერთი ქალიშვილის გაჭირვება რომ გაიგოს, შეიძლება ისე აუწიოს შაქარმა, დუბაიდან თბილისში ვერ ჩამოაღწიოს. არა, მამასთან დარეკვა გამორიცხებულია. რომც შეიძლებოდეს, ამ სახლში ალბათ ყველაფერი ისმინება. ქვევით დაცვა დგას, ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მუშაობს ვიდეოთვალი.

\_ რუსეთში მცხოვრები ადამიანის პირობაზე ქართულად კარგად მეტყველებ. \_ ნოდარი კესოს გვერდის მიუჯდა, მაგრამ ხელით აღარ შეხებია.

\_ ეს ჩემი მშობლების დამსახურებაა.

\_ მშობლების... \_ გაიმეორა ნოდარმა, \_ შენ ისინი მიგაჩნია ნამდვილ მშობლებად. არ ვიცი, გამიხარდეს თუ მენწყინოს.

\_ რატომ უნდა გენწყინოთ, ხომ შეიძლება ცუდ ოჯახში მოვხვედრილიყავი?!

\_ ეგეც მართალია.

\_ დიახ.

\_ ნუ ხარ დაძაბული, გთხოვ.

\_ დრო მჭირდება, რომ მიგეჩვიოთ.

\_ რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. უბრალოდ სულ მინდა გიყურო, გელაპარაკო... \_ ნოდარმა უხერხულად ჩაახველა, \_ სპეციალობა გაქვს?

\_ დიზაინერი ვარ.

\_ გიმუშავია სადმე?

\_ დიახ.

\_ გინდა საკუთარ ფირმას გაგიხსნი?

კესო უარესად დაიძაბა. ეს უკვე არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. სულიერ ქურდობას მატერიალურიც დაემატა.

\_ ჯერჯერობით ადრეა ამაზე ლაპარაკი. მერე ვნახოთ...

\_ მართალი ხარ, წინ მთელი ცხოვრება გვაქვს, ყველაფერს მოვასწრებთ. თუ დიზაინერობა მოგებზრდება, ფინანსისტობას გასწავლი, ჩემს მოადგილედ დაგნიშნავ...

\_ არა! \_ ისე შეიცხადა კესომ, თითქოს მეგობრის სტატუსი შეჰკადრეს.

\_ არა და ნუ. როგორც შენ იტყვი, ისე იქნება. შენ ოღონდ თქვი, რა გინდა, არ მოგერიდოს. პირობა მომეცი, რომ არ მოგერიდება. \_ ნოდარმა ვერ მოითმინა, მხრებზე ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა. \_ კარგი, დაისვენე. მე სამსახურში შევირბენ და ვეცდები მალე დავბრუნდე, საღამოს კი ერთად ვივახშმით. კარგი?

\_ დიახ.

\_ ჟანას ვეტყვი შენი საყვარელი ბლინჩიკები გააკეთოს. გახსოვს ჟანას გაკეთებული ბლინჩიკები?

ჟანა ალბათ ის თეთრთმიანი ქალია, გულისპირი ცრემლებით რომ დაუსვავლა. არც ჟანა იცის, არც მისი გაკეთებული ბლინჩიკები გაუსინჯავს.

\_ არა, არ მახსოვს. მაპატიეთ.

\_ თქვენობით მელაპარაკები, პატიებას მთხოვ, თვალს ვერ მისწორებ... შემომხედე ნინი, შენ ხომ ჩემი ჩიორა ხარ?!

კესომ გაუბედავად შეხედა. სულ ახლოს ხედავდა `მამილოს~ ვარდისფერ ლოყებს, ძაფივით ნაკანრს სუფთად გაპარსულ ნიკაპზე, ყელის გაყოლებამდე მფეთქავ ძარღვს, ცისფერ თვალებში აწრიალებულ მოლოდინს... რაღაც მომენტში ინატრა, მართლა მისი დაკარგული ჩიორა ყოფილიყო, მაგრამ ცხოველური შიში ჯაბნიდა გულახდილობას. თვალწინ ლევანის კუთხოვანი სახე დაუდგა, ყურში კი ციხის გისოსებიანი კარის ჭრიალი ჩაესმა. ორმოცდარვა საათი დარჩა, შეიძლება უფრო ნაკლებიც...

ნოდარმა თბილად გაულიმა და ბაჭბაჯა ნაბიჯების გავიდა ოთახიდან. როგორც კი კარი მიიხურა, კესომ ხელჩანთიდან გაბზარული ბეჭედი ამოიღო. ერთხანს უყურა, მერე ადგა და თითზე გაიკეთა. ბეჭედი, თუნდაც გაბზარული, იმ ცხოვრებიდან გამოყოლილი ერთადერთი მშობლიური ნივთი იყო. ნარკოტიკებით დაპრესილი დრუნჩა უპატრონოდ ეგდო ვერის ძველ სახლში, ეგდო და განაჩენს ელოდა. ისევე, როგორც მისი პატრონი.

ორმოცდარვა საათი რჩებოდა, შეიძლება უფრო ნაკლებიც.

---

გოგა სვიმონიშვილმა გადაღებული ფოტომასალა პირველ რიგში კოლეგებს უჩვენა.

\_ ეს მეცნობა. \_ ივანემ შავსათვალიან კაცზე მიუთითა.



\_ მე კი ეს. \_ ანზორმა ქალიშვილს დაადო თითი და სკამიანად მიჩორდა კომპიუტერთან. \_ გაადიდე კადრი, კარგად შევათვალიერო. მგონი ვიცი, ვისაც ჰგავს. ელენე ბეთანელს.

\_ ბანკირის გაქცეულ ცოლს? \_ გოგამ სულ სხვა თვალთ შეხედა სასონარკვეთილ ქალიშვილს.

\_ ჰო.

\_ ერთი წუთით, არქივის მასალები გადავასკანერე და კომპიუტერში შევაგდე. ბეთანელის ქალი სადღაც აქ უნდა მყავდეს...

გოგამ უცნობი ქალიშვილისა და ელენე ბეთანელის ფოტო გვერდიგვერდ დაასკუპა და ეკრანზე მოკალათებულ ბუმს აუქშია. ბუმი აფრინდა, მაგრამ ზუსტად იქ დაეშვა, საიდანაც გააძევეს.

\_ არ მითხრათ, მსგავსებას ვერ ვხედავო! \_ წინასწარ გააპროტესტა ანზორმა და კოლეგებს გადახედა. \_ ვატყობ, არ არ გჯერათ.... მოდით, პატარა ექსპერიმენტი ჩავატაროთ. გოგა, შენ გაზრდას, ერთი თმები გაუმუქე ამ მზესუნახავს!

გოგამ კურსორით ჩამოუარა პანელზე ჩამწკრივებულ ფერად კვადრატებს, ყავისფერი კოლორი მონიშნა და `მზეთუნახავი~ გადაღება.

\_ აჰა, ახლა რაღას იტყვის?! \_ კმაყოფილება ვერ დაფარა ანზორმა.

\_ არაფერს, გარდა იმისა, რომ ეს ორი ერთმანეთს ჰგავს, ორივე ერთად კი არყის ქალს. \_ დაასკვნა გოგამ.

\_ ვინ არყის ქალს, ადამიანო? \_ ანზორი დაიბნა.

სამაგიეროდ, ვეფხია გამოცოცხლდა.

\_ მივხვდი, ვისაც! არყის რეკლამაზე რომ ქალია... იმოდენა ბილბორდია ვაკე-საბურთალოზე. არა, გოგა?

გოგამ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

\_ ქალი რატომ უკეთებს რეკლამას არაყს? \_ წარბი შეკრა ანზორმა.

\_ კუთხეში კაცის როჟაც არის. \_ გაახსენდა ვეფხიას.

\_ მაგაშია საქმე, კაცი \_ კუთხეში, ქალი \_ ბოთლთან. ესეც თქვენი ემანსიპაცია!

\_ ჩვენ რა შუაში ვართ?!

\_ რას ჩაიციკლეთ ამ რეკლამის ქალებზე, ჩვეულებრივი დამთხვევაა. \_ ხმა ამოიღო აქამდე გაყუჩებულმა ივანემ. \_ მე ის სათვალისანი უფრო მაღელვებს. გოგა, გამიდიდე ის ტიპი. ჰო, საკმარისია. აშკარად ვიცი, დავლაპარაკებოვარ კიდევ. ნათესავი არ არის, არც მეზობელი. ვითომ ჩვენს სისტემაში მუშაობს?...

\_ იქნებ ნასეტკაა? \_ გოგამ ფეხებასავსავებულ ბუმს აუქშია. დათბა და გამოცოცხლდნენ, გაიფიქრა გულისგარეთ.

\_ არ ვიცი. არ ვიცი.

\_ მაშინ ნუ მოვცდებით, გადავდივარ შემდეგ ეტაპზე. \_ გოგამ ფოტომასალა ჩაკეცა და ახალი ფაილი გახსნა. \_ დღის მეორე ნახევარში ბანკირმა სახლიდან გამობრძანება ინება. ეს მისი ჯიპია.

\_ კაი გვარიანად მოსუქებულა ამხანაგი უგრეხელიძე. \_ აღნიშნა ანზორმა.

\_ ვა, ეგეც ამხანაგია? \_ გაუკვირდა ვეფხიას.

\_ ჯეელობაში კომკავშირის მდივანი ბრძანდებოდა, ეროვნულ მოძრაობას რომ არ მიესწრო, ცენტრალური კომიტეტის მდივნობასაც გამოჰკრავდა ხელს.

\_ ჩვენში დარჩეს, არც შენ ყოფილხარ მამალი დისიდენტი. \_ შეახსენა ივანემ.

\_ არც ვმალავ. კომპარტიის წევრი ვიყავი, მაგრამ მაშინაც და დღესაც ქვეყანას ვემსახურებოდი. პროფესიონალი მშვერავი ნებისმიერ მთავრობას სჭირდება. აბა, რა გინდათ, კონფორმისტი ბესარიონი, ეს... ეს წარსულის უკანასკნელი ამობოყინება მოვიდეს ხელისუფლებაში?! \_ განიშმატდა ანზორი.

\_ ესეც თქვენი `კონფორმისტი`~. \_ გოგამ კურსორი იმ ფოტოზე დააყენა, სადაც მანქანიდან გადმოსული ბანკირი ასთენიური აღნაგობის ჩია მამაკაცს ხელს ართმევდა.

\_ გულივერი ლილიპუტების ქვეყანაში. \_ იხუმრა ვეფხიამ და კოლეგებს გახედა. მაგრამ მათ ვერ შეაფასეს სპეცნაზელის იუმორი, ეკრანს მიჩერებოდნენ, სადაც კიდევ ერთი სუბიექტი გამოჩნდა \_ სიმპათიური ახალგაზრდა მამაკაცი `დოლჩე და გაბანას` საგაზაფხულო კოლექციიდან.

\_ ეს ფლეიბოი ვილაა? \_ დაინტერესდა ანზორი.

\_ ტელეკომპანია `მნათობის`~ გენერალური დირექტორი ნიკა რეხვიაშვილი. \_ გაეპასუხა გოგამ. \_ მხოლოდ ორი კადრის გადაღება მოვასწარი, ფოტოაპარატის ჩხაკუნით ვერ შევყვებოდი რესტორანში.

ახალი თავსატეხით შეწუხებული ანზორი სავარძელზე მიესვენა:

\_ რა შეხება უნდა ჰქონდეს ნოდარ უგრეხელიძეს ტელეკომპანიასთან, რომელსაც მმართველი პარტია ლობირებს?!

\_ მმართველი პარტია? \_ გაუკვირდა ვეფხიას.

\_ აბა, ისე ვინ მიაართმევდა გენდირექტორის სავარძელს ნიკასთანა ლაწირაკს? დახე, როგორი შეფერებული აქვს, თითქოს გუშინ არ ამოხტა პამპერსებიდან?! ვერ გავიდე, რაში უნდა აწყობდეს ყოველმხრივ ლობირებულ ნიკას ტიკიმასხარა ბესარიონის გაფიარება?

\_ ბანკირისგან ფულს აიღებს, გაფიარებული ბესარიონი კი თამაშგარეთ დარჩება. \_ ივარაუდა გოგამ.

\_ ვითომ?

\_ დიდი-დიდი, პარლამენტში შეძვრეს და ფრაქციის შეკონინება მოახერხოს.

\_ მაშინ, რაღას იტყება?

\_ პროტესტს დააფიქსირებს, ენას მოიფხანს, ხალხს თავს დაამახსოვრებს... ცოტაა? სულ ტყუილად ღელავთ, ბატონო ანზორ, \_ დაამშვიდა გოგამ. \_ ისეთი პირი უჩანს, გადაადგილებები პაიკების დონეზეა მოსალოდნელი, მეფე არ შეიცვლება.

\_ მაშინ გაიტყოს გრიჟის ამოვარდნამდე.

\_ შეტსაც გეტყვით. სრულიად შესაძლებელია, ბესარიონი ნამდვილი ოპოზიციის გასანეიტრალებლად შემოგდებული კანდიდატი იყოს.

ანზორმა ხშირ-ხშირად აახამხამა წამწამები. ეტყობა, ენიშნა გოგს ნათქვამი, მაგრამ თემის განვრცობას მოერიდა და გადაწყვიტა აღშფოთდეს:

\_ აი, ეს უკვე ფანტაზიის სფეროა! და საერთოდ, დავეტიოთ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში. ჩვენ ვაგროვებთ ფაქტებს და ვაგზავნით სადაც ჯერ არს! მორჩა და გათავდა. დასკვნები პოლიტიკოსებმა აკეთონ. ეს მასალა კარგია, მაგრამ ზედაპირული. რესტორანში რაც მოილაპარაკეს, მაგას საკუთარი თვალით ვნახავთ `მნათობის`~

ეთერში. დავუბრუნდეთ ბანკირის სტუმრებს. გოგა ანჟელასთან გადაამონმებს შავსათვალის ვინაობას. თუ მართლა ნასეტკაა, სადმე იქნება დაფიქსირებული. ეს ერთი. მეორე \_ უგრეხელიძესთან გაჭირდება, მაგრამ ელდარ დუნდუას კაბინეტში შეიძლება `ჟურნალის~ დაყენება. \_ ანზორმა გოგას შეხედა, იმან უსიტყვოდ დაუკრა თავი და პრინტერზე ფოტოსურათების ამობეჭდვას შეუდგა.

\_ დასაკითხია მსახიობი დათუნა ჯაფარიძე... ამხელა კაცს დათუნას რატომ ეძახიან, რა იციან ამ მსახიობებმა... მაიორო სვიმონიშვილო, თავი დაანებე მაგ სურათებს და მე შემომხედე, როცა ვლაპარაკობ. \_ გაბრაზდა ანზორი. \_ რაზე ვიყავი?

\_ დასაკითხია მსახიობი დავით-დათუნა ჯაფარიძე. \_ დინჯად შეახსენა გოგამ.

\_ ჰო, დროზეა დასაკითხი, ვიდრე თბილისშია და რეპეტიცას გადის თეატრში. მიხვალ, დაელაპარაკები, ელენე ბეთანელის შესახებ დაკითხავ. ძალიანაც ნუ დაუდნები, აქაოდა, დიდი ვინმეა, ცნობილი მსახიობი... ზრდილობის ფარგლებში მაგრად მიანეცი. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ვიცოდეთ, სად გაქრა ეს ქალი, ან ვინ გააქრო? ბანკირის სახლთან დაცვის გაძლიერება მოგვიწევს. გოგას დროებით ჩაენაცვლება ორი ბიჭი ჩვენივე უწყებიდან, უფრო სწორედ ქალი და კაცი. ნაკლებად თვალშისაცემია. არის შეკითხვები? \_ ტრადიციისამებრ იკითხა.

\_ შეკითხვა არა, მაგრამ არის ერთი ვერსია. \_ თქვა ივანემ და ნაცრისფერი პიჯაკიდან არარსებული მტვერი გაანკიპურტა. ყოფილი ჩეკისტი ნაცრისფერ ტანსაცმელს ანიჭებდა უპირატესობას. უშიშროების აგენტი არ უნდა გამოირხეოდეს მასიდან, ამას ითხოვდა პროფესიის დაუნერული კანონი.

ანზორმა თავით ანიშნა, დაინყეო და შეუმჩნეველად დახედა საათს. დღის მეორე ნახევარი მის ვაჟს სახლში შეყვარებული უნდა მოეყვანა \_ გასაცნობად. ცოლი ღელავდა, რომ არ მომეწონოს, როგორი პოლიტიკა გავატარო. ყოველი შემთხვევისთვის ნამცხვრები მოიმარაგა და პოზიციის გასამყარებლად ქმარს მოსვლა თხოვა. იმედია, ივანეს `ერთი~ ვერსია დიდ დროს არ წაიღებს.

ვერსია კი ასეთი იყო: რამდენიმე წლის წინ საქმე აღიძრა ახალგაზრდა ქალის გატაცება-გაუპატიურების მცდელობაზე, სადაც ფიგურირებდა თეთრი `რენო~. იგივე მარკის მანქანა შენიშნული იყო ნინო უგრეხელიძის გატაცების საქმეშიც.

\_ მაგის რისი თქმა გინდათ? \_ უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუბა ანზორმა.

\_ ბანკირის ქალიშვილი შესაძლოა ფსიქიკურად გაუნონასწორებელმა ადამიანმა გაიტაცა. მანიაკმა!

\_ ჩვენი ვალთა დავამტკიცოთ, რომ სწორედ ბანკირია ეგ მანიაკი. გასაგებია? \_ ხმა გაიმკაცრა ანზორმა და ფეხზე წამოდგა, რაც იმას ნიშნავდა, რომ აუდიენცია დამთავრებულია.

გოგას შეეცოდა მანიაკზე ჩაციკლული მოხუცი ჩეკისტი და დერეფანში წამოენია.

\_ ბატონო ივანე, მე ვიზიარებ თქვენი ვერსიას.

\_ ანზორს კი გაგონება არ უნდა.

\_ ყველაფერს თავისი დრო აქვს.

\_ სწორედაც. ეს დრო ახლა არის, კოლეგა! კარგი, მიხედვით შენს საქმეს... \_ ივანემ ხელი ჩაიქნია და ლიფტთან შედგა, გოგა კი არქივში ჩავიდა.

\_ ანჟელ, გადახედე შენს კართოტეკას, იქნებ ამის ვინაობა დამიდგინო. \_ გოგამ მაგიდაზე ელდარ დუნდუას და მისი თანხლები პირების ფოტო გააცურა.

\_ ამის დოსიე ახლაახანს არ გაგატანე? \_ გაუკვირდა ანჟელას. \_ ელდარ დუნდუა.

\_ სათვალთან დააკვირდი.

\_ ვცდილობ, მაგრამ თვალი გამირბის. რა ლამაზი გოგოა? \_ ანჟელამ თითო-  
`სასონარკვეთილი~ ქალიშვილისკენ გაიშვირა. \_ ვინაა?

\_ ნოდარ უგრეხელიძის სტუმარი. ანჟელ, მეჩქარება, ლამაზი ქალებით ტკბობას მერეც  
მოასწრებ. სათვალთან მიმიხედე.

\_ რა უსიამოვნო ვინმეა, სუფთა პირანია.

\_ ეგ კარგად მოარტყი, \_ შეაქო გოგამ. \_ კბილებიც კი წვრილი აქვს.

ანჟელამ კომპიუტერის ბაზა გახსნა და მაუსის წკაპუნს მოჰყვა.

\_ მოდი, ელდართ დავინწყოთ. ვინაიდან ერთად იყვნენ, შეხების წერტილს ნუ  
გამოვრიცხავთ.

ეკრანზე ელდარის სახე გამოჩნდა \_ ფაზში და პროფილში. გვერდით ნაცნობი  
სათვალთან, ოღონდ უსათვალოდ.

\_ დუნდუა ლევანი. შვილი ყოფილა! \_ შესძახა ანჟელამ.

`შვილი...~ გოგას გული დასწყდა. ჯობს ნასეტკა ყოფილიყო, რამე მაინც ექნებოდა  
ხელმოსაჭიდი. ვისი რა საქმეა სად და ვისთან დადის ერთად მამა-შვილი. ჯიბეში  
მობილური გამოცოცხლდა. ეს თუ ისევ თამუნია...

არა, ივანე გულორდავა იყო.

\_ გოგა, დაუყოვნებლივ უნდა დაელაპარაკო ფსიქიატრ აკაკი ნატროშვილს.

\_ რა დროს ფსიქიატრია, ბატონო ივანე, დათუნა ჯაფარიძე მყავს დასაკითხი... \_ გოგამ  
ანჟელას ხელი აუწია და ლაპარაკ-ლაპარაკით დერეფანში გამოვიდა. \_ სხვათა შორის,  
ის სათვალთან, თქვენ რომ გეცნობოდით, ელდარ დუნდუას ვაჟი აღმოჩნდა \_ ლევან  
დუნდუა. შეგიძლიათ თქვენ სისტემაში მოიძიოთ?

\_ შემიძლია და უსასუოდ მოვიძიებ, მაგრამ პირობა მომეცი, რომ პროფესორ  
ნატროშვილს ნახავ და გაარკვევ: ბოლო თექვსმეტი წლის მანძილზე ხომ არ ჰქონია  
შეხება გაუპატიურებაში ეჭვმიტანილ პატიმართან?

\_ დაუშვით, ჰქონდა.

\_ იმ პატიმრის ბედი მაინტერესებს. სასწრაფოდ.

პაუზა.

\_ გოგა, მსახიობს საღამოსაც კარგად დაკითხავ. ექიმი კი დაიხურავს ქუდს და წავა  
სახლში. შენ თუ ანბორის ფაქტორი გაღელვებს, არ არის პრობლემა, ყველაფერი  
შეთანხმებულია. მამაშვილურად გთხოვ, გოგა, არ გადადო ვიზიტი, ფსიქიატრთან  
დალაპარაკება სერიოზულ დანაშაულზე გაგვიყვანს.

\_ იმაზე სერიოზულზე, ვიდრე ბანკირზე კომპრომატის მოძიებაა?

\_ ერთი მეორეს არ გამორიცხავს.

\_ რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს გაუპატიურებაში ეჭვმიტანილს ბანკირთან?

\_ ბანკირთან არა, მის ცოლ-შვილთან.

\_ კარგი, მიკარნახეთ კოორდინატები. \_ დანებდა გოგა.

პროფესორი ნატროშვილი გოგამ საავადმყოფოს მიმდებარე სკვერში იპოვა. ეს იყო სხარტი მოხუცი თვალეზზე ჩამოფხატული თეთრი წარბებით. ის პაციენტთან ერთად იჯდა ძელსკამზე და ნება-ნება აქნევდა ფეხსაცმლის წვერს. პაციენტი ემოციურად ლაპარაკობდა, ექიმი თავის დაკვირვებით ეთანხმებოდა. გოგამ შორიახლოს გაიარ-გამოიარა, მაგრამ ემოციური პაციენტი არ აპირებდა დაოკებას, პროფესორსაც ისეთი ნასიამოვნები სახე ჰქონდა, ვინ იცის, საღამომდე არ მობეზრებოდა მოსმენა, ამიტომ მისვლა გადაწყვიტა.

\_ მოგასალმებით, ბატონო აკაკი! სალაპარაკო მაქვს თქვენთან. \_ გოგამ უშიშროების მონშობა გაუწოდა. პროფესორმა სათვალე დაიკოფსა, მონშობას თვალი გადაავლო და პაციენტს მიუბრუნდა:

\_ გივი, გენაცვალე, ადი პალატაში, მოგვიანებით გავაგრძელოთ ჩვენი დისკუსია.

პაციენტმა, სახელად გივიმ, მრისხანედ გადმოკარკლული თვალეზებით დაზუსტება მოითხოვა:

\_ მოგვიანებით `როდის~?

\_ როცა გავთავისუფლდები.

\_ არ დაგავიწყდეთ, სად გავჩერდით.

\_ არ დამავიწყდება.

\_ სად გავჩერდით? \_ გადაამოწმა გივიმ.

\_ განძის ათაბაგი იყო პირველი, ვინც ხარკის გადახდაზე უარი თქვა. \_ მონაფესავით გაეპასუხა პროფესორი. ლაპარაკისას ტუჩის კუთხე ზევით ექაჩებოდა, თითქოს ეცინება და თავს იკავებს.

გივიმ მტრული მზერით დააჯილდოვა იდილიის დამრღვევი მამაკაცი, თუმცა გაცლა იკადრა. აკაკი კი გოგას მიუბრუნდა:

\_ გივის რომ უყურებთ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატია, მის მოსმენას არაფერი ჯობს, შესანიშნავი მთხრობელია, თითქოს კინოს უყურებ. მაგრამ რად გინდა, ჩარჩა ისტორიის ქართვეილებში... უკან გამოსვლაც რომ არ უნდა? წარსულზე ჩაციკლული, ძალიან შორეულ წარსულზე. დღეს რა ხდება, ან თუსი, ათი წლის წინ, არც იცის და არც აინტერესებს. ჩვენი დანესებულების ხშირი სტუმარია.

`წარსულზე ჩაციკლულმა~ რამდენჯერმე მოიხედა და თვალს მიეფარა.

\_ ისე გულდასმით უსმენდით, ხელის შეშლა მომერიდა.

\_ ფსიქიატრს უნდა ჰქონდეს მოსმენის უნარი. ამასი მიკროსამყარო

შეიძლება გაცილებით ბობოქარი და მრავლისმომცვლელია, ვიდრე ნებისმიერი ჩვენთაგანის. ვერც წარმოიდგენთ, რა ვნებათაღელვები უღრღნით გულს. უნდა დაიცალონ, სხვანაირად არ შეიძლება. გისმენთ, ბატონო ჩემო, \_ მიუბრუნდა გოგას. \_ რა საქმეზე ინებეთ მობრძანება?

\_ თქვენი კონსულტაცია მჭირდება. საქმე ეხება გაურკვეველ ვითარებაში დაკარგულ ადამიანებს და შესაძლო დამნაშავეებს. დავიწყებ მარტივი შეკითხვით. როგორ გამოიყურება მანიაკი?

\_ ჰმ, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს მარტივი შეკითხვაა? გარეგნული

მონაცემებით რომ შეიძლებოდეს მანიაკის გაშიფვრა, იგივე შიკოტილოს, თხუთმეტი წელი კი არ აპარპაშებდნენ?! დილეთანტური შეკისხვაა, მაიორო, თუმცა, რიგ შემთხვევაში, ფიზიოგნომიკა გასათვალისწინებელია.

გოგა მიხვდა, სრულიად მოუშაბდებელი გამოცხადდა დასაკითხად. მონუსხმა იმ ბებერმა ხეკისტმა, მამაშვილობით დაიყოლია. იხტიბარი არ გაიტეხა:

\_ კეთილი, სხვა კუთხით დავსვამ შეკითხვას. შეიძლება თუ არა საკმაოდ რესპექტაბელური მამაკაცი იყოს მანიაკი?

\_ არ მგონია. იშვიათი გამონაკლისის გარდა, არა. იცით, მანიაკალური გადახრა შიზოფრენიის ერთ-ერთი ფორმაა, პრაქტიკულად გამორიცხულია, სულიერად ავადმყოფი მოხვდეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე. ყველაფერი შედარებითია. შიზოფრენიის მსუბუქი ფორმისას ადამიანი მეტ-ნაკლებად აღიქვამს რეალობას, ამიტომ გადახრა ნაკლებად შესამჩნევია და რესპექტაბელურებში მოხვედრის ალბათობაც მეტია. განსაკუთრებით, ჰუმანიტარულ სფეროში, პოლიტიკურ ასპარეზზე... სულ სხვაა შიზოფრენიის უხეში ფორმა, როცა აბროვნების ლოგიკა ირღვევა.

\_ რას გულისხმობთ აბროვნების ლოგიკის დარღვევაში?

\_ მცდარ წარმოდგენებს რაიმე მოვლენაზე. მაგალითად, ავადმყოფს თხოვენ ფუნჯისა და ქვიშის შედარებას. ამ ნივთებს შორის თითქოს არაფერია საერთო. ფსიქიკაშერყეული ადამიანი კი ეძებს ლოგიკურ ჯაჭვს იქ, სადაც ჩვეულებრივი მოკვდავი უსუსურია. ის ამბობს: ფუნჯით შემიძლია ხატვა, ქვიშაზე \_ ფიგურების გამოყვანა.

\_ საინტერესოა. \_ ბრდილობის გამო თქვა გოგამ.

\_ ასოციაციური აბროვნება ზოგჯერ გენიოსებს შობს. დიდი ხელოვანება მოულოდნელობის ეფექტებითაა გაჯერებული. და არა მარტო... აინშტაინი არ იყო ხელოვანი, მას ჰქონდა განსხვავებული ლოგიკა. პატარა ალბერტს სკოლაში ფრიადებზე რომ ესწავლა და სრული სვლით ჩაებარებინა ფიზიკის ზოგადი კურსი, ვეჭვობ ფარდობითობის თეორია შეექმნა. \_ პროფესორი გაღიმებული დადუმდა. ის უყურებდა მაიორს, მაგრამ გონებაში თავის ფიქრს აგრძელებდა.

დაცემინებამ გოგას სულზე მოუსწრო. პროფესორი მომენტალურად გამოერკვა ფილოსოფიური ტრანსიდან:

\_ იცოცხლე, გენაცვალე.

\_ მადლობთ, ალერგია მაქვს. \_ გოგამ, ყოველ შემთხვევაში, ცხვირსახოცი მოიმარჯვა. საბედნიეროდ, ორგანიზმი ერთი დაცხიკინებით დაკმაყოფილდა.

\_ თუმცა, თქვენ გენიოსებზე მეტად მანიაკები გაინტერესებთ.

\_ დიახ.

\_ მეტი კონკრეტიკა, ახალგაზრდავ, თორემ ასე საღამომდე მომიწევს ლექციების კითხვა. გაქვს ამდენი დრო? მე \_ არა.

\_ კეთილი. საეჭვო ვითარებაში გამქრალი ერთი ოჯახის ორი წევრი. ეჭვმიტანილიც ორი გვყავს, ორივე გარკვეული სტატუსის მქონე. გამოგიტყდებით, არ ვიცი რითი ვიხელმძღვანელო მათი დაკითხვისას.

\_ `საეჭვო ვითარებაში გამქრალი~ \_ ყოყმანით გაიმეორა პროფესორმა. \_ იცით, ფრიად არადამაჯერებლად ჟღერს. სულ სხვაა გაუპატიურება, პედოფილია, მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში... ისიც მაშინ, თუ ზემოხსენებული ჩამონათვალი სერიულ ხასიათს ატარებს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ მანიაკალურ გადახრაზე.

\_ ვეცდები განვაზრცო. თექვსმეტი წლის წინ სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა ახალგაზრდა დედა. ჭორი გავრცელდა, თითქოს ოჯახი საყვარლის გამო მიატოვა. რაღაც პერიოდის შემდეგ ქრება მისი ხუთი წლის გოგონა. ეს ისტორია დავინწყებას მიეცემოდა, რომ არა ერთი ფაქტი: სულ ახლახანს, ეჭვმიტანილის სიახლოვეს გამოჩნდა ქალიშვილი, რომელიც ბედმინევნით ჩამოჰგავს გაქცეულ ცოლს. მგონი არის შეშფოთების მიზეზი. \_ გოგამ მიკიბულ-მოკიბული თხრობა დაასრულა და დარცხვენილმა შეხედა პროფესორს.

\_ ქმარზე გაქვს ეჭვი?

\_ ქმარზეც და საყვარელზეც.

\_ რაღაცას ბოლომდე არ მეუბნებით, ახალგაზრდავ... იმისთვის, რომ ვინმე მანიაკად გამოაცხადო, ერთი გვამი, თუნდაც გაუპატიურებული, არ კმარა. ადამიანის გაქრობა \_ გამოძიების კომპეტენციაა, და არა ფსიქიატრიის. ჩვენ ვდებთ დასკვნას: რამდენად ადექვატური იყო ესა თუ ის პიროვნება დანაშაულის ჩადენისას, სად არის მისი ადგილი: ციხეში თუ ფსიქიატრიულ კლინიკაში.

\_ და ასე, თავისუფლად დადიან? \_ გოგამ ხეს ჩახუტებულ ხალათიან ქალზე ანიშნა. აშკარად არ ჰგავდა ნორმალურს.

\_ არა. თქვენთვის საინტერესო პაციენტები დახურული ტიპის დაწესებულებაში გვყავს. მაგრამ სერიული მკვლელი ნამდვილად არ მახსენდება.

\_ შეიძლება გადავხედო ასეთი პაციენტების სიას?

\_ შეიძლება, მაგრამ დრო დასჭირდება. პაციენტების ისტორიების დიდი ნაწილი საქალაქურ დასახლებაშია გაბნეული, ნაწილი \_ უკვე აიტვირთა კომპიუტერში. წლების მიხედვის ამოღებას, დახარისხებას მთელი კვირა მოუნდება.

ხალათიანი ქალი ხეს მოშორდა და ბილიკზე დაინაწურდა. უცნაურად მოდიოდა, თითქოს ვიღაცას ეპარება. ძელსკამთან შედგა.

\_ მაგული, როგორ ხარ? \_ მოიკითხა პროფესორმა.

\_ რაღა როგორ ვარ, ექიმო, მეზობლები არ მასვენებენ, ჩემს ბინაზე უჭირავთ თვალი. ვერ მივართვი! მე მაგათ უპატრონო ხომ არ ვგონივარ, პატრონიც მყავს და შიშკა-შიშკა ნათესავებიც. არ გჯერათ?

\_ მჯერა.

\_ ეგ ბინა მემკვიდრებით მერგო, ვის რა უფლება აქვს შემედავოს?! \_ მაგულიმ წინ გადმოიხარა და ვერცხლისწყალივით მოძრავი თვალები გოგამზე შეაჩერა. \_ ეგ კაცი ვინ არის, მოგზავნილსა ჰგავს.

\_ აბა, საიდან მოიტანე, მაგული, ჩემთანაა ეს კაცი.

\_ ფინთად მიყურებს. იცოდეთ, მე არაფერი გამომეპარება. გუმანი მკარნახობს, იმათი მოგზავნილია.

\_ ადი ახლა პალატაში და თბილი წინდები ჩაიცვი. პლიაჟზე ხომ არ გგონია თავი?

მაგულიმ შლოპანცებში წაყოფილ შიშველ ტერფებზე დაიხედა, სწრაფად მიტრიალდა და ცუხცუხით გაიქცა შენობისკენ.

გოგა მიხვდა: ის დროა, პროფესორს დაემშვიდობოს და ვიდრე საბოლოოდ არ გაფარჩაკებულა, მომდევნო ვიზიტისთვის კონკრეტული გვარ-სახელებით წარდგეს.

ასეც მოიქცა.

თეატრისკენ მიმავალ გზაზე გოგამ `უგრაბანკის~ ლოგო დაინახა და ისე სწრაფად დაამუხრუჭა, უკნიდან კინალამ `კამაზმა~ აკოცა. მძღოლის ძარღვიან გინებაზე რეაქცია არ ჰქონია. დამნაშავე იყო.

თხუთმეტიოდე წუთში ფრიად კმაყოფილმა დატოვა `უგრაბანკის~ ოფისი, მოსასმენი აპარატი წარმატებით იქნა ჩანერგილი ელდარ ღუნდუას კაბინეტში, რაც მეტ-ნაკლებად აბათილებდა ფსიქიატრთან უაზრო ვიზიტს.

მსახიობსაც თუ ამოქანა ინფორმაცია, დღეს უქმად არ ჩაუვლია. იმედია, უფროსობა დაუფასებს და ჩინის მომატებაზე დაფიქრდება.

თეატრის ფოიეში მოსაპირკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობდა, მაგრამ მუშები არ ჩანდნენ. ერთ კუთხეში ხარაჩოები მიეყუდებინათ, მეორეში \_ კედლებიდან ჩამოხსნილი მსახიობების ჩარჩოიანი სურათები და გახვეტილყვანენ. გოგამ ფრთხილად, ისე რომ შარვალი არ დაესვარა, გაიარა ბათქაშით მოსვრილ იატაკზე.

\_ ვის ეძებთ?

გოგამ თავი ასწია და ძველმოდურად ჩაცმული ქალი დაინახა. ქალს

შეუვალი გამომეტყველება და პროკურორის ხმა ჰქონდა. გულზე რაღაც ფურცლები ჰქონდა მიხუტებული.

\_ დათუნა ჯაფარიძეს.

\_ აცალეთ იმ კაცს როლის დასწავლა, ასე ხომ არ შეიძლება?!

\_ რას მერჩით, ქალბატონო, ავტოგრაფის აღება მინდოდა, ძლივს დავიგულე თბილისში, ორ წუთზე წავართმევ, მეტს არა! \_ ფანატის აღფრთოვანებით შესძახა მაიორმა სვიმონიშვილმა.

\_ ნებისმიერ მთხოვნელს რომ ორ-ორი წუთი დაუთმოს, ტექსტზე მუშაობას ვერ მოასწრებს.

\_ ბევრია მსურველი? \_ გოგა შეეცადა აღფრთოვანებული იდიოტის გამომეტყველება შეენარჩუნებინა.

ქალი შეეყოყმანდა, ეტყობა შინაგანად იზიარებდა ავტოგრაფის მსურველთა აღტკინებას:

\_ იყო ერთი...

\_ საცა ერთი, იქ ორიც.

\_ კარგი, საგრიმიოროშია.

\_ და სად არის საგრიმიორო?

\_ პირდაპირ, მერე მარჯვნივ. დოდო აწერია კარს. ცარცით.

\_ უღრმესი მადლობა.

\_ ბევრი დრო არ წაართვათ. \_ მკაცრად გააფრთხილა ქალმა და გზა განაგრძო.



საგრიმიოროს წარწერით `დოდო~ გოგამ ადვილად მიაგნო. ეტყობა, ვინმე დოდომ სულგრძელად დაუთმო თავისი საგრიმიორო გასტროლებზე ჩამოსულ სტუმარს.

გოგამ მორიდებულად დააკაკუნა. არავინ გაეპასუხა. სიჩუმე იდგა, როგორც აკვარიუმში.

\_ ბატონო დავით!

გოგამ პასუხს არ დალოდებია, კარი გამოაღო და საგრიმიოროში შეიჭყიტა. ტრილიაჟის სარკეში თვალებგადმოკარკლული მამაკაცი აირეკლა. ის ბურგით იჭდა კართან და ან მედიტაციაში იმყოფებოდა ან თვალხილულს ეძინა.

\_ ბატონო დავით...

გოგა მიუახლოვდა და მსახიობის ბეჭებზე გადმოფენილი თასმის ბოლოები დაინახა. თვალი გააყოლა. თასმა კისერს მიუყვებოდა და სადღაც ნიკაპის მიდამოში იკარგებოდა. არავითარი მედიტაცია. მსახიობი დავით-დათუნა ჯაფარიძე მკვდარი იყო. დამხრჩვალნი.

---

ბუსტად იცოდა, რომ იპოვიდა. ამაზე მიანიშნებდა მნათობთა განლაგება, გამძაფრებული ინტუიცია, გამუდმებული ხილვები... სხვა თუ არაფერი, უსაზღვრო ლოდინს ნაყოფი უნდა გამოეღო. რჩეული გამოჩნდა, თითქოს იმან, პირველმა, რეინკარნაცია განიცადა და ამაში ჩასახლდა. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ბუსტად იმ სახლში დაიდო ბინა, სადაც პირველი ცხოვრობდა. ეს იყო უსამართლობა, რომლის გამოსწორებას ის, იდუმალი მგზავრი უახლოეს მომავალში აპირებდა. ახლა ყველაფერი სხვაგვარად იქნება. მაშინ თვითონაც ახალგაზრდა იყო, მოუთმენელი, მოკლევადიან შედეგზე ორიენტირებული... სულსწრაფობა რომ არ გამოეჩინა, რჩეული ადრე თუ გვიან უსათუოდ იცნობდა, მათი სიყვარულის ნაყოფი კი თხუთმეტი წლის იქნებოდა უკვე... თხუთმეტი წლის \_ მშესავით ნათელი, ბროლივით კამკამა, სიწმინდით დაცისკროვნებული, გადამრჩენელი...

არ ღირს წარსულზე ჩაცვიკვლა. შესაძლოა არც დასჭირდეს ლოდინი, რჩეულმა დანახვისთანავე იცნოს... შესაძლოა კი არა, ასეც იქნება! ნებისმიერ მოკვდავს აკისრია მისია, ზოგს დიდი (როგორც მგზავრს), ზოგსაც პატარა, უმნიშვნელო. კოსმიურმა გონმა მგზავრზე დადო ფსონი, მისმა გენეტიკურმა მასალამ გადამრჩენელი უნდა მოუვლინოს ამყაყებულ კაცობრიობას, საჭიროა შესაფერისი კონტეინერი, რომელსაც წითური ბანკირის გარემოცვაში დანახული ქალის სამო შეასრულებს.

მაინც, ასეთი რა თაფლი უსვია იმ წითურ ეშმაკს, ანდამატივით რომ იზიდავს მგზავრისთვის განკუთვნილ რჩეულებს? ნუთუ ფული? არა, აქ სხვა რამეა... განგების სცენარი სწორედაც მის სასარგებლოდ იწერება... ვინ თქვა, რომ დიადი მიზნისკენ სავალი გზა ია-ვარდითაა მოფენილი? წინააღმდეგობა აკაჟებს ფსიქიკას, სარკალურ დატვირთვას აძლევს დასახულ მიზანს.

ბანკირის სახლში შუქი ჩაქრა, მხოლოდ საპარადო კართან ენთო ფსევდო ანტიკვარული ფანარი. დაიძინეს. ცოტა ხნის წინ ის ბაღში დასეირნობდა, ჩინურ ვარდებს ყნოსავდა, ეშმაკისეულ ბანკირთან მუსაიფობდა. წინამორბედისგან განსხვავებით, ეს გარეს არ გამოდის, ეზოში ყოფნის დროსაც კი ვიღაც ახლავს, რაც ართულებს განზრახვის სისრულეში მოყვანას. არა უშავს, ერთხელაც ხომ გამოვა, სახლში ჯდომა ხომ არ აქვს მისჯილი? დანარჩენი ტექნიკის ამბავია...

მგზავრი კარიბჭის რიკულებს ჩაეჭიდა და თავის გაყოფა ცადა. თავი არ გაეტია, ამაღამ ყნოსვით მოუწევს დაკმაყოფილება. ფილტვები დაბერა და ღრმად შეისუნთქა ვარდების არომატით გაჟღენთილი ჰაერი.

\_ ვინ ხარ? \_ ჩასჩურჩულა სიბნელეს.

`შენი ბედისწერა.~ \_ ნიავევით გაეპასუხა უხილავი. მგზავრმა შინაგანი ძრწოლა იგრძნო, თვალები დახუჭა და მედიტაციის ლოდინში გაიტრუნა.

\_ არ წახვიდე, მელაპარაკე... \_ შესთხოვა უხილავს.

უხილავმა ისმინა მისი ვედრება, სიბნელე თითქოს შეინძრა და მგზავრმა გაიგო:

`შენ სწორ გზაზე დგახარ... ასე გააგრძელე და სანადელს მიაღწევ. ადამიანის გენეტიკური კოდი არ იცვლება, სიკვდილის შემდგომაც განაგრძობს არსებობას, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის. შენი რჩეულის გენეტიკური კოდი სხვაში ჩასახლდა, შენ ის იცანი, მომილოცავს...~

მგზავრს ცრემლი მოერიდა. გასხივოსნებული თვალების ახედა ცას. მთვარის ვერცხლისფერ დისკოზე ნაცნობი გამოსახულება დაიხატა. მგზავრი დიდხანს და მონდომების უცქერდა. და აი, როგორც იქნა, დაიმუხტა. ოოო, რა ტკბილია, რა შეუდარებელი... სახლში წასვლას ვერ მოასწრებს, აქვე დაამყარებს დისტანციურ კავშირს თავის ასტრალურ კოდთან, რხეულის სიახლოვე მხოლოდ გაუმძაფრებს სიამოვნებას.

მარდად გადაეწვლო კარიბჭეს, ვარდის ბუჩქთან შედგა. შესანიშნავი ადგილია. ერთის მხრივ მთვარის გულზე ხარ, მეორე მხრივ \_ მოფარებულში. ნაჩქარევად გაიძრო ტანსაცმელი, ხელები აღაპყრო და რიტუალის აღსრულებას შეუდგა.

`სწორ გზაზე დგახარ, მომილოცავს...~ მონოტონური ბუტბუტი ძალას იკრეფდა და უკვე მგზავრის სხეულში რეკდა. ციური მნათობიდან გადმოღვრილი ენერგეტიკა მის მამაკაცურ ღირსებაში აკუმულირდა, სულ ცოტაც და იფეთქებს, ვარდებს დაეპკურება, კედლებში შეაღწევს და რჩეულს გააღვიძებს...

ზრრ! სულ ახლოს ფანჯრის ანჯამამ დაიჭრიალა.

ნუთუ უკვე შეაღწია?!

\_ ვინ არის მანდ?! \_ თავს ზევით დასჭექა ვიღაცამ.

ოოო, ეს არ იყო ქალის ხმა. უეჭველი წითური ეშმაკი ჩხაოდა.

მჭექარე ხმამ რეალობაში დააბრუნა. მომენტალურად გამოვიდა ტრანსიდან და ჯერ კიდევ მომართულ პენისს დახედა, რომელიც თვალსა და ხელს შუა კარგავდა საბრძოლო ფორმას. სახლის შიგნით სახიფათო მოძრაობა გაისმა \_ იარაღის ჩხაკუნს ჰგავდა. მგზავრმა მინაზე მიმობნეულ ტანსაცმელს ხელი დაავლო და დედნიშობილა გაიქცა კარიბჭის მიმართულებით. მოასწრებს. უნდა მოასწროს! კოსმიური გონი არ დაუშვებს მისიის შეუსრულებლად წავიდეს ამ ქვეყნიდან. შუკაში მანქანა დგას, გასაღები შარვალშია, შარვალი ხელში უჭირავს, მაგრამ ფეხსაცმელი დარჩა... დაბრუნებას ვერ მოასწრებს, ჰოლში უკვე აინთო შუქი!

მგზავრი უკანმოუხედავად გაიქცა.

გოგამ მხოლოდ დილის ათ საათზე მოახერხა თვალების გაფხრენა. გვიან ღამემდე თეატრში იყო. ვიდრე კრიმინალური პოლიცია მოვიდა, მონშეები დაიკითხა, გვამი პროზექტურაში გადასვენდა, დაღამდა კიდევ.

საგანგებო თათბირი დაწყებული იქნება. ანზორი ალბათ ბრდღვნის ყველაფერს, მაგრამ დარეკვას ვერ ბედავს, იცის, როდის მივიდა შინ მაიორი სვიმონიშვილი.

სახლიდან საუბმის გარეშე გამოვარდა. გარეთ მოღრუბლული ამინდი დახვდა, განწყობის შესაფერისი.

ივანე გულორდავამ წნევა მოიმიზება და თათბირზე არ გამოცხადებულა. ერიდება. \_ დაასკვნა გოგამ. რომ არა მოხუცი ჩეკისტის დაჟინებული თხოვნა, გოგა დროს არ დაკარგავდა ფსიქიატრთან ვიზიტზე, პირდაპირ თეატრის ნავიდოდა და დავით ჯაფარიძეს ცოცხალს მიუსწრებდა. რაღაც მომენტში ასეთმა აზრმაც გაუელვა \_ იქნებ ივანემ სპეციალურად მიავლინა ფსიქიატრთან, თვითონ კი... მკვრეხელური აზრი იქვე უარყო. მონშის სტატუსით დაკითხულმა ძველმოდურმა ქალმა თქვა, რომ გოგას მოსვლამდე საგრიმიოროში უცნობი ქალი დააკვალიანა.

\_ დავიჯერო, ქალმა მოახრჩო მთასავით კაცი? \_ არ დავიჯერა ანზორმა.

\_ აპრიორი არ უნდა დავიჯეროთ. უნდა ვივარაუდოთ. \_ გაეპასუხა გოგა.

\_ ჯანდაბას! ეს მკვლელობა თუ ჩვენს ოპერაციასთანაა კავშირში, დედას გვითხრებენ!

\_ ჩვენ რა შუაში ვართ? \_ ხელები გაშალა ვეფხიამ.

\_ როგორ თუ რა შუაში... გოგა ვის უნდა შეხვედროდა? ჰო, რას დაგიგრძელდა სახე... \_ შეუღრინა ვეფხიას, \_ დათო ჯაფარიძეს. რა საქმეზე? ნოდარ უგრეხელიძის გამოსავლენად. ვინ არის დაინტერესებული ბანკირის ჩაძირვაში? ჩვენ. მართალია, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ ეს არაა არგუმენტი. \_ ანზორმა პაუზა გააკეთა და შემპარავი ხმით განაგრძო. \_ ადგილი აქვს ინფორმაციის გაჟონვას. ჩართეთ ზურგის ტვინები და გაიხსენეთ: ვისთან-რა წამოგცდათ. ჰა, ვერ იხსენებთ, არა? უგრეხელიძის სახლთან რომ წყვილი პატრულირებს, რამდენად არიან საქმის კურსში? შენ გეკითხები, ბატონო ჩოხელი, შენი ხალხია იქ.

ვეფხიამ შეცბუნებულმა ასწია თავი. შეფი მხოლოდ უკიდურესი გაღიზიანების შემთხვევაში მიმართავდა ბატონობით.

\_ იმათ მხოლოდ აღრიცხვა ევალებათ. მეტი არაფერი. \_ თავი იმართლასავით.

\_ დარწმუნებული ხარ?

\_ ჩემგან სხვა დავალება არ ჰქონიათ. აი, მათ მიერ მოწოდებული ბანკირის გადაადგილების გრაფიკი.

ანზორმა უხეშად გამოართვა თაბახის ფურცელი, თვალი გადაავლო, ხელმოსაჭიდი ვერაფერი აღმოაჩინა და გამომცდელი მზერა გოგაზე მიმართა.

\_ შენ რაღა მიგარბენინებდა ფსიქიატრიულში, როცა თეატრი მისვლა დაგევალა?

\_ ივანეს ზარმა არქივში მომისწრო, გაუპატიურებაში ეჭვმიტანილ პატიმართა სია აინტერესებდა. იქნებ ჩვენთვის საინტერესო პიროვნებას წავაწყდეთ. \_ უხალისოდ უპასუხა გოგამ. გამოდის, ივანემ მოატყუა, როცა ანზორიც გაიყვანა საქმეში. რატომ?

ანზორის სახეზე უნდობლობის ჩრდილმა გადაირბინა. მარჯვნა ხელი მაგიდის ქვეშ შეაცურა და ჭერი შეათვალიერა.

ვიდეოთვალს ეძებს, მიხვდა გოგა. იმასაც მიხვდა, რა ხდება ამ წუთებში ბობოქარი შეფის გულში.

\_ `ჩვენთვის საინტერესო პიროვნებაში~ ვის გულისხმობდა?

\_ არ დაუკონკრეტებია. კონკრეტიკის გარეშე კი ფსიქიატრი არ წამოვიდა კონტაქტზე, თუ არ ჩავთვლით განზოგადოებულ ლექციას მანიაკალურ შიზოფრენიზე.

\_ ვილაცას ძალიან არ აწყობდა მსახიობის ალაპარაკება. არა უშავს, ამონყვეტილი ხომ არ არის, ნათესავი ეყოლება, მეგობარი... მოკლედ, დათუნა ჯაფარიძის ახლობელზე უნდა გავიდეთ. გყავთ კარგი ნაცნობი თეატრალურ წრეში? ძველი თაობის მსახიობი გვანწყობს, აზრზე მოსული და ჭორიკანა.

გოგას ექს სიდედრის კარის მეზობელი, ენაწყლიანი ხათუნა გაახსენდა, რომელიც დროგამოშვებით ყავის სასესხებლად შემორბენდა ხოლმე და ქაქანით ბომბავდა არისტოკრატების პოზაში ჩამდგარ ცოლეულს. ხათუნა არ იყო ცნობადი სახე, თუმცა პრაქტიკულად თეატრში დაბერდა. ან უნიჭო იყო ან უიღბლო. მესამე კლასის მსახიობები კი ჭორებით იკვებებიან.

\_ ვიცი ასეთი. \_ თქვა ხმამაღლა.

\_ ჰოდა, დაკითხე. \_ ჩაილაპარა ანზორმა და გულის გასაგრილებლად წყალი ჩამოისხა.

\_ გამოძიებაში ცხვირს არავინ ჩაგვაყოფინებს, ჩვენით თუ ვერ გავედით მკვლელზე, ცოცხით გაგვხვეტავენ აქედან \_ დიდი, გრძელტარიანი ცოცხით. ღირსებიც ვიქნებით. განსაკუთრებულ საქმეთა ქვედანაყოფი ვართ თუ ლილოს ბაზრობა?!

რიტორიკული შეკითხვა ჰაერში დაეკიდა. ანზორმა დიდი ყლუპებით დალია წყალი და გოგას მიუბრუნდა:

\_ შენ სახე პირველად გაგუდული მსახიობი, რაიმე ნიშანდობლივი დეტალი არ შეგიმჩნევია?

\_ შემიმჩნევია კიდევ და წამომიღია კიდევ. \_ გოგამ პოლიეთილენის ციციქნა პარკი აჩვენა, სადაც შავად იკლაკნებოდა თმის რამდენიმე ღერი.

ანზორი სკამიანა მიბრუნდა ფანჯრისკენ და `ნიშანდობლივ დეტალს~ მზის შუქზე გახედა:

\_ ვითომ მკვლელს ეკუთვნის?

\_ მოკლულს ხელში ჰქონდა ჩაბლუჯული, ეტყობა წინააღმდეგობის განწევისას მკველელი თმით დაითრია.

\_ იქნებ თავისია, გამწარებულმა მოიგლიჯა, როცა ახრჩობდნენ.

\_ დათუნა ჯაფარიძეს მოკლედ შეჭრილი თმა ჰქონდა. ეს კი გრძელია, მბზინავი, ქალისას ჰგავს.

\_ მართალია. შეინახე, იქნებ რამეში გამოგვადგეს. \_ ანზორს ხასიათი გამოუკეთდა. \_ დუნდუას კაბინეტში დაყენებული `ჟუჩოკი~ როგორ გრძნობს თავს?

\_ ხვალ ვაპირებ მოხსნას. ბარემ ბოლომდე აითვისოს ჩაწერილი მასალა, თუ უკვე არ აითვისა.

\_ უგრეხელიძის სახლზე დაკვირვებას გოგა განაგრძობს. აღარ გვინდა ზედმეტი ხალხი, სადმე-რამეს დააყრანტალებენ და მერე სდიე ქარს მინდორში. ნიუსებსაც მიადევნეთ თვალი, დღეს ის ვაჟბატონი ბრიფინგს მართავს, ვნახოთ, რა თაიგულებს ისვრის მთავრობის მისამართით.

\_ ვინ ვაჟბატონი? \_ ვერ მიხვდა ვეფხია.

ანზორმა გოგას გახედა. მის მხერაში ვეფხიას მისამართით გატყორცნილი ირონია იკითხებოდა. გოგა იზიარებდა მის ირონიას. სპეცნაზის წარმომადგენლის ყოფნა

გასაიდუმლოებულ თათბირზე მისთვისაც მოულოდნელი სიურპრიზი იყო. როგორც წესი, ეს სამსახური ფორსმაჟორულ სიტუაციაში ერთვებოდა ხოლმე. ოპერაციის დაგეგმვაში ვეფხიასთანა დილეთანტს არაფერი ესაქმებოდა, მაგრამ ანზორი დიდად არ აპროტესტებდა. არაა გამორიცხული, დამკვირვებულის სტატუსით ვეფხიას მონვევა ბედა ეშელონებიდან წამოსული ბრძანება ყოფილიყო. უწყების ცალკეულ რგოლებს შორის ყოველთვის არსებობდა ფარული დაპირისპირება. ხელისუფლებას, რამდენიც არ უნდა ეყვირა, ერთი გუნდი ვართო, რეალობას ვერსად წაუვიდოდა \_ გუნდს გველემპაპივით ებრდებოდა ახალ-ახალი, დამოუკიდებელი თავები.

\_ ბესარიონ ჩაჩხიანი, ჩემო ვეფხია, პრეზიდენტობის კანდიდატი. კიდევ არის შეკითხვები?

შეკითხვები არ იყო, გოგა და ვეფხია ერთად გამოვიდნენ დერეფანში.

\_ ვერ არის ხასიათზე. \_ ამოიოხრა ვეფხიამ.

\_ აქვს მიზეზი.

\_ გინდა წამოგყვები ბანკირის სახლის დასაბვერად?

\_ არა. \_ მოუჭრა გოგამ. ცოტა მკაცრად მოუვიდა, მაგრამ მისი გაგებაც შეიძლებოდა. გაჟონილმა ინფორმაციამ ეჭვი გაუძაფრა, ვეფხიას გააქტიურებამ კი ცეცხლზე ნავთი დაასხა.

\_ არ გინდა, ნუ გინდა, მეცოდები მართო რომ უნდა იყურყუტო, თორემ მოცლილი კი არ ვარ! \_ ეწყინა ვეფხიას.

გოგამ შემრიგებლურად მიუტყაპუნა მხარზე ხელი და ანკრიალებულ მობილურს გაეპასუხა.

რეკავდა მისი და, მარინა.

თურმე, სვიმონიშვილების ოჯახში ტკბილეულით ხელდამშვენებული თამუნია გამოცხადებულა და ქმართან შესარიგებლად მულისთვის შუამდგომლობა უთხოვია. კმ, ეს ის თამუნიაა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ თავს ამაღლიდა ქმრის სანათესაოს: ვერ შემხვდა ჩემი ინტელექტის შესაფერისი ხალხი, ჭამაზე არიან ორიენტირებულები, სულიერი საბრდო ნაკლებად აინტერესებთო.

\_ რა ვქნა? \_ გოგას ხალისიანი დაიკო, ცოტა არ იყოს, დაბნეული ჩანდა.

\_ რა ტკბილეულია?

\_ ქადები, ფახლავა... რა სისულელეს მეკითხები, ბიჭო, მაგისტრის გირეკავ?

\_ ქადები აითვისეთ, ფახლავაც ზედ დააყოლეთ.

\_ მეღადავები?

\_ არა, საქმეს გეუბნები.

\_ შენ ვერა ხარ, ხო იცი... \_ გადაირია მარინა, \_ ჩქარა მირჩიე რამე,

ტუალეტში შემოვძვერი ჩემი მობილურით, მეშინია არ გაიგოს.

\_ თამუნია სად ბრძანდება?

\_ დედას აბრუებს: თქვენ დაგიჭერებთო, ისაო, ესაო...

\_ როდის იყო სხვის ჭკუაზე დავდიოდი. მე მაგას იდიოტი ხომ არ ვგონივარ?!

\_ მგონი მართლა ჰგონიხარ. \_ დაეჭვდა მარინა.

\_ მაშინ უთხარი, საყვარელი ჰყავს-თქო. \_ გოგამ დანინაურებულ ვეფხიას ჩაუქროლა, თვალი ჩაუკრა და ავტოსადგომისკენ აიღო გეზი.

\_ ვითომ ეგ არის გამოსავალი?

\_ მარუმ, რაც გინდა ის უთხარი, ოღონდ თავი დამანებოს.

\_ შენი გადაწყვეტილება საბოლოოა?

\_ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

\_ მეცოდება ხო იცი, მგონი მართლა განიცდის.

\_ დაუყვავე, მიეფერე, უთხარი, რომ ცხოვრება გრძელდება, ხომ მოგაქვს თავი დიდ ფსიქოლოგად, მოიფიქრე რამე.

\_ მოიფიქრე კარგია?! რაც თავი მახსოვს, სულ გინუნებდა. შენთვის არასოდეს მითქვამს, თორემ ჩემთან და დედასთან იცოცხლე, კარგად გამუშავებდა.

\_ მერე, სად იყავი აქამდე?

\_ არ მინდოდა შენთვის გული დამეწყვიტა.

\_ სულელი. \_ გოგა კონსპირაციულ მიკროავტობუსში ჩაჯდა და გასაღები საკეტს მთარგო.

\_ ვინ? \_ დაინტერესდა მარინა.

\_ მე, ალბათ.

მარინამ ხაიფხუკუნა.

\_ რა გაცინებს?

\_ შენი აღიარებითი ჩვენება მომეწონა.

\_ აბა, შენ იცი, როგორმე ზრდილობიანად გაისტუმრე. მეჩქარება.

\_ ერთი საათია მაგას ვცდილობ, ხან სკოლაში წასვლა მოვიმიზეზე, ხან დედას ვუთხარი: ბავშვებია ბალიდან გამოსაყვანი, საათზე ვიყურები, ვოხრაგ... ბიჭო, არაფერმა გაჭრა, ვერ დავძარი.

\_ მაშინ უთხარი, სადამოს გამოგივლის-თქო.

\_ მოვატყუო?

\_ ჰო.

გოგამ მიკროავტობუსი დაქოქა და უგრეხელიძეების სახლისკენ გაუტია.

ობიექტის სახლთან ორი მანქანა დახვდა \_ ელდარ დუნდუას წითელი `ვოლვო~, და ნიკა რეხვიაშვილის შავი `ბეემვე~. ერთი მოთამაშე აკლდათ \_ ბესარიონ ჩაჩხიანი. ეს უკანასკნელი გოგამ პირდაპირ ჩართვაში აღმოაჩინა \_ რიხიანად ინვევდა დებატებში არსებულ პრეზიდენტს, ტრანსლიაციას კი ტელეკომპანია `მნათობი~ უზრუნველყოფდა.

ყველაფერი დღესავით ნათელია. მოცემულ მომენტში ადგილი აქვს ინტერესების თანხვედრას. თუ ასე ეფექტურად გააგრძელებენ, ანზორის პროგნოზები შეიძლება გამართლდეს კიდევ. პირდაპირ ეთერში აჭიკტიკებული ბესარიონი ჟურნალისტებს დემაგოგიის მასტერ კლასს უტარებდა \_ ნებისმიერ მწვავედ დასმულ შეკითხვას თავს არიდებდა და შეუმჩნეველად გადადიოდა საფიარო თემებზე: მტკნარი წყლის საცავების პრივატიზაციაზე, რეპატრიანტების დაბრუნებაზე, ჯანდაცვის ხარვეზებზე...

ვიდრე ბესარიონი თვითრეკლამით იყო დაკავებული, ბანკირის სახლის წინ პანორამა შეიცვალა. კარიბჭეში გამოჩნდა ნაცნობი უცნობი ქალიშვილი. გამოიჭყიტა, ქუჩა დაბვერა, მერე უცებ ადგილს მოწყდა და თავპირისმტვრევის გაიქცა დაღმართზე. გოგამ მექანიკურად დაძრა მანქანა.

გზავარედინთან არმისული დაენია. გაუსწორდა. მიკროავტობუსის სიმაღლიდან ხედავდა ქალიშვილის დაძაბულ პროფილს, თავზე მოცახცახე თმის ბულულს, მაისურში მოხტუნავე მკერდს... ჯვალის ნაჭრის ფართხუნა შარვალი და ჯვალოსავე ბალეტკები ეცვა. ქალიშვილმა შენიშნა მოახლოებული მიკროავტობუსი, რძის პროდუქტების სარეკლამო სლოგანი დაინახა და ხელები აიქნია:

\_ გააჩერეთ, გააჩერეთ!

გოგასაც მეტი რა უნდოდა, დიდი სიამოვნებით დაამუხრუჭა. ქალიშვილმა მანქანას წინიდან იემოაუარა და აქოშინებული დაეხეთქა მძღოლის გვერდით.

\_ სწრაფად დაძარით, ძალიან გთხოვთ, რაც შეიძლება სწრაფად! \_ მძღოლს მკლავზე დაეჯაჯგურა და შეშინებულმა მიიხედა უკან.

გოგამ დაუჯერა და ისე დაგაბა, ხუთ წუთში ნუცუბიძის პლატოზე იყო. მგზავრმა მხოლოდ მაშინ გაუშვა ხელი, როცა თავი სამშვიდობოს იგრძნო. პირჯვარი გადაიწერა და პირველად შეხედა მძღოლს.

გოგამ მისი თვალის დაინახა თავისი პროფილი. თხელი, ოდნავ კეხიანი ცხვირი, ძვლოვანი ნიკაპი, მაღალი შუბლი, სწორი წარბები, შავ თმაში შეჭრილი თეთრი ფთილა იმპობატურობასაც კი მატებს. წვერი გაპარსული აქვს, სუფთა პერანგი აცვია, `პარლამენტს~ ეწევა... რძის პროდუქტების დამტარებელი რესპექტაბელური მძღოლი. ხავერდოვან ბარიტონს და გამართულ მეტყველებას თუ დავუმატებთ, წესით, არ უნდა დაფრთხეს.

\_ ვინმე მოგდევს?

\_ არ მგონია. \_ ქალიშვილმა თავი გააქნია.

\_ სახლიდან გამოიქეცი?

\_ სახლიდან? \_ უაზროდ გაიმეორა. \_ კი, სახლიდან. \_ ყოყმანით დაადასტურა.

\_ ქმარს გამოექეცი თუ მშობლებს?

დუმილი.

\_ სად მიგიყვანო?

\_ არ ვიცი. უნდა მოვიფიქრო, ახლავე... \_ ქალიშვილს ხმა გაეზბარა, თავი მიაბრუნა და ფანჯარაში გაიხედა.

გოგა მიხვდა, მისი თანამგზავრი ისტერიკის ზღვარზეა. ერთი ამოღრიალება ქვეყანას ურჩევნია. უბრალოდ თავს იკავებს, ეშინია, აქეთ არ დააფრთხოს მძღოლი.

\_ არ გაქვს წასასვლელი?

\_ მაქვს, მაგრამ იქ მისვლა არ შეიძლება.

\_ რატომ?

\_ იმიტომ.

\_ ვინმეს ემალები?

ისევ დუმილი. სხვა სიტუაციაში გოგაც სიამოვნებით დადუმდებოდა, თავს არ შეაწყენდა ზედმეტი კითხვებით, მაგრამ ის უშიშროების მაიორი იყო და არა

მელოდრამატული ფილმის პერსონაჟი. თუმცა სიტუაცია ძალზე წააგავდა ოდესღაც-სადღაც ნანახსა თუ წაკითხულს.

\_ პოლიციური ხომ არ მიგიყვანო?

\_ არავითარ შემთხვევაში! \_ კატეგორიულად იუარა ქალიშვილმა და მთელი ტანით მოტრიალდა. თვალებში ზუსტად ისეთი სასონარკვეთა ეწერა, როგორც იმ ფოტოსურათში. გამოდის, გოგა არ შემცდარა:

\_ სამართალდამცავებთან გაქვს პრობლემები?

\_ არ ვიცი.

\_ მომიყვი, იქნებ დაგეხმარო...

\_ თქვენ... ვინ ხართ?

\_ მე?... მე მძღოლი ვარ, დისტრიბუტორი. რძის პროდუქტებს ვანაწილებ მაღაზიებში.

\_ ალბათ გეჩქარებათ...

გოგამ მხრები აიჩეჩა.

\_ იცით, რა მოვიფიქრე? თქვენთან ერთად ვივლი, მერწმუნეთ, სულ არ შეგანუხებთ. ჩემთვის ვიჭდები და ამასობაში რამეს მოვიფიქრებ. ახლა, ამ წუთში, არ ვიცი, რა ჯობს. მართლა არ ვიცი... მოსაფიქრებელი დრო მჭირდება. არ მინდა წარმოიდგინოთ, თითქოს ვიღაც მატყუარა ვარ, აფერისტი... უბრალოდ, გამოუვალ სიტუაციაში აღმოვჩნდი, ეს შეიძლება ყველას დაემართოს! \_ ისევ წაეპოტინა მკლავზე და ვედრებით სავსე მხერა მიაპყრო.

გოგამ თვალი გაუსწორა. ის, რომ ქალიშვილის თავს რაღაც უბედურებაა, თავისთავად ცხადია. აი, მას, მაიორ სვიმონიშვილს რამ აუჩქროლა გული? რატომ სიამოვნებს მისი ჩაბლაუჭებული თითების შეგრძნება? რა არის ეს \_ ერთი ნახვით შეყვარება თუ თამუნის ჩანაცვლების უნიჭო მცდელობა?

საკუთარი ფიქრის შერცხვა. ყველა-ყველა და, პროფესიონალი მზვერავი ქალის მახეში არ უნდა გაეხას. დაწინაურების კი არა, ანზორის არ იყოს, ერთი გრძელტარიანი ცოცხის ღირსია.

\_ ჰა? \_ იმედით დაეკითხა ქალიშვილი.

\_ მე უკეთეს ვარიანტს შემოგთავაზებ. მანქანაში უაზრო ჯაყჯაყს, ჯობს დაისვენო, აზრები მოიკრიბო და დამშვიდებულ გულზე მიიღო გადანწყვეტილება. მე აქვე ვცხოვრობ, ვაჟა-შფაველას გამზირზე. მშობლები მყავს, და, სიძე, დისშვილები... ერთ ბაქანზე ვცხოვრობთ, მაგრამ სხვადასხვა ბინაში. ჩემს სახლში არავინ შეგანუხებს, საღამოს კი მოვალ და როგორც იტყვი, ისე იქნება.

ქალიშვილი სულგანაბული უსმენდა. მხოლოდ შეწითლებული ნესტოები უთრთოდა, ავადმყოფი ბოცვერივით.

\_ რას იფიქრებენ ჩემზე თქვენი მშობლები?

\_ რას იფიქრებენ?

\_ ქუჩის ქალი ვეგონები.

\_ ჩემმა მშობლებმა იციან, რომ მათი შვილი ქუჩის ქალს სახლში არ მიიყვანს.

\_ თქვენ ხომ არ იცით, ვინ ვარ...



\_ შენ ხარ გოგო, რომელსაც დღეს უჭირს. მე ვარ ადამიანი, რომელიც შემთხვევით გახდა შენი გაჭირვების მოწმე. როგორც შემძლია, გეხმარები.

\_ მერიდება...

\_ ერთოთახიან `ხრუმჩოვკას~ გთავაზობ, ფეშენებელურ ვილას ხომ არა?!

\_ რა არის `ხრუმჩოვკა~?

\_ სტანდარტული ბინა, შედარებით დაბალჭერიანი. შედარებით კი არა, იმის იქით სარდაფია. თბილისში გაზრდილმა ადამიანმა კი უნდა იცოდეს `ხრუმჩოვკის~ მნიშვნელობა.

\_ არ ვარ თბილისში გაზრდილი... ნეტავ სულ არ ჩამოვსულიყავი, ღმერსო! \_ ქალიშვილმა შეტყუებული თითები ნიკაპთან მიიღო, თითქოს ლოცულობდა.

რუსეთიდან იქნება, გონებაში მონიშნა გოგამ. ოდნავ შესამჩნევი აქცენტიც აქვს. ვინ არის? საიდან ჩამოსულა? ვის გამოექცა?

\_ რა გქვია?

\_ კესო.

\_ ლამაზი სახელია. მე გოგა მქვია. გოგა სვიმონიშვილი. ნუ გეშინია, არაფერს დაგიშავებ. დედაჩემს გაგაცნობ, დისშვილებს... ტყუპები არიან, ძალიან სასაცილოები. რას იტყვი?

\_ გული მერევა. \_ იყო პასუხი.

\_ ხუთ წუთს ვერ მოითმენ?

ქალიშვილმა, სახელად კესომ პირი მომუნა და შინაგანად დაიძაბა. ჩვეულებრივი რეაქცია სტრესზე. საწყალი გოგო. გოგა აღარ დალოდებია თანხმობას, პირდაპირ სახლისკენ გაუტია.

---

გოგამ კარი თავისი გასაღებით გააღო და კესოს ბინაში შეუძღვა.

\_ მინდა გითხრათ, ასეთივე ბინაში ვცხოვრობდი თორმეტ წლამდე. არც ვიცოდი, `ხრუმჩოვკა~ თუ ერქვა. \_ თქვა კესომ და მაშინვე საპირფარეოში შევარდა.

გოგამ დრო იხელთა და ოთახში შეიჭყიტა. ყოჩაღ, დედას! ლოგინიც აულაგებია, მტვერიც გადაუნძენდია, იატაკზე დაყრილი გაბეთებიც აუკრეფია. გოგას ჩვევად ჰქონდა \_ ძილის წინ ერთდროულად რამდენიმე გაბეთის კითხვა. წაკითხულს იქვე ყრიდა, ზოგჯერ პირდაპირ საფერფლებზე. თამუნისთან ამდენს ვერ ბედავდა. ყოფილი ცოლი არათუ მოწევას, ლოგინში გაბეთის კითხვას უკრძალავდა \_ შუქი მანუხებდსო. კითხვას დაეძებდა? საწოლის პატარა გაჭრიალებამაც კი, ვითომ ჩაძინებული სიდედრი ისეთ ხველას ატეხდა ხოლმე, თითქოს ვინმე აუპატიურებდა მის ერთადერთ ქალიშვილს.

თამუნის გახსენებაზე გოგას ხასიათი ნაუხდა. ის ხომ აქვეა, კედლის მეორე მხარეს, ქაღებზე ცრემლს აპკურებს და ყოფილ ნათესავებს თავს აცოდებს. სიფრთხილე მართებს.

კესო შემოვიდა. ბრინჯაოსფერ კულულზე წყლის წვეთი უბრწყინავდა. უხდებოდა. წყლის წვეთიც უხდებოდა, აწითლებული ცხვირიც, აწურული მხრებიც და საერთოდ... გოგამ აბეზარ ფიქრებს აუქმია.

\_ ეს ოთახი შენს განკარგულებაშია. შეგიძლია დაიძინო, აი, ამ ტახტზე... ტელევიზორს უყურო, შხაპი მიიღო...

\_ კომპიუტერის ჩართვა შეიძლება?

\_ ცხადია.

\_ ინტერნეტი გაქვთ?

\_ კი.

\_ ძალიან კარგი. თქვენ ნუ გაცდებით, საქმეს მიხედეთ... მე შევეცდები ჩამოვყალიბდე და... და მოგიყვებ. \_ კესომ ჩამოშლილი თმა ყურებზე გადაინია და პირველად გაიღიმა. ცოტა გაქცეული ღიმილი გამოუვიდა, მაგრამ გოგას მოეწონა. კარგია, როცა ქალს ღიმილი უხდება.

ის იყო, წასასვლელად გაემზადა, რომ კარზე ხარი დაირეკა. გოგამ კესოს გახედა, ტუჩებზე თითი მიიღო და ცუდი წინათგრძნობით მიიპარა კართან. ზღურბლზე იდგნენ: დედა, მარინა და თამუნია.

\_ აშკარად კარი გაბრახუნდა! \_ კაპრიზულად შესძახა თამუნია.

\_ მოგესმა, გენაცვალე, რა უნდა გოგას ამ დროს სახლში? - \_ არწმუნებდა დედა.

\_ ჯერჯერობით სმენას არ ვუჩივი. გიმეორებთ, აშკარად გავიგე კარის გაბრახუნება.

თამუნიას გრძელი თითი ხარის ღილაკს დააკვდა. გოგამ უკან დაიხია, კესოს ხელი ჩაავლო, ტახტზე დასვა და გვერდით მიუჯდა.

\_ ჩემები მამონებენ. თუ არ შევეხმიანები, მალევე წავლენ. \_ უთხრა ჩურჩულით.

უკ, ეს ქვეშქვეშა თამუნია! უსათუოდ უნდა დაუფრთხოს ძლივს შემოტყუებული მონზე, რომელიც ეს-ესაა დადგა გულახდილობის ხასიათზე. ყოველ შემთხვევაში, საღამოს გულის გადაშლას დაჰპირდა. `წადი, თამუნია, მოშორდი აქედან. ქშშ... ~ დისტანციური მესიჯი გაუგზავნა ბარზე ჩამოკიდებულ ცოლყოფილს.

მართლაც, ხარი შეწყდა. გოგამ შვებით ამოისუნთქა. საქმეში ხარ? საეჭვო მოძრაობამ ახლა აივანზე გადაინაცვლა. იმავე წუთს კარი მოფრიალდა და ზემოხსენებული სამაია ოთახში შემოლაგდა, სადაც დახვდათ კიდევ გუგულებივით ჩამომჯდარი წყვილი.

\_ რას ვამბობდი?! \_ საზეიმოდ შეჰკივლა თამუნია.

კესოს წამოხტომის მცდელობა გოგამ მაჯაზე ხელის მოჭერით აღკვეთა.

\_ როდის მოხვედი, შვილო? \_ ამოღერლა დაბნეულმა დედამ.

მარინა ხან ძმას უყურებდა, ხან უცნობ ქალიშვილს, ტუჩებზე თამუნიას შეკივლების ტოლფასი საზეიმო ღიმილი დასთამაშებდა. ოღონდ პირიქით.

ამასობაში თამუნია გააცნობიერა, რომ სულაც არა ჰქონია საზეიმოდ საქმე. გამომეტყველება შეეცვალა \_ ნიშნისმოგება უმწეო ბრაზმა შეცვალა.

\_ რაშია საქმე, რატომ შემოიჭერით დაუკითხავად? \_ უკმაყოფილოდ იკითხა გოგა, თუმცა ადრესატი არ დაუკონკრეტებია.

\_ მე მეგონა... ჩვენ გვეგონა... აი, თამუნია მოვიდა და... \_ დედა თავისივე წინსაფარზე ამოქარგულ ციყვს დაემსგავსა \_ თეთრი, მსუქანი, საყვარლად გამოშტერებული.

\_ რა ხდება, თამუნია? \_ გოგამ ხმა გაიმკაცრა.

\_ ერს კითხვაზე მიპასუხე, ოღონდ გულწრფელად.

\_ გისმენ.

\_ ვინ არის ეს ქალი?

დალლილი, დამტვერილ ბალეტკებში ფეხებწაყოფილი კესო, უბადოდ დამაკიაჟებულ, ქუსლებზე ამხედრებულ თამუნიათან შედარებით შარაგზაზე ჩამომჯდარ კონკიას ჰგავდა.

\_ ეს კესოა.

\_ სახელი არ მიკითხავს. ვინ არის ეს ქალი შენთვის?

\_ ჩემი... ჩემი საცოლუე. \_ დააყრანტალა გოგამ.

\_ სა-საცოლუე?... გასაგებია, ყველაფერი ნათელა. \_ თამუნია ას ოთხმოცი გრადუსით მიტრიალდა და როგორც შემოვიდა, ისე გავიდა.

საკუთარ წინსაფარს ჩაბლაუბებული დედა ფართხაფურთხით გაეკიდა. მსვლელობას შეურთდა მარინაც, თუმცა ძმისთვის თვალის ჩაკვრა მოასწრო.

სამოთახიანის კარი გაბრახუნდა. კიბეზე გაისმა ქუსლების აგრესიული პაკუნი.

\_ მგონი შარში გაგაბით. \_ ჩაილაპარაკა კესომ.

\_ პირიქით, დიდი დახმარება გამინიე.

\_ რატომ მოიტყუეთ?

\_ თამუნია ჩემი ყოფილი ცოლია. ვერაფრით დავაჯერე, რომ ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა. იმედია, ახლა მაინც დაწყნარდება. \_ გოგამ კესოს ხელი გაუშვა და ჯიბეში სიგარეტს დაწვდა. კიდევ კარგი, ჩვეულებისამებრ, პიჯაკი არ გაიხადა. წარმოსადგენია, კესოს რეაქცია შეიარაღებული მძღოლის დანახვაზე.

\_ ახალგაზრდა ცოლი გყოლიათ, ლამაზი...

\_ მართო სალამაზით შორს ვერ წახვალ... \_ გოგამ შეჭალარავებულ ფთილაზე ხელი ჩამოისვა. უნდოდა ესქვა, არც მე ვარ მაინცდამაინც ბებერიო, მაგრამ გაჩუმება ამჯობინა.

\_ ერთი შეკითხვა მაქვს, შეიძლება?

\_ გისმენ.

\_ თქვენი ყოფილი ცოლი იქ ცხოვრობს? \_ კესომ კედლისკენ მიმართა ცერა თითი.

\_ არა. სტუმრად იყო მოსული, ყოფილ ნათესავებთან, ასე ვთქვათ. შეგიძლია დამშვიდდე. ეს იყო უკანასკნელი მცდელობა, მეტად აღარ გამოჩნდება.

\_ ალბათ, ძალიან უყვარხართ.

\_ არ ვუყვარვარ, უბრალოდ ვჭირდები.

\_ ერთი და იგივე არაა?

\_ არა.

არა, არ უნდოდა დაღვევა, ბოიშვილი იყოს, არ უნდოდა. მაინც გაიღემა. როდის დაკარგა ტრაკის გასაღები, არ ახსოვს. დასაწყისში რაღაცეები ახსოვს \_ უმაღლესი სუფრა რესტორანში, უბნელი ძმაბიჭების დამშეული სიფათები, მეზურნის დაბერილი ლოყები, დაკრასკული ნაშები მეზობელი სუფრიდან... მერე პოლნი თიში. როგორ მოაღწია სახლამდე, ვინ მოათრია, მოკალი და არ ახსოვს! ხთფუი, სიმთვრალეს კაიფი თუ არ ჯობია! გაიჩხირავ ერთ ბაიანს, პრიხოდს დაელოდები, გაივლი-გამოივლი ღრუბლებზე, მეორე დღეს ჩიტივით ხარ! პახმელია ტეხავს. თავი გახეთქვაზე აქვს, პირში \_ ნედლი სკლინტის გემო, კუჭში \_ მურტალი დომხალი...

ცხოვრებაში ერთხელ იკისრა ალალი სუფრა, მთელი უბანი შეჰყარა, პაკა-დასვიდანას პონტში, იფიქრა: თავს დავამახსოვრებ, ერთი წელი მაინც ეყოფათ სალადაოდო. ჩემი სლე! ისე გამოტყვრენ, დედა შვილს არ აიყვანდა. არადა, გააფრთხილა მამამისმა: მოეში პაკაზუხობას, ყველაფერს თავისი დრო აქვს, ეგ ფული მხოლოდ ავანსია, ვიდრე მთელ მაყუთს არ მოვხსნით, აფრებს ნუ გაშლიო. არ დაუჯერა, ფული ჯიბეს წვავდა, ხელები ეფხანებოდა. ეგეც თავისებური ლომკაა, პროსტა ძვლებში არ გამტვრევს... რა ექნა, როგორც კი თავს მასპინძლად წარმოიდგენდა, ალტაცების დორბლი ცვიოდა. ახლა აღარც დორბლი აქვს (გამომშრალ პირში ენას ვერ პოულობს), აღარც ფული... მამენტ, სულ ხო არ დახარჯავდა, დიდი-დიდი ათასი დოლარი დამკდარიყო ის დედამონწული ღრეობა.

ლევან დუნდუამ თვალეები გაფხრინა. პირველი, რაც დაინახა, იყო ჟანგიანი ლაქის კონტური ჭერზე. ფეხმძიმე საილოს ჰგავდა, ოლონდ ხორთუმის გარეშე. დამძიმებული თავი მოაბრუნა. აუფ! სხვის სახლში იწვა, სხვის სანოლში, ორ ნაკლასთან ერთად ყვითლად შეღებილი ქორჩებით. ნაკლებს ეძინათ. ისეთი საცოდავები ჩანდნენ, ისეთი კომშისფერი ედოთ, მიზლით იბრუნა პირი. მიზლი იქით იყოს, რამე ვენერიული არ აჰკიდონ ამ დიშოვკებმა!

ფრთხილად შეაცურა ხელი პლედის ქვეშ. შიშველია, ტო! გადარეულივით წამოჭდა და სასქესო ორგანოზე დაიხედა. ერთი შეხედვით არაფერი ეტყობოდა, მერე რა პროცესები წავა, ეშმაკმა უწყის.

ტანსაცმელს მაგიდაზე მიაგნო, ტანგებისა და ბიუსპალტერების გედახორაში. იქვე ეგდო პრეზერვატივის ცარიელი კოლოფი. გულზე მოეშვა. ახლა თუ გადარჩა, ცხოვრებაში აღარ გატყვრება. შიდსი თუ აიკიდა, რა თავში იხლის მილიონებს?!

საფულის ძებნაში ყველაფერი გადააქოთა, ბოლოს იატაკზე მიაგნო, გამოშიგნულს, კაპიკის გარეშე. უუჰ, დაბრიდავს ელდარა, სტაპრაცენტნი დაბრიდავს!

ლოგინს გახედა. ამათი განწევა შეიძლება, მარა ატკაზზე წავლენ, არც ისაა გამორიცხული, უბნელების ხელი ერიოს. სიმთვრალეში ეგეთებზე წასულან?!... ლევანა პირველი სკრიპკა იყო ხოლმე. არა, ძმაო, არა შეჯდა მწყერი ხესაო. კაი ნათქვამია, ბაზარი არ არი. უბნელები უნდა მოქესტოს. სად პაჩტი მილიანერი ლევანა, სად ერთი ღერი სიგარეტის მათხოვარი წარაკუები. ლევანას ზაპასკა არ ჭირდება, ეგეთები ელდარას პრერ... პრეგ... პრერგ... პრეროგატივაა. აჰა, თუ არ გაახსენდა! არც ეგრე საქმე, ხვალდან ახალი ცხოვრება დაიწყება. პრეროგატივების, დისკუსიების, ბიზნესფედარაციების... მამენტ, მასწავლებელს აიყვანს მეტყველების ამბავში, თორემ მოუსმენს რომელიმე ახვარი ბიზნეს ვუმენი და იკითხავს; ვინაა ეს ჯიბგირი, საიდან გაეძრო?

იატაკზე მიმოყრილ ხარახურას გადააბიჯა და გარეთ გამოლასლასდა. იმენნა გამოლასლასდა, ლასტების პონტში. ლას, ლას... ერთი-ორი.

აუფფფ! რა ქარმა გადმოაგდო ამ სოფელში?

სოფელი~ აღმოჩნდა ლოტკინის გორა. პაჩტი ქალაქი, მარა მაინც სოფელი. კი არ მიდიოდა, ფეხებს მიწაზე მიათრევდა, ლასტებიანი რობოტივით. ლას-ლას...

სუსხიანმა დილამ თანდათან გამოაფხიზლა. სადღაც უნდა ჰქონდეს მობილური, თუ ისიც დათესა? შედგა, მომჩვარულ სხეულზე ხელები მიიტყაპუნა. მობილური შარვლის უკანა ჯიბეში იპოვა. გათიშული. დიდი ვერაფერი მოდელი იყო, მაგრამ მაინც გაუხარდა. ჩართავ, საათს გაიგებ, ვინმეს დაურეკავ. ჩასკდომას, ერთი ნავაროჩენი მობილი ეყიდა, შერჩებოდა მაინც.

ლას, ლას... ნაგვის ბაკთან შედგა, ცალი ხელით ხვანჯარს დაეჯაჯურა, მეორეთი \_ მობილური ჩარსო. ჩარსვა და ბარის დარეკვა ერთი იყო. ჭუჭყიან ეკრანზე ძლივს გაარჩია მამამისის ნომერი.

\_ ვა, მამა?!

\_ მამა კი არა, სიკვდილი და არგადარჩენა! \_ იყვირა ელდარმა.

\_ რას იწყევლები, ე...

\_ სად გდიხარ, რას აკეთებ?

\_ ვფსამ, რა!

\_ კრეტინო, ახლავე მოეთრიე სახლში!

\_ ახლავე გამიჭირდება. \_ ლევანმა შარვალი შეიკრა და მორღვეული ფეხებით განაგრძო გზა. ლას, ლას. \_ ჰა, ჰა, სალამომდე მოვალწიო.

\_ სად გდიხარ მეთქი?

\_ ლოტკინზე. ე, ქათამიც გაიჩითა. აქმა, ქალო! \_ ლევანმა ღობიდან გამომძვრალი ქათმის აპანჩურებას შეეცადა, მაგრამ ვერ მოზომა და თხრილში ისკუპა. \_ შენი გამხენის დედა...

\_ მთვრალი ხარ, შე პირუტყვო, შენა?...

\_ ჰო, დავლიე, კაცი ხო არ მომიკლავს? პახმელიაზე არ ყოფილხარ, ადამიანო?

\_ პახმელია მოგენატრება, ციხეში რომ ამოგაყოფინებენ თავს. ახლავე გაჩნდი სახლში!

\_ დაიქუხა ელდარმა.

\_ რა ხდება, მამი?

\_ გაიპარა ის გოგო, დატყდა ნოდარას სახლიდან!

\_ აუუ.... როგორ დატყდა, ტო?

\_ ჭრელად. ადგა და გაიპარა.

\_ ჩათლახი! ნოდარამ ფულის გადარიცხვა მოასწრო?

\_ რა ფული, ბიჭო, ნოდარამ თუ გაგვშიფრა, მინაში ჩაგვდებს ცოცხლად. ტაქსი დაიჭირე და მოდი სახლში, ფულს აივნიდან გადმოგიგდება. დროზე!

ელდარმა მობილური გათიშა. ლევანი სიმწრით დაეხეთქა ღობის გასწვრივ, პირდაპირ მინაზე. გაიპარაო. როგორ გაბედა?! თითქოს ყველაფერი კარგად იყო... ვითომ მიუხვდა განზარხვას? მიუხვდა, დამპალი. ჩვენში რო დარჩეს, ელდარასთვის არ გაუმხელია, თორემ მას, ლევანს იმთავითვე ჰქონდა გეგმაში კესოს მოკვლა. სად გაგონილა მოწმის ცოცხლად დატოვება? ჯერ გატესტავდა, მერე გატრუპავდა. ელდარა სლაბია, გატრუპვას არ დაანებებდა. მოკლედ, ზაპასკა. მილიონიც უნდა, კაი ბიჭის სახელიც. ეგრე სად არის, ძმა!

მამა ეზოში დახვდა. ბოლოთას სცემდა სადარბაზოს წინ. ტაქსი

გაისტუმრა თუ არა, ლევანს ანიშნა \_ მანქანაში ჩაჯექიო.

\_ სახლში ვერ დავილაპარაკებთ, დედაშენი ხელს შეგვიშლის. მთელი ღამე თვალი არ მოუხუტავს. არც მე, არც მაგას. ხვდება, რაღაცაშია საქმე, ნერვიულობს. ხომ იცი ქალების ამბავი, სულს ამოგხდიან, სანამ სიმართლეს არ გაიგებენ. \_ ელდარმა შვილს გახედა და კოტიტა თითები საჭეზე აათამაშა. \_ ხვდება, რა შარში ვართ?

\_ ნოდარა რას ამბობს?

\_ გაგიჟებულია კაცი! ვერ ხვდება მიზეზს \_ რატომ წავიდა, რატომ დამტოვა, რამე ხომ ვანწყინებო... მიედ-მოედება რაღაცას. პოლიცია თუ ჩართო, ჩათვალე დაგვენძრა.

\_ პოლიცია, \_ აგდებულად შენიშნა ლევანმა. \_ აგერ არ ვარ პოლიცია? მოვიდნენ, ფეხები მომჭამონ.

\_ ფეხებსაც მოგჭამენ და ტრაკის მასაჟსაც გაგიკეთებენ, ყყყიო! რამ გამოგართვევინა მობილური, ეგებ ცხელ კვალზე მოგვეძებნა ის ტუტუცი გოგო. ახლა რა გამოდის, ფულსაც ვკარგავთ და თავისუფლებასაც! (პაუზა) სულ დაამღერე ავანსი?

ლევანმა თავი ჩაქინდრა. რა ჰქონდა სათქმელი, ერთი თეთრი არ უჭყავის ჯიბეში.

\_ რას დამუნჯდი, თქვი რამე... შენ ჩამითრიე ამ უბედურებაში!

\_ შორს ვერ წავა... წავა-წამოვა და სახლიი მივა. იქ უნდა ჩავუყარაულდეთ.

\_ იქამდე რომ პოლიციაში განაცხადოს? პოლიციაში რომ განაცხადოს სად მივდივართ მერე? \_ ელდარს აღელვებისგან ხმა ჩაეხლიჩა და ხველა აუტყდა.

\_ ვინ დაუჯერებს ნარკოტიკების ბარიგას? გერაინით დავუძეძგე მთელი სახლი! არა, არ იტყვის. \_ დაბეჭდა ლევანმა. \_ კაროჩე, ერთი ბორჯომი მიყიდე, ერთიც წყალი გადამავლებინე და მე ვიცი ჩემი საქმის.

\_ რას აპირებ?

\_ პასპორტის გარეშე ვერსად წავა, ყველა საბუთი ჩვენთანაა. სახლში დავუსატკავებ, დავებარებ, გავარკვევ რა უნდა. ქალების დედა ვატირე, მაგათ რას გაუგებ კაცი, დედოფალივით ცხოვრობდა, რა ჯანდაბამ გამოაქცია?

\_ რამე არ მიჰქარო, იცოდე. მივაშავოთ საბუთები და წავიდეს თავის გზაზე. ჩემი მხრივ, ვეცდები ნოდარა დავაშოშმინო, ეგებ პოლიციის გარეშე ჩავფარცხოთ ეგ საქმე.

ასეც შეთახმდნენ.

---

გოგა და ანზორი თვითკმაყოფილი ირონიით უსმენდნენ ელდარ ღუნღუას კაბინეტიდან ამოღებულ ფარულ ჩანაწერს. ვერ წარმოედგინათ, რომ ნოდარ უგრეხელიძეზე კომპრომატის ძიება ბანალურ სერიალადმე მიიყვანდა. გულის სიღრმეში ეცოდებოდათ კიდევ ბავშვობის მეგობრის შანტაჟზე წამოგებული ბანკირი, რომელსაც სხვისი შვილი შეასაღეს. ეტყობა, ისე ეშურებოდა 16 წლის წინ დაკარგული შვილის პოვნას, სულ დაკარგა საღი აზრი.

ანზორმა ციციქა კასეტა სეიფში შეინახა და კაბინეტში გაიარ-გამოიარა:

\_ სამწუხაროდ, ეს ფირი უნდა დავაკონსერვოთ, თორემ ეგრევე ყელში გვწვდებიან: რა აუცილებლობას წარმოადგენდა ელდარ ღუნღუას კუდზე დაჯდომაო.

ჩვენ კი პასუხი არ გვექნება. უფრო სწორედ გვექნება, მაგრამ საჯაროდ გამოსაცხადებელი \_ არა. ვიდრე საპრეზიდენტო ციებ-ცხელება არ ჩაცხრება, ზედმეტი ყელყელობა არ ივარგებს. რაც შეეხება ლევან დუნდუას, ციხე არ ასცდება... პოლიციელის მხრიდან ადამიანის გატაცებაში მონაწილეობა მაქსიმალურად დასჯადია.

\_ კესო თუ არ გამოტყდა, ვერაფერსაც ვერ დავუმტკიცებთ.

\_ რას ჰქვია, არ გამოტყდა?! უნდა გამოტყებო, ფსიქოლოგიურ ტერორში ამყოფო... აბა, რაის პროფესიონალი მზვერავი ხარ?

\_ მისთვის პროფესიონალი მძლოლი ვარ.

\_ რა, განათლებული მძლოლები არ არსებობს? რამდენიც გინდა იმდენია უმაღლესდამსავრებული მძლოლი. ეს გოგო, კესოა თუ ვინც არის, ერთადერთი ძაფია, რომელიც ბანკრის კავშირებზე გაგვიყვანს. ყველაფერი შენს მოხერხებაზეა დამოკიდებული. \_ ანზორი შედგა. მაგიდაზე დაყრილი ფოტოები გადაათვალიერა. \_ ჩვენში დარჩეს, რა მთარბენინებდა ამ სახლიდან, ფეხი ფეხზე გადაიდევ და იცხოვრე, როგორც გენებოს. სახლი კი არა, ნამდვილი სასახლეა!

\_ მკაცრი რეჟიმის სასახლე. \_ ჩაიცინა გოგამ.

\_ რატომ?

\_ იმიტომ, რომ ცხვირს არსად აყოფინებდა. ეზოშიც კი დაცვა დაყვებოდა. რომელი ჭკუათმყოფელი გაუძლებდა ასეთ რეჟიმს?

\_ მოკლედ, დიდი ვნებათაღელვები ტრიალებს უგრეხელიძეების კარზე... ვითომ შვილი, ვითომ მამა, ვითომ საყვარელი... არ გამიკვირდება, ერთ დღესაც ელენე ბეთანელი დაგვხატოს საკუთარი პერსონით. თვითონ გოგო რას ამბობს, რატომ დავთანხმდით?

\_ არ ვიცი. ჯერ არ უთქვამს.

\_ იქნებ ეგეც ფულს დახარბდა, დუნდუებმა კი აყირავეს.

\_ არ ჰგავს ხარბს.

\_ ჰგავს თუ არ ჰგავს, მკაცრი რეჟიმი არც შენთან ასცდება. \_ ანზორმა გამომცდელად შეხედა სურათებთან დახრილ მაიორს. \_ ხომ არ მოგეწონა, ბიჭო? რას გაყურდი, ცოლ-შვილის არსებობა მე უნდა შეგახსენო?

\_ ცნობისთვის: ცოლი აღარ მყავს. შვილი კი არასოდეს არ მყოლია.

ანზორმა შუბლი შეჭმუნხა, მერე გაშალა, მერე ამოიოხრა:

\_ ხოლ... არ არის კარგი ამბავი.

\_ ცუდი ამბავი იქნება, დასაკითხად რომ დამაგვიანდეს. დათუნა ჯაფარიძესთან დაკავშირებით. \_ შეახსენა გოგამ და წამოდგა. \_ სხვათა შორის, ყოფილი სიდედრის კარის მეზობელია. ასე რომ, დამაფასეთ.

\_ ყოფილი სიდედრი არ არსებობს, არც ყოფილი აგენტი. ამ გახსენებაზე, ივანე ხომ არ შემოგხმაურებია ამ დღეებში?

\_ არა.

\_ რაღაც ნამეტანი გაუგრძელდა ავადმყოფობა, განსაკუთრებით, იმდღევანდელი ინიციატივის შემდეგ. კარგი, ნადი, არ გაგაცდენ. თუ საჭიროდ ჩათვლი, შეგიძლია ბანკირიც დაკითხო. საინტერესოა, რას იტყვის ჯაფარიძის მკვლელობაზე?!

გოგა ქურდივით შეიძურნა ნაცობ სადარბაზოში. ღმერთმა ნუ ქნას თამუნისა  
შეჩეხოს, ანდა უარესი, სიდედრს. სწრაფად აირბინა კიბეები და იქამდე რეკა, ვიდრე  
ხათუნამ კარი არ გააღო.

\_ რა ხდება, ხანძარია?! \_ გაიკეკლუცა ხათუნამ და სამკაულების წკარუნით  
შეუძღვა ბინაში.

ეს იყო ორმოც წელს გადაცილებული ქალი დიდი მაყვლისფერი თვალებითა და  
მსხვილი ეშხიანი ნაკვთებით. სამკაულებიც მსხვილკალიბრიანი უყვარდა \_ მასიური  
საყურეები, სამაჯურები, თმის სარჭები... ზედმეტი კილოგრამების შესანიღბად გრძელ,  
ფართხუნა კაბებს იცვამდა \_ უსათუოდ დეკოლტირებულს \_ არანაკლებ  
მსხვილკალიბრიანი ძუძუ-მკერდის წარმოსაჩენად.

\_ ჩემთან ცოტა არეულობა, იმედია არ დამძრახავ.

არეულობა, მსუბუქად იყო ნათქვამი. მეორადი ტანსაცმლის მაღაზიაში არ იქნებოდა  
მსგავსი დომხალი. ტანსაცმელი ეყარა ყველგან \_ სკამზე, ტახტზე, დესაუზე, ფანჯრის  
რაფაზეც კი. კედლებზე \_ სხვადასხვა ზომისა და ფორმის მარაოები. თითოეული  
მათგანი გახსნილი \_ როგორც იტყვიან, საბრძოლო მზადყოფნაში. ჭოკივით გრძელ  
ტორშერზე შავი პარიკი იყო ჩამოცმული, შუა ოთახში იდგა, ცალფეხა ინვალიდით.

\_ სამწუხაროდ, ყავით ვერ გაგიმასპინძლდები. გამითავდა. თუ გინდა თამუნისა  
დავესესხები, შენი ცოლი თავშენახული ქალია. \_ ცბიერი გამომეტყველებით წარმოთქვა  
ხათუნამ.

\_ ყოფილი ცოლი. \_ შეუსწორა გოგამ.

\_ ე. ი. მართალია. ასეც ვიცოდი!

\_ რა იცოდი?

\_ შენისთანა ბიჭს რომ არ დააფასებდნენ. რამდენჯერ ვუთხარი შენს ცხვირაბზუებულ  
სიდედრს: ოქროს სიძე გყავს მეთქი, მოუფრთხილდით, მოუფერეთ... იცი, რა მიპასუხა?  
\_ ხათუნამ წინასწარ გადაიხარხარა. \_ ჩემს ქალიშვილს აკადემიკოსის ვაჟი ეძლეოდა,  
მან კი უშიშროების კაპიტანს დაუკავშირა ბედით!

`სულელი~ \_ პოსტ ფაქტუმ გაბრაზდა გოგა. რა ჰქონდა დასაწინი \_ დამოუკიდებელი  
საქართველოს კონტრდაზვერვის მაიორია და არა `ენკავედეს~ კომისარი. თუმცა,  
თამუნია რომ მოიყვარა, მაშინ კაპიტანი იყო. უხ, მაგათ ჯიბრზე გახდება გენერალი!

ხათუნამ ხელის ერთი მოსმით გაათავისუფლა ადგილი ტახტზე და სტუმარს ანიშნა,  
დაჯექიო.

\_ ნუ ფაციფუცობ, რა... ყავას არ დავლევ, სიგარეტი თუ გინდა, დაგპატიჟებ. \_ გოგამ  
გახსნილი კოლოფი გაუწოდა.

ხათუნამ ერთი ღერი ამოიღო, ინკუსტრირებულ მუნდიტუკში შეაცურა და გამომწვევ  
პოზაში ჩაჯდა სავარძელში. `მეპრანჭება~, გაიფიქრა გოგამ. `ყოველთვისაც  
მეპრანჭებოდა, უბრალოდ მე არ ვიმჩნევდი~.

\_ დათუნა ჯაფარიძის შესახებ მინდა გკითხო.

ხათუნა განბილებული მიაჩერდა. რას ელოდა, `ოქროს ბიჭი~ ყოფილ ცოლზე  
საჭორაოდ გამოცხადდა?

\_ რა გაინტერესებს?

\_ ეპიზოდები მისი წარსულიდან.



\_ ეპიზოდები. \_ დანანებით გაიმეორა ხათუნამ. \_ დათუნაზე ლაპარაკი დამშვიდებულ გულზე არ შემიძლია. თითო ჭიქა გადავკრათ, ხო? \_ ტეკილას ბოთლს დაწვდა და ჭიქებში ჩამოასხა.

\_ გაანათლოს... მან თვალელებში ჩახედა სიკვდილს. წარმომიდგენია, რა გადაიტანა იმ წუთებში, როდესაც ის სატანა... უჰ, სიტყვები არ მყოფნის... დათუნა უდიდესი დიაპაზონის მსახიობი იყო, შეიძლება ითქვას, ნაციის სახე. გაანათლოს.

ჭიქები მიუჯახუნეს. დალიეს.

\_ `ნაციის~ სახე, რომელიც საქართველოში მხოლოდ გასტროლებზე ჩამოდიოდა? ცოტა არ იყოს, გაუგებარია...

\_ ნიჭი ყველგან ნიჭია, ჩემო კარგო. \_ თავი გამოიღო ხათუნამ. \_ აქ რომ იყო, რა, დააფასა ვინმემ? როლები დააპენტეს თუ მატერიალურად უზრუნველყვეს?

\_ ელენე ბეთანელზე რას იტყვი?

\_ დათუნასთან დაკავშირებით ყოველთვის ელენეს სახელი ამოტივტივდება ხოლმე, სინამდვილეში მათი რომანი დიდი ხნის წინ დასრულდა. წარმოდგენა არ მაქვს სად დაიკარგა ელენე... შეიძლება საზღვარგარეთ გათხოვდა და თავზე ბუზს არ იფრენს.

\_ იმის თქმა გინდა, რომ ელენეს დათუნას გამო არ დაუნგრევია ოჯახი?

\_ რა სისულელეა! ელენეს შემდეგ დათუნამ საყვარლების არმია გამოიცვალა. რუსეთში ქართველ კაცებზე დიდი მოთხოვნაა. \_ ხათუნამ ისევ ჩამოისხა.

`არის მოთხოვნა, ~ თავის დაკვრით დაეთანხმა გოგა. ალკოჰოლმა სტუდენტობის დაუვინყარი წლები გაახსენა... ლენინგრადი, ახალი წელი, ფიფქების ორომტრიალი, ნატაშას ცხელი სხეული და დეფლორაციით გამონვეული შეკივლება. იმ შტერ გოგოს აბორტი რომ არ გაეკეთებინა, იქნებ ცოლადაც კი მოეყვანა. რა დროს ნატაშაა, როცა ყოფილი ცოლისგან ერთი კედელი ჰყოფს, თავს კი ანზორის უხილავი აჩრდილი დასტრიალებს.

\_ თუ არ ვცდები, შენ და დათუნა ერთ თეატრში მოღვაწეობდით.

\_ ის მოღვაწეობდა, მე კი რეჟისორის ცოლი ვიყავი. აქაოდა,

მიკერძობებაში არ ჩამითვალონო, ჩემი ქმარი მთავარ როლებს არ მაკარებდა. თუ გინდა კარიერა დაისამარო, რეჟისორს უნდა გაჰყვე ცოლად. მე ეს შეცდომა სამჯერ დავუშვი... ეეჰ, ვინ მომცა მზვერავის ბედი? \_ ხათუნამ ფეხი ფეხზე გადაიღო და მაცდურად გაუღიმა.

`მინდა?~ გოგამ თავს მიაყურადა. არა, არ უნდოდა. არც კონკრეტულად ხათუნა, არც ზოგადად სექსი. არადა, თვეზე მეტია ბერივით ცხოვრობს, წაივარჯიშებდა კაცი.

\_ რა ურთიერთობა ჰქონდა ელენეს ქმართან?

\_ ელენეს მხოლოდ გამარჯობით ვიცნობდი, მისი ქმარი კი თვალთ არ მინახავს. არც ოჯახური ცხოვრების შესახებ ვიცი რამე, გარდა იმისა, რომ შვილთან დაკავშირებით რაღაც საშინელი შარში გაებენ. მაგრამ რა შეხებაშია ეს ყველაფერი დათუნასთან, ის ხომ მოსკოვში წავიდა? \_ ხათუნა ბოთლს წაეპოტინა. ბოთლი ჭიქას გამოედო, ჭიქა შურნალის მაგიდაზე გაგორდა. დაღვრილი ტეკიდა ხათუნამ კაბის კალთის გადანმინდა.

გოგამ არ შეიმჩნია წამიერად გამკრთალი შიშველი ბარძაყები, თუმცა მდედრის ობშივარი ნისლივით შემოეფეთა და საღერღელი აუშალა. იქნებ ღირს წავარჯიშება, ქალმა ლამის კაბა დაიმხოს თავზე, დაკითხვას მერეც მოასწრებს.

\_ მარტო წავიდა თუ ვინმე ახლდა?

\_ მარტო. ჯიბეგაფხეკილი, ერთი ჩემოდნის ამარა. მე და ჩემმა ყოფილმა ქმარმა გავაცილეთ აეროპორტში. ფულიც კი ვასესხეთ, მაგრამ რისი დამბრუნებელი იყო... არც ველოდიშ. ასეთი იყო დათუნა, ცოტა ავანტიურისტი, ცოტა გადამგდები, ცოტა შებერტყილი, მაგრამ უსაზღვროდ ნიჭიერი, უსაზღვროდ! სხვათა შორის, იმ პერიოდში სერიალში იღებდნენ, მაგრამ მოსფილმიდან ისეთი სარფიანი შეთავაზება მიიღო, მიაფურთხა აქაურობას და წავიდა. სწორადაც მოიქცა. იქ დაიწყო მისი კარიერული აღმავლობა \_ მხატვრული ფილმები, სპექტაკლები, კონცერტები, ტუსოვკები... თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ როგორც მაღალი რანგის მსახიობი, რუსეთში შედგა.

\_ და ასეთ ადამიანს, აქ, თბილისში, წინილასავით კლავენ. \_ რეზიუმე გააკეთა გოგამ. \_ რას იტყვი, ვის გადაურბინა `გზაზე მაღალი რანგის მსახიობმა~?

\_ წარმოდგენა არ მაქვს! დათუნა ყველას უყვარდა!

\_ დავიჯერო, მოღალატე ცოლების ქმრებსაც?

\_ ვითომ, პირადულია? შენ ფიქრობ ელენე ბეთანელის ქმარმა... \_ ხათუნამ აღარ დაასრულა, შოკირებული დადუმდა.

\_ თუკი ცოლი დაანერა, იმ შემთხვევაში.

\_ არ დაუნერავს, გოგა, ცოდვას ვერ ვიტყვი! რას გადაეკიდე ამ ელენეს, თეატრალურ წრეში ყველას დაავიწყდა მისი არსებობა. ყოფილი ქმრის ქვეშ თუ თხრით, სხვა საქმეა... მოიცა, ქმარი რა შუაშია, აკი ქალია ეჭვმიტანილი დათუნას მკვლელობაში?

გოგამ არაფერი უპასუხა. წამოდგა. რაც სჭირდებოდა, გაიგო \_ ელენე ბეთანელის გაქრობის საქმეში დათუნა ჯაფარიძე არ ურევია. რას იტყვის ამაზე ნოდარ უგრეხელიძე? სად წავიდა მშვენიერი ელენე, თუკი საყვარელთან არ გაპარულა.

\_ რას გაჩუმდი, მიპასუხე! \_ ხათუნამ მაჯაში ხელი ჩააავლო და გვარიანად შეანჯღრია. კაცურად, ყოველგვარი სექსუალური მინიშნების გარეშე.

გოგამ ხელი გაითავისუფლა და იდაყვი ტორშერს გამოსდო. ტორშერი შელაცლაცდა, ბევიდან წამოცმელი შავი პარიკი ჩამოცურდა და გოგას რომ არ მიესწრო, ძირს დავარდებოდა. ის იყო პარიკი თავის ადგილზე უნდა დაებრუნებინა, რომ მოწმის ჩვენება გაახსენდა: `ჩოლკიანი ქალი სწორი, შავი თმით~.

\_ შენია ეს პარიკი?

\_ თეატრის რეკვიზიტია, როლის მოსარგებად მჭირდება. რა სახე გაქვს გოგაა, ნუ მაშინებ.

გოგამ პარიკი ხელში შეათამაშა, ერთი ღერი მოწყვიტა და შუქზე გახედა:

\_ ხელოვნურია?

\_ მოგართმევენ ბუნებრივს! ხელოვნურია, მაგრამ მაღალი ხარისხის, საფრანგეთიდან გამოვიწერეს სამი ეგზემპლარი. კლეოპატრას მსახურის როლზე დამამტკიცეს, ვიფიქრე, სახლში მოვიხდენ, მივიჩვევი. \_ ხათუნა ბურგსუკან აეტუბა და სახელო ჩამოქაბა. \_ მითხარი, რამ დაგაეჭვა, თორემ გავგიჟდები!

\_ არსად გაამხელ?

ხათუნამ ისე ენერგიულად გააქნია თავი, ლამის დატუშული წამწამები დაცვივდა.

\_ ასეთი ფერისა და ფაქტურის თმა მოკლულს მუჭში ჰქონდა მომწყვდეული. ექსპერტიზის გარეშე თავს ვერ დავდებ, მაგრამ თუ არ ვცდები, ერთი წარმოშობისაა.

\_ მე... მე არ მომიკლავს! \_ შეჰკვივლა ხათუნამ.

გოგამ გაულიმა და მხარზე ხელი მიუტყაპუნა \_ ვითომ დამშვიდდით.

\_ ნუ იკრიჭები, ვაიმე, ცუდად ვარ, ღმერთო მიშველე... \_ ხათუნამ გულზე ხელი მიიღო და მოღვენთილი დაეხეთქა ტახტზე.

\_ რომ მცოდნოდა ასეთი რეაქცია გექნებოდა, სულ არ გეტყოდი. \_ გოგამ შეწუხებული დაადგა თავზე.

\_ ვაიმე, შენი რეაქცია მაინტერესებს, როცა სიმართლეს გაიგებ.

\_ რა სიმართლეს?

\_ ამ პარიკის ტყუპისცალი ორი დღის წინ რეკვიზიტების ოთახიდან მოიპარეს.

რეაქციამ არ დააყოვნა. გოგას ყბა ჩამოუვარდა.

---

ნიაჰმა შემწვარი თევზის სუნი შემოიტანა და კომპიუტერთან მჯდარ კესოს მადა აუშალა. უკვე ნახევარი საათია ადგენდა და შლიდა დუბაიში გასაგზავნ წერილს. ვერაფრით ვერ შეჭერდა ოპტიმალურ ვარიანტზე. ჯერ ერთი, მამა არ იყო საქართველოს მოქალაქე და ვიდრე ვიზას მოაგვარებდა, მოკვდებოდა ნერვიულობით. დედა დაძახებისთანავე ჩამოფრინდებოდა, მაგრამ მაშინ კესოს უნდა გაემხილა, რომ მისი შვილის მამა არც მეტი, არც ნაკლები, დათუნა ჯაფარიძეა. კაცი, რომელთანაც კესოს დედას ერთჯერადი რომანი აკავშირებდა. მის ვინაობას კესო გამორიცხვის მეთოდით მიხვდა. დათუნა ჯაფარიძე აღმოჩნდა ერთადერთი ადამიანი, ვინც იმ ინციდენტის შემდეგ მათ სახლში აღარ გამოჩენილა.

სამაგიეროდ, წლების მერე ის გამოჩნდა კესოს ცხოვრებაში საყვარლის სტატუსით. რა იყო ეს \_ ნამდვილი სიყვარული იყო თუ დედისთვის სამაგიეროს გადახდის ქვეცნობიერი სურვილი, კესომ დღესაც არ იცოდა. ყოველ შემთხვევაში, დათუნას შემდეგ სხვა კაცისკენ არ გაუხედავს, იმის ფონზე ყველა უმარილო და მოსაწყენი ეჩვენებოდა.

გული მეორე აბორტის შემდეგ აუცრუვდა (პირველი სრულ ეიფორიაში გაიკეთა). როცა საყვარელი მამაკაცი ასე ადვილად თანხმდება ბავშვის მოშორებაზე, ადგილი აქვს ან უსინდისობას ან გულგრილობას. კესო მიხვდა \_ ის იყო მორიგი ინტრიგა სიბერეშეპარული მსახიობის ცხოვრებაში. თუ გვერდით იქნება \_ კარგია, არ იქნება \_ სხვა იქნება, უფრო ახალგაზრდა და ნაკლებად პრობლემური, ყოველ შემთხვევაში, ნამდაუნუმ არ დაფეხმძიმდება.

და მაინც, ცნობამ დათუნას მკვლელობის შესახებ კესო შოკში ჩააგდო. ეს ამბავი ვითომ მამის სახლში გაიგო \_ ტელევიზორში გამოაცხადეს. შოკი გაკვირვებამ შეცვალა. რა უნდოდა დათუნას თბილისში? უბრალო დამთხვევაა თუ კესოს ჩამოჰყვა? მეორე ვერსია იქვე უკუაგდო. ჯერ ერთი დათუნამ არ იცოდა კესოს ადგილსამყოფელი, მეორე და მთავარი \_ მან არ იცოდა კესოს ფეხმძიმობის შესახებ. რომ სცოდნოდა, ალბათ ცხრა მთას იქით დაიკარგებოდა და თბილისში ფეხს არ ჩამოაკარებდა. არ იყო ეს კაცი ორიენტებული ხანგრძლივ ურთიერთობებზე, შვილით დაშანტაჟებას კი კესო არ აპირებდა.

აქ სხვა რამეშია საქმე...

კესოს შეეშინდა. ვაითუ, ეს მკვლელობა რალაცით არის დაკავშირებული მის გატაცებასთან? მძევლად ყოფნის ვადა უკვე ამოიწურა, ელდარი კი გაურკვეველი

მიზეზით აჭიანურებდა პირობის შესრულებას. იმ დღეს კესომ სტუმრიანობით ისარგებლა და გამოიპარა. ბედად გოგა შეხვდა, კეთილი და სიმპათიური მძღოლი.

კესომ ტექსტი ჩაკეცა და მთლიანად გადაერთო აივნიდან შემომავალ არომატებზე. დილით ყუათიანად ისაუბმა, მაგრამ ფეხმძიმე ორგანიზმი თევზეულს ითხოვდა. გაბრიყვებული ბავშვით მიაჩერდა აივანს, და უცებ გოგას დედა დაინახა \_ თეფშით ხელში. დაბრუნული კალმახის დანახვაზე კესომ ნეანდერტალელის ალტკინება იგრძნო, თუმცა ჩვეულებრივი ჰომო საპიენსივით გაიპრანზა:

\_ დიდი მადლობა, რატომ შეწუხდით...

\_ აბა, მშიერი ხომ არ იქნები?!

\_ ეხლახანს არ ვისაუბმე?

\_ მე, მაგალითად, თევზი ახალი შემწვარი მიყვარს, თბილ-თბილი. შეგრილებულს გემოს ვერ ვატან.

\_ მეც. \_ გამოტყდა კესო.

\_ ჰოდა, მიირთვი, დროს ნუ კარგავ. უი, ტყემალი დამავინყდა- \_ შეიცხადა ლალიმ. \_ ჯერ არ დაინყო, შემოგიტან.

\_ არ მინდა ტყემალი.

\_ არ გიყვარს?

\_ მიყვარს, მაგრამ...

\_ გერიდება. \_ დაასკვნა ლალიმ და აივნისკენ წავიდა, \_ ისეთი ტყემალი მაქვს, ჭიქით დალევ... \_ ქოთქოთებდა გზადაგზა.

კესომ მადლიერი თვალი გააყოლა, თუმცა მაშინვე თევზზე გადაერთო, თითქოს ვინმე ეცილებოდა. ლალი მალევე დაბრუნდა, ტყემლის ბოთლი მაგიდაზე დადო და კესოს შეხედა:

\_ რამე თუ დაგჭირდა, შემომძახე: ლალი დეიდა-თქო და ხელათვე გამოვიხედავ.

\_ მადლობთ.

\_ ისედაც, შემოდი. გოგა მთელი დღე სამსახურშია, რას აკეთებ მარტო? შემოიარე, შვილიშვილებს გაგაცნობ, ყავას მოგიდულებ. მოგვიანებით მარინაც მოვა სამსახურიდან. დაილაპარაკებთ, გაიცნობთ ერთმანეთს.

\_ ასე გავაკეთებ. \_ დაპირდა კესო.

როგორც კი კეთილი დიასახლისი თვალს მიეფარა გავეშებული დააცხრა მონატრებულ კერძს. ნოდარ უგრეხელიძის მაცივარი სავსე იყო ნაირ-ნაირი დელიკატესებით, მაგრამ ნერვული სპაზმის გამო ლუკმა ვერ გადასდიოდა ყელში. მხოლოდ წვნიანებს ხვრებდა, რომ არ მომკვდარიყო. სვიმონიშვილებთან ყველაფერი სხვანაირადაა. ეს არის ოჯახი ფართო გაგებით \_ ჯანმრთელი, გულწრფელი ურთიერთობები, ყოველგვარი ფარსისა და სულში ძრომიალის გარეშე. მერე რა, რომ გოგა უბრალო მძღოლია, ასეთი გულისხმიერი ადამიანი ცხოვრებაში არ შეხვედრია! სახლში მოიყვანა, საკუთარი ლოგინი დაუთმო, ლუკმას არ ამადლის, იურისტთან კონსულტაციას დაჰპირდა. კბილის ჯაგრისიც კი უყიდა! რაც მთავარია, არ ექაჩება \_ აქაოდა, ვინაიდან და რადგანაც შეგიფარე, კომპენსაცია მეკუთვნისო. პატიოსნად სძინავს სამზარეულოში \_ გასაშლელ სავარძელზე. ასე თვალის ასახვევად იქცევა, არ უნდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდოს საცოლედ გამოცხადებული სტუმარი. დედაც კარგი ქალი ხანს, დაც, ცოლიც ლამაზი ყოლია... საინტერესოა, რა მიზეზით გამორდნენ? პროფესიას თუ უწუნებდა... მძღოლის მეუღლის პირობაზე ის თამუნია

ერთობ გადაპრანჭულად გამოიყურებოდა. რა მნიშვნელობა აქვს სტატუსს, თუკი ქმარი ოჯახს არჩენს? მართლ ჭამაშიც არ არის საქმე, აგერ, კომპიუტერი აქვს, ციფრული ტელევიზორი, მუსიკალური ცენტრი, ბოლო მოდელის მობილური... ასეთ მძღოლთან მეგობრობაზე არც კესო იტყოდა უარს.

კესომ ელექტროჩაიდანს თითი გამოჰკრა და კბილების გასახეხად აბაზანაში შევიდა. უკან შემოსულს ოთახში გოგა დახვდა. ჭიქებში ჩაი ჩამოესხა და ორაზროვნად უღიმოდა.

– კარგი ამბავია? – კესო სახეში შეაცქერდა, შეეცადა ღიმილის მიზეზი ამოეცნო.

– კარგიც და ცუდიც.

– როგორ გავიგოთ?

– საუკეთესო იურისტს შევხვდი და შენს შესახებ მოვუყევი. ცხადია, რაც ვიცოდი.

– მერე?

– არ დაკმაყოფილდა. ან გატყუებს შენი პროტეჟე ან ბოლომდე არ გიმხელს სიმართლესო.

– მე ტყუილი არ მითქვამს. – კესო შემცბარი ჩამოჰდა მაგიდასთან.

მართლაც, მან გულწრფელად მოუყვა ბანკირის სახლში მოხვედრის ისტორია, მხოლოდ ის დაუმალა, რა ედო სარჩულად ამ ისტორიას და რა გახდა იქაურობის დატოვების მიზეზი.

– ტყუილი არ გითქვამს, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალები დამიმალე. მისმინე, კესო, სიმართლეს თუ არ მეტყვი, ვერ დაგეხმარები. დაფიქრდი, რამდენი უზუსტობაა შენს მონაყოლში. ასე უაპელაციოდ ბოროტმოქმედების პირობებს არ თანხმდებიან. შენ კი კრავივის წაპყევი, უცნაურად არ გეჩვენება?

– არ წავყოლივარ კრავივით, უბრალოდ... უბრალოდ სხვა გზა არ მქონდა. – კესომ თავი ჩაქინდრა.

გოგამ ჩაი მოსვა, ცოტა ხანს ადროვა, მერე წინ გადაიხარა და ნიკაპი აუნია:

– შემომხედე სვალები. გაშანტაჟებდნენ?

კესომ უსიტყვოდ დაუქნია სავი.

– რითი?

– ნარკოტიკი ჩამიდეს, საბუთები მომპარეს, დაჭერის დამემუქრენ! თქვენ რას იზამდით ჩემს ადგილას? – წამოიძახა კესომ და განაჩენის მოლოდინში ტუჩი მოიკვნითა.

– ჩაის დავლევდი. – მზერა აარიდა გოგამ. აღარ შეეძლო კესოს მოკვნიტილი ტუჩის ყურება. მისი დამფრთხალი სახის ხელისგულებში მოქცევა და კოცნით დაფარვა მოუნდა.

– რა-ა?

– ჩაი დალიე, დამშვიდდი და ყველაფერი დანვრილების მომიყევი. სულ-სულ თავიდან. და საერთოდ, შენობის მელაპარკე. რა საჭიროა ეს ცერემონიები, ერთ ჭერქვეშ გვძინავს, თითქმის მეგობრები ვართ.

– ჩემთან მეგობრობა შარია. თქვენ... შენ ვერ ხვდები რამდენად საშიშია ეს ხალხი... ყველაფერზე არიან წამსვლელები, თანაც, პოლიცია უმაგრებს ზურგს.

– პოლიციაშიც არის წესიერი ხალხი. – თავი გამოიღო გოგამ.

\_ ეჭვი მეპარება. კარგი, რადგან არ იშლი, მოგიყვები, ოღონდ მერე არ მისაყვედურო.

ადგა და ყველაფერი მოუყვა. აეროპორტში აკიდებული ელდარის დაწყებული, უგრეხელიძის სახლიდან გაქცევის მიზეზით დამთავრებული.

გოგას თითქოს სილა გაანნეს. ისეთი გრძობა ჰქონდა, რომ ეს-ესაა კანონიერმა ცოლმა გამოუცხადა: ნანატრ ბავშვს სხვა კაცისგან ველოდებიო.

\_ გამოდის, ფეხმძიმედ ხარ. \_ ამოლერლა ნირნამხდარმა.

\_ კი. რამეს ცვლის ჩემი ფეხმძიმობა? \_ კესომ დადარაჯებული მშერა ესროლა. რატომღაც ენიშნა, რომ გოგამ მის ფეხმძიმობაზე გაამახვილა ყურადღება და არა ნარკოტიკზე.

\_ არაფერს, გარდა იმისა, რომ შენთვის ნერვიულობა არ შეიძლება.

\_ ეგ, კი. \_ უგულოდ დაეთანხმა კესო.

\_ სიგარეტის ბოლი განუხებს?

\_ არა.

\_ მაშინ მოვწევ. \_ გოგა მძიმედ წამოდგა და აივნის მხარეს გადაინაცვლა. \_ დავით ჯაფარიძემ იცოდა შენი ფეხმძიმობის შესახებ?

\_ არა.

\_ რატომ?

\_ რატომ უნდა სცოდნოდა, მე მისი ცოლი არ ვყოფილვარ.

\_ რა მნიშვნელობა აქვს, მამამ უნდა იცოდეს შვილის არსებობა.

\_ მამამ! \_ სასაცილოდ არ ეყო კესოს. \_ დათუნას უნდა იცნობდე, რომ მამის ამბლუაში წარმოიდგინო.

\_ მხოლოდ საყვარლის ამბლუაში ვარგოდა? \_ ჩაილაპარაკა გოგამ და მიხვდა \_ დაუკრეფავში გადადის. სიგარეტს მოუკიდა და კარის ღრიჭოში გააბოლა. ვინ მისცა ეჭვიანი ქმარივით ლაპარაკის უფლება? მაგრამ კესოს არ სწყენია, მისი გონება სხვა მიმართულებების მუშაობდა:

\_ რატომ აპელირებ ჩემს ფეხმძიმობაზე?

\_ შენი მომავალი შვილის მამა მოკლულია, აი, რატომ ვაპელირებ.

\_ რა შუაშია ფეხმძიმობა დათუნას მკვლელობასთან? \_ ვერ მიხვდა კესო, \_ ჩემი ფეხმძიმობის შესახებ კაციშვილმა არ იცის.

\_ მე ვიცი.

\_ გამოდის, ორმა კაცმა ვიცით, მეტი არავინ.

\_ იქნებ ნოდარ უგრეხელიძემ მოკლა დათუნა ჯაფარიძე?

\_ რა კავშირი აქვს ამ ორს ერთმანეთთან?

\_ ერთი და იგივე ქალი უყვარდათ \_ ელენე ბეთანელი. მართალია, სხვადასხვა დროს, მაგრამ უყვარდათ.

კესო თვალეზარტოვებული მიაჩერდა. და გოგა ისევ მიხვდა \_ გედმეტი დააყრანტალა. საიდან უნდა სცოდნოდა კესოს, ელენეს და დათუნას რომანის იესახებ, თუკი თორმეტი წლიდან თბილისში არ უცხოვრია. რაც მთავარია, საიდან უნდა

სცოდნოდა მას, პატიოსან მძღოლ-დისტრიბუტორს, ვინ, ვის და როდის ყვარობდა. აი, რა შედეგების მომტანია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უაზრო ამჩატება. სასწრაფოდ უნდა გამოასწროს სიტუაცია, ვიდრე კესოს თვალები არ დაცვივდა ორბიტიდან:

\_ იმ დღეს პრესას ვყიდულობდი და შემთხვევით ქალების ჭორობას შევესწარი, დათუნა ჯაფარიძე გაიხსენეს, მერე ელენე ბეთანელი და მათი გახმაურებული რომანი.

\_ დათუნას რომანი ჰქონდა ელენე ბეთანელთან? \_ კესოს გაკვირვებამ პიკს მიაღწია. ეტყობა, წარმოდგენა არ ჰქონდა ჯაფარიძის ლოველასურ წარსულზე.

\_ ჭორებს თუ დავუჭერებთ, კი.

\_ უცნაური დამთხვევაა.

გოგამ სიგარეტი ქუჩაში მოისროლა. თემის შეცვლა მართებს. ერთი პატარა გადაცდომაც და საბოლოოდ გაიშიფრება. პიჯაკი სკამზე მიაგდო და კესოს მიუჭდა:

\_ რა შთაბეჭდილება დატოვა ნოდარ უგრეხელიძემ?

\_ სხვათა შორის, ძალიან დადებითი. \_ მზადყოფნით უპასუხა კესომ. \_ ნებისმიერი ინატრებდა ასეთ მამას, მაგრამ მე მისგან არაფერი არ მინდა. არც მისგან, არც არავისგან. აი, დავიბრუნებ პასპორტს და როგორც ჩამოვედი, ისე წავალ უკან.

\_ არ გიფიქრია, რომ ნარკოტიკების შესახებ დუნდუებმა შეიძლება მოგატყუს. შეგაშინეს, რომ მათი დავალება შეგესრულებინა.

\_ მაგრამ ისინი მართლა იყვნენ ჩემს სახლში. საბუთები მოიპარეს, პლიუშის დათვი გადაადგილებული დამხვდა. მართლა პოლიციელი თუა, რა დაუშლიდა ნარკოტიკი შემოეგდო? მიდი და ამტკიცე, ჩემი არ არისო! ვის უფრო დაუჭერებენ, რუსეთის მოქალაქე ელისაბედ დარჩიას თუ ხელისუფლების წარმომადგენელს? მეზობლებიან, ვერ ვიტან მათ მოდგმას, ყველაფერზე არიან წამსვლელები! \_ კესოს ბრაზით მოეღრიცა სახე.

გოგას არ ესიამოვნა ხელისუფლების ყველა წარმომადგენლის ერთ ტაფაში მოქცევა, ახლა რომ კესოსთვის ეთქვა: უშიშროების ოფიცერი ვარო, გოგო თვალებს ამოჩიჩქნიდა.

\_ შენს ნათქვამს შემოწმება უნდა. მიკარნახე მისამართი.

\_ მეც წამოვალ.

\_ არავითარ შემთხვევაში! \_ ხელები გაასავსავა გოგამ და ფეხზე წამოიჭრა, თითქოს ვინმე ძალით აპირებდა გაკიდებას, \_ რა გარანტიაა, რომ სწორედ შენს სახლთან არ არიან ჩასაფრებულები, გინდა ხელმეორედ ჩაუვარდე ხელში? იქნებ... იქნებ ეს ბანკირი მანიაკია, დუნდუები კი მისი ამფსონები.

მიამიტი `მძღოლის~ ვერსიაზე კესოს სიბრაზემ გაუარა.

\_ მანიაკს არ ჰყავს ამფსონები. \_ უთხრა ღიმილით.

\_ კარგი, მანიაკი შეიძლება არ არის, მაგრამ დარტყმული რომ არის, ამაზე ნუ ვიკამათებთ. ნუთუ ვერ მიხვდა, რომ არ ხარ მისი შვილი?

\_ საკმაოდ კარგად შემასწავლეს ოჯახის ისტორია. რომ გითხრა, გამოჭერის მიზნით დაკითხვა მომიწყო, მოგატყუებ. შეძლებისდაგვარად ვერიდებოდი მასთან ურთიერთობას, რაღაც მომენტში მინდოდა სიმართლე გამემხილა, მაგრამ ელდარი ფაქტიურად ჩაცხოვრდა უგრეხელიძის ოჯახში, ლევანიც ყოველდღე მოდიოდა. ყოველ ნაბიჯს მიკონტროლებდნენ... \_ მოულოდნელად კესომ ლაპარაკი შეწყვიტა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მკვდრეთით აღმდგარი დათუნა ჯაფარიძე დაინახა.

გოგამ მის მშერას თვალი გააყოლა და თავისი პისტოლეტი შენიშნა \_ ილღიაში ამოწრილი და მხარზე შემოსალტულ კობურაში მოლაყლაყე. აბა, რა ეგონა, დიდი ამბით რომ გაიხადა პიჯაკი?! ვინ არის ამის მერე დატყმული \_ პროფესიონალი მზვერავი თუ მდიდარი ბანკირი?

\_ ეს რა არის? \_ კესომ დაძაბული თითი კობურისკენ მიმართა.

\_ იარაღი. \_ გოგამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. \_ თავდაცვის მიზნით დაგვირიგეს სამსახურში.

\_ რძის პროდუქტების დასაცავად?

\_ ეგრე ნუ იტყვი, კვირაში ერთხელ ჩაბარებული პროდუქციის საფასურს ვიღებ, ზოგჯერ საკმაოდ სოლიდური თანხა გროვდება. ხომ შეიძლება დამაყაჩაღონ?... მიდი, მისამართი მითხარი.

\_ რა მისამართი? \_ კესოს ისევ პისტოლეტზე ეჭირა თვალი.

\_ შენი სახლის მისამართი. \_ დამარცვლით წარმოთქვა გოგამ და რაც შეიძლება აგდებულად ჩაიყვა პიჯაკი. \_ საღამოს სმენას ჩავაბარებ და შევირბენ.

კესო სკამიდან წამოდგა. მხრებანურული შედგა გოგას წინ, თითებით პიჯაკის ბორტზე წაეპოტინა:

\_ გეტყვი, ოღონდ ერთი თხოვნა მაქვს... \_ დაიწყო დამორცხვებულმა.

გოგას ჟრუანტელმა დაუარა, თუმცა მედგრად გაუძლო ფერამონების შემოტევას.

\_ გთხოვ, არ დამცინო. ჩათვალე, ჩემი კაპრიზია. თუ მოახერხებ ჩემს ბინაში შეღწევას, სანოღზე პლუმის სათამაშო დათვს დაინახავ, დრუნჩა ჰქვია... აჰ, რა მნიშვნელობა აქვს რა ჰქვია, ეს ისე, სიტყვის მასალად.... თუ მომატყუეს და სარჩულში ნარკოტიკი არ აღმოაჩნდა, შეგიძლია მომიტანო?

\_ თუ აღმოჩნდა?

\_ თუ აღმოჩნდა, იურისტთან ერთად გელოდები. აწი, აღარაფერი მაქვს დასაკარგი.

\_ კარგი.

\_ მოიცა. \_ შეაჩერა კესომ და თავი ასწია. გოგამ მის ლურჯ თვალებში ჩაძირვის პერსპექტივა იგრძნო. სახიფათო და სასიამოვნო განცდაა, ჰიპნოსს ჰგავს. იცი, რომ უნდა გაერიდო, მაგრამ არ შეგიძლია, მოჭადლოებულივით უყურებ და იძირები, იძირები...

უცებ კესო ფეხის წვერებზე აიწია და ლოყაზე აკოცა. მერე მიტრიალდა და ძლივს გასაგონად თქვა: წადი.

---

ლაბორატორიულმა გამოკვლევამ მსახიობ დათუნა ჯაფარიძის ხელში ნაპოვნი თმისა და ხათუნას პარიკის იდენტურობა დაადასტურა. გამოდის, მკვლეელი რაღაც გზით დაკავშირებულია თეატრთან. მოპარული პარიკი მას ნამდვილი სახით შესანიღბად დასჭირდა. ვინ იმალებოდა ამ სახის მიღმა \_ ქალი, კაცი, მსახიობი, აგენტი... რაც მთავარია, მიდის თუ არა კვალი უგრეხელიძეების ოჯახურ ტრაგედიასთან?



განსაკუთრებულ საქმეთა ქვედანაყოფის მიერ შემუშავებული თავდაპირველი გეგმა, რომელიც ბანკირის პოლიტიკურ ორიენტაციაზე ზეწოლას გულისხმობდა, ახალ-ახალი ვერსიებით დაიხუნძლა და საგანგაშო დატვირთვა მიიღო. იქნებ არ ტყუის გამოცდილი ჩეკისტი ივანე გულორდავა, როცა მანიაკზე აპელირებს? დავუშვათ, ქალაქის ქუჩებში დაძრწის ლამაზ ქალებზე მონადირე მანიაკი, მაშინ ისმის კითხვა: რა შუაშია თექვსმეტი წლის წინ უგზო-უკვლოდ დაკარგული პატარა წინო უგრეხელიძე? გაუპატიურებისა და მოკვლის შემთხვევები ქალაქში ნამდვილად იყო, მაგრამ პედოფილის თარეშზე გოგას არაფერი სმენია. ბანკირს დაკითხვა არ ასცდება. კეთილი ინებოს და დაამტკიცოს, რომ მისი ცოლი მსახიობთან ერთად არ გაქცეულა.

კესოს სახლს გოგამ ადვილად მიაგნო. დიდი ხნის წინ ამ იტალიურეზიანი სახლის ნახევარსარდაფში სიგარეტის ბარიგა, ქემელა ცხოვრობდა. როცა გოგოებზე შთაბეჭდილების მოხდენა უნდოდათ, ბიჭები ქემელასთან ყიდულობდნენ დეფიციტურ მარლბორო-ს. ბლოკი ოცდახუთი მანეთი. შინ დაბრუნებისას კი ნაძვის წინვებს ღეჭავდნენ \_ მშობლებს რომ თამბაქოს სუნი არ ეყნოსათ.

გოგა ჭრაჭუნა კიბეებს აუყვა. ბინის კარი ისე მარტივად გააღო, თვითონაც გაუკვირდა. შესვლისთანავე თვალში მოხვდა სათამაშო დათვი. საწოლზე იდო, როგორც კესომ ივარაუდა. მაგიდაზე ტიკ-ტაკის კოლოფი და ავიაბილეთი დუბაი-თბილისი. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რატომ დგას ოთახში ალკოჰოლის ოხშივარი? ფანჯრები დაკეტილია, არც ახლომახლო ჩანს არცის თავახდილი ბოთლი...

გოგამ მელოდიურად დაუსტვინა. სტვენებს შორის შუალედში მიხვდა \_ მართო არ არის. ნაბიჯის ხმა არ გაუგია, უბრალოდ ზურგსუკან ჰაერის რყევა იგრძნო. ის აქ არის ჩასაფრებული \_ ბოროტმოქმედი. მოულოდნელი თავდასხმისთვის ემზადება, თუმცა ჯერ ორჭორფლობს. ეტყობა არ ელოდა დაუპატიჟებელ სტუმარს, მით უფრო, მამრობითი სქესის. თუ ერთია, იოლად გაუმკლავდება, თუ ორი ან მეტი, შეიძლება გაუჭირდეს. გააჩნია რა შესაძლებლობის პატრონია. ოთახში დაბორიანებული ამბრის გათვალისწინებით, ნაბახუსევი უნდა იყოს, რაც ზრდის მორევის შანსებს. მთავარია, სიმშვიდე შეინარჩუნოს და დროზე ადრე არ გაიშიფროს.

სტვენა განაახლა. ო, სოლევე, ო, სოლევე მიოლო..~ საოპერო-ფილარმონიული კლასიკა რაღაც დობით ხსნის აგრესიას. ერთი, ორი, სამი... უხილავი ბოროტმოქმედი სახიფათო მანძილზე მიუახლოვდა, არცის ოხშივარი პირდაპირ კეფაში ურტყამს. ოთხი, ხუთი, ექვსი... გოგამ წამში ჩაატარა რამდენიმე მანიპულაცია \_ შეხტა, შემობზრიალდა და ფეხი აიქნია.

ზუსტად გათვალა. ფეხი პისტოლეტს წამოეგო, პისტოლეტმა ჰაერში სალტო გააკეთა და საწოლზე დაეშვა, დათუნიას გვერდით. ბოროტმოქმედი, წინ გაშვერილი ცარიელი ხელებითა და დაბნეული ფიზიოთი აღმოჩნდა გოგას წინაშე. მანაც აზრზე მოსვლა არ აცალა, წარბებშუა მოხდენილი ხუკი უთავაზა და გათიშა.

დახედა. ის არის, უმცროსი დუნდუა. ხელბოკილები საქმეს გაუადვილებდა, არა უშავს, თოკი და მისი ჯანი. ფარჩის ფარდას სარტყელი მოხსნა, მაჯებზე მოზრდილი მარყუჟი გაუკეთა და მხოლოდ ამის შემდეგ დაურეკა ანზორს.

სიხარულის ნაცვლად შეფმა ორამბროვნად ამოიოხრა:

\_ პოლიციელის აყვანა ჩვენი უწყებისთვის ზედმეტი თავის ტკივილია. სჯობს თავისიანებმა მიხედონ. კრიმინალურ პოლიციას შეატყობინე. დუნდუების გვარი ჩვენს ოპერაციაში არ უნდა ფიგურირებდეს.

\_ ქურდობის მუხლით გავასამართლებინოთ ადამიანის გატაცება-დამანტაჟებაში ეჭვიმტანილი კაცი? \_ გოგამ უკმაყოფილოდ შეათამაშა ლევან დუნდუას ტაბელური იარაღი.

\_ ჩვენ ბანკირზე კომპრას მოპოვება გვევალება და არა ოპერატიულ-სამძეო დეპარტამენტის საქმეებში ხელის ფათური. ისე ნუ იზამ, შსს გადავიმტეროთ. დაკავება, გამოიძიება და ამისთანები მათი პრეროგატივაა.

\_ გამოდის, პირდაპირ ლანგარით მივართვათ მსუყე ლუკმა?!

\_ მოცემულ მომენტში ასეა საჭირო. \_ დაბეჭდა ანზორმა. \_ თუ გული გეთანაღრება, შეგიძლია თანამშრომლობაზე შეუთანხმდე. რა, პირველად ვუცვლის ერთმანეთს ოპერატიულ ინფორმაციას?

\_ გასაგებია.

\_ რა არის გასაგები?

\_ ის, რომ ბრძანებას შესრულება უნდა.

\_ გაბრაზდი? \_ ტონი შეარბილა ანზორმა.

\_ უბრალოდ, მენანება.

\_ მტერს ხომ არ აბარებ, შე კაცო, პოლიცია და უშიშროება რამ გაყო! გააკეთე რაც გითხარი და ენაზე კბილის დაჭერაც არ დაგავიწყდეს. შეტიც არ უნდა ჩვენს მტრებს, ხელად აყეფდებიან. მორჩა.

მორჩა და მორჩა. გოგამ მობილური შეინახა და იატაკზე გაშხლართულ პოლიციელთან დაიხარა.

\_ ეი, თვალი გაახილე, ჯიგარო, ისეთიც არაფერი მოგსვლია. \_ ცხვირის ძგიდეზე ორი თითი მიაჭირა და შედეგს დაელოდა.

`ჯიგარმა~ მომენტალურად გამოიხედა.

\_ რას აკეთებდი სხვის ბინაში? \_ გამოფხიზლება არ აცალა გოგამ.

\_ ბოივილი ვიყო, თავი გამიტეხე. აუჩ... ტვინში სისხლი ჩამექცა!

\_ ჯერ სად ხარ, მაგ ტვინს იატაკზე დაგანთლევინებ, თუ წესიერად არ

მოიქეცი. \_ გოგამ ეფექტის მოსახდენად კობურიდან თავისი `პანტერა~ დააძრო \_ შავი, ამერიკული `გლოკი~ პრიალა ოთხკუთხა ცხვირით \_ დეპარტამენტის შარშანდელი საჩუქარი.

\_ გასწი ეგ პუშკა, ვიღაცა ხარ! შენ მე დვარნიაშკა ქურდი ხომ არ გგონივარ, დავალების შესასრულებლად მომავლინეს.

\_ ქურდზე უარესი ხარ, ლევანა დუნდუა! `მოვლინების~ მიზეზებზე პასუხს შენს უფროსობას გასცემ. რაღაც არ მგონია, თავზე ხელი გადაგისვან.

ლევანი გამოშტერდა (დღეს უკვე მერამდენედ). თუკი გაშიფრულია, უარყოფას აბრი არ აქვს.

გოგა წელში გაიმართა და ერთი ნაბიჯით დაიხია.

\_ მაგაზეც გასცემ პასუხს და სხვა რამეზეც. მაგალითად, მოქალაქე კესო დარჩიას გატაცებაზე, ბანკირ ნოდარ უგრეხელიძის დამანტაჟებაზე, მსახიობ დავის ჯაფარიძის მკვლელობაზე...

\_ მე არ მომიკლავს, ტო! \_ შესძახა ლევანმა. \_ ჩათლახი ვიყო, მსახიობი არ მომიკლავს!

\_ არ მოგიკლავს?

\_ არა.

\_ დაუშვით, არ მოგიკლავს. ახლა არ მითხრა, აქ კესო დარჩიას გადასარჩენად მოვედიო?! მონმის განეიტრალება გქონდა გეგმაში, არა, ჯიგარო?! იცოდი, ადრე თუ გვიან სახლში მოვიდოდა... ისიც იცოდი: პოლიციაში ვერ გინივლებდა. და მართალიც იქნებოდა. ვიდრე ძალოვანი სტრუქტურა შენნაირი ნაბიჭვრების თავშესაფარია, არ ღირს გარისკვა.

\_ ვინ ხარ და რა გინდა?

\_ ვინც ვარ \_ შენი ჭკუის საქმე არ არის. რაც მინდა, ახლავე მოგახსენებ. კესოს პასპორტი სად არის?

\_ რო გითხრა, გამიშვებ? \_ იმედი მოეცა ლევანს.

გოგამ დამცინავად შეხედა და იარაღმომარჯვებულმა გაიარ-გამოიარა.

\_ ბებიამენისა! \_ თვალი გააყოლა ლევანმა, \_ მე ყველაფერი დაგიფქვა, შენ ძაღლობა დამაყენო!

\_ შერე, ვინ დახვდება ძაღლობას \_ დატყვევებული კოლეგა თუ ცხელ-ცხელი ტრუპი, სხვაობას ვერ ხედავ? თავდაცვის მიზნით ყაჩაღის მოკვდინება კანონის დასჯადი არ არის \_ პოლიციელ კაცს ჩემგან არ გესწავლება. შენნაირი პარაზიტის ლიკვიდაციისთვის, აქეთ ჩამომკიდებენ ორდენს.

\_ რამდენი გინდა?

\_ რა?

\_ მაყუთი, რამდენი გინდა?

\_ იმდენი მილიონი, რამდენ წელსაც შენ მოგისჯიან.

\_ ფული თუ არ გინდა, რაღას მანვალებ, ე?

\_ სად ინახავ საბუთებს?

\_ მამაჩემი ინახავს.

\_ ძალიან კარგი. დარეკე მამაშენთან, სასწრაფოდ მოარბენინოს.

\_ მამაჩემი გინდა ჩავუშვა? ეი, ტუნდრა, მოიხედე აქეთ! \_ ლევანმა ისე განწირულად იყვირა, რომ მოლრეცილი პირიდან დორბლი ამოუფრინდა. შორს არ გაფრენილა, იქვე, ნიკაპზე მოკალათდა ქაფიან სუბსტანციად.

გოგამ უსიტყვოდ შეხედა.

\_ კარგად დაიმახსოვრე, მამაჩემი არაფერ შუაშია. \_ ხმას დაუნია ლევანმა.

\_ შენ კიდევ გაქვს ამ სიტუაციიდან გამოდრომის შანსი, შეიძლება

საპროცესო გარიგებითაც გამოგიშვან, ან სხვა მუხლი წაგიყენონ... გააჩნია ადვოკატს. აი, მამაშენზე, გაცილების მეტი კომპრომატია. ასე რომ, მოგიწევს დარეკვა. \_ გოგამ საჭიროდ ჩათვალა პისტოლეტის ჩახმახზე დაყენება.

\_ მამაჩემს აეხვოსტეთ, არა?

\_ ის თუ აეხვოსტა დუბაიდან ჩამოსულ გოგოს, ჩვენ რა დაგვიშლიდა? ხვოსტზე ჯდომა ჩვენი სამსახურია.

ლევანი მოულოდნელად ჩაცხრა და მოჭუტული თვალებით ამოხედა:

\_ შპიონი ხარ, შეჩემა?

\_ მამაშენის ნომერი.

\_ პუშკა ჩასნი, ე!

\_ ნომერი.

\_ არ მოგცემ.

\_ არ მომცემ და შენი აიღებს... \_ გოგამ დაიხარა და დატყვევებულის ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო. გამორთული აღმოჩნდა. კონსპირაციის მიზნით თუ დაადუმა. ჩართო და მენიუში ელდარის ნომერი მოიძია.

ელდარი არ დალოდებია შვილის ხმის გაგონებას, მაშინვე საქმეზე გადავიდა:

\_ ლევიკო, კარგად მისმენე და რასაც გიბრძანებ ზედმინევნით შეასრულე. ის გოგო თუ გამოჩნდა, ხელი არ ახლო, პირიქით, მიეფერე და დაუყვავე. ცოცხალი და სალსალამათი გვჭირდება, გაიგე?! მოკლედ, თამასამ აინია ორიდან სამ მილიონამდე. ნოდარა ჭკუაზე აღარაა, საკუთარ ცოლ-შვილზე არ უდარდია ისე, როგორც ამაზე დარდობს. უკანასკნელ ნიფხავს გაიხდის და კესოს იპოვის.

\_ ვის დასჭირდება უკანასკნელი ნიფხავის ჩახდა, საკითხავი, აი, ეს არის. \_ გააგონა გოგამ.

იქიდან სიჩუმე ჩამოწვა. გახშირებული სუნთქვის თანხლებით.

\_ ვინ ხარ? \_ აღმოხდა ელდარს, როდესაც მეტყველების უნარი დაუბრუნდა.

\_ კესო დარჩიას საბუთები აიღე და მისსავე ბინაში გამოცხადდი, თორემ შენი ლევიკოს მაგივრად სისხლიანი ბიფშტექსი დაგხვდება.

\_ ვაიმე, შვილო!

\_ გააკეთე, რასაც გიბრძანებ.

\_ დამალაპარაკე ჩემი ბიჭი! ამ წამში დამალაპარაკე! \_ ისტერიკულად შესძახა მილიონებზე დაგეშილმა მშობელმა.

გოგამ ლევანს იარაღი შუბლზე დაადო და მობილური პირთან მიუტანა:

\_ უთხარი ორი სიტყვა, სწრაფად.

\_ მაში, გააკეთე რასაც გეუბნებიან. \_ ლევანს კიდევ უნდოდა რალაცის თქმა, მაგრამ ვერ მოასწრო, გოგამ მობილური გათიშა.

\_ თამასამ აინია, არა? ორიდან სამ მილიონამდე. სალოლ ელდარს, აი, ასეთი მეგობარი უნდა ინატრო. სად გააქრეთ ნამდვილი ნინო უგრეხელიძე?

\_ რომელი... ნამდვილი? \_ ლევანი დაიბნა.

\_ რომელიც თექვსმეტი წლის წინ დაიკარგა. თუ მაშინ არ ჰქონდა ნოდარ უგრეხელიძეს მაღალი მაღალი თამასა?

\_ რა სისულელეა...

\_ იქნებ პატარა გოგონამ იცნო ძია ელდარი, მამამისის მეგობარი, რის გამოც სიცოცხლეს გამოასალმეს?

\_ ნახალკის შეტენვას მოეშვი, არ გამოგივა. ნინოს გატაცებასთან მამაჩემს ხელი არა აქვს, მე კი ვააბზე პატარა ვიყავი, 10-12 წლის.

\_ შენ შეიძლება... მაგრამ მამაშენს იმთავითვე სძულდა თავისი ძმაკაცი, იმდენად სძულდა, ჯერ ცოლი მოუკლა, მერე შვილი...

\_ ეეე, ეეე, რეების მიედ-მოედები, ფსიხი ხარ, ვილაცა ხარ! \_ აყვირდა ლევანი. \_ მამაჩემი და მკვლელი?! ხფთუი, არც მოვუსმენ ამისთანა მარაზმს. მამას ნოდარი უყვარდა... ახლაც უყვარს! აქეთ დავცინოდი, ცუციკივით დასდევ-თქო. რა ელდარის ბრალია, იმ ჩემისას ცოლმა თუ რქები დაადგა! ალბათ ღირსი იყო და იმიტომ დაადგა. ნაღდი კაცი რქებს არ დაიდგამს.

\_ რა იცი, რომ დაადგა?

\_ ცოლმა თვითონ აღიარა, წერილებს უგზავნიდა ხოლმე, რა... სხვა შემეყვარდაო, უნდა გამიგოო...

\_ მამაშენმა კი ისარგებლა მეგობრის სულიერი მდგომარებით და შვილი მოსტაცა. ზუსტად იცოდა, რომ ნოდარი `უკანასკნელ ნიფხავს გაიხდის~.

\_ აუუ, ბიოვილი ვიყო, ბოდავ! ვინა, ბიჭო, მამაჩემმა ისარგებლა? შენ არ იცნობ ელდარას, ისეთი ლობიოა, ცხოვრებაში არ გაურისკავს. ამ საქმეზეც მე ავტეხე, ჩემი კარგი მ.....ნ, სად ვეტენებოდი! \_ ლევანმა გაკოჭილი ხელები თავში წაიშინა. აღრიალებას ცოტა აკლდა. \_ ან რა ფული მაშინ ნოდარას ჰქონდა, შვილის გამოსასყიდი გადაეხადა. ჟელეზნად გეუბნები, ძმაო, ძველ ამბავში მამაჩემი არაფერ შუაშია. ახალში არი, მაგრამ აქაც კაი პონტში არი. ძმაკაცურ პონტში. იცი, რა დღეში ჩავარდა ნოდარა შვილის პოვნის შანსი რომ გაუჩნდა? კილამ ფეხები დაუკოცნა... ვა, ფულიც არ აეღო? უფულოდ, თოვლს არ მოგყიდნიან ზამთარში. დღეს ყველა გამორჩენაზეა.

\_ კესოც?

\_ კესო უტვინოა. არ გაგვიმართლა კანდიდატში, რაც მართალი მართალია. ქერის ორმოში მოხვდა და არ დააფასა.

\_ შენა გადასახედიდან ბედნიერება მხოლოდ ქერის ორმოშია.

\_ არა, ბიჭო, ძღნერის ორმოში. \_ გამოაჯავრა ლევანმა.

გოგამ კიბეზე ატეხილ ბრაგუნს მიაყურადა. იმავე წუთს ოთახში ოთხნი შემოცვივდნენ. ორს სამოქალაქო ფორმა ეცვა, ორს \_ კრიმინალური პოლიციის.

\_ ამ მისამართზე გამოძახება შემოვიდა. \_ თქვა ერთ-ერთმა.

`ანზორმა დამასწრო. ეტყობა, არ დამიჭერა.~ გაიფიქრა გოგამ და გულის ჰიბიდან ნიგნაკი ამოიღო:

\_ მაიორი სვიმონიშვილი. უშიშროების დეპარტამენტიდან.

---

გოგა ფრთაშესხმული მიჰქროდა სახლში. მანქანაში კესოს საყვარელი პლუმის დატუნია ეჭდა \_ მუცელგამოფატრული, ნარკოტიკისგან დაცლილი, მაგრამ ნამდვილი. არა უშავს, დედას ნემსს და ძაფს გამოართმევენ და ერთად გაკერავენ. ვითომ ავთვისებიანი სიმსივნე ამოაჭრეს. მერე გარეცხავენ და მზეზე გააშრობენ. მერე? მერე კესო ამოიღლიავენს თავის დრუნჩას და ბებიასეულ სახლში გადაბარგდება.

გოგას სევდა შემოანვა. არსადაც არ გაუშვებს. ვიდრე ელდარ დუნდუას არ დაიჭერენ, კესო თავისთან ეყოლება. დავუშვათ, ელდარი დაიჭირეს და კესოს პასპორტი დაუბრუნეს, მერე რაღას მოიმიზებს?

არა უშავს, რამეს მოიფიქრებს.

ხალისიანად აირბინა კიბეები. ბარი დარეკა. დაელოდა. ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. გოგამ მშობლების კართან გადაინაცვლა. იქნებ კესოს მოწყინდა მართო ყოფნა და სვიმონიშვილების დიდ ოჯახს ეწვია? მარინა კბილებს ილესავდა გაურკვეველი სტატუსის მქონე სტუმრის გაცნობაზე. `საცოლე~ რომ თამუნას ჯიბრზე ითქვა, ამას არ უნდოდა დიდი მიხვედრა. გოგამ სიამოვნებით აღნიშნა, რომ ისე გავიდა ეს დღეები, ყოფილი ცოლი ერთხელაც არ გახსენებია.

დედა ორამბროვანი ღიმილით შეუძღვა ოთახში. გოგამ იმ რესპოდენტივით იგრძნო თავი, რომელმაც კირკიტა ჟურნალისტის უხერხულ შეკითხვებს უნდა უპასუხოს.

\_ თევზი შეწვი? \_ უკმაყოფილოდ დაყნოსა ჰაერი.

\_ კალმახი. ახლა, არ მითხრა, სუნიაო!

\_ მოგატყუო?

\_ ყოველ შემთხვევაში, არ მისაყვედურო. აივნის კარიც ღია მქონდა და ფანჯრებიც, მაინც შემოიპარა და რა ვქნა?! \_ თავი იმართლა დედამ.

\_ კი არ შემოიპარა, მყარად ჩაჯდა კედლებში.

\_ კედლებში ჩაჯდა თუ ჭერმა შეისრუტა, გადასარევი თევზი შევწვი, უნდა გენახა, რა სიამოვნებით მიირთვა შენმა... \_ ლალიმ პაუზა გააკეთა და ცნობისმოყვარე მზერა შვილის ხელში ჩაბლუჯულ პარკზე გადაიტანა. \_ შენმა მამ... სტუმარმა.

\_ სად არის?

\_ ერთი საათის წინ აქ იყო, ახლა იქ იქნება. \_ დედამ ერთოთახიანის მიმართულებით ანიშნა.

\_ აქ რა უნდოდა?

\_ მე გადმოვიპატიჟე, თეთრი ბლის მურაბით გავუმასპინძლდი. ისე მოეწონა, რეცეპტიც კი ჩაიწერა. წელს რაღას მოესწრება, მაგრამ მომავალ წელს აუცილებლად გავაკეთებო... რა თქმა უნდა, თუ მომავალ წლამდე რამე არ გადაწყვიტეთ. \_ დედა მრავალმნიშვნელოვნად დადუმდა.

\_ რა უნდა გადავწყვიტო? \_ გოგა შემცბარი მიაჩერდა.

\_ ხო, რას მიყურებ? მშვენიერი გოგოა. უბრალო, ზრდილობიანი, არ იტყლარჭება... ზოგიერთივით.

\_ მოგეწონა?

\_ მომეწონა. მოდი, დაჯექი, რა უცხოსავით დგახარ? \_ დედამ მაჯაში ხელი ჩაავლო და ტახტისკენ უბიძგა. \_ ისე იქცევი, თითქოს მართლა მეზობლები ვიყოთ... ზედმეტი კითხვა ვერ დამისვამს საკუთარი შვილისთვის, განა ეს საქმეა? მეც მაინტერესებს, ვინ არის, რა ოჯახიდან...

დედა კიდევ ქოთქოთებდა რაღაცას, მაგრამ გოგას არ ესმოდა. ის იყურებდა ტახტზე გადაშლილ საოჯახო ფოტოალბომს, რომლის ერთ-ერთ გვერდზე უშიშროების დეპარტამენტის მთელი შემადგენლობა, მათ შორის მაიორი სვიმონიშვილი იყო გადაღებული. გოგას დაცეცხლა.

გაიშიფრა! კესომ გაიგო, რომ მისი კეთილისმყოფელი მძღოლის სტატუსს ამოფარებული უშიშროების აგენტია. ვინ იცის, რა წარმოიდგინა?!

\_ ეს რა არის? \_ გაანწყვეტინა დედამისს.

\_ ალბომი. სურათები დავათვალიერებინე.

\_ მერე?

\_ მერე არაფერი. თავიდან ძალიან დაინტერესებული იყო, მერე შეუძლოდ გახდა და უცებ წავიდა.

გოგა ადგილს მოწყდა, შურდულივით გავარდა საერთო აივანზე, ოთახში შემავალი კარი მოაფრიალა...

არავინ. მეტყველი სიჩუმე. და იატაკზე დაგდებული ფურცელი ბლის მურაბის რეცეპტით.

---

მან ეს გააკეთა. რჩეული საიმედო ადგილზე ჰყავს დამალული, ხვალ შვებულებას გააფორმებს და მთელ თავისუფალ დროს მის მოშინაურებას დაუთმობს. სიყვარულითა და მოთმინებით, სიყვარულითა და მოთმინებით. ხშირად უნდა გაიმეოროს, ამ დევიზის დავიწყება დამარცხების ტოლფასია. კოსმიური ძალები მის გვერდით არიან... რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია, რამდენჯერ აღმოჩნდა მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ (მარტო იმლამინდელი, ჩაშლილი რიტუალი რად ღირდა), მგზავრს კი ერთხელაც არ უფიქრია უკან დახევა. ჯილდომაც არ დააყოვნა. ის აღმოჩნდა საჭირო დროს, საჭირო ადგილზე. ჯერ ეშმაკისეული ბანკირის სახლთან, მოგვიანებით \_ თავდაჯერებული მზვერავის ეზოში.

საკუთარ თვალებს არ დაუჯერა, როცა სადარბაზოდან გამოსული რჩეული დაინახა. ისეთი დამფრთხალი ჩანდა, ისეთი დაბნეული, სისულელე იქნებოდა დახმარება არ შეეთავაზებინა. ისიც, წინამორბედის მსგავსად, უკანმოუხედავად ჩაუჯდა მანქანაში და რატომღაც რუსეთის საელჩოსთან მიყვანა თხოვა. `უკეთეს ადგილას მიგიყვან~, გულში გაეპასუხა მგზავრი და პირდაპირ ქალაქგარეთ გააქანა. რჩეულს წინააღმდეგობა არ გაუწევია, უბრალოდ ვერ მოასწრო, მგზავრმა ის გათიშა.

სოფელშიც გაუმართლა. წინაპრების ძველი, ერთსართულიანი სახლი გორაკზე იდგა, საკმაოდ შორს ადგილობრივი მოსახლეობის ცნობისმოყვარე თვალთაგან. გადაუხედელობის გამო ელექტროგაყვანილობა ჩაჭრილი აღმოჩნდა, რომ სცოდნოდა ასე მარტივად აისრულებდა სანადელს, წინასწარ დაიჭერდა თადარიგს, მაგრამ კაცი ბჭობდაო, ნათქვამია...

არ არის პრობლემა, ლამფის შუქი რომანტიკულიც კია... ვითომ შუა საუკუნეში ცხოვრობენ, პროდუქტების შესანახად კი სარდაფი გამოდგება. ჯერჯერობის იოლად გავლენ, მოგვიანებით კი, როცა რჩეული გააცნობიერებს ვისთან აქვს საქმე, ამ ადგილს ბალნარს დაამსგავსებენ... ეზოში პატარა შადრევნის ჩაშენება შეიძლება, სახლის გასწვრივ ვარდებს დარგავენ, ბუსტად ისეთ ჩინურ ვარდებს, როგორც იმ წითური გობლინის ეზოშია. ცხელი წყალი, მაცივარი და სხვა საყოფაცხოვრებო წვრილმანები მხოლოდ მემკვიდრის გაჩენის შემთხვევაში გახდება აქტუალური. ჩასახვა სავსე მთვარის პერიოდში უნდა გაიგეგმოს, სანთლების შუქზე, ფრანგული შამპანურის თანხლებით...

სტოპ!

აღკოპოლი გამორიცხულია. ვაითუ, პირველივე ცდაზე დაფეხმძიმდა?! ნაყოფი ხინჯის გარეშე უნდა განვითარდეს, უახლესი რელიგიის ადეპტის დაბადება ათასწლეულში ერთხელ ხდება!

მგზავრმა უკანასკნელი სარეველა მოაშორა დედისა და დეიდის საფლავს და მიწიანი ხელები დაიფერთხა. `არჩი, შვილო, ეს იასამნის ბუჩქი გახმობის პირასაა, ნუთუ

ვერ ხვდები, რომ წყლის დასხმა სჭირდება...~, მთიდან მონაბერი ნიავი დედის ხმით აჩურჩულდა.

\_ ხვალ დილით მოვრწყავ. ახლა გვიანაა, საცაა დაღამდება. ისიც ცოდოა, მარტო მყავს დატოვებული. ვინ იცის, სიბნელის ეშინია. \_ თავი იმართლა მგზავრმა.

`კეთილი, წავიდეთ, დავხედოთ~, ნება დართო დედამ.

`მეც წამიყვანეს, რა?~ შეეხვეწა დეიდა.

\_ ორივენი წამოდით. \_ დიდსულოვნად დათანხმდა მგზავრი და აჩქარებული ნაბიჯის დატოვა სასაფლაო.

მარანი, სადაც თექვსმეტი წლის წინ ფიასკო განიცადა, იდეალური იყო კონსპირაციის თვალსაზრისით. იზოლირებული, სანახევროდ მიწაში ჩასული, რაც მთავარია, უფანჯრო. თუ გინდა გასკდი ყვირილით, კაციშვილი ვერ გაიგებს. მარანი პირობითად ერქვა, თორემ პაპის გარდაცვალების შემდეგ აქ ღვინო არ დაწურულა. მთხლეშემხმარ ბოცებს, დამტვერილ ბოთლებს, დაკლაკნილ შლანგებს მგზავრმა ხევში გადაუძახა. კედლები ნამიანი ტილოთი განმინდა, მიწაზე ფარდაგები დააფინა, ნიკელის საწოლი გამართა და გრძელი ჯაჭვიც გაუყარა \_ ადამიანს გადაადგილება რომ შეძლებოდა. ჯაჭვს საგანგებოდ ნაყიდი ხელბორკილი გაუყარა. ხელბორკილი გაცილებით ცივილიზებულად გამოიყურებოდა, ვიდრე პირველყოფილი კანაფი, რომლითაც პირველი რხეული ჰყავდა დაბმული.

ნავთის ლამფა მოიმარჯვა და მარნის კარი გააღო.

რჩეული საწოლის შორიახლოს იდგა, რამდენადაც ჯაჭვის სიგრძე ამის საშუალებას აძლევდა. მგზავრი მიუახლოვდა და ლამფა სახესთან მიუტანა. რჩეულის თვალებში შიში ეწერა. მას მოსწონდა ეს შიში. მოსწონდა მის ფერმკრთალ სახეზე აცახცახებული ჩრდილი, კატასავით გაფართოებული გუგები. მსგავსება, რასაკვირველია, იყო, მაგრამ მხოლოდ გარეგნული. ის, პირველი, ნამდვილი ალქაჯივით იქცეოდა \_ კბენდა, იფურთხებოდა, ყვიროდა, იგრიხებოდა... ერთხელ ისე ამოჰკრა ლაჯებში წვეტიანი მუხლისთავი, კინაღამ სათესლე ჯირკვლი დაუზიანა. დედა მუდამ აფრთხილებდა: `არჩი, მოუფრთხილდი ასოს, ფეხბურთის თამაშისას ხელები სასირცხვო ადგილზე გადაიჯვარედინე, ბიჭებთან ჯიკავს მოერიდე, შესვენების დროს კლასიდან ფეხი არ გადგა...~ იმ თავგასულმა მსახიობმა კი ისე გაიმეტა, სიმწრისგან ყმეილი აღმოხდა. სწორედ მაშინ დაკარგა თავზე კონტროლი, იქამდე თავშიც არ მოსვლია ძალა ეხმარა \_ ყველაფერი ნებაყოფლობით უნდა მომხდარიყო, როგორც რჩეულებს შეჰფერის. არ მოინდომა ქალბატონმა და მიიღო! ვერც თვითონ ისიამოვნა, მგზავრსაც ჩაუშხამა ნანატრი რიტუალი.

ახალი რჩეული გაცილებით დამყოლი ხასიათის ჩანს. არ ყვირის, კითხვებით არ აწუხებს, უბრალოდ ეშინია. შიში დამოუკიდებელი სუბსტანციაა, თავისი ფორმულაც ექნება, როგორც ჰაერს, უბრალოდ კაცობრიობა არ მომწიფებულა გრძნობისმიერი სფეროს გამოსაკვლევად.

\_ მიცანი? \_ დაეკითხა იმედით.

\_ ჩვენ... ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს?

\_ იმის თქმა გინდა, შევხვედრივართ თუ არა?

\_ დიახ.

\_ არა, შეხვედრის ბედნიერება არ გვქონია, თუმცა... თუმცა შენს

არსებობაში ეჭვი არასოდეს შემპარვია. ყოველთვის ვიცოდი, რომ ერთხელაც ჩვენი შეხვედრა შედგებოდა. და აი, ეს დღე დადგა. დაჯექი, ვილაპარაკოთ, დრო ბევრი



გვაქვს, იმდენად ბევრი რომ... კარგი, ამაზე მერე... რას ვამბობდი? ჰო, იმდენად ბევრი, რომ ერთმანეთს შეცნობას მოვასწრებთ.

მგზავრმა საწოლის მიმართულებით მისაპატიჟებელი ჟესტი გააკეთა.

კედელს ანეპებულნი მძევალი არ შერხეულა, უბრალოდდშიში გაკვირვებამ შეცვალა. ეს უკვე კარგის ნიშანია. აი, რას ნიშნავს გამობოძილი ტაქტიკა. მოთმინებითა და სიყვარულით, მოთმინებითა და სიყვარულით – ლოცვასავით გაიმეორა მგზავრმა.

– რატომ არ დაჯდები? – ჰკითხა სტოპ-კადრში გაშეშებულ რჩეულს.

– დავიღალე ჯდომით. შუადღის აქეთია ვზივარ.

– მე მინდა დაჯდე და როცა ვლაპარაკობ, თვალები მიყურო. – მგზავრმა ხმა გაიმკაცრა. თავგასულობას ვერ აიტანს. მხევალი იმისაა, ბატონს დაემორჩილოს. ამას მოითხოვს თამაშის წესები.

ქალიშვილი უსიტყვოდ დაემორჩილა. საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ხელები შეტყუებულ მუხლებში ჩაიკურა. კანკალებს. ე. ი. მაინც ეშინია. როგორ შვენიის შიში, ხვეული თმაც ივენის, საფეთქელთან მოცახცახე ოქროსფერი კულულის, რომელსაც ის, მგზავრი სიამოვნებით გაეთამაშებოდა. მაგალითად, სულს შეუბერავდა, თითზე დაიხვევდა, დაყნოსავდა... მაგრამ დაფრთხობის ერიდება. სიტუაცია უნდა მომნიჭდეს, ჯერ ოცდაათხი საათიც არ გასულა. სიყვარულით და მოთმინებით...

– შემომხედე.

რჩეულმა თავი მოაბრუნა და დაკვირვებით შეხედა, თვალის დაუხამხამებლად.

– ისე მიყურებ, ვატყობ ვერ მიცანი, – გული დასწყდა მგზავრს.

– მგონი ვიღაცაში გეშლები. დიდი ხანი არაა, რაც საქართველოში ჩამოვედი, ისე მოხდა, გარეთაც არ გავსულვარ. გამორიცხულია, მე და შენ ერთმანეთს ვიცნობდეთ.

– ეს ყველაფერი პირობითია, მთავარია, მე გიცანი. მე! სულ არ მაინტერესებს ვინ ხარ, რა გქვია, რა გვარი ხარ, სადაური, სად გიცხოვრია... ეს შენ ხარ, ჩემი ბედისწერა.

– შეიძლება ვიცოდე, რა ნიშნით გამომარჩიე?

– გულმა მიგრძნო. ადრეც მქონდა მსგავსი შემთხვევა, მაგრამ არ

გამიმართლა, იმან ვერ მიცნო, უბრალო გამვლელი ვეგონე, ანდა უარესი – მანიაკი... ჰა, ჰა! მანიაკი... – სრულიად მოულოდნელად გადაიხარხარა და

უცებ დადუმდა.

რა საჭიროა თვალთმაქცობა, როცა უწინდელი ცხოვრება წარსულს ჩაბარდა, გაიფიქრა მგზავრმა. ის აღარასოდეს გაიცინებს უსახო მასის უკბილო ხუმრობაზე, აღარ დაინახავს მათ ოფლიან დინგებს, ცბიერ თვალებს, ნიკოტინისგან ჩაყვითლებულ კბილებს... ამაზრბენი ფეკალიები, ერთუჯრედიანი პრიმიტივები, ფულზე და სექსზე დახარბებული ცხოველები. ვერც ხვდებიან როგორ ყარან, რა მოსაწყენები არიან თავიანთი ყოველდღიური ფაციფუცით, ბაქტერიის დონეზე მომუშავე ტვინით, რომელშიც არასოდეს დაბადებულა მარტივი შეკითხვა: რისთვის მოვიდნენ ამქვეყნად? მხოლოდ მგზავრმა იცის ჭეშმარიტება, მხოლოდ მას აკისრია კოსმიური მისია...

– ვინ ვერ გიცნოთ?

რა? მგზავრი გამოერკვა. რა უფლება აქვს წარსულის გადმონაშთზე ფიქრით დაინაგვიანოს გონება, როცა ახალი რჩეული გვერდით უზის. კმარა, უნდა გადაერთოს!

– რა მკითხე? – დაიკითხა მზადყოფნით.

\_ ვინ ვერ გიცნოთ მეთქი?

\_ შენმა წინამორბედმა, ისიც შენსავით მშვენიერი იყო, სამწუხაროდ მხოლოდ გარედან, შიგნიდან \_ ნამდვილი რეფლესია.

\_ რეფლესია... რა არის რეფლესია?

\_ ყვავილი. შეხედავ ულამაზესია, ახლოს მიხვალ \_ დამპალი ხორცის სუნი ასდის.

\_ განყენინათ?

\_ უარესი, წყენას როგორმე მოვინელებდი, მან იმედი გამიცრუა, მისიის შესრულების საშუალება არ მომცა. იმედია, შენ მომცემ.

\_ რა მისიაზეა ლაპარაკი?

მგზავრმა მრავალმნიშვნელოვანი პაუზა გააკეთა. მერე ოდნავ გადაიხარა, კესოს კულული ხელში მოიმწყვდია და ხარბად დაყნოსა:

\_ შვილზე, რომელსაც ერთად ჩავსახავთ.

რჩეულის რეაქციამ მგზავრი შოკში ჩააგდო. იმის მაგივრად, შეეგრძნო მისიის სიდიადე და მოსალოდნელი ბედნიერებით თავბრუდახვეული კისერზე ჩამოჰკიდებოდა, გველნაკბენივის გადაქანდა უკან, თან გაიყოლა მგზავრის ხელიდან გამოსრიალებული კულული.

\_ ეს რა ჩაიდინე? \_ მგზავრი ჯერ აბუტბუტდა, მერე მრისხანედ აუნია ხმას. \_ ეს რა ჩაიდინე მეთქი?

\_ რა ჩავიდინე?

\_ ყველაფერი გააფუჭე, ყველაფერი! მე შენ გენდე, იმედი მქონდა, რომ მიცნობდი... ვერც მიცანი და ვერც ვერაფერს მიხვდი, შეგეშინდა... არა, შეგზიზღი! შენც იმათნაირი ხარ, უბრალოდ უფრო ეფექტურად შეფუთული, იმდენად ეფექტურად, რომ კინალამ მეც შემაცდინე!

უცებ ლამფა ჩაქრა. მგზავრის ბობოქარმა გამოსვლამ თუ შეაკრთო. მგზავრიც დადუმდა. სამაგიეროდ სიბნელე აჩურჩულდა დედამისის ხმით:

` ასე არ შეიძლება, არჩი. აკი, მოთმინებითა და სიყვარულით. ნერვები გლალატობს, შვილო, სამკურნალო ხარ. წასულიყავი აკაკი ექიმთან, დამამშვიდებელს გამოგიწერდა, მამა-შვილურად დაგელაპარაკებოდა. გახსოვს, რა კარგად იმოქმედა მისმა დანიშნულმა მედიკამენტებმა...~

\_ რა მჭირს სამკურნალო? \_ შეეპასუხა მგზავრი.

საკუთარმა ხმამ შეაკრთო. გაფაციცებულმა მოიხსრიკა ჯიბეები, ასანთს გაჰკრა, მაგრამ ვერ მოუკიდა \_ თითებში ემტვრეოდა ღერები. არ შეიძლება რჩეულმა აღელვებული ნახოს. ხელის ცეცების მიაგნო კარს, მხრებით მიანწვა და გარეთ გავარდა.

---

გოგას ფურცლის ნაგლეჯზე ფიგურები გამოჰყავდა, ცალი ყურის კი შეფის გამოსვლას უსმენდა.

თათბირზე ნაცნობი თემა განიხილებოდა \_ ბესარიონ ჩაჩხიანის

გაზრდილი რეიტინგის ნეიტრალიზება. წინა კვირაიი პრეზიდენტობის

კანდიდატმა მართებული პიარ-სვლა გააკეთა \_ ერთ-ერთ რეგიონში ვიზიტისას საკუთარ თავზე ინვზნია პომიდვრებისა და კვერცხების სეტყვა. მართალია, ძირითადი დარტყმები თანაგუნდელებმა მიიღეს, მაგრამ ერთ მიზანმიმართულად გასროლილ კვერცხს კანდიდატის პიჯაკი შეეწირა. ჩნდება კითხვა: ვისი დაგეშილი იყო ადგილობრივი მოსახლეობა \_ ხელისუფლების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული საკრებულოსი თუ ჩაჩხიანის აქტვისტების? სავარაუდოდ აქტივისტების, რადგან იმავე საღამოს ტელეკომპანია `მნათობში~ ერთი გნიასი ატყდა ამ ვანდალურ ფაქტთან დაკავშირებით. `ხელისუფლებამ პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი ხილ-ბოსტნეულის დააყუბმარა~ \_ თავშეკავებული ღიმილით იუნყებოდა ადგილობრივი კორესპონდენტი. ინციდენტი პრესამ აიტაცა: `ვინ დაურიგა მოსახლეობას ორლარიანი პომიდვრები~ `ევროპული არჩევნები ქართული სოუსით~, `დემოკრატიის ვარიაციები~...

\_ ამ კომიკური ვიზიტის შედეგი ბესარიონ ჩაჩხიანის რამდენადმე გაზრდილი რეიტინგია.  
\_ სეფე სიტყვა დაასრულა ანზორმა.

\_ მთელი ათი პროცენტით. \_ დააბუსტა ივანემ.

\_ რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს იყო ზუსტად გათვლილი სცენარი, რომელმაც უტყუარად იმუშავა. \_ აიტაცა ანზორმა. \_ რამდენი ასეთი სცენარი აქვთ შემონახული ჩაჩხიანის პიარშიკებს, არ ვიცით. ვიცით ერთი \_ ამ ყველაფერს აფინანსებს ბანკირი ნოდარ უგრეხელიძე, რომელსაც, თავის მხრივ, ჩრდილოვანი კორპორაციები ლობირებენ. ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე ამ ვირეშმაკა დემაგოგის ხელისუფლებაში მოსვლისთვის იღწვის. გადაინაწილებენ გავლენის სფეროებს და ყველას გაგვრეკავენ... \_ ანზორმა დროულად დააჭირა ენას კბილი, რადგან ისევ გრძელტარიანი ცოცხი გაახსენდა და კოლეგების მხრიდან დაცინვას მოერიდა.

\_ ცოტა ხელისუფლებამაც გაინძრეს. \_ თქვა ვეფხია ჩოხელმა და სოკრატეს შესაშური მედიდურობით გახედა დანარჩენებს.

\_ რა ჰქნას ხელისუფლებამ, საპროტესტო მიტინგები მოუწყოს საკუთარ თავს?! (პაუზა) მაიორო სვიმონიშვილო, საგანგებო თათბირზე ვიმყოფებით თუ მანქანის ახალ მოდელს ვამუშავებთ?

\_ და ყველას გაგვრეკავენ გრძელტარიანი ცოცხებით. \_ გოგამ ხატვა შეაჩერა და შექანიკურად გააგრძელა შეფის შინაგანი მონოლოგი.

ივანეს ჩაეცინა. ანზორი გაბრაზდა. ვეფხიამ ვერაფერი გაიგო. გოგა მიხვდა \_ რაღაც არასწორედ დააყრანტალა, მაგრამ არ ჩაღრმავებია, მისი გონება სხვა რამით იყო დაკავებული. ცხადია, მანქანის ახალი მოდელით \_ არა.

ფურცელზე ეხატა თმაგაჩეჩილი მამაკაცის გრაფიკული პორტრეტი და ავტომობილ `გოლფის~ მონახაზი. ამ მარკის მანქანა არაერთგზის შეუნიშნავს მაიორის სახლთან გაბეთების გამყიდველს. გუშინ ნაშუადღევს კი მანქანაში უცნობი ქალიშვილი ჩაჯდა. იმავე გამყიდველის აღწერით ქალიშვილი კესო უნდა ყოფილიყო, მძლოლის გარეგნობა კი ზედმინევნით ემთხვეოდა თეატრალური პარიკის მოპარვაში ეჭვითანილს \_ ოცდათხუთმეტი-ოცდათვრამეტი წლის ხუჭუტთმიანი მამაკაცი უღიმღამო ნაკვთებით. ან გრძელი ცხვირი ჰქონოდა დალოცვილს, ან სქელი ტუჩი, ან ელაში თვალი... მიდი და ეძებე მთელი თბილისის მასშტაბით უღიმღამო მამაკაცი ხვეული თმით. გრძელი თმა მოდაშია, განსაკუთრებით თინეიჯერებში. ეჭვითანილი პატარა ბიჭი არ არის. ვინ ატარებს ასაკში მოგრძო თმას? \_ მხატვარი, მსახიობი, მუსიკოსი... იქნებ თვითონ ანზორი აფარებს ხელს ვინმეს? ნონსტოპის რეჟიმში გადააბარა ლევან დუნდუა კრიმინალურ პოლიციას, ბოლომდე დაკითხვაც კი არ აცალა. დათუნა ჯაფარიძის მკვლელობის დღეს თეთრი `გოლფი~ თეატრის შორიახლოსაც შენიშნეს.

\_ მაიორი სვიმონიშვილი ტურისტი გოგოს გაქრობაზე ჩაიციკლა. \_ ჩაილაპარაკა ივანემ.

ვისთვის ტურისტი გოგოა, ვისთვის გზააბნეული კრავი, გაიფიქრა გოგამ. ერთადერთი ადამიანი, ვისაც ენდო, უშიშროების მაიორი აღმოჩნდა, რომელმაც თავი რატომღაც მძლოლად გაასაღა. რაში დასჭირდა მოტყუება, თუკი პოლიციასთან არ არის შეკრული? ალბათ ასე ფიქრობდა სვიმონიშვილებასგან გამოქცეული კესო, როდესაც შემთხვევით გამვლელს უჯდებოდა მანქანაში.

ანზორმა ყურს უკან გაატარა ივანეს რეპლიკა. ის გოგას უყურებდა.

მაიორის მხატვრობით გატაცება სიურპრიზის მომასწავებელია.

\_ რა გაქვს გეგმაში? \_ ჰკითხა პირდაპირ, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე.

\_ ბანკირთან ვიზიტი. \_ იყო პასუხი.

\_ გაინტერესებს, ნოდართან ხომ არ შეაფარა თავი?

\_ არც უმაგისობაა.

\_ გამოტყდი, გულში ჩაგივარდა.

\_ აღნიშნულ ვიზიტს ჩემს გულთან არაფერი აქვს საერთო. \_ მოუჭრა გოგამ.

ივანემ ისარგებლა დაძაბული პაუზით და თავისი ვერსია შემოაგდო:

\_ გოგას ვეთანხმები. ელენე ბეთანელის გაქრობის კვალს ბანკირამდე მივყავართ. ეჭვს ინვესტის მისი დამოკიდებულებაც ამ ვითომ ქალიშვილთან. არ გამოვრიცხავ, სწორედ ნოდარ უგრეხელიძე აღმოჩნდეს ახალგაზრდა ქალებზე გამეცადინებული იდუმალი მანიაკი.

\_ მანიაკი არა, იხვის ტოლმა. \_ სასაცილოდ არ ეყო ანზორს.

\_ ქალიშვილზე თუ შემოჰკრა განგაშის ბარები, ცოლმა რა დაუშავა?

იქნებ სწორედ მან დაყარა ჭორები ელენესა და დათუნა ჯაფარიძის ერთობლივი თანაცხოვრების შესახებ, სინამდვილეში კი ცოლი მოკლა და გვამი გადამალა. ფსიქიატრთან კონსულტაციის გავლა ჩემი ახირება არ იყო, დამნაშავეს მიახლოებით პორტრეტს მაინც შეგვიდგენდა. \_ ივანემ საქალაქოდა გახსნა და რაღაც ქალაქები ამოაფრიალა. \_ აი, სავარაუდო კანდიდატების სია, ორი დღის წინ ანუქვლას ამოვაქექინე... გაცხრილვის მეთოდით შეიძლება ვინმე გამოკვეთილიყო. გაიგეთ, ხალხო, არსებობს შიზოფრენიის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის მდორედ განვითარებადი, პასიური. შეხედავ, ჩვეულებრივი ადამიანია \_ არც ქვეებს ისვრის, არც ჰალუსინაციები ანუხებს, მუშაობს, ჯამაგირს იღებს, კონტაქტურია... შარშანდელი პედოფილი გაიხსენეთ \_ სკოლის დირექტორი, ფრიად პატივსაცემი პიროვნება, ვინ წარმოიდგენდა, რა ედო სარჩულად ბავშვების მიმართ მის ზღვარგადასულ სიყვარულს.

\_ ციხეში მოკლეს, ხო იცი. \_ ამოიოხრა ანზორმა და უცებ დადარაჯებული გამომეტყველება მიიღო. \_ მოიცა, პედოფილია კარგად გაიხსენე. იქნებ, იქნებ... იქნებ მამა შვილს... ღმერთო, მაპატიე, ისეთი ბინძური აზრები მომდის თავში, გამხელის მეშინია. \_ ანზორმა ნაჩქარევად გადაინერა პირჯვარი.

\_ მე გავაფორმებ შენ ნაფიქრალს. \_ არ დაიზარა ივანემ. \_ ელენე ბეთანელი ისეთი ფაქტის მოწმე გახდა, რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

\_ ნოდარ უგრეხელიძის პოლიტიკური ამბიციების განეიტრალება ერთია, ცილისწამება სხვა. მაპატიეთ. \_ გოგამ ნახატებით აჭრელებული ფურცელი საფერფლის ქვეშ შეაცურა და კაბინეტიდან გავიდა.

ვეფხიამ და ივანემ თვალი გააყოლეს, ანზორმა საფერფლეს ფურცელი გამოაცალა და შემცბარმა ჩააგდო უჯრამში.

ბანკირთან ვიზიტის წინ გოგამ თავი დაიზღვია \_ ცემინების აღსაკვეთად ანტიალერგიული აბი დალია და ისე გადავიდა მანქანიდან.

ფანჯრებზე გისოსები, კარზე ვიდუოთვალი, კარნიზის გასწვრივ სიგნალიზაცია. ერთი სიტყვით, მკაცრი რეჟიმის სასახლე.

ზარის ხმაზე სახლიდან დაცვა გამოვიდა \_ კუნთების გროვა მჭიდროდ მოტკეცილი მაისურით.

\_ რა გნებავთ?

\_ ბატონი ნოდარის ნახვა მინდა.

\_ რა გადავცე, ვინ კითხულობს?

\_ მაიორი სვიმონიშვილი უშიშროების დეპარტამენტიდან.

კუნთების გროვამ წარბი შეათამაშა და მობილურით ხელში სახლში გაუჩინარდა. მალევე მობრუნდა და კარიბჭე გააღო.

გოგამ ჰოლში შეაბიჯა და ინტერესით შეათვალიერა ინტერიერი, რომელიც არანაკლებ პომპეზური აღმოჩნდა, ვიდრე ლომებიან-თალებიანი ფასადი. მარმარილოს კვარცხლბეკებზე შესკუპული ანტიკვარული ვაზები, სკულპტურები, ბიუსტები... უზარმაზარ ნოხზე ნადირობის სცენა იყო გამოსახული \_ სამი მწვეარი და ორი მხედარი ერთ საცოდავ მელიას მისდევდა. ჰოლის კედლები ინკუსტრირებული პანელებით იყო მოპირკეთებული, ვერ გაარჩევდი \_ კარია თუ დიზაინის ელემენტი. ერთ-ერთი ცრუ კარიდან ჟანა ტერ არუთინოვა გამოვიდა. გამხდარი, სადად ჩაცმული, კუს ბაკნის სამაგრიტ ჭაღარა თმაში.

\_ ბატონი ნოდარი თავს შეუძლოდ გრძნობს. ათიოდე წუთით თუ დაელოდებით, გამოვა.

\_ რა სჭირს?

\_ შაკიკი აწუხებს, წუხელ არ ეძინა.

\_ დაველოდები. \_ თქვა გოგამ და ფანჯრისკენ გაიხედა, სადაც თავგამოდებით ჭიკჭიკებდა ატმის ტოტზე შემომჭდარი კაჭკაჭი.

\_ ალბათ ამინდი შეიცვლება. \_ აღნიშნა ჟანამ. \_ ყავას ხომ არ დალევთ?

\_ სიამოვნებით.

ჟანა ისევ იმ კარში გაუჩინარდა და მალევე დაბრუნდა ჭიქით ხელში.

სრულიად შესანიშნავი ყავა მოადულა \_ არომატული, მაგარი, მიხაკის გემოთი.

\_ თქვენ ალბათ ქალბატონი ჟანა ბრძანდებით, პატარა ნინოს ძიძა.

\_ ადრე ძიძა ვიყავი. დღეს სხვა ვალდებულებები მაქვს.

\_ რა ვალდებულებები?

\_ რა ვალდებულებები შეიძლება ჰქონდეს მოხუც დედას შვილის სახლში? ნოდარი ჩემთვის შვილივითაა.

\_ ნინოს შესახებ არაფერი გსმენიათ?

ჟანამ თვალი თვალში გაუყარა. დაჟინების უცქერდა, თითქოს მებსიერებაში იბეჭდავს. მზერა ტანსაცმელზე გადაიტანა, ფეხსაცმელზე...

\_ დაგტოვებთ თუ შეიძლება, გაზზე რაღაც მიდგას...

არ გამოვიდა ტერ არუთინოვას ლაპარაკში გამონვევა, ასეთს არაფერი წამოსცდებ. ფრთხილი და ერთგულია, ბებერი ნაგაზივით.

გოგამ ყავა დალია, ლამინირებულ ჟურნალს დასწვდა, უაზროდ გადაფურცლა და ის იყო, ლოდინით გაბებრებულმა სიგარეტი ამოაცოცა, რომ ბანკირიც გამოჩნდა \_ მალალი, ჩაფსკვნილი, ფრანგულ ყაიდაზე დაყენებული მოკლე უღვაშით, ოპტიკური სათვალით თავზე.

გამოდის, ვიდრე უშიშროების მაიორი ყავას მიირთმევდა, ეს ვაჟბატონი კითხვის ტკბებოდა. ან არ ტკბებოდა, უბრალოდ დროს კლავდა. სისხლძარღვებით დასერილი თეთრი სკლერა უკიდურეს დაღლასა და უძილობაზე მიაწიწებდა.

\_ გოგა სვიმონიშვილი... \_ გოგამ სტატუსის თქმა დააპირა, მაგრამ ნოდარმა ხელის აწევით შეაჩერა.

\_ ვიცი, მომახსენეს. \_ თქვა და აბრეშუმგადაკრულ, სიფრიფანა სავარძელში მოკალათდა. \_ რამ შეგაწახათ, მაიორო?

\_ რამდენიმე შეკითხვა მაქვს.

\_ ბანკთან დაკავშირებით?

\_ უფრო პირადი ხასიათის.

ნოდარმა ღონიერი ხელები სავარძლის ვიწრო, მოღუნულ სახელოებზე შემოაწყო და უნდობლად მიაჩერდა.

\_ მოქალაქე კესო-ელისაბედ დარჩიას შესახებ მინდოდა მეკითხა.

\_ გაიმეორეთ, გეთაყვა.

\_ კესო-ელისაბედ დარჩია.

\_ პირველად მესმის.

\_ როგორ? ის მთელი სამი დღის განმავლობაში იმყოფებოდა თქვენს სახლში.

\_ ჩემს სახლში? აქ? \_ გულწრფელად გაუკვირდა ნოდარს.

\_ კიდევ გაქვთ სახლი?

\_ იბიცაში მაქვს, შვეიცარიაში...

გოგამ თავი გაბითურებულად იგრძნო. სულელურ კითხვაზე პასუხიც შესაფერისი მიიღო. დაავიწყდა, რომ საქმე მილიონერთან აქვს.

\_ აქ. \_ გოგამ იხტიბარი არ გაიტეხა.

ჰერ სად არის ეს ცალყბად მომღიმარი ოლიგარქი... ეს ჟურნალია, კინო წინ ელის. საშინელებათა ჟანრის.

\_ რაღაც გეშლებათ, იცით?... არავითარი ელისაბედი აქ არ ყოფილა.

\_ დარწმუნებული ხართ?

\_ რა ქარაგმებით მელაპარაკებით, პირდაპირ მითხარით, რამ შეგანუხათ ამ დილაუთენია!

\_ რა დროს დილაა, თერთმეტი საათია უკვე. სამსახურში არ გეჩქარებათ? ნოდარმა მოუთმენლად შეჭმუნა ცხვირი.

\_ ღამე თვალი არ მომიხუჭავს, თავი მისკდება და... და გულიც მიჩმახებს... მოკლედ, რა გნებავთ, ბატონო მაიორო?

\_ მე ვიცი, რატომ გისკდებათ თავი, გიჩმახებთ გული და ასე შემდეგ...

\_ ჰმ, რატომ?

\_ კესოს დარდობთ.

\_ ვინ კესოს, ადამიანო?! \_ აიქოჩრა ნოდარი. \_ რას შემინდით ამ კესოთი, წარმოდგენა არ მაქვს ვისზე მელაპარაკებით!

\_ ქალიშვილი, რომელიც შვილად შემოგასაღეს, სინამდვილეში კესოა. კესო-ელისაბედ დარჩია.

ბანკირი თითქოს სკამს მიეყინა. არც ინძრეოდა, არც სიტყვას ძრავდა. გამყინვარება რამდენიმე წამს გაგრძელდა. მერე უცებ მოეშვა, ხმაურით ამოაქმუტუნა დაგუბებული ჰაერი, ქუთუთოები აახამხამა.

\_ სად არის? \_ ესლა იკითხა.

\_ სწორედ ამის გასარკვევად მოვედი თქვენთან.

\_ აქ არ მოსულა, გაიპარა... არ ვიცი, რა ენყინა, ყველაფერი კარგად იყო, გეგმებს ვაწყობდით, ერთმანეთს ვეჩვეოდით...

\_ ბატონო ნოდარ, თქვენ ალბათ ვერ გაიგეთ... კესო თქვენი შვილი არ არის.

\_ ვინ გითხრათ? \_ წარბი შეკრა ნოდარმა.

\_ თვითონ მითხრა. ის შანტაჟის მსხვერპლია, ისევე როგორც თქვენ. ნედან, სამსახურის შესახებ კითხვა ყურს უკან გამიტარეთ, ალბათ იფიქრეთ, ცნობისმოყვარეობა მამოძრავებს. სინამდვილეში, მაინტერესებდა: როდის ნახეთ უკანასკნელად ელდარ დუნდუა?

\_ ელდარა რაღა შუამია?

\_ ის არის მთელი ამ ავანტიურის ინიციატორი. ის და მისი ვაჟი, ლევანი.

\_ მოიცა, მოიცა... \_ ნოდარმა გაშლილი ხელისგული მკერდზე მიიდო. \_ ჟანა! \_ დაიძახა ხმამაღლა.

უჩინარი კარიდან ჟანა მატერიალიზირდა.

\_ რამე გულის წვეთები მომიტანე. გაინძერი, ნუ მომჩერებიხარ!

ჟანამ პატარა ჭიქით მომწვანო სითხე მოარბენინა. ნოდარმა ერთი ამოსუნთქვით დაცალა. ოთახში კატაბალახას სუნი დაბორიალდა.

\_ სიგარეტის მომირბენინე და თავისუფალი ხარ.

\_ რა სიგარეტი, ნოდარ, არავითარ შემთხვევაში! სად გაგონილა წამალი და სიგარეტი!

\_ გააპროტესტა ჟანამ.

\_ რაც გითხარი, ის გააკეთე.

\_ ცოცხალი თავით არ მოგიტანთ. \_ ქალმა ცარიელ ჭიქას ხელი დაავლო და აღშფოთებულმა დატოვა ოთახი.

\_ გაქვთ სიგარეტი? \_ ნოდარი ახლა გოგას მიუბრუნდა.

\_ მაქვს, მაგრამ...

\_ მომე თუ ძმა ხარ, რაც მალე მივწვნი ჩემს შვილს, მით უკეთესი.

\_ რას გულისხმობთ? \_ გოგამ სიგარეტის კოლოფი გადააწოდა. ერთი ღერი თვითონაც ამოიღო.

გააბოლეს. თამბაქოს კვამლმა კატაბალახას სუნი გადაფარა და მთელ ოთახში გაბატონდა.

\_ თუ თქვენ სიმართლეს ამბობთ და ის გოგო ჩემი ნინი არ არის, რაღაში მჭირდება გაძალღებული სიცოცხლე?! ჩემი შვილი ალბათ აღარ წერია ცოცხლებში.

\_ რატომ დაიჯერეთ ასე მარტივად, რომ კესო თქვენი შვილია? ნუთუ ეჭვი არ შეგეპარათ?

\_ შემეპარა, კი... \_ მწარედ ამოიოხრა ნოდარმა, \_ მეორე დღესვე შემეპარა. თვალი მოვკარი, როგორ ებოდინებოდა ნინიკოს სურათს. რეაქცია არ მიმიცია. მისი ყურება მსიამოვნებდა, მისი მოსმენა... ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ნინიკო დამიბრუნდა. ვიცი, სისულელეა, მაგრამ ასეა. მე თვითონაც ვერ ამიხსნია, რატომ... ყველაფერს ხომ არა აქვს ახსნა? კარგი, მოვრჩეთ ამაზე. შანტაჟი ახსენეთ წელან. რაო, ელდარა მამბოლებდა, ეგ გოთვერანი?

\_ აკი ბავშვობის მეგობრები ხართ?

\_ ვიყავით. არ დაიჯეროს ორი, რადიკალურად განსხვავებული ცენზის მქონე ადამიანების მეგობრობა. ჩემი თავი ჯანდაბას, დიდად არ მაზარალა, მხოლოდ ავანსის წაგლეჯა მოასწრო. არ დავეძებ, ეშმაკსაც წაუღია თავისი ავანსიანა. ხვალვე დავიფრენ სამსახურიდან, არა, დღესვე.

\_ ვეჭვობ, მოახერხოთ.

\_ რა დამიშლის? \_ გაუკვირდა ნოდარს.

\_ ელდარი მიმალვაშია, ლევანი \_ წინასწარი დაკავების საკანში. ისინი ეჭვმიტანილები არიან რუსეთის მოქალაქე კესო დარჩიას გატაცება-დაყაჩაღებაში. შანტაჟსაც თუ მივამატებთ, ბლომად აქაჩავენ.

\_ აჰა, მეც არ ვიფიქრე, რამ გაათიშინა მობილური... იმ გოგოს რაღას ერჩოდა?

გოგა მიხვდა, ვის გულისხმობდა `იმაში~. იმასაც მიხვდა, რომ ნოდარს უჭირდა `იმისი~ ნამდვილი სახელის წარმოთქმა \_ ნინიკოს იყო მიხვეული, `რადგან არის ქვეყნად ტყუილი, რომელიც გინდა დაიჯერო და დაიჯერებ~.

\_ კესოს გარეშე ორ მილიონს ვერ მიიღებდა, რომ არაფერი ვთქვათ სამზე. \_ თქვა ხმამაღლა.

\_ ყველაფერი გცოდნიათ. მუშაობს ამ ქვეყანაში დაბვერვა. \_ ნოდარმა უგემურად ჩაიყანა. თავზე დამაგრებული სათვალე ჩამოცურდა და ნოხზე დაეშვა ყურებით მაღლა. არც დახრილა ასალებად, მოსმენილის გადახრშვას ცდილობდა.

გოგამ ერთხანს უყურა, მერე სათვალე აიღო და ფიქრებში წასულ ბანკირს შეეხმინა:

\_ დაბვერვა მუშაობს, მაგრამ ყველანი ადამიანები ვართ, აქედან გამომდინარე, რაღაცები ჩვენც გვეშლება. \_ გოგამ კესოს გაოგნებული სახე წარმოიდგინა, როცა სამხედრო ფორმაში გამოჭიმული მხსნელის ფოტო დაინახა. \_ მოკლედ, კესო,



რომელიც თორმეტწლიანი განშორების შემდეგ დედა სამშობლოს დაუბრუნდა, პოლიციელმა ლევან დუნდუამ ნარკოტიკით დაამანტაჟა. პირობა ასეთი იყო: ან ციხე, ან ორი დღე ნინო უგრეხელიძის ტყავში ყოფნა.

\_ გოთვერანი. \_ გაიმეორა ნოდარმა, ამჯერად ნათლულის მისამართით. \_ შეგიძლიათ, ყველაფერი თანმიმდევრობის მომიყვით? თავში ისეთი აჯაფსანდალი მაქვს, აზრების დალაგებას ვერ ვახერხებ.

\_ იმას მოგიყვებით, რაც კესოსგან ვიცი.

\_ ძალიან დამავალეხთ.

გოგამ შეძლებისდაგვარად გაიხსენა კესოს მონაცოლი, ერთადერთი, რაზეც გაჩუმება ამჟობინა, კესოს ფეხმძიმობა იყო. ამ ეტაპზე არ ღირდა კარტის ბოლომდე გახსნა. ბესარიონ ჩაჩხიანის ფაქტორი უშლიდა ხელს.

\_ ამზრბენია, რასაც ახლა ვისმენ, ამამზრბენი და გულდასაწყვეტი. მე ამას ასე არ დავტოვებ, არავის შევარხენ ჩემს გაბაიბურებას. და მაინც, ერთი კითხვა არ მასვენებს... \_ ნოდარი ორამზრბენი გამომეტყველებით გადმოიხარა. \_ როდის აქეთია, უშიშროების წარმომადგენელი ბანკირთან ბინაზე დადიოდა და გულახდილ საუბარში ინვევდა? ჩვენ არც მეგობრები ვართ, არც საქმიანი პარტნიორები. დღეს თუ არა, ხვალ ხომ ისედაც გავიგებდი ელდარის ღალატს. რა მიზანს ისახავს თქვენი ვიზიტი?

\_ ჩემი მიზნის შესახებ დასაწყისშივე მოგახსენეთ. კესოს ადგილსამყოფელი მაინტერესებს.

\_ თუმცა, იმთავითვე იცოდით, რომ კესო ჩემთან არ არის. რა იმალება თქვენი ვიზიტის უკან?

\_ რამდენიმე კითხვა ელენე ბეთანელის გარშემო. \_ თანაბარი ხმით წარმოთქვა გოგამ. ნოდარი წელში გაიმართა. სახეზე ზიზზარევა ხრდილმა გადაურბინა.

\_ არ მიხსენოს მისი სახელი, ეგ ქალი ჩემთვის არ არსებობს.

\_ მაგრამ არსებობს პასუხგაუცემელი კითხვები, რომლებსაც თექვსმეტი წლის დაგვიანებით, მაგრამ პასუხი უნდა გაეცეს.

\_ ვილაც ძალიან დაინტერესებულია ჩემი გამასხარავებით. ნეტავ, ვინ? უშიშროების მინისტრი? კონტრადაზვერვის დეპარტამენტი? გენერალური პროკურორი? პრეზიდენტი? \_ ჩამოთვალა ნოდარმა.

\_ რატომ ` გამასხარავებით? ~ სიმართლის დადგენით. პირდაპირ გეტყვით, თქვენ ეჭვმიტანილი ხართ საკუთარი ცოლის მკვლელობაში. ახლა კი შეეცადეთ დამიმტკიცოთ, რომ ასე არ არის. \_ გოგამ ხმაში ფოლადი გაურია. მორჩა ჟურნალი, კინო დაიწყო.

\_ მკვლელობაში?! \_ ნოდარმა სიმწრით ჩაიციხა. \_ რატომ ღმერთი არ გაიციხებს?... ელენეს მკვლელობას მტენიან! ჰა, ჰა! იცი, რა გეტყვი, მაიორო? მაშინ, როცა ჩემი მეუღლე უცხოეთის კურორტზე საყვარელთან ერთად ძიგძიგებდა, მე ნინიკოს გატაცებას ვდარდობდი. ქვეყანა შევანრიალე \_ მიშველეთ, დამეხმარეთ, შვილი მომტაცეს მეთქი. რაღა დაგიმალათ, პირველ დღეებში ელენეს ნამოქმედარი მეგონა. ვიფიქრე, გონს მოეგება, ან ფულს მომთხოვს ან მამობის ჩამორთმევით დამამანტაჟებს. რა აღარ ვიფიქრე, ვიდრე ის წერილი არ მივიღე.

\_ რომელი წერილი? \_ გოგა დაიძაბა.

\_ ბოლო წერილი.

\_ გამოდის, მიმონწერა გქონიათ ყოფილ ცოლთან.

\_ ცალმხრივი. უმისამართო წერილებს მწერდა, მთხოვდა, რომ შევსულიყავი მის მდგომარეობაში, გაგებით მოვკიდებოდი ძვირფასი დათუნას არსებობას მის ცხოვრებაში, რომ პირველი სიყვარული მაინც სულ სხვაა, რომ ჩვენი შეუღლება იმთავისვე შეცდომა იყო, რომ მეპატიებინა, დამევიწყებინა, გულიდან ამომეგლიჯა, რომ `უსიყვარულოდ მზე არ სუფევს~... ნულარ მომყოლებ, გული მერევა. \_ ნოდარს სავარძელი ევინროვა, სახელებს გაშლილი ხელისგული დაჰკრა და ისე მყისიერად წამოხტა, ელევანტური ნაკეთობა ორ მეტრზე გასრიალდა.

\_ და თქვენ დაუჭერეთ. \_ ქვევიდან ახედა გოგამ.

\_ დავუჭერე. მქონდა საბაბი. იმ დღეს სერიოზულად წავკამათდით, მხატვრულ ფილმში იმ ნაბიჭვარ დათუნასთან ერთად უნდა ეთამაშა, მე წინააღმდეგი ვიყავი, ის თავისას მიმტკიცებდა. ისე მოხდა, რომ გავარტყი. ცხოვრებაში პირველად. განრისხებული გავარდა სახლიდან, ინანებო \_ მომადახა. ასეც მოიქცა. თუმცა მე არაფერს ვნანობ. მან გააკეთა არჩევანი.

\_ ვწუხვარ, რომ ცდებით. \_ გოგამ დანანებით გააქნია თავი.

\_ რას გულისხმობთ?

\_ ელენე დათუნა ჯაფარიძესთან ერთად არ გაქცეულა. ეს ამბავი დამტკიცებულია. მსახიობი დავით ჯაფარიძე კი, როგორც არასასურველი მოწმე, თავიდან მოიცილეს.

\_ იმის თქმა გინდათ, რომ... \_ ნოდარი წაშლილი სახით შედგა მაიორის წინ. \_ მოიცა, \_ მოიცა, ეგრე მარტივად არ არის საქმე. მაშინ როგორ ავხსნა წერილები, პირადად ელენეს მიერ დაწერილი და ხელმოწერილი? ან ამდენ ხანს რას ელოდნენ... რაღა ახლა გახდა აქტუალური ჯაფარიძის თავიდან მოშორება?

გოგამ იცოდა, რომ ბანკირის ოლიგარქულ ამბიციებს არაფერი საერთო არა აქვს მის პირად ტრაგედიასთან, მაგრამ დათუნა ჯაფარიძის მკვლელობა რომ პირდაპირ კავშირშია მათი უწყების გააქტიურებთან, ამაში თითქმის დარწმუნებული იყო. სამწუხაროდ, ამ თემამზე ნოდართან საუბარი არ შეეძლო, ამოტომ ის ჰკითხა, რისი კომპეტენციაც ჰქონდა.

\_ დარწმუნებული ხართ, რომ წერილები ელენეს მიერაა დაწერილი?

\_ ვიცი. შევამოწმე.

\_ შეიძლება დავხედო?

\_ არ მაქვს, გადავავადე. რომელი სასიყვარულო ბარათები ეგ იყო, საგულდაგულოდ შემენახა! როცა ნინიკოს პოვნის იმედი გადამეწურა, მოვისროლე. სხვათა შორის, ბოლო წერილი ნინიკოს გატაცებას დაემთხვა.

\_ რა ეწერა ბოლო წერილში?

\_ შემშვიდობებოდა. არ მეძებო, საზღვარგარეთ მივდივარ საცხოვრებლად.

\_ წერილები არავისთვის გიჩვენებიათ?

\_ ეგლა მაკლდა! ისედაც ქვეყნის დასაცინად გამომაჭენა. ეს სამარცხვინო ისტორია რამდენიმე დაახლოებულმა პირმა იცოდა, მათ შორის ელდარმა. მაგან ჩაგიკაკლათ, არა?... უმადური, უსირცხვილო არაკაცი. გველი მოვითბე გულთან, გველი! არა, არ მჯერა თქვენი ვარაუდი. \_ ნოდარმა ენერგიულად გააქნია თავი. \_ მაშინ გამოდის, ელენე უდანაშაულოა, მე კი...

\_ თქვენ კი საკუთარ ახირებას აყოლილი, ეჭვიანი, პატივმოყვარე ქმარი. \_ გააწყვეტინა გოგამ, \_ ფარატირა ქალაღდს ენდეთ, მაშინ, როდესაც თქვენი ცოლი...

\_ რა `ჩემი ცოლი?~

\_ სავარაუდოდ, თქვენი ცოლი ფსიქიკურად დაავადებულმა ადამიანმა გაიტაცა. ეს წერილები ნაწილობრივ მაინც მოჰფენდა ნათელს თქვესმეტი წლის წინ ჩადენილ დანაშაულს. თქვენს ცოლ-შვილს აღარაფერი ეშველება, მაგრამ კესოს გადარჩენის მინიმალური შანსი მაინც გვექნებოდა.

\_ არის წერილები. \_ ჟანა მოულოდნელად აღმოცენდა ჰოლში, ეტყობა, კარს უკან იყო მიყურადებული და ყველაფერს ისმენდა. გაცრეცილი კონვერტი ჟურნალის მაგიდაზე დადო და დანაშაულში წასწრებულით შეხედა პატრონს. \_ ბოდიში, ნოდარ, მე არასდროს მჯეროდა ელენეს ღალატის. მაშინ თქვენ არაფრის მოსმენა არ გსურდათ. გახსოვთ, დათხოვნილთაც კი დამემუქრეთ, თუკი ენას არ ჩავიკვებდი. თქვენი სიტყვებია, არაფერს ვამატებ. ეს წერილები ნაგვის ვედროდან ამოვიღე და ჩემთვის შევინახე, სახსოვრად. \_ დაასრულა ცრემლმორეულმა.

\_ ღმერთო ჩემო, ჟანა... \_ ნოდარმა აწითლებულ სახეზე ხელები აიფარა.

ჟანამ სავარძელი მოაჩოჩა და ნოდარს უბიძგა. გოგამ ისარგებლა პაუზით და კონვერტის შიგთავსი მაგიდაზე გადმოფერთხა. სულ ექვსი წერილი აღმოჩნდა, ექვსივე დაწერილი უხემ, გაყვითლებულ ქალაღდზე. ქალაღდის კიდები საგულდაგულოდ იყო მოჭრილი, ერთ-ერთზე მელნისფერი შტამპის მქრქალი ნაკვალევი შეინიშნებოდა, რაც მიაჩნებდა: ქალაღდი რომელიღაც სახელმწიფო უწყებიდან იყო აღებული, ბოლოები კი კვალის დასაფარად შეესწორებინათ.

გოგამ წერილს დაყნოსა. ნესტის სუნი დაჰკრავდა. სავარაუდოდ, დაწესებულება, საიდანაც ქალაღდი წამოიღეს, წლებს ითვლიდა ან სარდაფში იყო განთავსებული. ან ორივე ერთად. როგორც ჩანს, სამუშაო ინვენტარის აღწერისას უვარგისი ქალაღდები გადაყარეს. დამნაშავემ, როგორც თავშენახულმა ადამიანმა, მაკულატურის სახის სახლში წაიღო და წერილის დასაწერად გამოიყენა. პედანტურია \_ ეს ერთი; მუშაობს \_ ორი; ძუნწია \_ სამი.

გოგამ წერილი ფანჯარასთან მიიტანა, დღის შუქზე გახედა. აბრევიატურის გარჩევა ჭირდა, მაგრამ არსებობს გრაფოლოგიური ექსპერტიზა, რომელიც ყველაფერთან ერთად, აქა-იქ გათხუპნილი ლაქების წარმოშობას დაადგენს. ეჭვს იწვევდა ხელწერაც \_ თანაბარ ასოებს ოღროჩოღრო ცვლიდა, ზოგან მარჯვნივ გადახრილი, ზოგან შედარებით გამართული. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ცალკეული წინადადებები გარკვეული ინტერვალებით დაიწერა. მხოლოდ ბოლო წერილი იყო დაწერილი შედარებით ნორმალური კალიგრაფიით, ფურცელიც სუფთა იყო, ლაქებისა და ნაკანრების გარეშე. ზუსტად ის ფრაზები ეწერა, რომლებიც წელან ნოდარმა გაიხსენა. არა, არ ცრუობს ბანკირი. რამდენიც არ უნდა იხტუნაოს ანზორმა, ფაქტს ვერსად წაუვა \_ ეს კაცი უდანაშაულოა.

გოგა ფანჯარასთან დგომას განაგრძობდა. ოთახის სიღრმიდან მოგუდული ბგერები ისმოდა. ტიროდა ჟანა, ტიროდა ნოდარი... რომ არა სტატუსი, გოგაც სიამოვნებით შეუერთდებოდა.

\_ ელენეს დაწერილი სხვა არაფერი მოგეპოვებათ?

\_ მოდით, რა შორიდან ლაპარაკობთ... \_ ჩახლენილი ხმით გამოსძახა ნოდარმა. \_ არ გჯერათ, რომ ელენეს დაწერილია?

\_ იდენტურობას გრაფოლოგიური ექსპერტიზა დაადგენს. დასკვნის გასამყარებლად მინიმუმ ერთი ხელნაწერი გჭჭირდება.

\_ ჟანა, გექნება რამე გადანახული. \_ ნოდარმა იმედის გახედა ნამტირალევ ძიძას.

\_ სცენარი მაქვს, ელენეს ხელით მიწერილი შენიშვნებით. \_ ჟანა დასტურს არ დალოდებია, ასაკისტვის შეუფერებელი სიმკვირცხლით გაიქცა გადანახული რელიქვიის მოსატანად.

\_ ერთი კითხვაც... დავუშვავთ, არსებობს მანიაკი, რომელსაც გართულება ჰქონდა ელენეზე. ნინიკო რაღა შუაშია, ჩემს ჩიორას რას ერჩოდა... \_ ნოდარს ისევ უმტყუნა ხმამ. ხმაურით ამოისრუტუნა და ათრთოლებული ცხვირი სახელოთი მოიწმინდა, პატარა ბავშვივით.

\_ ამ კითხვას მაშინ გაეცემა პასუხი, როდესაც ბოროტმოქმედს დავიჭერთ. ვინაიდან გამოსასყიდი არავის შემოუთავაზებია, შეგვიძლია დავასკვნათ: გოგონა არ იყო გატაცებული ფულის გამოძალვის მიზნით. მე მგონია გამტაცებული შვილით ცდილობდა დედის დაშანტაჟებას. არ ვიცი, რა გზის მოხვდა კესო დარჩია მისი თვალთახედვის არეალში, მაგრამ თქვენს ცოლთან მის მსგავსებას ვერავინ უარყოფს. მანიაკი ნადირობს ელენესთანა ტიპაჟებზე, აქედან გამომდინარე, კესოც მისი გატაცებულია. მიჭირს თქმა, რა მიზანი ამოძრავებს, ფსიქოპათი ჩვენთვის გაუგებარი ლოგიკით მოქმედებს.

\_ ფსიქიატრის ჩართვა არ გიცდიათ?

\_ ვიყავი კონსულტაციაზე, უახლოეს მომავალშიც ვაპირებ მისვლას. ჯერჯერობით, მასალის სიმრავლით ვერ დავიკვებნი, მაგრამ მაინც ვცდი, გულხელდაკრეფილი ვერ დაველოდები მოვლენების განვითარებას. თუკი დამნაშავე ერთი და იგივე პიროვნებაა, მსხვერპლის მოკვდინებას არ ჩქარობს. უნდა მივასწოთ.

\_ მე გაგიადვილებთ საქმეს. \_ მოულოდნელად დშესთავაზა ნოდარმა.

გოგამ კითხვის სავსე თვალები მიაპყრო.

\_ წინა ღამეს, სანამ ნინიკო... უფრო სწორედ კესო, გაიპარებდა, ებოში უცნობი მამაკაცი შევნიშნე. დედიშობილა იდგა ფანჯრის ქვეშ და როგორც მომეჩვენა, ონანიზმით იყო დაკავებული. ვიდრე იარაღი ავიღე, ვიდრე ქვევით ჩავედი, გაიქცა.

\_ რას მეუბნებით? \_ გოგას ყალყზე დაუდგა თმა.

\_ შეტსაც გეტყვის, სინქარეში ფეხსაცმელები დარჩა.

\_ არ მითხრათ, გადავავადეო! \_ განწირულივით შესძახა გოგამ.

\_ არ გადამიგდია, პირიქით, კრიმინალისტების გამოძახება მინდოდა, მაგრამ კესოს გაპარვამ თავგზა ამიბნია, სულ დამავინწყდა ეს ინციდენტი. ჟანა, \_ ნოდარი სმენადქცეულ ჟანას მიუბრუნდა. \_ ეგ სცენარი მაიორს დაუტოვე და ამასწინათ რომ ნახმარი ფეხსაცმელები მოგაბარე, ისინი მომირბენინე, შენს გახარებას.

გოგამ ნივთმტკიცებებით სავსე პარკით დატოვა უგრეხელიძეების სახლი. პატაკის ჩაბარება ხვალისთვის გადადო, პირდაპირ საექსპერტო ლაბორატორიას მიაშურა.

---

პროფესორი აკაკი ნატროშვილი ფსიქო-ნევროლოგიური კლინიკის დერეფანში მიდიოდა და ცხვირში აკვიატებულ მელოდიას ღიღინებდა. მელოდია პაციენტმა გადასდო \_ სამი შვილისა და ხუთი შვილიშვილის ბებია, რომელსაც სიბერეში მეხუთე ჩაკრა გაეხსნა და თავი ოპერის მომღერლად წარმოედგინა. რეპერტუარი უცვლელი იყო \_ ნაწყვეტი ოპერიდან `პიკის ქალი~. განდიდების მანიით შეპყრობილი ბებო ოჯახის წევრებმა ფსიქიატრიულში გააქანეს. აკაკიმ ძალისხმევა არ დაიშურა ახლობლების დასარწმუნებლად, რომ ამღერებული ქალბატონის სახლში გაჩერება სახიფათო არ არის, მაგრამ რძლებმა თავი ქვას შეუშვირეს: დაგვასვენეთ, ბატონო, ოპერა კარგია, მაგრამ წელიწადი ერთხელ, ისიც მოსწერათ კაბალიეს შესრულებითო, მაშინ, როდესაც დედამთილი დღეში ცხრაჯერ უკეთებდა დემონსტრირებას აფეთქებულ

ტალანტს. ოჯახმა თანხა გადაიხადა და გარკვეული პერიოდი პაციენტი კლინიკაში დატოვა. რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს `გარკვეული პერიოდი~ აკაკიმ არ იცოდა, მაგრამ პაციენტთან ყოველდღიურმა კონტაქტმა დაარწმუნა \_ შეიძლება სამუდამოდ, ყოველ შემთხვევაში იქამდე, ვიდრე მოხუცს იოგები არ დააწყდება და ოჯახის არიებით დატერორებას არ შეწყვეტს. სხვა მხრივ, არაფერს აშავებდა, უბრალოდ მსმენელი სჭირდებოდა. აუდიტორია.

\_ ბატონო აკაკი, გაცივდა თქვენი სუპი, სად დაიკარგეთ? \_ ექთანმა პლასტიკის თავდახურული ჭიქა პროფესორის კაბინეტში შეიტანა.

\_ გაიხარე, დოდო, შენ გარდა ჩემი კუჭი არავის ადარდებს. \_ აკაკიმ სიამოვნებით მოიფშვინტა ხელები.

შესანიშნავი გამოგონებაა ეს ერთჯერადი სუპები. შინაურ ბულიონს არ შეედრება, მაგრამ შესვენებაზე კუჭის მოტყუება შეიძლება.

\_ დღეს ცოტა ადრე უნდა გამიშვას, ბატონო აკაკი, ძმისშვილი ჩამომდის საბერძნეთიდან, ხუთი წელია არ მინახავს, ვგიჟდები ისე მაინტერესებს.

\_ არა უშავს, ნადი. \_ აკაკი, თავის ჭიქიანა მოხერხებულად ჩაჯდა სავარძელში.

\_ თქვენებისგან რა ისმის?

\_ ზაფხულში მპირდებიან ჩამოსვლას. იმედია ამ ჯერზე მაინც არ მომატყუებენ. აი, შენ, დოდო, ხუთი წელი არ გინახავს ძმისშვილი და რა აჭოტაჭოტი ხარ. მე კი საერთოდ არ მინახავს საკუთარი შვილიშვილები. მხოლოდ სურათებით.

\_ რას იზამ, მთავარია თვითონ იყვნენ კარგად. \_ ექთანმა გულით ამოიოხრა და მისაღებში გაუჩინარდა.

\_ ჰო. \_ ნაგვიანვად დაეთანხმა აკაკი და ჭამას შეუდგა.

რა სიამაყით აცილებდა ერთადერთ ვაჟიშვილს სასწავლებლად, იფიქრა, ამერიკაში ჩამოყალიბდება, პროფესიას დაეუფლება, ჩამოვა და სიბერეს გამიხალისებსო. ჩამოყალიბდა, დაეუფლა, იქაური ცოლიც მოიყვანა და შვილებიც ეყოლა. ჩამოსვლით კი მხოლოდ ბიძამისის ორმოცზე ჩამოვიდა, დასაფლავებაზე ვერ მოასწრო. რა ჰქნას, ისიც ცხოვრების აწყობას ცდილობს, მამის შემხედვარე სულ აიცრუა გული ექიმობაზე, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს დაეუფლა. ცოლი ეცოდება აკაკის, თორემ თვითონ მუშაობას მაინც აყოლებს გულს. შვილი ფულს უგზავნის, ცოდვას ვერ იტყვის. იმ ფულით მომვლელი ქალი აიყვანა ინსულტიანი ცოლისთვის, რომელიც ორი წელია ლოგინს არის მიჯაჭვული. ერთადერთი, რაც ასულდგმულებს, შვილიშვილების ნახვის იმედია. ნერვიულობს, რა ენაზე დაველაპარაკო ჩემს სისხლს და ხორცსო. აკაკიმ იცოდა ინგლისური, მაგრამ ამბობენ, ამერიკელები სხვანაირი ინგლისურით მეტყველებენო. არა უშავს, შვილი იქ არ ეყოლება? უთარგმნის.

ამ ფიქრებში იყო პროფესორი ნატროშვილი, როდესაც კარზე დააკაკუნეს. კიდევ კარგი მოასწრო დანაყრება, თორემ გული დასწყდებოდა.

\_ მობრძადით. \_ გასძახა კარს და ცარიელ ჭიქა კალათაში მოისროლა.

მაიორის დანახვა არ გაკვირვებია. ამასწინათ, ძველი ნაცნობი, ივანე გულორდავა შეეხმიანა: ეჭვი მაქვს, მამალი მანიაკი გამოუშვით გარეთო. და ამას ეუბნება კაცი, რომლის ღვიძლი ძმა სიმთვრალეში ნებისმიერ მანიაკს ჩაისვამდა ჯიბეში \_ ცოლ-შვილს ანიოკებდა, იარაღით დასდევდა არარსებულ ცხოველებს, რას არ ჩადიოდა... ერთხელ მეზობელი დაჭრა, მეორე დღეს კი არაფერი ახსოვდა. აკაკიმ დიაგნოზი დაუსვა \_ მწვავე ალკოჰოლური ფსიქოზი, იგივე `თეთრი ცხელება~. რჩევა \_ არც ერთი წვეთი სასმელი. ნეტავ, ცოცხალია ბებერი კაგებეშნიკის დარეხვილი ნათესავი?...

\_ მიცანით? \_ გაულიმა მაიორმა.

აკაკიმ თავი დაუკრა. მაიორი სვიმონიშვილი კარგად აღზრდილი ახალგაზრდის შთაბეჭდილებას ტოვებდა. კეთილშობილური გამომეტყველება და მოსმენის უნარი ჰქონდა. პროფესორს მოსწონდა ასეთები.

\_ ისევ ცარიელი ხურჯინით მოხვედით თუ ხელმოსაკიდი მასალა მოიტანეთ?

\_ დამნაშავეს ფსიქოტიპი მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა, დანარჩენი თქვენი გადასაწყვეტია.

\_ დაბრძანდით, ჩემო ბატონო, გისმენთ.

გოგა შეეცადა თანმიმდევრული ყოფილიყო. გაიხსენა ყველა დეტალი \_ ელენე ბეთანელის იდუმალი გაქრობით დაწყებული, ნოდარის ეზოში უცნობი მამაკაცის გამიშვლებით დამთავრებული. მეტი დამაჯერებლობისთვის ფოტომასალას გადმოუღა.

\_ მდაა, \_ სათვალე შეისწორა პროფესორმა. \_ ეს ორი ქალი ერთი და იგივე ტიპაჟია. სხვაობა თმისა და კანის ფერშია. დაახლოებით სამი წლის წინ, შეიძლება ოთხი, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, თავდასხმა მოხდა ახალგაზრდა მსახიობ ქალზე. ის თავდამსხმელიც თმახუჭუჭა იყო, ორდინალური ნაკვთებით, არც შავგრემანი, არც ქერა, სპორტული აღნაგობის, ნორმალური მეტყველებით, კონტაქტური... ერთმნიშვნელოვნად საქმე გვაქვს თეატრალურ წრესთან დაახლოებულ პიროვნებასთან. ეს შეიძლება იყოს უნიჭო მსახიობი, ამბიციური გამნათებელი, ანდა უბრალოდ, ფანატი. ფანატი! \_ გაიმეორა დაჟინებით და თვალები დახუჭა. რაღაცის გახსენებას შეეცადა.

გოგა მოთმინებით დაელოდა მოგონებაში გადაჭრილ ექიმს, რომელიც მალევე გამოერკვა, თეთრი ნარბები შეათამაშა, მაგრამ თემის განვრცობის ნაცვლად ფურცელზე რაღაცის ჩანიშვნას შეუდგა. რის მერეც ფურცელი გადააბრუნა, სათვალე მოიხსნა და გოგას მიაპყრო აწრიალებული მხერა:

\_ სახეზეა ფსიქიკური გადახრა პიროვნების გაორების კუთხით. არ გამოვრიცხავ, ეს ადამიანი საკმაოდ წარმატებული იყოს თავის პროფესიაში, გულის სიღრმეში იცის, რომ აკვიატებული იდეები აწუხებს, ამიტომ მათ საჯაროდ გამომხეურებას ერიდება. ეს არ გახლავთ მანიაკი ან სერიული მკვლელი. მარტოხელა კაცია, მისსავე გამოგონილ კვაზი სამყაროში ცხოვრობს, იქ არის მეფეც და იმპერატორიც.

\_ აკვიატებულ იდეებში რას გულისხმობს?

\_ ვთქვათ, ლტოლვა რაღაცით გამორჩეული, ლამაზი ქალის მიმართ, დაუოკებელი სწრაფვა, რომ ქალმაც იმავე გრძნობით უპასუხოს, გააჩინოს მისგან შვილი... თუმცა, ასეთი გრძელვადიანი სურვილები იშვიათობაა. ამ ფსიქოტიპისთვის ქალი არ წარმოადგენს სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტს, რომელსაც, უკაცრავად და, დაპეპლავს და დაივიწყებს. ის ეთაყვანება თავის რჩეულს, აღმერთებს მას, აიდვალვებს.

\_ ჩვეულებრივ, ქალები ოცნებობენ ხოლმე გააჩინონ შვილი ცნობილი, პოპულარული მამაკაცისგან. \_ შენიშნა გოგამ.

\_ სხვათა შორის, არის მათში რაღაც ქალური \_ მგრძნობელობა, სიმორცხვე, თუ გნებავთ, ეშმაკობა. დედიკოს ბიჭებს რომ ეძახიან, დაახლოებით ასეთ ტიპაჟთან გვაქვს საქმე. რას გაიგებ, ალოგიკურები არიან, სრულებით დარღვეული წარმოდგენებით.

\_ იმპოტენციას გამორიცხავთ?

\_ იმპოტენციის სხვადასხვა ხარისხი უფრო მანიაკებს აღენიშნებას, სულიერად დაავადებულები იცოცხლე, ისეთი ტემპერამენტიაწები არიან, დასაშოშმინებლად

ტრანკვილიზატორების მიცემა გვჭირდება ხოლმე. თუ გნებავთ, გაგატარებთ პალატებში, საკუთარი თვალთ იხილავთ, რითი არიან დაკავებულები ე. წ. გიჟები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ონანიზმი სახეზეა, თანაც რიტუალური ხასიათის. ღამე, მთვარე, ობიექტის სიახლოვე... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ირეალურ ძალებთან აქვს გამართული შინაგანი დიალოგი.

\_ წელან მსახიობი ქალი ახსენეთ, იცით, რა ბედი ენია? \_ დაინტერესდა გოგა.

\_ ის ქალი ტაქტიკამ გადაარჩინა. ზუსტად მიხვდა, რაც სურდა მისგან და თამაშში აჰყვა. გამტაცებელი მოდუნდა, მსხვერპლმა კი დრო იხელთა, ხელიდან დაუსხლტდა. დამნაშავე ერთი და იგივე სცენარით მოქმედებს: მანქანით ყარაულობს მსხვერპლს, ადგილზე მიყვანას სთავაზობს, გზაში გამოელაპარაკება, ნიადაგს მოუსინჯავს, მოგვიანებით კი პრეტენზიებს უყენებს.

\_ მანქანა თუ ფიგურირებს, რა გახდა დამნაშავის გაშიფვრა?!

\_ მე მეკითხებით? პოლიცია და უშიშროება თქვენ ხართ და... \_ გაელიმა აკაკის. \_ გეხუმრების, მაიორო, ის შემთხვევა ღამის საათებში მოხდა, წვიმდა... დაზარალებულს მანქანის მარჯის კი არა, პოტენციური დამნაშავის გარეგნული მონაცემების აღწერა გაუჭირდა.

\_ თქვენ საიდან იცით ეს ისტორია?

\_ ამ საქმეში, ეჭვიტანილის სტატუსით ჩვენი ყოფილი პაციენტი ფიგურირებდა. სამწუხაროდ, დაზარალებულმა ვერავინ ამოიცნო.

\_ რა გვარია თქვენი ყოფილი პაციენტი?

\_ რა მნიშვნელობა აქვს, უკვე გარდაიცვალა. \_ პროფესორი მოუსვენრად აწრიალდა. ვერაფრით გაიხსენა ელენე ბეთანელის სახელთან დაკავშირებული ეპიზოდი. მაიორის დაჟინებული მხერა ხელს უშლიდა უფრო ღრმად შესულიყო მესხიერების ლაბირინთებში.

\_ თქვენს პაციენტებს შორის ყოფილან საჯარო პერსონები?

\_ რამდენიც გენებოთ, მაგრამ ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა. ერთში გამოგიტყდებით \_ არც ერთ მათგანს არ აღნიშნებოდა მკვეთრად გამოხატული ფსიქიკური აშლილობა. პათოლოგიის მსუბუქი ფორმები: ნევროზი, დეპრესია, ფსიქოპათია, პიროვნული ანომალიები, კი ბატონო.

\_ ანუ, დეპრესიული ადამიანი შეუძლებელია იყოს მანიაკი?

\_ არასწორედ სვამთ საკითხს, ახალგაზრდავ, \_ პროფესორი ნატროშვილი სკამის საზურგეზე გადანვა და აშკარად ლექციის წასაკითხად მოემზადა. \_ ფსიქიატრიაში `შეუძლებელი~ არაფერია. მაგალითად, სან-დიეგოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ მანიაკალურ-დეპრესიული სინდრომით მილიონი ამერიკელია დაავადებული. როგორი ციფრია?! მილიონი პოტენციური დამნაშავე. არის მოსაზრება, რომ ამ დაავადებაზე პასუხს აგებს კონკრეტული გენი.

\_ ბატონო აკაკი, მოდით, ჩვენც დავკონკრეტდეთ. \_ გოგამ საღერღელაშლილი პროფესორი გააჩერა. \_ თუკი ელენე ბეთანელისა და კესო დარჩიას გამტაცებელი ერთი და იგივე პიროვნებაა, როგორ დაახასიათებდით მას?

\_ სავარაუდოდ, საქმე გვაქვს შეტევითი ხასიათის შიზოფრენიასთან. პერიოდულად აქტიურდება... იმის მიხედვით, რამდენად შეესაბამება მის წარმოდგენებს ესა თუ ის ობიექტი. მთელ ამ ისტორიაში კონტექსტიდან არის ამოვარდნილი პატარა გოგონას გაქრობის ფაქტორი. დამნაშავეს მოზრდილი ქალები აინტერესებს, ე. ი. პედოფილია გამორიცხულია. ვერ ვხედავ კავშირს.

\_ დავანებოთ თავი პატარა გოგონას, ამ ეტაპზე ცოცხალი ადამიანია გადასარჩენი. კესო! სად წაიყვანა, რა მიზნით... დავიჯერო, ისეთი ამონყვეტილია, რომ არც დედა ჰყავს, არც დედმამიშვილი...

გოგამ ჰიბეში ანკრიალებულ მობილურს მიაყურადა, მაგრამ არ გაპასუხებია, თემა განაგრძო:

\_ ...იქნებ ბავშვთა სახლის კონტიგენტია, გაჭირვებასა და სისასტიკეში გაზრდილი, მოუფერებელი. რაღაცას მიაღწია ცხოვრებაში, მაგრამ ბოლმა დარჩა, განსაკუთრებით ლამაზი, წარმატებული ქალების მიმართ, ვის უკანაც ოჯახი დგას. რას იტყვით, ექიმო?

\_ რა ხართ ეს ძალოვნები... ნახვალთ-წამოხვალთ, სოციალურად დაუცველ ფენას მიადგებით, როგორც ბოროტმოქმედთა გამომშვებ კონვეირს. ეს თეორია მოძველებულია და ზედაპირული. ისეთებიც ვიცი, მეტისმეტი გაფეტიშებით რომ დაუღუპავთ შვილი.

მობილური ჯიუტად განაგრძობდა წკრიალს. გოგამ ეკრანს დახედა და ექიმს მოუბოდიშა. საექსპერტო ბიუროდან ურეკავდნენ \_ სასწრაფო შეტყობინებით.

აკაკიმ გაუაზრებლად დაუკრა თავი. მისი მეხსიერება უცაბედად წამოსროლილ სიტყვას ამუშავებდა. ჰიპერ ფეტიში. დიდი ხნის წინ ამ სიტყვათანყოფით გახსნა ერთ-ერთი პაციენტის ანკეტა. კი, ასე იყო. ჰიპერ ფეტიში.

თვალწინ დაუდგა ჩუმი მოზარდი და მისი ენაწყლიანი დედა. მოზარდს ზანგივით აფუებული თმა და პირქუში გამომეტყველება ჰქონდა. თმა არ არის არგუმენტი, აი, ასაკი კი ემთხვევა. ის ბიჭი დღეს ოცდაჩვიდმეტი-ოცდათვრამეტი წლის კაცი იქნება. ნიშანდობლივია, რომ მის ბიოგრაფიაშიც ფიგურირებდა ელენე ბეთანელის სახელი. მოზარდს არჩილი ერქვა, დედამისი არჩის ეძახდა \_ ინგლისურ ყაიდაზე. კონსულტაციაზე თავდაპირველად დედა გამოცხადდა. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ მისმა მოზარდმა ვაჟმა საკუთარ თავს ეროტიკულ პოზებში ფოტოსურათები გადაუღო და დაამწყებ მსახიობთან, ელენე ბეთანელთან აპირებდა გაგზავნას. შეშფოთებულმა მშობელმა შვილის გულახდილ საუბარში გამონწვევა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. `ის ჩემი რჩეულია~ \_ ბიჭი დაბეპირებული გაკვეთილივით იმეორებდა და იმის იქით არაფრის მოსმენა არ სურდა. ყოველივეს დაერთო შფოთიანობა, ღამღამობით ფანჯარასთან განმარტობა, გაუგებარი ტექსტის ბუტბუტი... სიტყვა `რჩეული~ არანაკლები სიხშირით ისმოდა დედის პირიდანაც, ოღონდ არა ვიღაც მსახიობის, არამედ საკუთარი შვილის მისამართით. `ჩემი არჩი განსაკუთრებული ბავშვია, მგრძნობიარე, ფაქიზი, რომანტიკული. იცით, აკაკი ექიმო, რა ემოციური სტრესი განიცადა სკოლაში შესვლისას? ღამის ხელში შემომბაკვდა! ღამის სიცხემ აუნია, ბოდავდა, ბორგავდა... მე და ჩემი და საწოლთან ვმორიგეობდით, ძლივს გამოვიყვანეთ მდგომარეობიდან. პედაგოგიც არ აღმოჩნდა გულისხმიერი ადამიანი, კლასელები \_ კიდევ უარესი...~ და ამას ამბობდა პირველი კლასის მონაფეებზე!

მაშინ აკაკიმ გვარიანად გაკიცხა ზეაქტიური მშობელი. გააფრთხილა, რომ ბავშვის ასეთი მიჯაჭვულობა ოჯახის წევრების მიმართ, ხშირ შემთხვევაში გადადის სიძულვილში; რომ მომავალში მის შვილს ადაპტაცია გაუჭირდება, არ ეყოლება მეგობრები, საყვარელი ქალი; ნუ დაუკრავთ ტაშს, ნუ ჩააგონებთ, რომ ის მსოფლიოს ჭიპია. მსგავსი ჭიპებით სავსეა მთელი კლასი; ნუ გაუმახვილებთ ყურადღებას რჩეულობაზე, ხანდახან გააკრიტიკეთ, გაუფართოვეთ მეგობრების წრე... დიდი ჭკუით ვერც დედა დაიკვებინდა, მაგრამ არც ისეთი სულელი იყო, მოახლოებული საფრთხე არ ეყნოსა. `ჰო, მაგრამ, ჩემი არჩი მართლა განსაკუთრებულია~. \_ მიამიტად სცადა შეკამათება. არ გამოუვიდა. მის უსუსურ არგუმენტს ექიმმა რკინის ლოგიკა დაახვედრა. ბოლოს შეთანხმდნენ \_ ექიმი თავად გაესაუბრებოდა ნარცისიზმში გადავარდნილ მოზარდს.

ასეც მოხდა.



აკაკის გონებაში კინოკადრით ჩაიქროლა ამ შეხვედრის ცალკეულმა ეპიზოდებმა. დიაგნოზი: მანიაკალური გადახრის სინდრომი ჰიპერმზრუნველობის ფონზე.

ამასობაში გოგა ლაპარაკს მორჩა და კმაყოფილმა შეხედა ექიმს:

\_ რას იტყვით, დამნაშავე ჩვენს სისტემაში რომ მუშაობდეს?

აკაკიმ არაფერი უპასუხა. ერთი მხრივ მისასალმებელია \_ რაღაც კვალზე მაინც გავიდნენ, მერე მხრივ \_ ყურის ძირში თუ ჰყოლიათ დამნაშავე, კარგად ყოფილა უშიშროების საქმე!

\_ ექსპერტიზის ბიუროდან დამირეკეს. \_ ამცნო გოგამ. \_ ელენე ბეთანელის მიერ ქმრის სახელზე გაგზავნილ წერილს უშიშროების სამინისტროს ბეჭედი არტყია. საექსპერტო ლაბორატორიაში უკვე გამოიკვლიეს შტამპის ფრაგმენტი, ქალაქის ფაქტურა და გამოშვების თარიღი. ქალაქადზე აღმოჩნდა სისხლისა და ცრემლის ლაქები, რაც იმას ნიშნავს, რომ წერილი მუქარის ქვეშ იყო დანერილი. ასეთი ფურცლები თექვსმეტი-ოცი წლის წინ იყო ძალოვანი უწყების მიმოქცევაში. გრაფოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით ყველა წერილი ელენე ბეთანელის მიერაა დანერილი, ერთის \_ უკანასკნელი წერილის გამოკლებით. უბრალოდ, საქმე გვაქვს მიმსგავსებულ ხელწერასთან. ისეთი ორთოგრაფიული კაზუსებია გაპარული, გამორიცხულია, წიგნიერ ელენეს ამ ტიპის შეცდომა დაეშვა.

\_ სწორ გზაზე დგახართ, მაიორო, მომილოცავს.

\_ პირველი რუბიკონი გადალახულია, ერთადერთი იმედი ძაღლზე რჩება.

\_ რომელ ძაღლზე? \_ ყური მოიხრდილა აკაკიმ.

\_ რომელსაც ბანკირის სახლიდან ამოღებულ ფეხსაცმელზე დავეგეშავთ. წინ რთული სამუშაო გველის, ამ ხნის მანძილზე დამნაშავეს შეიძლება სამსახური გამოეცვალა, თუმცა, გაუონილი ინფორმაცია ცხადყოფს \_ სადღაც ახლომახლო ტრიალებს.

\_ რას იტყვით, უახლოეს ერთ საათში ეჭვმიტანილის სახელი და გვარი რომ გითხრას? \_ პროფესორმა თვალები მოჭუტა, სამაგიეროდ მაიორმა დაჭყიტა, თანაც ისე, ლამის ორბიტიდან ამოუცვივდა.

\_ სახელი ახლავე შემოძლია მოგახსენოთ. არჩილი ჰქვია, დედამისი არჩის ეძახდა. \_ განაგრძო პროფესორმა, \_ გვარი არ მახსოვს. კოორდინატები დამიტოვეთ და წადით თქვენს საქმეზე. როგორც კი ჩამოვყალიბდები, დაუყოვნებლივ დაგირეკავთ. უახლოეს დღეებში კი სრულყოფილ ინფორმაციას მოგანვდით.

გოგა ყოყმანით მიაჩერდა. არ ეთმობოდა წასვლა, როცა ასე ახლოს იყო მიზანთან.

\_ ვიცი, რომ გენქარებათ. \_ მიხვდა აკაკი. \_ პირობას გაძლევთ, ფეხს არ მოვიცვლი, ვიდრე არ ვიპოვი. თუ საჭიროა, ღამესაც გავათენებ. გაითვალისწინეთ, ეჭვმიტანილთან ჩემი შეხვედრა ოცი, შეიძლება ოცდახუთი წლის წინ შედგა. უნდა აღვიდგინო ყველაფერი.

\_ მესმის, მესმის... \_ გოგამ სავიზიტო ბარათი მაგიდაზე დაუდო და უხალისოდ დაემშვიდობა, თითქოს გული უგრძნობდა, რომ ველარასოდეს ნახავდა. ცოცხალს...

`არჩი, არჩი, არჩი~... \_ აკაკი მძიმედ წამოიშრია.

ყოფილი პაციენტის სახელმა აკვიატებული მელოდია ჩაანაცვლა. `არჩი, არჩი, არჩი...~ ბეაქტიური მშობელი თითქოს ტვინში ჩაუსახლდა. და იქიდან ბურღავდა კოდალას მონდომებით. როგორმე უნდა გაიხსენოს გვარი. განსაკუთრებული ავადმყოფების ანკეტებს პროფესორი კარადაში, სპეციალურ თაროზე ინახავდა. პაციენტი გრიფით `ჰიპერ ფეტიში~ \_ წესით დიდი ხანია არქივში უნდა იყოს გადამისამართებული, მაგრამ არ არის გამორიცხული, სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობისას კაბინეტში ამოეტანა.

აკაკი კარადასთან შედგა. აზრი გაურბოდა, არ იცოდა, საიდან დაეწყო ძებნა. მისი პაციენტები ხშირად უჩიოდნენ მოზღვავებულ ინფორმაციას, ზოგი პირიქით, ინფორმაციის დახშობას. საწყალ პროფესორს ორივე ერთად შემოუტია.

კარის ჭრიალზე აკაკი მიტრიალა. მაიორს თუ დარჩა საქალაქო. მაგიდას დახედა, მერე \_ შემოსასვლელ კარს. კარი დაკეტილი იყო. კაბინეტში კი უცნობი მამაკაცი იდგა. ტანმა უგრძნო, ის არის. არჩილ ხრიკული. ბედი არ გინდა, რაღა ახლა გაახსენდა გვარი?! და არა მხოლოდ გვარი. გაღვიძებულ გონებაში ფეიერვერკივით იფეთქა მესხიერებაში დალექილმა ეპიზოდებმა...

აი, ის და არჩი საუბრობენ. აკაკი ცდილობს აუხსნას, რომ ახალგაზრდა მსახიობი ელენე ბეთანელი მისი, არჩილის წარმოდგენაში დახატული კრებითი სახეაა, რომ ასეთი ქალი ბუნებაში არ არსებობს, რომ ელენე ჩვეულებრივი ადამიანია თავისი ნაკლით და ღირსებით \_ ამთქნარებს, იზმორება, ჭამს, სვამს, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები გააჩნია... არჩი უსმენს, შიგადაშიგ თავს აკანტურებს, თითქოს ეთანხმება, მაგრამ როგორც კი ხმის ამოდების საშუალება მიეცემა, ლაპარაკს იწყებს `რჩეულის~ არამინიერ წარმოშობაზე. უთავბოლოდ მეტყველებს, ასინქრონული არტიკულაციის თანხლებით. დიზრიტმია... ჰო, დიზრიტმიაც ჩანერა ანკეტაში...

რაღა აზრი აქვს გახსენებას... მაიორი სვიმონიშვილი ალბათ მანქანაში ჯდება, ექთანი დოდო აეროპორტისკენ მიმავალ გზაზეა.

იყვირე რამდენიც გინდა, ვერავის გააგონებ. ის მარტოდმარტოა მკვლელის წინაშე. ფატუმ.

უსიტყვო დუელი დიდხანს არ გაგრძელებულა. მსუბუქი ნახტომი, მკვეთრი მოძრაობა, ყელზე შემოსალტული მარყუჟი. `ერთ რამეში მაინც დამიჯერა, სპორტზე იარა...~ ასეთი იყო მკვლელის ღონიერ ლაჯებში აფართხალებული დამსახურებული ფსიქიატრის სიკვდილისწინა ფიქრი, რომელსაც გაგრძელება აღარ ეწერა.

---

აჩრდილების ნავსაყუდელი \_ ასეთი სახელი მოუძებნა კესომ ადგილს, სადაც რამდენიმე დღის წინ დაამწყვდიეს. ზუსტი რიცხვი არ იცოდა. დროის ათვლა დაკარგა. სიბნელეში რთულია ორიენტაცია, როგორც დროის, ისე გადაადგილების თვალსაზრისით. მის უფრო, როცა გადაადგილების არეალი შეზღუდული გაქვს. იდუმალი მგზავრი (ასე გაეცნო მოძალადე) დილა-საღამოს სტუმრობდა. აცილებდა საპირფარეშოში, პირის დაბანის საშუალებას აძლევდა, აჭმევდა და ისევ ხელბორკილს ადებდა. სინათლის მცირეოდენი ათინათი, კარის გაღებისთანავე რომ იემოიზრებოდა ხოლმე ბნელ მარანში, კესოს იმედით ავსებდა. იმ კარის მიღმა მზე ანათებს, ჩიტი გალობს, ძაღლი ყეფს... რა ბედნიერებაა! აქაურობას თუ თავს დააღწევს, ყოველ დილით გადაინერს პირჯვარს და ღმერთს მადლობას შესწირავს \_ მზისთვის, ცისთვის, თავისუფლებისთვის...

დროგამოშვებით მარანს აჩრდილები სტუმრობდნენ \_ ქალის და ბავშვის. არაფერს უშავებდნენ, უბრალოდ ერთმანეთში ჩურჩულებდნენ. პირველად ისე შეეშინდა, გულიც კი წაუვიდა. როცა გონს მოვიდა, კუთხეში ჰაერში აჭრილი ბოლივით მოფარფატე სილუეტები შენიშნა \_ უკონტურო, გადღაბნილი სუბსტანცია.

ამ ადგილზე მკვლელობა მოხდა, მიხვდა კესო, ბოლისმაგვარი სუბსტანცია კი სხვა არაფერია, თუ არა ელენე ბეთანელისა და ნინო უგრეხელიძის ფანტომები. სადღაც წაუკითხავს, რომ ძალადობით მოკლული ადამიანის სული ზეცაში ასვლას ვერ

ახერხებს, რაღაც აკავებს დედამინაზე \_ შეუსრულებელი მისია თუ მოულოდნელი სიკვდილით გამოწვეული ელდა? ბაბუ ყვებოდა, რომ მეტეხის ციხესთან, ღამლამობით, ჩეკას სარდაფებში დახოცილ პატიმართა გოდება ისმის. თუ ასეა, ელდა ფიზიკური მოვლენა ყოფილა \_ თავისი მასით, აჩქარებით, ატომით, ვალენტობით... ის რეაქციაში შედის დედამინის ჰაერთან და ფანტომებს წარმოქმნის. მალე მათ კესოც შეუერთდება. მერე ერთად დაელოდებიან მომავალ მსხვერპლს... ოდესმე ალბათ შიზოიდი მოძალადეც ჩაძალდება, სახლს სხვა ადამიანები დაეპატრონებიან, საიქიო-სააქაოს ზღვარზე გაჩხერილი აჩრდილები კი სამუდამოდ აქ დარჩებიან.

`მინც ვერ მიცანი?~ ეკითხებოდა იდუმალი მგზავრი. `დრო მომეცი~ \_ პასუხობდა კესო. როდემდე გაჭიმავდა ამ დროს, თვითონაც არ იცოდა. ერთში ღრმად იყო დარწმუნებული \_ ე. წ. მგზავრს ერთ მშვენიერ დღეს მოთმინების ფიალა აევსება და ელემენტალურად გააუპატიურებს. ღირს თუ არა ასეთ შემთხვევაში ფეხმძიმობის გამხელა? მესიანისტური იდეებით მოწამლული კაცისთვის ასეთი სიახლე კატასტროფის ტოლფასი იქნება. შეიძლება ისე გაბრაზდეს, საკუთარი ხელით გამოსჩიჩქნოს არასასურველი ნაყოფი.

კესომ შეშინებულმა გადაიჯვარედინა მუცელზე ხელები. რას არ მისცემდა ისევ სვიმონიშვილების გულისხმიერ ოჯახში რომ აღმოჩენილიყო?! ამ გადასახედიდან სულ სხვაგვარად აღიქვამდა გოგას პროფესიას. უშიშროების მაიორი ალბათ სულ სხვა საქმეზე იყო ჩასაფრებული ნოდარ უგრეხელიძის სახლთან, კესოს რომ არ ელოდა, ცხადზე ცხადია. რატომ უნდა ჩაებარებინა ანგარიში უცნობი ქალისთვის? კესომ კი იუკადრისა \_ აქაოდა, ტყუილი მაკადრესო და ყველაზე უსაფრთხო თავშესაფრიდან გამოიქცა. ეწყინა. სხვისგან არ ეწყინებოდა, გოგასგან კი ეწყინა, თითქოს კანონიერმა ქმარმა მოატყუა. თითქოს კი არა, იმ დღეებში არ ტოვებდა შეგრძნება, რომ მისი ადგილი სწორედ გოგასნაირი მამაკაცის გვერდითაა. შეგრძნება ამბიციური იყო, მით უფრო, კესოს მდგომარეობაში მყოფი ქალისთვის, მაგრამ შეგრძნება ალოგიკური რამაა. გეჩვენება და მორჩა.

ჯაჭვის ჟღარუნით მიუახლოვდა ნავთის ლამფას. ფითილს აუნია. მარანს მოყვითალო შუქი დაეფინა და კესოს აწონოლი ჩრდილი გამოკვეთა. ორი ნაბიჯი იქით, ორი \_ აქეთ. რატომღაც მალე დაიღალა. ორგანიზმი მიეჩვია ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ყოფნას, ასე თუ გააგრძელა, ფეხები დაუსივდება. დასივებული ფეხებით არათუ გაქცევას, წინააღმდეგობის განევასაც ვერ შეძლებს.

რამდენიმე ზანტი ბუქნი გააკეთა.

`აჯექ, მაჯექ, ფეხო ჩაჯექ~. გაახსენდა ლექსი ბებოს რეპერტუარიდან. თავისთვის გაიმეორა და რაც შეიძლება ენერგიულად აბუქნავდა. ხელზე გამობმული ჯაბვი აჰყვა, სისხლის მიმოქცევა აღუდგა, კოჭებში ჩაბუდებული ჭიანჭველები გაიფანტნენ. `ინილო, ბინილო, შროშანო, გვრიტინო, ალხო, მალხო, ჩიტმა გნახოს, შენი ფეხი, ფეხმანდუკი, აჯექ-მაჯექ, ფეხო ჩაჯექ.~

ერთიიც... ნავიდააა. `ინილო, ბინილო...~

ფეხს უდიდესი დატვირთვა აქვს ადამიანის ცხოვრებაში, დაასკვნა კესომ. `ფეხი აიდგა~, `ფეხზე მყარად დგას~, `ფეხებმა თავისით მიიყვანა...~ ანუ, რაც გონებას ჯერ არ გაუთვითცნობიერებია, ფეხებმა უკვე გადანყვიტეს. არსებობს ასეთი გამოთქმაც \_ `ამ ჩემს ფეხებს~.

\_ ამ ჩემს ფეხებს. \_ დაიყვირა კესომ.

რატომღაც გულზე მოეშვა. რაც მეტჯერ გაიმეორებს, მით მეტჯერ მიიღებს ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას. პესიმიზმში ჩავარდნა დანებებას ნიშნავს, დანებება \_ დალუპვას. სჯობს გაბრაზდე, იყვირო, ფეხებზე დაიკიდო...

\_ ამ ჩემ ფეხებს, ამ ჩემ ფეხებს, ამ ჩემ ფეხებს...

`მგელი ჩვენ რას დაგვააკლებს, დაგვააკლებს, დაგვააკლებს, მგელი ხელსაც ვერ გვაახლებს, ვერ გვაახლებს, ვერ გვაახლებს...~ სადღაც შორს, თითქოს პარალელურ სამყაროში ბავშვი ამღერდა.

კესომ ბუქნაობა შეწყვიტა. იგრძნო, როგორ ენძრევა თმის ძირები. არ უნდა შეეშინდეს. ეს ან სმენითი ჰალუსინაციაა, ან აქაური აჩრდილები ამხნევენ.

`ღმერთო, ოღონდ ნუ შევიშლები~ \_ ვედრების აიხედა ბევით.

`მგელი ჩვენ რას დაგვააკლებს, დაგვააკლებს, დაგვააკლებს...~ ახლა უკვე ორი მღეროდა. ბავშვის ხმას ქალის ხმაც შეუერთდა.

\_ მგელი ხელსაც ვერ გვაახლებს, ვერ გვაახლებს, ვერ გვაახლებს... \_ კესო ჯერ გაუბედავად აპყვა, შიშნარევი ჩურჩულით, მერე და მერე ეშხში შევიდა, საკუთარი ღერძის გარშემო დატრიალდა და თავდავიწყებით ამღერდა.

ირგვლივ ყველაფერი ტრიალებდა, ჟღარუნებდა, ციმციმებდა... სივრცე გაიხსნა, სული გათავისუფლდა. ისინი ერთნი იყვნენ \_ მკვდრებიც და ცოცხლებიც, განუყრელები, როგორც დღე და ღამე.

გამოღებული კარი მაშინლა შენიშნა, როცა დღის სინათლემ თვალი მოსჭრა და წამით დააბრმავა. როცა მხედველობა აღუდგა, კარის ღიობში ასვეტილი დედიშობილა მგზავრი დაინახა.

---

ბედიზედ მოწეულმა სიგარეტმა შიმშილის შეგრძნება გაუმძაფრა. ფილტვები, პირი, ბრონქები... \_ ყველაფერი სმოგიანი გამონაბოლქვით ჰქონდა გაჟღენთილი. მანქანა სახლთან მიაყენა.

\_ დე, მშია, ჩქარა, ჩქარა, გავრბივარ! \_ გოგამ ხმაურით შეაბიჯა დედისეულ სახლში.

\_ დე~ არ არის სახლში, მე მოგემსახურები. \_ სამზარეულოდან გამოსძახა მარინამ.

ვიდრე გოგა ხელს იბანდა, დამ გაშლილი სუფრა დაახვედრა \_ ფლავი, ჭყინტი ყველი, კიტრი, პომიდორი...

\_ ცოტას თუ მოიცდი, ცხელ-ცხელ ხაჭაპურსაც მოგართმევ. \_ უთხრა ცომის მოზელვით დაკავებულმა მარინამ.

\_ მეჩქარება. აი, ფლავს შევბამ. რისი ხორცია? \_ გოგამ სიამოვნების დაყნოსა არომატული ფლავი.

\_ საქონლის. უქონო ნაჭრებია, შეგიძლია ბედმეტი კირკიტის გარეშე შეჭამო.

\_ უჰ, გემრიელია!

\_ გახსოვს, ბავშვობაში ბრინჯს რომ ვერ იტანდი?

გოგამ სავსე პირით დაუდასტურა.

\_ დედას რომ ბრინჯიან სუპში ჩაუფურთხე, გახსოვს?

გოგამ ისევ დაუდასტურა. რა დაავიწყებს? ცამეტი წლის იყო მაშინ. დედა თმაში წვდა, გოგამ სუპიანი თეფში გადააყირავა. დიდი დავიდარაბა ატყდა. შეტაკება ყაიმით დასრულდა. დედა მიხვდა \_ მოზარდ ყმანვილთან დაძალების პოლიტიკა უნდა

გამოირიცხოს, გოგა მიხვდა \_ პროტესტის მშვიდი ფორმა გაცილების მომგებიანია, გადაფურთხება კი აქლემსაც შეუძლია.

\_ არ გეზარება ყოველდღე ახალ-ახალი კერძების კეთება?

\_ თუ არ გავაკეთე, მე შემჭამენ ჩემი შვილები. \_ გაეცინა მარინას. \_ ჯერ შვილები, მერე ქმარი. არც დედაჩემი აკლებს, ის და თემო მორიგეობით ყარაულობენ მაცივარს, ღამღამობით ეხსნებათ მადა. რომ ჰკითხო, შემწვარ კარტოფილზეც კარგად გადავალთო?! ბანჯგვლიანი დათვი რომ შეუშვა სახლში, იმასაც ცოცხლად გამოშიგნავენ. ერთი შენ გვყავხარ უჭმელი, ბეაღმატებულმა თამუნამ სანამ კუჭი არ დაგიპატარავა, ვერ მოისვენა. არა უშავს, მეორე ცოლი მოგასუქებს.

გოგა თეფშს ჩაულრმავდა. მიხვდა, საით მიჰყავს მარინას \_ კესოზე უნდა ჩამოუგდოს ლაპარაკი. არ გამოუვა.

\_ ჰო, რა იპოვე ამისთანა მაგ თეფშში! \_ ვერ მოითმინა ცნობისმოყვარე დაიკომ. \_ ამიხსენი, სად გაქრა ის გოგო?

\_ წავიდა.

\_ დაგადო?

\_ ჰო, დამადო. კმაყოფილი ხარ?

\_ შენი შემხედვარე როგორ ვიქნები კმაყოფილი, ძმარი ჩამოგდის ცხვირიდან.

\_ თავი დამანებე, ნუ მელაპარაკები ამ თემაზე.

მარინამ ისეთი გამეტებით მოჭყლიტა ცომი, აშკარად ეწყინა.

\_ ჩვენები სად არიან? \_ გოგა დის შემორიგებას შეეცადა.

\_ მამა სოფელშია \_ ვენახის შესანამლად, დედა საყიდლებზე, ბავშვები თემომ დედამისთან წაიყვანა. კიდევ რა გაინტერესებს? \_ მარინამ მოზელილი ცომის გუნდა ფიცარანგზე გააგორა და ძმას შეხედა. დანშენდილ თვალებზე ეტყობოდა, წყენამ გადაუარა.

\_ სკოლაში როგორ არის საქმეები?

\_ მაღალ კლასებში საგამოცდო ციებ-ცხელებაა, ერთ წელიწადში უნდათ ათი წლის მასალის ამოქაჩვა. თათქარიძე და ზვიადაური ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისგან და უმაღლესში აბარებენ. შეიძლება გაგიჟდეს კაცი!

\_ ფილმი უნდა აჩვენო და დაიმახსოვრებენ.

\_ მხატვრული ფილმი? \_ მარინა ჩაფიქრდა. \_ მშვენიერი იდეაა.

\_ `ვედრების~ დისკს მე გათხოვებ, `კაცია ადამიანი~ \_ შენ თვითონ.

\_ ასეც გავაკეთებ. რატომ ადრე ვერ მოვიფიქრე? \_ მარინამ ხატაპურს პირი შეუკრა და გაცხელებულ ტაფაზე დააკრა, გოგამ კი მობილურს დაწვდა.

ეკრანზე უცნობი ნომერი ეწერა.

\_ გიორგი სვიმონიშვილთან მინდა დალაპარაკება. \_ უცნობი მამაკაცის ხმა ბრძანებასავით ჟღერდა.

\_ მე გახლავარ.

\_ თქვენ დატოვეს აკაკი ნატროშვილის კაბინეტში სავიზიტო ბარათი?

\_ დიახ. რაშია საქმე?

- \_ ბატონი აკაკი მოკლულია.
- \_ როგორ, ორი საათის წინ ველაპარაკე! \_ გოგას ხელისგულები გაუცივდა.
- \_ აქ მითითებულია, რომ უშიშროების დეპარტამენტიდან ბრძანდებით.
- \_ ასეა, კი.
- \_ მაშინ მობრძანდით. დაკითხვაზე. \_ დაამატა ცუდად დაფარული სარკაზმით.

---

\_ კრიმინალური პოლიციის გააქტიურება გვაკლდა ყველა სიკეთესთან ერთად! ახლა დაიწყება, რა გინდოდათ, რატომ... \_ ანზორი ბოლთას სცემდა მაგიდის გარშემო, დროგამოშვებით `ნაბელავს~ სვამდა პირდაპირ ბოთლიდან და ისევ ყვირილს იწყებდა. \_ ინფორმაციამ პრესაში რომ გაჟონოს, აქედან გაგვხვეტავენ...

`დიდი, გრძელტარიანი ცოცხით~, გაიფიქრა გოგამ.

\_ ... დიდი გრძელტარიანი ცოცხის. \_ დაადასტურა ანზორმა. \_ ღირსებიც ვიქნებით. განსაკუთრებულ საქმეთა ქვედანაყოფი ვარ თუ...

`ლილოს ბაზრობა~, გაიფიქრა გოგამ.

\_ ... თუ ლილოს ბაზრობა?! \_ ისევ დაადასტურა ანზორმა და ივანე გულორდავას მიუბრუნდა. \_ თქვენი ბრალია, ბატონო ივანე, როგორ არ გითხრათ კაცმა! გოგა ფსიქიატრთან თქვენ დააკვალიანეთ.

\_ სწორედაც მოვქცეულვარ! \_ წარბმუხრელად მიუგო მცხოვანმა ჩეკისტმა. \_ ვერაფერს განსაკუთრებულს გოგას დაკითხვაში ვერ ვხედავ. ის ერთადერთია, ვინც უკანასკნელად ნახა ცოცხალი პროფესორი. აბა, არ უნდა დაეკითხათ? ჩემი ვარაუდი გამართლდა, აკაკიმ გამოთვალა დამნაშავე. მაგაშია საქმე!

\_ მე მაინტერესებს დამნაშავე, რომელსაც დანაშაულებრივი კავშირი ექნება ბანკირთან და არა ბოგადად დამნაშავე. რისთვის შევიკრიბეთ, ბანკირზე კომპრომატის მოსაპოვებლად თუ მანიაკების გამოსავლენად?

\_ ერთი მეორეს არ გამორიცხავს. \_ გოგამ მომუჭული ხელები მაგიდაზე დააწყო. ნაკვთები გაუხდა მკაცრი და შეუვალი, როგორც ბრინჯაოში ჩამოსხმულ სკულპტურას. \_ დერეფანში კინოლოგი მელოდება საგანგებოდ დაგეშილი ძაღლით. სეიფში ბანკირის სახლიდან ამოღებულ ფეხსაცმელს ვინახავ. თუ ძაღლმა კვალი აიღო, უმოკლეს დროში გავალთ დამნაშავეზე. ვერ ვხედავ აუცილებლობას კრიმინალისტებს ვაქეჩინოთ ჩვენი უწყების ჭუჭყიანი თეთრეული.

ვეფხია ჩოხელმა თანხმობის ნიშნად თავი ააკანტურა და ანზორის რეაქციას დაელოდა. შეფი მრავალმნიშვნელოვნად დუმდა. სამაგიეროდ, ივანემ წამოიწყო საკუთარ თავთან ლაპარაკი:

\_ არჩილი... არჩილი... მაქსიმუმ ერთი საათი დამჭიდება ჩვენს სტრუქტურაში მომუშავე არჩილების გამოსავლენად, მაგრამ თუკი თექვსმეტ წელზე ვიანგარიშებ...

\_ რომელ თექვსმეტ წელზე, ბატონო ივანე? \_ გაანწყვეტინა გოგამ. \_ გასაიდუმლოებული ინფორმაცია ჩვენი შეკრების დღიდან ჟონავს. პროფესორთან ჩემი ვიზიტის შესახებ ჩვენ ოთხის გარდა არავინ იცოდა. ამ ლოგიკით ყველანი ეჭვმიტანილები გამოვდივართ.

\_ აი, მაგაში გეთანხმები. \_ ნიშნისმოგებით წამოიძახა ანზორმა.

\_ რაში არ მეთანხმებით? \_ გოგამ თვალი გაუსწორა.

\_ ბანკირზე კომპრა შენთვის მეორეხარისხოვანია.

\_ ბანკირს მე ავიღებ ჩემს თავზე, ოღონდ ახლა ხელს ნუ შემიშლით. მოსულა?

\_ მოსულა. \_ ანზორმა ამობრუნებული ხელისგული გაუნოდა, გოგამ უგულოდ დაჰკრა და წამოდგა:

\_ მაშინ ნულარ მაყოვნებთ.

\_ ერთი ნუთით შეგაყოვნებ, საქმე რომ გაგიადვილო. \_ ანზორმა გამაფრთხილებლად ასწია საჩვენებელი თითი და მაგიდის უკრა გამოსწია, თან საზეიმო გამომეტყველებას არ აშორებდა მაიორს.

დაახლოებით იგივე ფრაზა უთხრა წამოსვლისას ნოდარ უგრეხელიძემ, მერე კი ჟანას ეჭვიტანილის ფეხსაცმელები გამოატანინა. საინტერესოა, რა სიურპრიზს უმზადებს შეფი?

\_ ეს ფოტორობოტია. \_ განმარტა ანზორმა და მაგიდის გარშემო მსხდომთ გადახედა. \_ ამასწინათ, გოგა ჯღაბნიდა ქალაქში დამნაშავეს მიახლოებით პორტრეტს. თუ გახსოვთ, შენიშვნაც მივეცი. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე დავიჭირე მსგავსება ერთ-ერთ ჩვენს თანამშრომელთან, რომელსაც ხვეულზე უფრო, ზანგოიდური ფაქტურის თმის აქვს. გოგას ნახატითა და მონშეთა ზეპირსიტყვიერი აღწერით მივადექი კრიმინისტიკის ლაბორატორიას. და ნახეს რა გამოვიდა... თქვენ თუ ეს კაცი ვერ იცანის, მომეჭრა თავი და ეგ არის! \_ ამ სიტყვებით ანზორმა ფურცელი მაგიდაზე გაასრიალა.

\_ ანჟელა! \_ შეჰყვირა სამივემ.

\_ გადავრჩი! \_ შვებით ამოისუნთქა ანზორმა. \_ დიახ, ანჟელა, იგივე არჩილ ხრიკული. ახლა ყველამ თავის გულში ჩაიხედოს და გაიხსენოს, ვის წამოსცდა არქივარიუსთან ჩვენი გეგმების შესახებ?

ივანემ შუბლში ხელი იტკიცა, გოგა მონყვეტილივით დაეხეთქა სკამზე. `რაში გაინტერესებს თექვსმეტი წლის წინანდელი საქმეების ამოქექვა, როცა ახალი ვერ გაგიხსნიათ?~ \_ ჰკითხა ანჟელამ, როცა გოგამ ელენე ბეთანელის დოსიე ითხოვა. მაშინ ანჟელას მხრიდან ზუსტი თარიღის დასახელება ფენომენალურ მეხსიერებას მიაწერა. მართლა ვინდოუსი ხომ არ ედო თავში იმ დაწყვეტილ არქივარიუსს, წამში გახსენებოდა უგრეხელიძეების ოჯახთან დაკავშირებული ნიუანსები? თურმე მთავარი დამნაშავე ყოფილა.

გოგა წამოხტა და გრძელი ნაბიჯებით კარისკენ გაემართა.

\_ ძალიანაც ნუ ჩქარობ, მაიორო, ხრიკული შვებულებაში ბრძანდება. \_ მიაძახა ანზორმა.

---

ნოდარ უგრეხელიძის ზარმა გოგას არჩილ ხრიკულის ბინის ჩხრეკისას მიუსწრო, როცა გაზეთზე გაშლილ საყოფაცხოვრებო ნაგავს ჩაჰკირკიტებდა.

\_ რატომ არ მირეკავთ? \_ საყვედურით დაიწყო ბანკირმა.

\_ ბატონო ნოდარ, არ მცალია.

\_ ე. ი. არაფერი გაქვთ სათქმელი.

\_ თქვენთვის საინტერესო, ჯერჯერობით არაფერი.

\_ დალაპარაკება მინდა.

\_ როცა მოვიცლი, გადმოვირეკავთ.

\_ ასე არ მანყობს. სასწრაფოდ მჭირდება თქვენი ნახვა.

\_ ახალი ნივთმტკიცება ხომ არ...

\_ არა, არა, \_ გაანყვეტინა ნოდარმა. \_ უბრალოდ... მოკლედ, ტელეფონში სალაპარაკო არ არის.

გოგამ ჯოხით გაურკვეველი წარმოშობის დამწვარი გორგალი დაითრია და საათს დახედა. თორმეტს აკლდა ოცდახუთი წუთი. ჩხრეკაში შემოაღამდა კიდეც, კრიმინალისტებიც დაილაღნენ, გვიან ღამით ვერც ანუელას მეზობლებს დაკითხავს, ვერც ნათესავებს დაეკონტაქტება.

ფუნიკულიორის თავზე მყუდროდ ეკიდა სავსე მთვარე. იმის გაფიქრებაზე, თუ რა ასოციაციებს იწვევს ზოდიაქალურ მკვლელზე შარავანდედში გახვეული ვერცხლისფერი დისკო, გოგას უმწეო ბრაზი შემოაწვა.

\_ თორმეტისთვის რომ შემოგიართო, ძალიან გვიან იქნება? \_ დაეკითხა გაყუჩებულ ბანკირს.

\_ არა, არა! \_ სულმოუთქმელად შესძახა იმან. \_ ნებისმიერ დროს გელოდებით.

გოგა გორგალს მიუბრუნდა, რამდენჯერმე დაჰკრა ჯოხი, დაანანევრა. გაზეთზე ფერფლი მიმოიპნა. ერთ-ერთი ფრაგმენტი ნათურასთან მიიტანა. დიდხანს და მონდომებით აკვირდებოდა ნახევრად დამწვარ, ძაფისმაგვარ წარმონაქმნებს.

გფჰპარიკი! აენტო გონებაში. დამნაშავემ საფრთხე იყოსა და სასწრაფოდ შეუდგა ნივთმტკიცების განადგურებას. სიჩქარეში ნაგვის გადაყრა დაავინწყდა, ანდა არ ჩათვალა საჭიროდ, ეტყობა კარგად ვერ გააცნობიერა მდეურის სიახლოვე. რა გასაკვირია, თექვსმეტი წელი აცუსურაკებდა სამართალდამცავებს, რაღა ახლა დააღალატებდა ფორტუნა.

\_ ეს დაგვჭირდება. \_ გოგამ შორიახლოს მდგარ ექსპერტ კრიმინალისტს გორგალზე ანიშნა.

ნივთმტკიცება კარგია, მაგრამ ამ ეტაპზე მთავარი დამნაშავის ადგილსამყოფელის დადგენაა. სად ჰყავს ფსიქიკაშერყეულ ხრიკულს გადამალული ორსული კესო? საპატრულო სამსახურს უკვე გადაეცა მანქანის მარკა და ნომერი, ადრე თუ გვიან იპოვიან, უბრალოდ დაგვიანებული არ იყოს...

ხელმოსაკიდის ძებნაში გოგამ კიდეც ერთხელ შემოიარა ოთახები. ბედმინევნით მკაცრი ინტერიერი, სტერილური სისუფთავე. მოსაწყენ ერთფეროვნებას მხოლოდ ორი ქალის შავ-თეთრი ფოტოსურასი არღვევდა. ფოტოსურათის ქალები ერთმანეთს ჩამოჰგავდნენ. მოპრანზული და თავმომწონედ მომღიმარი ხრიკულის დედა უნდა ყოფილიყო, სადად დავარცხნილი და დაძაბულსახიანი \_ ხრიკულის დეიდა.

კარადაში ნახმარი სათამაშოების კოლექციას ნაანყდა \_ პლასტმასის პატარა ჯარისკაცები \_ ყველაზე კომფორტული კომპანია მარტოხელა ბიზუნასთვის. ჯარისკაცს შეგიძლია უბრძანო, გარობგო, შეაქო, დააჯილდოვო... ცოცხალი, რეალური ბავშვებისგან განსხვავებით, ისინი ემორჩილებოდნენ, ერთგულად უყურებენ თვალებში. მათ გარემოცვაში პატარა არჩილი თავს იმპერატორად აღიქვამდა.

არასტანდარტული აზროვნება~ გაახსენდა პროფესორ ნატროშვილის სიტყვები. ვინ განსაზღვრა ეს სტანდარტი, ან სად გადის ზღვარი სტანდარტსა და არასტანდარტს შორის? განვითარებულ ქვეყნებში პოლიციას აღრიცხული ჰყავს ფსიქო-პათოლოგიის მქონე მოზარდები, რაც პერსპექტივაში გამორიცხავს მათ მუშაობას ძალოვან



სტრუქტურებში. შიზოფრენია ვირუსული ინფექცია არაა, მოიხადო და აღარ შეგეყაროს. მისი განმეორების ალბათობა არსებობს.

\_ დავახვიეთ, ბიჭებო. \_ გოგამ კრიმინალისტებს გასძახა და კიბის ბაქანზე გამოვიდა.

სართულით დაბლა ძაღლის ყეფა შემოესმათ. იმავე წუთს კიბის მარშიდან ჩოლკიანი ქალი და კრემისფერი ლაბრადორი გამოჩნდა.

\_ გრაფ, ფუ! \_ დაუყვავა ქალმა.

\_ თქვენ შეგიძლიათ ნახვიდეთ. \_ გოგამ კოლეგებს გადაუჩურჩულა, თვითონ კი ბაქანზე შეყოვნდა.

ქალმა გაკვირვებული მხერა გააყოლა კიბეზე ჩამავალ უცნობებს, რამდენიმე საფეხურით დაწინაურდა და ცოტა არ იყოს შეშინებული მიაცქერდა ბაქანზე მდგარ მამაკაცს.

\_ ნუ ღელავთ, ქალბატონო, ნაციონალური უშიშროება თქვენს სამსახურშია. \_ გოგამ სივი ამოიღო და შორიდან დაანახა.

\_ ხუმრობთ?

\_ როგორ გეკადრებათ.

\_ აბა, რა შუაშია უშიშროება?

\_ აგიხსნით. სად ცხოვრობთ?

ქალმა ხრიკულების გვერდით, ერთოთახიანის კარზე მიუთითა.

\_ ძალიან კარგი. რამდენიმე შეკითხვა მაქვს თქვენს მეზობელთან დაკავშირებით. არჩილ ხრიკულზე მოგახსენებთ.

\_ რა გაინტერესებთ?

\_ როდის ნახეთ უკანასკნელად?

\_ გუშინ მოვკარი თვალი, ჩემოდანს დებდა მანქანაში.

\_ რა დროს?

\_ ნაშუადღევს. ძაღლს ვასეირნებდი და დავინახე. გამაგებინეთ, რა ხდება?

\_ ეჭვმიატნილის სტატუსით იძებნება.

\_ რას ამბობთ? \_ გაუკვირდა ქალს. \_ აჩიკოსთანა წესიერ კაცს რა უნდა დაეშავებინა, რაღაც გეშლებათ...

\_ ხომ არ გიკითხავთ, სად მიდის?... ჩემოდანს თუ დებდა მანქანაში ე. ი. სადღაც მიემგზავრებოდა.

\_ არ ვიცი, ვერაფრით დაგეხმარებით. \_ ქალი ცალი ხელით საკეტში

გასაღების შერტობას ცდილობდა, მეორეთი \_ საყელური ეჭირა \_ ძაღლს აკავებდა. მისი ფორიაქი ცხოველსაც გადაედო, უკანა თათებზე აინია და კარი მოფხოჭნა. \_ გრაფ, მაცალე, ხელი შეტკინა. \_ დაუცაცხანა ქალმა.

როგორც იქნა, გააღო, ლაბრადორი შურდულივით შევარდა ბინაში, ქალიც აპირებდა შეყოლას, მაგრამ გოგამ არ დაანება:

\_ ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ, არჩილი საშიში დამნაშავეა.

\_ რით შემძლია დაგეხმაროთ? არ ვიცი სად წავიდა, კარის მებობელი კია, მაგრამ არც ისეთი ახლობლობა გვაკავშირებს, ანგარიშს ვაბარებდეთ ერთმანეთს.

\_ ვის ელაპარაკები მანდ? \_ ოთახის სიღრმიდან მამაკაცის ხრინჩიანი ხმა გაისმა.

\_ ახლავე, ჰამლეტ, ახლავე... \_ ქალმა კარის დაკეტვა სცადა, გოგამ არ დაანება \_ ღრიჭოში ფეხი ჩააკვეხა და კარი ხელით დაიჭირა. როგორმე უნდა შეაღწიოს გრაფებისა და ჰამლეტების საცხოვრისში. ეს მერსედესია თუ ოფელია, წინ ვერ აღუდგება!

\_ გასწიეთ ფეხი, თორემ პატრულს გამოვუძახებ! \_ ქალი ისე განიწმატდა, ჩოლკაც კი აუცახცახდა.

\_ გამოუძახეთ. ჩემზე კარგად იციან რა უბედურებაც დაატრიალა თქვენმა მებობელმა.

გაისმა ფეხების აგრესიული ტყაპუნი და კარში ხრინჩიანი ხმის პატრონი გამოჩნდა \_ მსუქანი კაცი სამმაგი ლაბაბითა და სამკუთხა, ჩამონლანული ძუძუებით. ეცვა უმკლავო მაისური და გრძელი შორტები.

\_ რა ხდება, აქ?

\_ საღამო მშვიდობისა, ბატონო, \_ გოგამ ფეხი გასწია და ჰამლეტად წოდებულს თავაზიანად მიესალმა. \_ მაიორი სვიმონიშვილი უშიშროების დეპარტამენტიდან. გადაუდებელი საქმეა, ქალბატონს კი არ სურს ამომწურავი პასუხის გაცემა.

\_ ეს ქალბატონი ჩემი ცოლია. \_ ჰამლეტმა მკაცრად შეხედა ჩოლკიანს. ქალი ისე მოიბუზა, თითქოს სახალხოდ გარობგვას უპირებდნენ.

\_ მითუმეტეს! \_ შესძახა გოგამ. \_ ცოლ-ქმარი თუ ხართ, იქნებ დამეხმაროთ არჩილ ხრიკულის კოორდინატების დადგენაში.

\_ აჩიკოზე ამბობს? \_ კაცმა ცოლს შეხედა, იმან თავი დაუქნია და კარებში გაძვრა.

\_ საშიში დამნაშავეაო. \_ მიაძახა ოთახიდან.

\_ რაო?

\_ საშიში დამნაშვე, მკვლელობასა და ადამიანის გატაცებაში ეჭვმიტანილი. თუ ძმა ხარ, დამეხმარე, ახალგაზრდა ქალის სიცოცხლეა საფრთხეში. \_ შინაურულად სთხოვა გოგამ.

გაჭრა. ჰამლეტმა ძუძუ მოიფხანა და სახლში შეიპატიჟა.

გოგა ავეჯით გადატვირთულ ვინრო ოთახში აღმოჩნდა. გრაფს უკვე დაეკავებინა საპატიო ადგილი ხავერდის დივანზე და დორბლმორეული შესცქეროდა ღრმა თასში ჩაყრილ ბატიბუტს, რომლითაც ალბათ ოჯახის უფროსი იქცევდა თავს. ბატიბუტი ახალი მოხალული იყო, რასაც მოწმობდა სამზარეულოდან გამოსული სუნი და კვამლი. თავისთვის დუდუნებდა ტელევიზორი.

\_ დაბრძანდით, \_ ჰამლეტმა მასიურ სავარძელზე მიუთითა, თვითონ ხვნეშით ჩაეშვა გრაფის გვერდით. \_ ვახ, რას არ გაიგებს კაცი, აჩიკო, კაცო? აჩიკო და მკვლეელი?! წარმოუდგენელია... გაიგე, ციცო, რას ამბობს უშიშროება?

\_ მეც ეგ არ ვუთხარი?! წარმოუდგენელია. \_ ქალი სახელად ციცო ოთახში შემოვიდა და ძალღს მეორე გვერდიდან მიუჯდა. ლაბრადორმა თავი უსაფრთხოდ იგრძნო და გემრიელად გაიზმორა.

\_ რაიმე უცნაური არ შეგიმჩნევიათ მის ქცევაში?

\_ არაფერი ისეთი, ნორმალური ბიჭი იყო, ფაქტიურად ჩვენ თვალწინ გაიზარდა. არა, ჰამლეტ?

\_ ნორმალური კი იყო, მაგრამ მთლად ნორმალურიც არ ეთქმოდა. \_ ჰამლეტი ჩაფიქრდა, \_ კარნაკეტილად ცხოვრებდა, მაგასთან არც მისული მინახვს ვინმე, არც გამოსული.

\_ სულ სამსახურში იყო და რას ნახავდი?! \_ შეეპასუხა ციცო. \_ დედამისის სიცოცხლეში კიდევ შეინიშნებოდა რაღაც მოძრაობები, სხვა თუ არაფერი, სასწრაფო დახმარება მოდიოდა ხოლმე. სხვათა შორის, ძალიან თბილი დედა-შვილობა ჰქონდათ, არჩილმა მტკივნეულად განიცადა დედის სიკვდილი.

\_ მერე, მოეყვანა ცოლი და გულს გადააყოლებდა. არა, ძმაო, ვერ იყო ეგ ბიჭი თავის მატორზე, მეტისმეტი წესიერებაც არ არის ნორმა. და საერთოდ, ბერბიზა კაცები ჩემში ეჭვს იწვევენ. \_ ჰამლეტმა ხმას დაუნია და გოგას მიუბრუნდა. \_ ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცა ვინმე თუ უარესი?

\_ უარესი. \_ მოკლედ უპასუხა გოგამ და შეუვალი სახე მიიღო.

ცოლ-ქმარი არ ჩასდიებია, შეთქმულებივით გადახედეს ერთმანეთს.

\_ ჩვენ რა შეგვიძლია, თუ გამოჩნდა, შეგატყობინებთ. \_ ჰამლეტმა ჯერ გოგას შეხედა, მერე ცოლს. რიტმულად უცახცახებდა ღაბაბი, როგორც პოლარულ ბუს.

\_ ის აქ აღარ გამოჩნდება, ამის პირობას გაძლევთ. \_ დაბეჭდა გოგამ, \_ იქნებ იცოდეთ, ჰქონდა თუ არა ამ ბინის გარდა სხვა თავშესაფარი, სოფელი, აგარაკი...

\_ მაიცა, კაცო, აკი დედამისი სოფელში დამარხეს? \_ გაახსენდა ჰამლეტს. \_ პირადად გავყევი დასაფლავებაზე, აჩიკომ მთხოვა და უარი ვერ ვუთხარი. ქელეხში არ დავრჩენილვარ, არც იმას გამოუდია თავი, თითო ჭიქა წავუქციეთ საფლავზე და ეგ იყო.

\_ რომელ სოფელზეა ლაპარაკი? \_ ყურები ცქვიტა გოგამ.

\_ ტბეთი.

ტბეთი აქვეა, ნახევარი საათის სავალზე, გაიფიქრა გოგამ. ანჟელას მეზობლებს შეწუხებისთვის ბოდიში მოუხადა და სადარბაზოდანვე დარეკა ანზორთან.

შეფს ეძინა. სენსაციურ ინფორმაციას მოქნარებით უპასუხა და აჟიტირებული მაიორი სპეცდანიშნულების რაზმის უფროსთან გადაამისამარსა. ვეფხია ჩოხელის მობილური დროებით გასული აღმოჩნდა მომსახურების ბონიდან. გოგას ცოტა დააკლდა, დამხმარე ძალის გარეშე წასულიყო კესოს გამოსახსნელად. კიდევ კარგი, დროულად გადაიფიქრა. მისმა გამოჩენამ შეიძლება ისე დააფრთხოს არაპროგნოზირებადი ანჟელა, რომ მძევალს ავნოს. სპეცრაზმის ბიჭების თანხლებით რისკი მინიმალურია. ვიდრე გოგა ბანკირს მოინახულებს, ეგებ ვეფხიაც შემოვიდეს `მომსახურების ბონაში.~

ნოდარ უგრეხელიძე აღელვებული შეეგება. ამჯერად კაბინეტში განმარტოვდნენ, წითელი აბაჟურით განათებულ მყუდრო ოთახში.

\_ იმდღევანდელი შეხვედრის შემდეგ ადგილს ვეღარ ვპოულობ, \_ დაიწყო ნოდარმა, \_ მხედველობაში მაქვს ჩემს ცოლთან დაკავშირებული თქვენეული ვერსია. დღითიდღე ვრწმუნდები მის უდანაშაულობაში... დღეს კი სიზმარი ვნახე.

ნოდარმა პაუზა გააკეთა. ულვამის ცახცახზე ეტყობოდა, რად უღირს თითოეული სიტყვა. თავს სძლია და განაგრძო.

\_ ელენე და ნინი მესიზმრა... ვერ წარმოიდგენთ, როგორ შევთხოვდი ღმერთს, რომ სიზმარში მაინც მაღირსოს შვილის ნახვა, მაგრამ მან არ შეისმინა ჩემი ვედრება. დღეს

კი ორივე გამომეცხადა, თითქოს მაპატიეს სულმოკლეობა და... როგორ შემეძლო ეჭვი შემეტანა ელენეს პატიოსნებაში, როგორ შემეძლო!

ნოდარს ხმა გაებზარა, გოგამ თანაგრძნობით შეხედა. კაცმა რომ თქვას, აქეთ საჭიროებდა თანაგრძნობას, მაგრამ ბანკირმა ხომ არ იცოდა, რა ხდებოდა მის გულში.

– ალარ შეგანყენთ თავს ზედმეტი ემოციებით, ამას ენა ვერ აღწერს. პირდაპირ გეტყვით, სიზმარში ნინიკომ მიმანიშნა კესოს დავხმარებოდი. ისედაც მზად ვიყავი, მაგრამ ამ უცნაური, მე ვიტყოდი, სარკალური გამოცხადების შემდეგ კესოს პოვნა ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანია. რასაკვირველია, შემეძლო კერძო დეტექტივის აყვანა, პოლიციაშიც მყავს მეგობრები, მაგრამ ჩემი არჩევანი თქვენზე შეხერდა. – სიტყვა `ჩემი~ ნოდარმა განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვა, ჟესტიც კი მიაშველა – მაიორისკენ მიმართული საჩვენებელი თითი. – ამ საქმეს თქვენზე უკეთ თავს ვერავინ გაართმევს. დამისახელეთ თანხა.

– რა თანხა?

– ჰონორარი, რომელიც გადმოგეცემათ იმ შემთხვევაში, თუკი უვნებლად ჩამაბარებთ კესო დარჩიას.

გოგამ წამნამები აახამხამა. ეს კაცი გარიგებას სთავაზობს. კესო – მე, ფული – შენო. გოგას გულწრფელად შეეცოდა მილიონერი ბანკირი, მისთვის ფული იყო ყველაფრის საზომი – სიყვარულის, მეგობრობის, მოვალეობის... ვერც გაამტყუნებ. სიყრმის მეგობარმა დააშანტაჟა, ცოლმა უღალატა, ყოველ შემთხვევაში, ამ აზრით ცხოვრობდა თექვსმეტი წელი. ის ვერ შედგა როგორც მამა, როგორც ქმარი, როგორც მეგობარი. მას ბანკომატად აღიქვამენ. შეაცურებ პლასტიკურ ბარათს, გამოგიყრის ვალუტას.

– ვიცი, დამნაშავის გამოვლენა თქვენი პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ ისიც შესანიშნავად ვიცი, რამდენი საქმე გაყრიათ თავზე. – თავისას მიერეკებოდა ნოდარი, – რაც თქვენთვის, უშიშროების ოფიცისთვის ბანალური ყოველდღიურობაა, ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მიხვდით, რას გეუბნებით? აიღეთ შვებულება, ბიულეტენი... არ ვიცი, ყველაფერი გადადეთ, ოღონდ მომინახეთ კესო!

სრულიად მოულოდნელად, გოგას ავანტიურისტულმა იდეამ გაუნათა გონება.

– ე. ი. ყველაფერზე თანახმა ხარს? – დაეკითხა ინტერესით.

– ასტრონომიულ თანხას თუ დაასახელებს, ვერ შევწვდები. – გააფრთხილა ნოდარმა.

– არ მინდა თანხა.

– აბა?

– უარი თქვით ბესარიონ ჩაჩხიანის საარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზე.

ნოდარი შეცბა. დავიწროებული თვალებით მიაჩერდა გოგას. ამანაც მიიღო გამოწვევა – თვალი გაუსწორა. უსიტყვო კორიდა რამდენიმე წამს გაგრძელდა. სიჩუმე ნოდარმა დაარღვია:

– აი, თურმე რაშია საქმე... ჩანყობილია! ეს ყველაფერი ჩემს გამოსაჭერად ჩაანყვით. თქვენ აგენტი ხართ, ჩემს დასაშანტაჟებლად დაქირავებული უშიშროების აგენტი.

– ცდებით. არ ვარ აგენტი. – აუღელვებლად მიუგო გოგამ, – თქვენ ახლა ემოცია გალაპარაკებთ და არა სალი აზრი. ლევან დუნდუა დაჭერილია, ელდარ დუნდუა მიმალვაშია, კესო გატაცებულია, დავით ჯაფარიძე მოკლული... მეტისმეტად დიდი წარმოდგენის ყოფილხართ საკუთარ პერსონაზე, თუკი ფიქრობთ, რომ სახელმწიფო

თქვენს გადმოსაბირებლად სველ საქმეზე წავიდოდა. სხვა თუ არაფერი, საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ფულს შემომთავებდით?

\_ დატყვევებული გოგოს სიცოცხლით ვაჭრობთ, არცა გრცხვენიათ! \_ ნოდარს ზიზღით მოეღრცა სახე.

\_ თქვენ კი ქვეყნის მომავალს დებთ სასწორზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ჯიბე გაისქელოთ! თქვენი შესაძლებლობის კაცის ჩემთვის გადმოგდებული მილიონი არ გააღარიბებს, ათ იმდენს იშოვით ბესარიონ ჩაჩხიანის გაპრეზიდენტების შემთხვევაში. დღეს, როცა ქვეყანაში მეტ-ნაკლებად სტაბილური კლიმატია, ხელისუფლების სათავეში ექაჩებით კაცს, რომელსაც არც პოლიტიკა ესმის, არც ეკონომიკა და ფინანსები. გასაგებია, რომ სამშობლო უყვარს, ორატორული ნიჭი აქვს, ქარიზმატულია და აქედან გამომდინარე, მისაღები ფართო მასებისთვის, მაგრამ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ \_ ასეთი ფსიქოლოგიის ადამიანი ქვეყანას ვერ მართავს, უფრო სწორედ, მისი მართული ქვეყანა გიგანტური ნაბიჯებით დაიხვევს უკან და ისევ იმ გაუგებრობაში აღმოვჩნდებით, საიდანაც ბოლო ოთხი წელი ნაბიჯ-ნაბიჯ ამოვდივართ. ვინ არის ბესარიონის პოლიტიკური ლობი? თქვენსავით მდიდარი ადამიანები, რომლებსაც ძალიანაც აწყობს მარიონეტული, ყველაფერზე წამსვლელი მთავრობა.

\_ ასე მგონია პარტიის აქტივისტს ვუსმენ. \_ ირიბად ჩაიციხა ნოდარმა, \_ დავიჯერო, ასე მოგწონთ ეგ თქვენი გაფხორილი ინდაური?

\_ ყოველ შემთხვევაში, თქვენს ძალად `არსენას~ მირჩევნია. `მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს~ \_ ამ ლობუნგით აპირებს ხალხის გასულელებას. კარგის რა, ბატონო ნოდარ, რა ესმის ფილოლოგ კაცს პოლიტიკის?

\_ რეიგანი მსახიობი იყო.

\_ მსახიობი, რომელიც პროფკავშირის თანხებს განაგებდა, პირდაპირ სცენიდან არ გადაფრენილა პრეზიდენტის სავარძელში. ეს რას მიკეთებდა?

\_ ლექციებს კითხულობდა, სახელმძღვანელოებს წერდა...

\_ თავის სპეციალობაში. \_ გაანყვეტინა გოგამ. \_ დარწმუნებული ვარ, საარჩევნო პროგრამა არც წაუკითხავს, ვილაცამ დაუნერა, ამან კი თვალი გადაავლო. რაც დაამტკიცა კიდევ ამასწინანდელ ბრიფინგზე. სანამ ვინმეზე დადებთ ფსონს, დაეკითხეთ ფსიქიატრს, გაარკვიეთ, ვისთან გაქვთ საქმე... პროფესორი აკაკი ნატროშვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, გაგინევდით რეკომენდაციას, სამწუხაროდ, ნაშუადღევს მოკლეს. \_ ჩაურტყა გოგამ.

რეაქციამ არ დააყოვნა. ნოდარს სახე შეეცვალა:

\_ ჩვენს საქმეს რა შეხება აქვს ფსიქიატრის მკვლელობასთან? \_ იკითხა დადარაჯებულმა.

\_ ფსიქიატრი მკვლელის ვინაობის დასახელებას აპირებდა. სამწუხაროდ, არ დასცალდა.

\_ ფსიქიატრს მკვლელი რატომ უნდა დაესახელებინა?

\_ ფაქტების შეჯერებაში მოიკოჭლებთ, ბატონო ნოდარ, \_ აღნიშნა გოგამ, \_ თქვენი ცოლ-შვილის გატაცებაში ეჭვმიტანილს ფსიქიკური პრობლემები აქვს. ვისი, თუ არა ფსიქიატრის კომპეტენციაა დამნაშავის აღწერა.

\_ გიჟის ადგილი საგიჟეთშია.

\_ გააჩნია სიგიჟის ხარისხს. ჩვენს შემთხვევაში, საქმე გვაქვს საზოგადოებაში ადაპტირებულ ადამიანთან. მუშაობს, ურთიერთობს, ადექვატურია... ერთი შეხედვით, თქვენს კანდიდატზე უარესის შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

\_ ბესო რაღა შუაშია?

\_ პოლიტიკურ ოლიგზე მომჭდარი ბესო-ბესარიონი შეიძლება ისეთი უმართავი გახდეს, ` გაფხორილი ინდაური~ სანატრელი გაგინდეთ!

ნოდარმა აბაჟურის ფოჩები გამოწინკნა. მონითალო შუქი სახეზე სცემდა და ცეცხლის პირას ჩამომჭდარ ვიკინგს ამსგავსებდა.

\_ თქვენს გადანყვეტილებამა და მოკიდებული ოპერაციის დაწყების თარიღი. \_ გოგამ ცეცხლზე ნავთი დაასხა.

\_ რომელი ოპერაციის? \_ ნოდარმა სწრაფად შეხედა.

\_ კესოს გათავისუფლების ოპერაციის... რაც თავისთავად გულისხმობს დამნაშავის გაუვნებელყოფას. გამჭვირვალე თამაშს გთავაზობთ, ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე. არ დაგიმაღავთ \_ ელენეს მკვლელობაში მთავარ ეჭვმიტანილად თქვენ მოიაზრებოდით, რომ არა კესოს ფაქტორი, ძიება სულ სხვა მიმართულებით მუშაობდა. აღარაფერს ვამბობ ტელეკომპანიის გენდირექტორის მოსყიდვაზე და ელდარ დუნდუასთვის მიცემულ დავალებებზე. სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე აღარ დავკონკრეტდები. როგორც ხედავთ, იმაზე მეტი მოგახსენეთ, ვიდრე საკუთარი თავისგან ველოდი. \_ გოგამ ნერვიულად შეათამაშა მობილური.

\_ ჩვენი ლაპარაკი იწერება? \_ იკითხა ნოდარმა.

\_ არა, სპეცრაზმის ხელმძღვანელთან ვცდილობ დაკავშირებას და ვერ ვახერხებ. მართოს გამიჭირდება კესოს დახსნა.

\_ როგორ, უკვე იცით სად არის და დაკავებას აჭიანურებთ?

\_ ერთადერთი მიზეზით \_ ზიანი არ მივაყენო კესოს. სპეცოპერაცია ერთი დასტვენით არ იგეგმება, თუმცა მე მზად ვარ თავზე გადავახტე ხელმძღვანელობას, რომელიც უსათუოდ ხვალისთვის გადამივადებს ოპერაციის დაწყების თარიღს.

\_ გადაახტით, ვიღას უცდით?

\_ თქვენ. \_ გოგამ თვალი თვალში გაუყარა.

\_ მე?

\_ ან კესო ან ბესო. გადანყვეტეთ.

ნოდარმა მზერა მოალო კაბინეტს, თითქოს ემშვიდობებოდა. ჰაერი ამოაუქშუტუნა და ყრუდ წარმოთქვა:

\_ კესო.

გოგა ჩაფიქრდა. სიტყვაზე ენდოს თუ ხელწერილით ^ გაამყაროს სიტყვიერი შეთანხმება? მაგრამ საიდან გამოჩეკოს ნოტარიუსი ამ შუალამეზე? ანზორთან დარეკვა ყველაზე დიდი სისულელე იქნებოდა...

\_ ნინიკოს და ელენეს ხსოვნას ვფიცავარ. \_ შეეშველა ბანკირი.

უნდა დაუჯეროს, სხვა გზა არა აქვს.

\_ კარგი, მაშინ მე წავალ.

\_ სპეცნაზი?

\_ სპეცნაზი ` გასულია მომსახურების ზონიდან. ~ \_ გოგამ კიდევ ერთხელ შეამოწმა მობილური, კიდევ ერთხელ დარწმუნდა ვეფხიას მიუწვდომლობაში და კარისკენ გაემართა.

- \_ მართო აპირებს წასვლას? \_ დაანია ნოდარმა.
- \_ ვცდი.
- \_ მართო არ გაგიშვებთ. მეც წამოვალ.
- \_ აი, ეგ ზედმეტია. არაპროფესიონალი მხოლოდ ხელს შემიშლის.
- \_ რას ჰქვია არაპროფესიონალი? \_ ბანკირი შეუვალი
- გამომეტყველებით აესვეტა წინ. \_ იარაღის ხმარება ვიცი, ათიდან ცხრა ტყვიას ვაჭუნ, ნადირი არ გამიმზავს და ფრინველი, სამოცდაათიანი წლიდან მონკავშირის წევრი ვარ.
- \_ მაინც დიდია რისკის ალბათობა.
- \_ თქვენ ხომ რისკავთ?
- \_ მე მაქვს მიზეზი.
- \_ ჩემზე მნიშვნელოვანი?
- \_ შეიძლება. \_ ყოყმანით უპასუხა გოგამ და მზერა აარიდა.
- \_ მითუმეტეს, წამოვალ. \_ შერბილებული ტონით თქვა ნოდარმა.
- \_ მანქანაში გელოდებით. \_ ესროლა გოგამ და უკანმოუხედავად გავიდა კაბინეტიდან.

---

როცა პირველმა შოკმა გაიარა, მგზავრმა მარნიდან სახლში გადაინაცვლა, შიშველ სხეულზე ხალათი მოისხა და გამოსავლის ძებნა დაიწყო. მისი რჩეული ფეხმძიმეაა! ის შვილს ელოდება ჩვეულებრივი მოკვდავისგან! ყველაფერი გაფერმკრთალდა \_ მოსალოდნელი რიტუალი, სავსე მთვარე, შეცნობის აღმაფრენა, ნანატრი შერწყმა... და ეს მაშინ, როდესაც ყველა ხელისშემშლელი ფაქტორი ლიკვიდირებულია.

მეხსიერებამ ნინო უგრეხელიძის შეშინებული სახე ამოტყორცნა. გასტროლებზე ჩამოსული მსახიობისა და ნაცნობი ფსიქიატრისგან განსხვავებით, პატარა გოგონას მოკვდინება არ შედიოდა მის გეგმებში, მაგრამ დედა \_ მისი პირველი რჩეული \_ პირდაპირ აბოლებდა შვილის სახელს! ქმრისთვის გასაგზავნი წერილები ისე იყო ცრემლით გაჟღენთილი, თოკზე გაშრობა შეიძლებოდა. ქალი შვილს დარდობდა: როგორ უნდა იცხოვროს იმ აზრით, თითქოს დედამ მიატოვაო. ასეთ მიდგომას გულის სიღრმეში მგზავრიც ეთანხმებოდა. ვინ, თუ არა მან, იცოდა დედაშვილობის ფასი.

როდესაც პირველი რჩეულის ფეხმძიმობაში დარწმუნდა, სიხარულის ცას ეწია. მართალია ქალი არ იზიარებდა მის ალტკინებას, მაგრამ მგზავრმა დანამდვილებით იცოდა \_ დრო ყველაფერის მკურნალია. რჩეული დაივიწყებს გაუპატიურების არაესთეტიკურ სცენებს, დაივიწყებს პროფესიას, ქმარს, ნაცნობ-მეგობრებს... მთავარია შვილი აჩუქოს, სანუკვარი შემკვიდრე, რჩეული რჩეულსა შორის! მაგრამ ნესტიან მარანში დამწყვდეულმა შეიძლება ჯანმრთელი ბავშვი გააჩინოს?

და მგზავრმა სიურპრიზის გაკეთება გადაწყვიტა. ჯანი გავარდეს, მოუყვანს თავის გოგონას, მაშინაც ეტყვის ამბიცური მსახიობი: `ქვის გული გაქვსო?~ აი, თუ ქვის გული

აქვს! თავი საფრთხეში ჩაიგდო, ოღონდ ის გაეხარებინა, ოღონდ მის თვალზე არ ენახა ცრემლი... დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. მგზავრი მზად იყო შვილად აეყვანა ვილაც წითური გობლინის ნაშიერი. და ყველანი ბედნიერად იცხოვრებდნენ, როგორც დედამისის მოყოლილ ზღაპრებში \_ ჭირი იქა, ლხინი აქა...

პატარა ნინოს მანქანაში შეტყუება არ აღმოჩნდა ძნელი, დედიკოს გაჩვენებო, დაჰპირდა და ისიც, თავის ნიჩბიან-ვედროიანა ჩაუხტა მანქანაში. გაცილებით რთული აღმოჩნდა მისი გაჩუმება, როცა ცოცხალი დედის ნაცვლად, მისი გასისხლიანებული გვამი დახვდა. თავდაპირველად მგზავრიც დაიბნა. ვერ მიხვდა, რას უნდა ნიშნავდეს რჩეულის ფეხებთან დაგდებული სისხლიანი ჯოხი?! როდის-როდის გააცნობიერა, რომ ბოროტმა დედაკაცმა თავისი ხელით გამოიჩინა არასასურველი ნაყოფი, მომავალი შვილიც მოკლა და თვითონაც შეენირა. ბოლო ხმაზე აკივლებულ გოგონას მგზავრმა პირზე ხელი ააფარა და იქამდე არ გაუშვა, ვიდრე ფართხალი არ შეწყვიტა.

დედა-შვილი იქვე დამარხა, მარნის კუთხეში, თვითონ კი თბილისში გაემგზავრა. ისე გავიდა წლები, სოფლისკენ აღარც გაუხედავს. მერე დედა მოკვდა და იძულებული გახდა ჩამოსულიყო \_ დედის გვერდით დაესაფლავებინა.

და ამდენწლიანი პაუზის შემდეგ კიდევ ერთი დარტყმა \_ მეორე რჩეულის ფეხმძიმობა.

ერთსაათიანი ბოლთისცემის შემდეგ გამოსავალი იპოვა: აბორტი! მშობიარობის მიღებას თუ აპირებდა, აბორტის გაკეთებას რა დაუშლის?! მთავარია, იპოვოს თექვსმეტი წლის წინ საგანგებოდ შექმნილი გინეკოლოგიური წიგნები, სადაც არა მარტო წერია, თვალსაჩინოდ ხატია ფეხმძიმე ქალის ორგანიზმში მიმდინარე პროცესები. წიგნებს ძველ სკივრში მიაგნო, იქვე ხელუხლებლად იდო წინასწარ ნაყიდი სამედიცინო ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენება მაშინ არ დასცალდა.

მეან-გინეკოლოგის ამპლუაში საკუთარი თავის წარმოდგენამ ხასიათი გამოუკეთა. ახლა სხვა კუთხით შეხედა მოსალოდნელ ოპერაციას. მას ბევრი რამ ძალუძს, ზოგიერთებისგან განსხვავებით, თავი რომ ყოვლისშემძლე მზვერავეები ჰგონიათ.

\_ ესეც შენ! \_ ნიშნისმოგებით მოუღერა მუშტი წარმოდგენილ მაიორს.

არ ჩაუვიდა ფეხი გოგა ბატონს! ჰა, ჰა! რა ეგონა, მგზავრის ამორჩეული ქალი მასთან გაიყოფდა სარეცელს? მზვერავი კი არა, თვითმარქვია შპიონია, ფსიქიატრიულში გაიქცა დამნაშავის გამოსავლენად, ის კი, მგზავრი არხეინად აკვირდებოდა მისი პერსონის გარშემო ატეხილ განამანას. ან ის ყვავის ხნის ჩეკისტი, არქივარიუსის ოთახში რომ ათანხმებდა დავალებებს. ვაი, მაგათ პატრონს, უშიშროება კი არა, საბავშვო ბაღია!

მგზავრმა მოზრდილი ტაშტი წყლით გააღივლიცა და გაბქურაბე შედგა. გართულების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სტერილური ინსტრუმენტები. წყლის ადუღებამდე სახელმძღვანელოებს ჩაუჯდა.

სამზარეულო გაიბუღა, სუნთქვა გაჭირდა და ფანჯრები დაიორთქლა. მგზავრმა კითხვა შეწყვიტა და ფანჯარა გამოაღო. ვარსკვლავებით მოჭედული ცა იმედისმომცემად დასქეროდა თავზე, მთვარე მარგალიტის თვალს ჰგავდა. ეს თვალი მისთვის ანასებდა, მასთან გზავნიდა გრძნობად-ენერგეტიკულ მესიჯებს. ერთადერთი, რაც უსიამოვნოდ ხვდებოდა ყურში, წყლის დგაფუნი იყო. არა ჩუხჩუხი ან რაკრაკი, სწორედაც დგაფუნი \_ ყურისნამღები, შფოთიანი, სახიფათოდ დამუხტული. რაღა მაინცდამაინც მის სოფელში წამოჭიმეს ეს კვაზი-ნიაგარა, თითქოს სხვაგან არ შეიძლებოდა ჰესის აშენება.

წყალი არხის გავლით ციცაბო ფერდობიდან ეშვებოდა და ბეტონის ქვაბულში გუბდებოდა.



ბაფხულობით, ქვაბულში სოფლის ბავშვები ჭყუმპალაობდნენ ხოლმე. პატარა არჩისაც უნდოდა ფეხის დასველება, მაგრამ დედამ ისეთები უთხრა, შიშით აბაზანაში ვეღარ შედიოდა. `წყალში დენია, როგორც კი შეხვალ, დაგარტყამს და ადგილზე გაგაშეშებსო. ~ მას შემდეგ წყალი და სიკვდილი მისთვის განუყოფელი ცნება გახდა. როცა გაიზარდა, მიხვდა \_ არავითარი დენი არხის წყალში არ გადიოდა. დედამ შესაშინებლად მოიგონა, შემთხვევით საბანაოდ რომ არ გაპარულიყო. მაგრამ შიში დარჩა. წყალს კომპარულ სიზმრების ხედავდა, პატარა რუც რომ დასიზმრებოდა, ცივ ოფლში გახვითქულს ეღვიძებოდა ხოლმე, რადგან წყალთან შეხება და ჩაძირვა ერთი იყო. ძილის შებრუნებას აღარ ცდილობდა \_ სიზმრის გამეორების ეშინოდა.

მდულარეში ამოვლებული ინსტრუმენტები სუფთა ტილოზე დააწყო და რელანიუმის აბების დანაყვას შეუდგა. მინერალურ წყალში გაურევს და ისე შეაპარებს. გამოფხეკის პროცესში პაციენტი უნდა იყოს მორჩილი და მოშვებული, ისტერიკაში მოფარხალეს ელემენტალურად ვერ მოერევა და საშოს დაუზიანებს. კონტეინერი უნაკლოდ უნდა იქნას შენარჩუნებული მომავალი ნაყოფისთვის, რომელიც მისი გენეტიკური მასალით იქნება განაყოფიერებული, მხოლოდ და მხოლოდ მისი და არა მორიგი ფეკალის. ტკივილს როგორმე უნდა გაუძლოს ქალბატონმა, ადრე ჭრაქის შუქზე აკეთებდნენ აკრძალულ აბორტებს, სხვათა შორის, ყოველგვარი გამაყუჩებლის გარეშე.

ბორჯომის ჭიქით ხელში დაიძრა მარანსკენ. რჩეული გათიშულივით იწვა სანოლზე. მგზავრის დანახვაზე რეაქცია არ ჰქონია. წელანდელი აღმაფრენა უკვალოდ გამქრალიყო. არადა, რა თავდავიწყებით ცეკვავდა! `უნდა გამელახა. როგორც კი ფეხმძიმობის ამბავი მითხრა, თმებით უნდა მეთრია, ~ ინანა მგზავრმა. არ ცემა, დაინდო და აი, შედეგი \_ ისეა შეურაცხყოფილი, თითქოს პირველად დაინახა დედისობილა მამრი.

\_ მინერალური წყალი მოგიტანე.

\_ არ მინდა. \_ რჩეულს ზედაც არ შეუხედავს, მხოლოდ ტუჩები შეარხია.

\_ დალიე, თორემ...

\_ თორემ რა? \_ უშიშრად დაეკითხა.

\_ აქვე ჩაგმარხავ, ცოცხლად. \_ დაემუქრა მგზავრი და მზერა თითებში მოცახცახე ჭიქაზე გადაიტანა.

უნდა მოთოკოს სიბრაზე, თორემ ვერც კოსმიური გონი უშველის, ვერც დედამისის ფანტომი. ათი მოკლე ჩასუნთვა და ერთი ღრმა ამოსუნქვა, როგორც იოგას მასწავლებელმა ასწავლა.

\_ ჩემი წინამორბედებივით? \_ ქალმა იმ კუთხისკენ მიაბრუნა თავი, სადაც მგზავრს პირველი რჩეულისა და მისი ნაბიჭვარის ნეშთი ეგულებოდა.

იცის \_ მიხვდა მგზავრი. საიდან უნდა იცოდეს? ნუთუ დისტანციურად შეუძლია აზრების ნაკითხვა? სიფრთხილე მართებს. იქნებ რჩეულთან კი არა, ეშმაკისეულთან აქვს საქმე. ვნახოთ, ვისი აჯობებს.

\_ დიახ, შენი წინამორბედებივით, \_ თამამად უპასუხა. \_ მაგრამ ისინი ცოცხლად არ დამიმარხავს. შენ კი დაგმარხავ... თუ ამ ბორჯომს არ დაღუვ.

\_ სანამღლაგია?

\_ შენი თავი ცოცხალი მჭირდება. ცოცხალი და ჯანმრთელი.

\_ რაში გჭირდება?

\_ ამაზე მერე... ნუ გეშინია, არაფერს გავნებ, დალიე.

მოულოდნელად ქალი დაემორჩილა. აი, რას ნიშნავს სწორი მიდგომა \_ იმედი მოეცა მგზავრს. სიყვარულითა და მოთმინებით... და დაყვავებითაც. წამალი რამდენიმე წუთში იმოქმედებს, მერე ხელბორკილის მოხსნაც შეიძლება. ზევით ყველაფერი მზადაა. ბენარგადაფარებული მაგიდა ყურთბალიშით \_ კისერი რომ არ ეტკინოს, ბრტყელი დანა \_ ენა რომ არ მოიკვნითოს, თბილი წყალი...

\_ მწარეა შენი ბორჯომი, უეჭველი რაღაც გამირიე.

\_ მხოლოდ დამამშვიდებელი აბები.

\_ მხოლოდ?

\_ მენდე. მე შენ არაფერს დაგიშავებ. \_ მგზავრმა ჭიქა გამოართვა და მკლავზე ხელი მოუთათუნა.

ქალს წინააღმდეგობა არ გაუწევია, პირიქით, ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა (იქნებ მკლავზე შეხება ესიაშოვნა?). კარგი სიგნალია. აი, რას ნიშნავს სწორი მიდგომა, მგზავრმა კიდევ ერთხელ შეიქო სტრატეგია.

\_ რატომ არ მეკითხები ვინ ვარ, რა მქვია?

\_ შენ ჩემი რჩეული ხარ, \_ გაულიმა მგზავრმა, \_ სხვა არაფერი მაინტერესებს.

\_ განა რჩეულებს ასე ეპყრობიან? \_ ქალმა ხელბორკილზე გამობმული ჯაჭვი ააჟღარუნა.

\_ დღესვე მოგხსნი, თუკი შენს თვალებში თანადგომას დავინახავ.

\_ პირობას მაძლევ?

\_ მე ჩემს სიტყვას არასოდეს გადავდივარ, ზოგიერთებივით. ამაში მალე დარწმუნდები, ძალიან მალე...

\_ რა გვქვია?

\_ იღუმალი მგზავრი. \_ მგზავრმა შთაგონებით დაიჩურჩულა \_ შერქმეული სახელის სარკალური დანიშნულების გასამძაფრებლად.

\_ დედა რას გეძახის?

\_ დედა მოკვდა, თუმცა ყოველთვის ჩემ გვერდით არის.

\_ ვიდრე მოკვდებოდა, რას გეძახდა?

\_ არჩის.

\_ ძილი მომერია. \_ ქალი საწოლზე წამოჯდა და თვალები მოიფშვინტა. \_ სადაური სახელია არჩი?

\_ არჩილიდან გამომდინარე. დედა ამბობდა, `არჩი~ კეთილშობილურად უღერსო, მეც არ ვიყავი წინააღმდეგი. დედის გარდა ამ სახელს არავინ მეძახდა. შენ უფლებას გაძლევ.

\_ მე კესო მქვია.

\_ კესო... კესო და არჩი.

\_ კესო-ელისაბედი.

\_ მართლა?... მართლა ელისაბედი გქვია? \_ მგზავრმა ძლივს მოუყარა თავი ყურებისკენ გაქცეულ ტუჩებს. \_ დედაჩემიც ელისაბედი, ისე ელიკოს ეძახიან. ეს

ნამდვილად ნიშანია, მისტიკური დამთხვევა! ორი ყოველმხრივ გამორჩეული მანდილოსანი და ორივე ელისაბედი!

კესოს გააჟრჟოლა. მგზავრს ამობურცული თვალები ჰქონდა, დიდი, მრგვალი და საშიში. ასეთებს პატარა ბავშვები ხატავენ ხოლმე \_ ორი შავი წერტილი თეთრ წრეში. ღიმილის დროს თვალები კი არ ეჭუტებოდა, როგორც ნორმალურ ადამიანს, არამედ ეყვლიბებოდა.

\_ რატომ ახსენებ დედაშენს ანწყომში, აკი გარდაიცვალაო?

\_ გარდაიცვალა, მაგრამ აქ არის. გაგაცნობ, როცა გამოჩნდება.

\_ ჰო, რა თქმა უნდა... \_ კესომ თავშეკავებულად დაამთქნარა. \_ იცით, თვალები მებუჭება... და სხეულიც რალაცნაირად დამიმძიმდა. ცუდად ვარ, არჩი...

\_ შენ მე არჩი დამიძახე, მე...

\_ გული მერევა.

\_ უჭაერობის ბრალია, გევით ავიდეთ... იქ სუფთა ჰაერია, სუფთა ლოკინი, დაიძინე, რამდენიც გენებოს. \_ მგზავრმა სათუთად აუწია მაჯა, ხელბორკილს გასაღები მორგო და კესოს წამოდგომაში მიეხმარა.

ლოკოკინას ნაბიჯით გადაჭრეს მარანი, ტალანს

გაუყვნენ და ფარღალა კარს მიადგნენ. გევით, ოთხიოდე საფეხურის სიმაღლეზე გამოჩნდა ხეხილის ბალის კონტურები. კესომ გაჭირვების დაფარა ოღრო-ჩოღრო საფეხურები და ხარბად შეიყნოსა მიწის სურნელი.

ვინ აცალა?

მგზავრმა წელზე ხელი მოხვია და წინა ეზოს მიმართულებით უბიძგა. როგორ არ ეხვენა კესო \_ ცოტა ხნით ჩამოვჯდეთ, სად მაქვს გაქცევის ძალაო, მაგრამ ვერაფერს გახდა.

შუშაბანდში შუქი ენთო. სამეანო მაშის დანახვისთანავე კესო ჩახვდა საქმის არსს. `იდუმალი~ ურჩხული აბორტის გაკეთებას უპირებს! მაგრამ არც ყვირილის თავი აქვს, არც წინააღმდეგობის განევის. ძილი, თავბრუსხვევა, გულისრევა... \_ შეხმატკბილებულად ექაჩებოდა სრული გათიშვისკენ.

`ნუ მიმატოვებ, ღმერთო~, შინაგანად დაიყვირა კესომ და პარალიზებული სხეული ტახტზე მიასვენა.

მზადაა. სიამოვნებით აღნიშნა მგზავრმა და ხელები ონკანს შეუშვირა. დიდხანს და მონდომების იბანდა, თან პირსაბანის სარკეში იცქირებოდა. სიყვარულითა და მოთმინებით, სიყვარულითა და მოთმინებით... თუ ინსტრუქციის მიხედვით იმოქმედებს, თხუთმეტიოდე წუთში გამოფხიკავს უცნობი ფეკალიის ნათესლარს.

მგზავრმა ონკანი დაკეტა და გარედან შემოსულ ხმებს მიაყურადა. წყლის დგაფუნს აშკარად მანქანის ბლუილი ერთვოდა. ორმოში მობუქსავე საბურავის ხმას ჰგავდა.

გაინაბა. მისი სახლი სოფლის განაპირას, შემაღლებულ გორაკზე იდგა \_ არხის სათავის გასწვრივ. უცხოებს ამ ადგილებში არაფერი ესაქმებათ. ღირს გადამოწმება.

ფეხაკრეფით ჩავიდა ეზოში.

`ფრთხილად, არჩი,~ ჭიშკარის სიახლოვეს დედის ხმა შემოესმა. ამჯერად არ გაპასუხებია, მტკიცე ნაბიჯით გავიდა ეზოდან და ორღობეს გაუყვა. რამდენიმე მეტრიც არ ექნებოდა გავლილი, რომ ფერდობზე ანთებულ ფარებს მოჰკრა თვალი. დააკვირდა. აღმართზე გოგა სვიმონიშვილის მანქანა ბუქსაობდა.

ხერხემლის გასწვრივ კატასტროფის მაუნყებელი ჭიანჭველები აფუთფუთდნენ.

გამოთვალეს! მან შეცდომა დაუშვა, მაგრამ სად, სად?

სტოპ!

მაიორი საკუთარი მანქანითაა. როდის აქეთია სპეცოპერაციაზე კერძო ტრანსპორტით დადიოდნენ? ის მარტოა, ზონდერების გარეშე. სიტუაციის დასაზვერად თუ გამოცხადდა. არის გადარჩენის შანსი. არის!

თვალისდახამხამებაში შეტრიალდა და უკან გაიქცა. `ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა, ~ იმეორებდა გზადაგზა. ის გამაგრდება თავის ციხე-სიმაგრეში, რჩეულს მძევლად აიყვანს და მტერს დახვდება. რჩეულს თუ დამღუპველს? ეს მერე გამოჩნდება, მერე... მთავარია მუხლმა არ უმტყუნოს და სახლში შეასწროს.

უმტყუნა. გოროხიან მინაზე ფეხი დაუცურდა. უმაღლ ნამოხტა, მაგრამ ციციქნა გოროხმა თავისი საქმე გააკეთა \_ ჩქამი გამოიწვია. იმავე წამს გაისროლეს. ტყვიამ მგზავრს ზედ ყურთან ჩაუნწილა.

აი, სახლიც. ადგილი, სადაც სამიოდე წუთის წინ ხელს იბანდა და დიადი საქმეებისთვის ემზადებოდა. აქომინებული შევარდა შუშაბანდში, ცალი ხელით პურის დანას დანვდა, მეორეთი \_ ნახევრადგათიშული კესო დაითრია. საკმაოდ მძიმე აღმოხნდა. როგორმე უნდა ჩაასწროს მარანში, როგორმე...

ვერა. ვერ მოასწრო. კარი წიხლით შეამტვრიეს და მგზავრმა მდევარი დაინახა \_ მაიორი გოგა სვიმონიშვილი გამშვერილ ხელებში ჩაბღუჯული პისტოლეტით. მგზავრს არ ჰქონდა პისტოლეტი, სამაგიეროდ, ჰქონდა უტყუარი იარაღი მაიორის წინააღმდეგ \_ კესო, რომელიც გულზე აიკრა და რომელსაც ყელზე ალესილი დანა მიადო.

\_ დადე იარაღი, თორემ შენ თვალწინ გამოვჭრი ყელს. \_ დაუყვირა სტოპ კადრში გაშეშებულ მაიორს.

კესომ გაჭირვებით გაფხრინა თვალები და კარის ღიობში რომელიღაც ვესტერნიდან გადმოშხტარი გოგა დაინახა. უკანა ფონზე ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩანდა, როგორც კინოში. `გადავრჩები ~ სუსტად გაუელვა გონებაში და ტყვიასავით დამძიმებული ქუთუთოები დახუჭა.

\_ გაათავისუფლე და ცოცხალს გაგიშვებ. \_ თქვა გოგამ.

\_ როგორ არა, დაგიჭერე!

\_ ანჟელ, შენ მე კარგად მიცნობ, ჩემი სიტყვა...

\_ სამაგიეროდ, შენ არ მიცნობ! \_ გაანწყვტინა მგზავრმა. \_ შენთვის მე ანჟელა ვარ, სანყალი, შრომისმოყვარე არქივარიუსი. სტელაჟის ჩრჩილი, კომპიუტერის ვირუსი, პრაქტიკულად არარაობა...

\_ მე ეგ არ მითქვამს.

\_ მაგრამ ასე ფიქრობ! კი, კი, ფიქრობ, შენც და ყველანი... ფეკალიები. ან ახლავე დადებ იარაღს, ან არადა, ნახავ რაც მოუვა. \_ კესოზე ანიშნა.

\_ როგორ შეიძლება ავნო საყვარელ ქალს? შენ ხომ ის გიყვარს.

\_ ნუ მელაპარაკები სიყვარულზე, ჩვენთვის სიყვარული სხვადასხვა მცნებაა!

\_ კარგი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. მისმინე, არჩილ, მისმინე და შეეცადე ჩასწვდე, რასაც ახლა გეტყვი. \_ გოგას ხმა დამაჭერებლად ჟღერდა, თუმცა გული ამოხტომამზე ჰქონდა. ის ხედავდა მოღვენთილ კესოს, მის ყელთან მოცახცაზე დანის

წვერს, თეთრ ტილოზე ჩამომწკრივებულ სამეანო ინსტრუმენტებს... ერთს ნატრობდა: შემთხვევის ნოდარი არ შემოხეტებელიყო და ანჟელას დაბოლებაში ხელი არ შეეშალა.

\_ ჰიპნოზი გინდა გამიკეთო? \_ იყვირა მგზავრმა. \_ ვერ მოგართვი! სამამდე ვითვლი. არ დადებ იარაღს და აი, დანა... ერთი გამოსმა და ვერაფერი უშველის, სიკვდილს არ ეშინია შენი პაგონების!

\_ კარგი, დავდებ. აი, აგერ დავდებ, მაგიდაზე.

\_ მაგიდაზე დადებ და გზიდან ჩამომეცლები. გასაგებია? \_ მთელ ხმაზე დაიღრიალა მგზავრმა.

\_ გასაგებია, როგორც შენ იტყ... \_ გოგას სიტყვა შუაზე გაუწყდა.

სამზარეულოში ჭახანითა და ზრიალით ქვა შემოფრინდა, თან შემოიყოლა მინის ნამსხვრევები. ანჟელამ ერთი წამის მიაბრუნა თავი. წამი საკმარისი აღმოჩნდა \_ მაიორი სვიმონიშვილი უკვე ჰაერში მიფრინავდა. მეორე წამში მისი მოქნეული ფეხი მოძალადის ნიკაპზე დაეშვა. ანჟელა გადაქანდა, დანა იატაკზე განკრიალდა, ბედ მიჰყვა კესო. გოგა კესოსთან დაიხარა, მაგრამ ანჟელას არ ასვენებდა გამჩენი, ჭინკასავით შემოახტა ბურგზე, თავისი ჭკუით ნაქცევას შეეცადა. გოგა ერთი კი წაბარბაცდა, მერე მკვეთრად დაიხია უკან და `ძვირფასი~ ტვირთი კედელს მიასრისა. ანჟელა ტომარავით დაებერტყა იატაკზე, გოგა ისევ კესოს მივარდა. იმავე წამს სამზარეულოს გატეხილ ფანჯარაში ნოდარ უგრეხელიძის შეძრწუნებული სახე დაეკიდა. გონს მოსულმა ანჟელამ ისარგებლა მომენტით და დაოთხილი გავარდა გარეთ.

\_ კესოს მიხედე! \_ ბანკირს დაუყვირა გოგამ და ანჟელას გაეკიდა.

მთვარემ წამიერად გაანათა არხის მიმართულებით მქროლავი ანჟელას სილუეტი, მერე კი ღრუბლებს მიეფარა, თითქოს საკუთარი თავის შერცხვა.

გოგა შეეცადა სიბნელეში გაერკვია გაქცეულის ტრაექტორია. ღამურასავით მიიწევდა წინ, ექოლოკაციური სისტემის ამარა. ბოდვით შეპყრობილი შიზოიდის პირობაზე არჩილ ხრიკული ძალიანაც ყოჩაღად გარბოდა. სპორტთან არც გოგა იყო მწყრაღად. მანძილი მაიორსა და არქივარიუსს შორის თანდათან მცირდებოდა. სულ ცოტაც და დაენევა, ქეჩოში წვდება, კისერს მოულრიცავს, ხერხემალში გადატეხავს, ღრძილებით დატოვებს, ცოცხალად გაატყავებს...

არ დასცალდა.

არხის სათავესთან ანჟელამ მოულოდნელად დაამუხრუბა. ყველა გზა მოჭრილია. წინ აქაფებული, შოკისმომგვრელი წყალია, უკან \_ შეიარაღებული მაიორი. ყველაზე კოშმარული სიზმარი ახდა. ის აღარ გაიღვიძებს ცივ ოფლში, ის სამუდამოდ დაიძინებს, მაგრამ იქამდე... ქვევით ჩახედვა ანჟელამ ვერ გაბედა, ფეხის წვერებზე აიწია და ჰაერში ნაბიჯი გადადგა. ნაბიჯი გადადგა გოგამაც, მაგრამ მიწაზე.

-- --

გოგა სვიმონიშვილი და ნოდარ უგრეხელიძე რაიონული საავადმყოფოს მოსაცდელში ისხდნენ. საავადმყოფო ძველი იყო, დაკემსილი ლინოლიუმითა და ყასიდად მობათქაშებული კედლებით.

\_ იცოდი, რომ ფეხმძიმედაა? \_ იკითხა ნოდარმა.

\_ კი.

\_ რატომ არ მითხარი?

\_ რამეს შეცვლიდა ეს ფაქტი?

ნოდარი საკუთარ თავს ჩაუფიქრდა.

\_ პრინციპში არაფერს. \_ თქვა პაუზის შემდეგ. \_ ვინ არის ბავშვის მამა?

გოგამ პასუხი შეაყოვნა. რას მისცემს ბანკირს დათუნა ჯაფარიძის სახელის ხელმეორედ ამოტივტივება? არაფერს, განბილების გარდა.

\_ არ ვიცი.

\_ წარმოგიდგენია, რა დაგვხვდებოდა, დროულად რომ არ მიგვესწრო?

\_ მივასწართ, რო?... \_ უღიმღამოდ გაეპასუხა გოგა. \_ ცხენის დოზა ტრანკვილიზატორი აქვს ნაყლაპი.

\_ შენს მოსვლამდე სამი ლიტრა თბილი წყალი დავალევინე. გული აერია.

\_ კარგი გიქნია.

\_ გინეკოლოგიური ინსტრუმენტის დანახვაზე კინალამ ინფარქტმა მგლიჯა, ეგრევე მივხვდი ყველაფერს.

გოგა თავის დაკვრით შემოიფარგლა. ნახევარი საათი გავიდა, რაც კესო საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმი კი ჯერაც არ გამოსულა საოპერაციოდან. მოულოდნელად ნოდარი მკლავში წვდა და თითები მოუჭირა:

\_ ნაღდად მოკვდა ის ნაბიჭვარი?

\_ ჩემი თვალის ვნახე, როგორ მიჰქონდა დინებას.

\_ იქნებ მიცურავდა?

\_ არ მიცურავდა, თავქვე ამობრუნებული მიჰქონდა.

\_ იქით გზა ჰქონია. \_ დამშვიდდა ნოდარი.

როგორც იქნა, გამოჩნდა ექიმი \_ პუტკუნა, მრგვალსახიანი ქალი დაბრანული ლოყებით. ასეთმა არ შეიძლება ცუდი ამბავი გამცნოს. კაცები ერთდროულად წამოდგნენ.

\_ თქვენ ალბათ კესო დარჩიას მეუღლე ბრძანდებით? \_ გოგას მიმართა ექიმმა.

\_ დდ...დიახ. \_ გოგამ დაბნეულმა დაუქნია თავი, ექიმმა ნოდარს შეხედა.

\_ მეუღლე შოკშია. \_ განუმარტმა ნოდარმა, \_ მე მამა ვარ, როგორ გრძნობს თავს ჩვენი ავადმყოფი?

\_ ახლა გაცილებით უკეთესად. ყველა საჭირო პროცედურა ჩავუტარეთ. რაც მთავარია, ნაყოფის შენარჩუნება მოხერხდა. ხუთიოდე თვეში არაჩვეულებრივი გოგონა გეყოლებათ.

კაცებმა ერთმანეთისკენ მიმართეს გაბადრული სახეები. ექიმმა უყურა, უყურა და ღიმილით გაეცალა ბედნიერებისგან გამოთავყვანებულ სიძე-სიძამრს.

დასასრული

2007 წელი

